ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლარისა ყორღანაშვილი

საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 2009

65
338.22
ყ 692

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტები და საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის მახასიათებელი ნიშნები, ახალი ეკონომიკის პრინციპები და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების როლი გლობალური ეკონომიკის ფორმირებაში, სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაციის წანამძღვრები და რეალური შესაძლებლობები, ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და ვენჩურული კაპიტალის მნიშვნელობა, ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის, საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის, მსოფლიო ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების, საგარეო დავალიანების, გლობალური ფინანსური კრიზისის საკითხები, აგრეთვე საგანმანათლებლო და სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზრების განვითარების ტენდენციები.

გაანალიზებულია საერთაშორისო ბიზნესის გარემო, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან, თურქეთთან, რუსეთთან და დსთ-ის სხვა ქვეყნებთან, აშშ-თან, ჩინეთთან, ირანთან.

ნაშრომში განხილული საკითხები და შედარებითი ანალიზი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტებისა და მოცემული საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: პროფ. ნინო პაპაჩაშვილი
რეცენზენტები: პროფ. ქეთევან მარშავა
პროფ. მერაბ ზედგინიძე

© ლ. ყორღანაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-763-2

შინაარსი

შესავალი 5
გლობალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური
საქმიანობის მახასიათებელი ნიშნები 9
ინფორმაციული ეკონომიკა და გლობალიზაცია 30
სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონალიზაცია
და ინტერნაციონალიზაცია 36
ინოვაციების როლი გლობალურ ეკონომიკაში 57
ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების
დაფინანსების საშუალება 73
საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზარი 83
ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა 104
სიღარიბის გლობალური პრობლემა და
საერთაშორისო ბიზნესის გარემო 115
საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა 124
აშშ-ის როლი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში 136
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 144
საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-
ეკონომიკური ურთიერთობები 156
საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები 169
საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები 174
საქართველოსა და აშშ-ის სავაჭრო ურთიერთობები 182
საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები 185
საქართველო-ირანის სავაჭრო ურთიერთობები 194
საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები
დსთ-ის ქვეყნებთან 202
მსოფლიო ფინანსური ბაზარი 213
სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი 225

საგარეო ვალები და სავალო სტრატეგიები მსოფლიო ეკონომიკაში 236
თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისი 245
ლიტერატურა და ინფორმაციული წყაროები 252
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 266

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო იმყოფება განვითარების ახალ სტადიაზე, რომლის განმსაზღვრელ ტენდენციად გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი გვევლინება. გლობალიზაციის გავლენით იზრდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება და მათი ნორმალური განვითარება მხოლოდ ერთიანი მსოფლიო სამეურნეო მექანიზმის საფუძველზეა შესაძლებელი. სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების აქსიომად იქცა, ხოლო ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემამ აქტუალურობა დაკარგა.

მსოფლიო მეურნეობის ძირითადი გარდაქმნები დაფუძნებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, რომელიც მოიცავს წარმოების ფაქტორების რევოლუციური და ევოლუციური, თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებების ერთობლიობას.

თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც იწვევს ძირითადი კაპიტალის განახლებასა და გაფართოებას, ახალი დარგების შექმნასა და ძველი წარმოებების ძირფესვიან ტექნიკურ რეკონსტრუქციას, ბიზნესის წარმოების სამრეწველო ლოგიკის (იგი ადამიანისა და მანქანის ერთობლივ ეფექტიან მუშაობას ეფუძნებოდა) შეცვლას ახალი მიდგომით, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ინტელექტუალური კაპიტალი. ამის შედეგად სულ უფრო იზრდება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესი, როგორც უშუალოდ, ისე მეცნიერებატევადი პროდუქციის საერთაშორისო გაცვლის გზით, ასტიმულირებს სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო-კომერციული და საფინანსო-საკრედიტო ხასიათის მომსახურების სახელმწიფოთაშორის გაცვლას. მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, განსაკუთრებით ინჟინირინგი, ლიზინგი, კონსალტინგი, საინფორმაციო-კომუნიკაციური მომსახურება, ხელს უწყობს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, ცვლის საერთაშორისო ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიულ სტრუქტურას, ქმნის პოლიტიკური კონკურენციის საფუძველს.

გლობალიზაციის ერთ-ერთი კანონზომიერებაა მისი განვითარების უთანაბრობა, რის შედეგად ქვეყნები სხვადასხვა გაჟღენას ახდენენ მსოფლიო მეურნეობაზე. ნათელია, რომ გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ეროვნული ეკონომიკის როლი

მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერესა და კონკურენტუნარიანობაზე. თავის მხრივ, გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რომლებშიც აისახება ცალკეული ინდივიდების, კომპანიების, დარგებისა და ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგობრივი ურთიერთობები.

გლობალიზაცია ბუნებრივი ისტორიული პროცესია, რომელსაც საკუთარი მოტივები, მამოძრავებელი ძალები და კანონზომიერებები ახასიათებს. გლობალიზაციის პროცესების უკანასკნელი 20 წლის ისტორიის ანალიზის საფუძველზე პირობითად გამოყოფილია მისი განვითარების სამი ეტაპი:

1. 1989 წლიდან 2001 წლის 11 სექტემბერი. ესაა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ დომინირების ეტაპი;
2. 2001 წლის 11 სექტემბერიდან 2007 წლის 10 აგვისტომდე – crush-გლობალიზაციისა და „ფერადი“ რევოლუციების ეტაპი;
3. 2007 წლის 10 აგვისტოს შემდგომი პერიოდი – crisis-გლობალიზაციის ეტაპი.

გლობალიზაციის ზეგავლენით სწრაფად იცვლება მსოფლიო მეურნეობის ყველა სუბიექტის საბაზრო ურთიერთობათა პირობები, განსაკუთრებულ სიმძაფრესა და დინამიზმს იძენს კონკურენცია, სხვა განზომილებაში გადადის მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაცია, ვითარდება საბაზრო ანარქიის პროცესები, განსაკუთრებით კი სავალუტო-საფინანსო სფეროში. თანამედროვე crisis-გლობალიზაციის ეტაპზე იცვლება მიდგომა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მიმართ, პოლიტიკურ წარსულ ბარდება მეოცე საუკუნის 80-იან წლებში შემოტანილი „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ცნება, რომელიც ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, მიკროეკონომიკურ ლიბერალიზაციასა და საშინაო ბაზრის ღიაობას.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში აუცილებელი გახდა სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციიდან კერძო საკუთრების ნაციონალიზაციაზე გადასვლა. ამასთან, პარადოქსია, რომ მსოფლიოს პირველი ლიდერი სახელმწიფო – აშშ დღეს ინვესტორიდან მსოფლიოს უმსხვილესი მოვალის როლში გამოდის, ხოლო განვითარებადი ქვეყანა ჩინეთი უმსხვილესი კრედიტორის როლში გვევლინება. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით განსაზღვრული მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 60 ტრლნ აშშ დოლარია, ხოლო აშშ-ის მშპ კრიზისის წინ 14 ტრლნ აშშ დოლარს მიუახლოვდა, საგარეო

ვალი – 10 ტრლნ აშშ დოლარს. საშინაო ვალის ჩათვლით (ფედერალური მთავრობის, შტატების, მუნიციპალიტეტების, საწარმოთა და საოჯახო მეურნეობების) აშშ-ის მთლიანი ვალის მოცულობა 50 ტრლ აშშ დოლარს აღემატება და იგი მსოფლიო წლიურ მშპ-ს მიუახლოვდა. აშშ-ის მთლიანი ვალის მომსახურების ერთობლივმა დანახარჯებმა 2,5 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ქვეყნის მშპ-ის 1/5 უტოლდება. ბუნებრივია, საბიუჯეტო და საგადასახდელო ბალანსის უზარმაზარი დეფიციტის პირობებში აშშ ვალის გადახდის სერიოზული პრობლემის წინაშეა. სერიოზული საშიშროების წინაშეა, აგრეთვე, აშშ-ის მსოფლიო ლიდერობის საკითხი. მსოფლიო არენაზე გაჩნდნენ სახელმწიფოები (მაგალითად, ჩინეთი), რომლებიც მსოფლიოს მოწყობის საკუთარ ვარიანტებს გვთავაზობენ. ეს, უპირველესად, მსოფლიო ფინანსური სისტემის რეორგანიზაციასთანაა დაკავშირებული. კონკრეტულ ფორმებს იღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მომავალი საქმიანობის პერსპექტივები. ამ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეფორმირების ვადები 2011-2012 წლებითაა განსაზღვრული. აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა კვოტებისა და ხმების განაწილების თაობაზე. ფაქტობრივად ყველა აღიარებს, რომ კვოტებისა და ხმების განაწილების არსებული სისტემა არაპროპორციულია, მაგრამ მისი გადასინჯვის საკითხი უაღრესად მტკივნეულ ნაბიჯადაა შეფასებული.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აქტუალური გახადა კ. მარქსის შრომები. პოლიტიკოსები და ეკონომისტები ამ შრომებში ეძებენ პასუხს მთელი მსოფლიო საზოგადოებისათვის მტკივნეული კრიზისიდან გამოსვლის თაობაზე. საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის სურათი კ. მარქსის „კაპიტალით“ ხელში ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „რევოლუციური ვირუსი შეიჭრა მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრში და ყველა – გერმანიის ფინანსთა მინისტრით დაწყებული და რომის პაპით დამთავრებული – აქებენ ამ ფუნდამენტურ ნაშრომს კაპიტალიზმის თეორიის შესახებ“.[1] გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვებით დადგენილია, რომ „თანამედროვეობაზე ზეგავლენის“ რეიტინგში კ. მარქსი პირველ ადგილზეა და უსწრებს ადენაუერსა და მარტინ ლუთერს.[2]

---

[1] *Seumas Milne. Not the death of capitalism, but the birth of a new order //The Guardian. — 23 oct. 2008.*

[2] *www.kp.ru/daily/24182/391243/*

გლობალური კრიზისით გამოწვეული ბანკების ნაციონალიზაცია ევროპასა და აშშ-ში მეტყველებს, რომ კ. მარქსის წინასწარმეტყველება „კერძო საკუთრებისათვის დადგება ანგარიშსწორების საათი, მოხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“, ფაქტობრივად, ახდა.

კ. მარქსის იდეოლოგიის ამერიკელი მომხრეები დარწმუნებულნი არიან თავისუფალი ბაზრის თეორიის დამარცხებაში და ვაშინგტონისაგან ითხოვენ ყველა მსხვილი ფინანსური საწარმოს ნაციონალიზაციას მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის მოდელის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი იძულებული გახდა აეხსნა, რომ „თეთრი სახლის გეგმა ცხრა უმსხვილესი ბანკის აქციების გამოსყიდვის შესახებ ჯერ არაა სოციალიზმი, ეს მხოლოდ სახელმწიფოს რეგულირებისა და ზედამხედველობის გამოყენებაა“.[3]

გლობალიზაციის თეორია ამტკიცებს, რომ თანამედროვე პირობებში ჩვენი ცხოვრების უდიდეს ნაწილს გლობალური პროცესები განსაზღვრავს. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის ზოგიერთი ისეთი აქტუალური საკითხი, რომელიც გარკვეულ ანალიზსა და გააზრებას საჭიროებს.

ნაშრომთან დაკავშირებულ ყველა საქმიან შენიშვნას ავტორი მადლიერებით მიიღებს მისამართზე:
l.korganashvili@yahoo.com

[3] www.kp.ru/daily/24182/391243/, *Krugman P. The Return of Depression. Economics and the Crisis of 2008. N.Y., 2008, 224 p.*

გლობალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური საძმიანობის მახასიათებელი ნიშნები

გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპია, რომელიც ინტენსიურად ვითარდება. 1994 წლის თებერვალში აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგში 34 ნაშრომი იყო, სადაც ეს ცნება იყო ნახსენები, XXI საუკუნის დასაწყისში კი მათი რიცხვი რამდენიმე ათასს ითვლის. გლობალიზაცია გულისხმობს სხვადასხვა ცივილიზაციური სისტემის დაახლოებას, მათ შორის არსებული განსხვავების წაშლას, მსოფლიო მეურნეობის სუბიექტების მიერ წარმოებულ მსოფლიო (პლანეტარულ) ექსპანსიას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ვაჭრობა, ფინანსები, წარმოება, კომუნიკაცია მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა, რელიგია, ტერორიზმი და ა. შ.

გლობალიზაციას სხვადასხვა ასპექტი გააჩნია. მათ შორის მეცნიერები გამოყოფენ შემდეგ ასპექტებს:

- სამრეწველო (ინდუსტრიული) გლობალიზაცია – საერთაშორისო წარმოების ჩამოყალიბება, მომხმარებლებისა და კომპანიებისათვის უცხოური პროდუქტების ხელმისაწვდომობის დონის ამაღლება;
- ფინანსური გლობალიზაცია – საერთაშორისო ფინანსური ბაზრების გაჩენა, კორპორაციული, ეროვნული და ზენაციონალური მსესხებლებისათვის საგარეო დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ეკონომიკური გლობალიზაცია – ერთიანი გლობალური ბაზრის ფორმირება, რომლის საფუძველია საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა;
- პოლიტიკური გლობალიზაცია – მსოფლიო მთავრობის (ხელისუფლების) ფორმირება, რომლის ფუნქციაში შევა საერთაშორისი ურთიერთობების რეგულირება, სოციალურ-ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად მიღებული უფლებების გარანტიების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული გლობალიზაცია – ინფორმაციის ნაკადების ინტენსიფიკაცია გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებს შორის;
- კულტურული გლობალიზაცია – კულტურული კონტაქტების ზრდა და მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბება;

• ეკოლოგიური გლობალიზაცია – გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების ზრდა (მაგალითად, კლიმატის ცვლილება, გრუნტის წყლები და ჰაერის დაბინძურება, ოკეანეებში თევზის მარაგის ამოწურვა, ფლორისა და ფაუნის აგრესიული სახეობების გავრცელება), რომელთა გადაწყვეტა საერთაშორისო თანამშრომლობას საჭიროებს;

• სოციალური გლობალიზაცია – ყველა ეროვნების ადამიანთა თავისუფალი მოძრაობისა და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

გლობალიზაციის ყოველი ზემოაღნიშნული ასპექტი მსოფლიოზე სხვადასხვა სახით ზემოქმედებს და სხვადასხვა შედეგი გააჩნია. გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია:

➢ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგავლენის გაძლიერება, ამა თუ იმ კავშირებისა და ინსტიტუტების გაფართოება და გაღრმავება დროსა და სივრცეში ისეთი სახით, რომ, ერთი მხრივ, ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაზე სულ უფრო მეტად მოქმედებს დედამიწის სხვა ნაწილში მიმდინარე მოვლენები და, მეორე მხრივ, ლოკალურ მოვლენებს მნიშვნელოვანი გლობალური შედეგების მოტანა შეუძლიათ. ქვეყანათა ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგავლენის გაძლიერების შედეგად, მათი საზღვრები სულ უფრო გამჭვირვალე ხდება.

➢ინტერნაციონალურობა. გლობალიზაციის შედეგად ინტერნაციონალური ხდება სამეურნეო საქმიანობა და ყალიბდება მსოფლიოს მოწყობის უნივერსალური სისტემა ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და კულტურულ-ცივილიზაციური სტანდარტებით. ამ სისტემაში პოზიტიური და ნეგატიური მოვლენები სწრაფად იღებენ პლანეტის მასშტაბებს.

➢წინააღმდეგობრიობა. თანამედროვე გლობალიზებადი სამყარო ხასიათდება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესებით, რომლებსაც შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებები ჰქონდეს. ეს პროცესები პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების გამომწვევი მიზეზების როლში გამოდიან. ისინი ამწვავებენ დოვლათის, დანახარჯებისა და ა. შ. არათანაბარი განაწილების პრობლემებს.

გლობალიზაციის მოტივები და მიზნები, უპირველესად, წარმოების ფაქტორების, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას ეფუძნება, რომელიც ტრანსნაციონალური ხასიათის მატარებელია და იდეებისა და ფასეულობების ექსპორ-

ტთანაა დაკავშირებული. გლობალიზაცია ემყარება ერთიანობისა და თანასწორუფლებიანობის იდეას. მის დევიზად შეიძლება განვიხილოთ „სიკეთე და ბედნიერება ყველასათვისა და ყოველი ადამიანისასათვის“. მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსხვილი სახელმწიფოები ცდილობენ მიიღონ განუსაზღვრელი ძალაუფლება სხვა ქვეყნებზე, რათა ზეგავლენა მოახდინონ შედარებით სუსტ სახელმწიფოებზე. ეს იმას ადასტურებს, რომ თანასწორუფლებიანობა არ არსებობს და მისი მიღწევის საშუალებები შეზღუდულია. მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანთა მატერიალური, კულტურული და კონფესიური თავისებურებები არასოდეს გაქრება, თუმცა სწორედ ეს განსხვავებები ასტიმულირებს ცივილიზაციათა განვითარებას და ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის საფუძველს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ერთიანობის იდეა პირველად რელიგიის მიერაა გამოცხადებული. ამიტომ რელიგიურ პარადიგმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა გლობალიზაციის მიზნების რეალიზაციაში. ამასთან, ამ მიზნების რეალიზაციისათვის გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე საზოგადოების მრავალკონფესიურობა მოითხოვს რელიგიების მშვიდობიან თანაარსებობას და მათ აქტიურ ურთიერთქმედებას მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესებში. თავის მხრივ, გლობალიზაციის პროცესების შეუქცევადობა, რელიგიისა და კულტურისათვის მისი ზოგიერთი დადებითი შედეგი მოითხოვს ამ პროცესის გააზრების აუცილებლობას და მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაციის გზების შერჩევის პრობლემის გადაჭრას. თანამედროვე ეტაპზე ყველა სახელმწიფოს წინაშე დგას საკითხი, თუ როგორ განვითარდეს გლობალიზებადი მსოფლიოს პირობებში. ერთიანი გლობალური მსოფლიოს ჩამოსაყალიბებლად არსებობს უამრავი თანმხვედრი ინტერესი როგორც ქვეყნების, ისე პლანეტის დონეზე, ხოლო მრავალი ფასეულობა სხვადასხვა რელიგიისათვის ერთნაირია. ასე მაგალითად, სამართლიანობა, სიყვარული, თანაგრძნობა, ადამიანის უფლებებისა და სიცოცხლის პატივისცემა, თავისუფლება ნებისმიერი რელიგიის შემადგენელი ნაწილია.

ერთიანი გლობალური მსოფლიოს საფუძველში უნდა ჩაიდოს შემდეგი პრინციპები:

• ცივილიზაციათა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარება, როგორც ყველა ქვეყნისა და ხალხის, ისე

მთელი მსოფლიო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით;

• ქვეყნებისა და ცივილიზაციების უსაზღვრო და ურთიერთშეთანხმებული განვითარება შრომის საერთაშორისო დანაწილების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების თანასწორუფლებიანი და ტოლფასოვანი გაცვლის საფუძველზე;

• ზომიერება რელიგიური რწმენისა და გრძნობების გამოვლენის მიმართ, სხვადასხვა კონფესიის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის მიზნით;

• მდგრადი და უსაფრთხო ცივილიზაციური განვითარება მსოფლიოს მოწყობის საზოგადოებრივი მოდელის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ყველა ცივილიზაციის სულიერ იდეალებს და გამიზნულია მეცნიერებისა და კულტურის პროგრესული როლის აღორძინებაზე;

• საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხში კეთილგონივრული თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია მშვიდობისა და არაძალადობის კულტურის ფორმირება.

ღია ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკასთან, ამიტომ ეკონომიკური განვითარება ეროვნულ ჩარჩოში და საგარეო ეკონომიკური კავშირები ერთი ჯაჭვის რგოლებად უნდა განვიხილოთ. ამასთან, მსოფლიოს ყველა ქვეყანა მეტ-ნაკლები ზომით გლობალიზაციის პროცესებშია ჩართული. გლობალიზაცია ზრდის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობასა და ურთიერთდამოკიდებულებას. ეკონომიკურ ასპექტში იგი გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნას ერთიან საწარმოო ზონად და ერთიან ბაზრად, რომელიც წარმოდგენილია საქონლისა და კაპიტალის ნაკადებით დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკების სახით, სადაც თავისუფლად მოძრაობს საქონელი და წარმოების ფაქტორები. ამას ხშირად ემატება კიდევ ორი მაჩვენებელი – ინსტიტუციონალიზაცია (საკანონმდებლო დებულებების უნიფიკაცია) და სულიერ-ინტელექტუალური (ერთიანი კულტურულ-საგანმანათლებლო) სივრცე. გლობალიზაციის პროცესების ზემოქმედებით ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობების „თამაშის წესებს“.

უკანასკნელი წლებში გლობალიზაცია მოდურ ცნებად იქცა, რადგან თანამედროვე ეტაპზე სოციალური ცხოვრების

უდიდეს ნაწილს გლობალური პროცესები განსაზღვრავს. ამჟამად გლობალიზაციის ცნება მოიცავს მოვლენებისა და ტენდენციების ფართო სპექტრს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

✓მსოფლიო იდეოლოგების განვითარება;

✓ინტენსიური ბრძოლა ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად;

✓საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვის ზრდა, მათი საქმიანობის ორიენტაცია ახალ მიზნებზე და გავლენის სფეროების გაფართოება;

✓ტნკ-ების განვითარება და მათი გადაქცევა მსოფლიო ეკონომიკის ძირითად სუბიექტებად;

✓ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და როლის შესუსტება;

✓საერთაშორისო ვაჭრობის განუხრელი ზრდა და ლიბერალიზაცია;

✓საერთაშორისო მიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაცია და მულტიკულტურული თანამეგობრობის ფორმირება;

✓პლანეტარული მასობრივი ინფორმაციული საშუალებების შექმნა და დასავლური კულტურის ექსპანსია მსოფლიოს ყველა რეგიონზე და ა. შ.

გლობალიზაციის თეორიული საფუძველია ნეოლიბერალური თეორია (განსაკუთრებით, მონეტარიზმი), რომელიც XX საუკუნის ბოლოს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ ყველაზე მართებულ თეორიადაა აღიარებული. ამ თეორიის თანახმად:

• ეკონომიკურ განვითარებაში პრიორიტეტი ენიჭება საბაზრო მექანიზმებს;

• მიუღებელია ეკონომიკაში სახელწიფოს ჩარევა;

• აუცილებელია ყველა დაბრკოლების მოხსნა კაპიტალის, საქონლისა და სამუშაო ძალის მოძრაობის გზაზე.

გლობალიზაციის ეკონომიკური ასპექტებისათვის დამახასიათებელია:

➢თავისუფალი ვაჭრობა;

➢კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა;

➢საწარმოთა მოგებაზე გადასახადების შემცირება;

➢მრეწველობის დარგების გადაადგილების გამარტივება სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის შრომასა და ბუნებრივ რესურსებზე დანახარჯების შემცირების მიზნით.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ასპექტის – თავისუფალი ვაჭრობის იდეა დაკავშირებულია ა. სმითისა და დ. რიკარდოს სახელებთან. იგი ეხმიანება ფარდობითი უპირატესობის პრინციპს, რომლის თანახმად ყოველი ქვეყანა სპეციალიზდება ფარდობითი უპირატესობის უზრუნველმყოფელი ეკონომიკური საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. ასეთი სპეციალიზაციის არარსებობის შემთხვევაში, ქვეყანა მის მიღებას შესაბამისი ღონისძიებების საფუძველზე ცდილობს. ამის შეღეგად, როგორც წესი, ჩნდება ზოგიერთი მათგანის მდგომარეობის გაუმჯობესების ალბათობა (პარეტოს კანონი).

ჯ. სოროსი თავის ნაშრომში „თეზისები გლობალიზაციის შესახებ“ (I თეზისი) წერს[4]: “გლობალიზაცია ფართოდ გამოყენებული ტერმინია, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მივანიჭოთ. მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ამოსავალია ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ეროვნულ ეკონომიკებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე უპირატესად გლობალური ფინანსური ბაზრების გაელენის ზრდა. ამ შემთხვევაში გლობალიზაცია უნდა განვასხვაოთ თავისუფალი ვაჭრობისაგან, რომელსაც ცალკეული ქვეყნებისათვის ასეთი შორს მიმავალი შედეგები არ გააჩნია“. ჯ. სოროსის ეს განმარტება, ფაქტობრივად, გლობალიზაციის ვიწრო გაგებაა და იგი ამ მოვლენის ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევად ან ასპექტად უნდა განვიხილოთ.

მსოფლიო ბანკი გლობალიზაციას ახასიათებს, როგორც მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, რომელიც არის საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ნაკადების ინტერნაციონალიზაციის, აგრეთვე ტექნოლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო გავრცელების შედეგი[5].

გლობალიზაციის მომხრენი თვლიან, რომ იგი არის ფართო, მრავალასპექტიანი, ობიექტური და შეუქცევადი პროცესი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. ისინი თვლიან, რომ გლობალიზაცია[6]:

- გამომდინარეობს ეკონომიკის თვითგანვითარებიდან;

---

[4] *Сорос Дж. Тезисы о глобализации. Вестник Европы, № 2, 2001, с. 38-49.*

[5] *World Economic Outlook, 1997, p. 45.*

[6] *UNDP. Human Development Report. 1997, New York, p. 82, World Commission on Culture and Development, Paris, 1995, p. 186.*

• უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანური კეთილდღეობის საუკეთესო პირობების შექმნას საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის ნაკადების თავისუფალი მოძრაობის საფუძველზე;

• ხელს უწყობს ერთიანი მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური წყობის ფორმირებას და, საბოლოოდ, აყალიბებს განვითარების ერთ ვარიანტს;

• კულტურის საერთაშორისო გავრცელებისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური პროცესები.

გლობალიზაციის პროცესი შედგება 3 ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისაგან:

1. შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება;
2. საერთაშორისო წარმოება;
3. პოლიტიკური ურთიერთობები.

შრომის საერთაშორისო დანაწილება უძველეს დროს ჩაისახა. მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო გაცვლაზე მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 1 % მოდიოდა. სამრეწველო გადატრიალების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მოდერნიზაციის შედეგად, შრომის საერთაშორისო დანაწილება სწრაფად განვითარდა და გაღრმავდა. მე-20 საუკუნის დასასრულს მან მსოფლიო მშპ-ის 25 %-ს მიაღწია. ამასთან, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში სულ უფრო მეტი ქვეყნის ჩართვის შედეგად, შეიცვლება თვით მისი ხასიათი. კერძოდ:

➢რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაბატონებული შრომის დარგთაშორისი დანაწილება (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაცვლა მზა ნაწარმზე) ამჟამად იცვლება შიდადარგობრივით (ერთი ტიპური ზომის პროდუქციის გაცვლა მეორეზე), რის შედეგად მყარი და მუდმივი ხდება პარტნიორთაშორისი ეკონომიკური კავშირები;

➢სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქონლის გაცვლა მომსახურებაზე. მომსახურებისა და დარგთაშორისი პროდუქციის გაცვლამ ახალი ათასწლეულის დასაწყისში მსოფლიო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის ნახევარს გადააჭარბა, სწორედ ამიტომ ამ ფენომენმა შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების სახელწოდება მიიღო;

➢შრომის საერთაშორისო დანაწილება, როგორც გლობალიზაციის კომპონენტი, განსაკუთრებით მის ახალ ფორმებში, შეუქცევადია. სწორედ ეს ელემენტი აძლევს სახელმწიფოთა

გარკვეულ ნაწილს თავისი სამეურნეო სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და გლობალიზაციისაგან ხილული სარგებლის მიღების შესაძლებლობას. ამის გამო, იგი კიდევ უფრო გაღრმავდება და სრულყოფილი გახდება, ამ თუ იმ მწარმოებლისა და სახელმწიფოს ნებისა და განზრახვის მიუხედავად.

საერთაშორისო წარმოება შედარებით გვიან წარმოიშვა: მისი ჩამოყალიბება 1970-1980 წწ. მიეკუთვნება. მისი ამოსავალი პუნქტი იყო 1970-იანი წლების შუახანების სათბობ-ენერგეტიკული კრიზისი. მან გამოიწვია, ერთი მხრივ, მრეწველობის ძველი დარგების მომგებიანობის შემცირება (ზოგიერთ შემთხვევაში ზარალიც) და, მეორე მხრივ, ეროვნული კვლაევწარმოების პირობების არსებითი განსხვავება ინდუსტრიალიზაციის პროცესში – ხელფასის განაკვეთებში, სამუშაო ძალის განათლებისა და პროფესიონალიზმის დონეში, საპროცენტო განაკვეთში, ნედლეულისა და ენერგიის ფასში და ა. შ. ამიტომ დაიწყო შრომატევადი, მასალატევადი და ეკოლოგიურად ბინძური წარმოებების გადატანა განვითარებად ქვეყნებში. გარდა ამისა, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა შექმნა ტექნოლოგიური პროცესის სივრცობრივი დაშორიშორებისა და სხვადასხვა ქვეყანაში მისი ცალკეული ფაზების განლაგების შესაძლებლობა წარმოების ფაქტორების ფასების შესაბამისად, ხოლო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სრულყოფამ უზრუნველყო ამ დაშორიშორებული წარმოებების კავშირურთიერთობა შედარებით დაბალი დანახარჯებით. ამასთან, საერთაშორისო წარმოება ხორციელდება როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში განლაგებულ უცხოურ საწარმოებში, ისე ნარდის საფუძველზე მოქმედ ადგილობრივ საწარმოებში. ამის შედეგად უცხოური კომპანიები აღწევენ არა მარტო წარმოების ხარჯების შემცირებას, არამედ საწყისი ინვესტიციების ეკონომიას, აგრეთვე მმართველობითი სტრუქტურების გამარტივებასა და გაიაფებას, რადგან მოიჯარეები თვითონ აგებენ პასუხს მათზე გადაცემულ წარმოების ფაზაზე. ასეთი წარმოებები ნამდვილად საერთაშორისო ხასიათისაა. მაგალითად, გარკვეული მარკის აეტომობილების წარმოება განაწილებულია რამდენიმე ქვეყანაზე, ხოლო ყოველი ქვეყნის მეწარმეები პასუხს აგებენ წარმოების გარკვეულ ფაზაზე – დაპროექტება, ძრავების ან ელექტრომოწყობილობის წარმოება და სხვა. არსებობს საერთაშორისო წარმოების სხვა ფორმაც: განვითარებულ ქვეყანაში განლაგებული მეთაური კომპანია გადაიქცევა წმინდა საამწყობო საამქროდ, ხოლო დეტალებისა და კომპონენტების წარმოებები კი წარმოების ფაქ-

ტორების დაბალი ფასის ქვეყნებში განთავსდება. აღნიშნულის შედეგად, ზრდის სწრაფი ტემპებია დამახასიათებელი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. მაგალითად, 2007 წელს 2006 წელთან შედარებით მსოფლიო წარმოების მოცულობა 5,2 %-ით გაიზარდა; მათ შორის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში ზრდამ 2,7 % შეადგინა, ხოლო ფორმირებადი ბაზრებისა და განვითარებად ქვეყნებში – 8,3 % (ცხრილი 1).

ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები დამახასიათებელია აზიის განვითარებადი ქვეყნებისათვის – 10,6 %. მათ შორის ჩინეთში ზრდამ შეადგინა 13,0 %, ინდოეთში – 9,3 %, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, 2008 წელს 2007 წელთან შედარებით ზრდის ტემპები როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით არსებითად შემცირდა. პროგნოზის თანახმად, 2009 წელს მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების უმეტეს ნაწილში თითქმის ყველა მაჩვენებლის ზრდის უარყოფითი ტემპია მოსალოდნელი (ცხრილი 1).

ამჟამად გლობალიზაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პოლიტიკური ფაქტორები. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა სოციალისტური სისტემის დაშლისა და ამ სივრცეში საბაზრო ურთიერთობების გავრცელების პირობებში.

გლობალიზაციას ერთნი წარმოიდგენენ როგორც ერთიანი გლობალური მთავრობის (global government) ქვეშ მყოფ მსოფლიოს, მეორენი – უფრო მოქნილი კოორდინირებული მართვის სისტემას (global governance), მესამენი – ერთიან მსოფლიოს, რომელსაც მართავს ერთი სუპერსახელმწიფო. მეოთხენი ამტკიცებენ, რომ მსოფლიო უნდა მართოს მოდიფიცირებულმა გაერომ და ა. შ.

გლობალიზაცის მამოძრავებელი ძალებია:

- ტექნოლოგიური ცვლილებები;
- ბარიერების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობაში;
- სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია.

გლობალიზაციის შედეგად მრავალი სფეროს მასშტაბები სახელმწიფოთა საზღვრებში ვეღარ ეტევა. ამის გამო ყალიბდება „გლობალური საწარმოო სისტემა“ (global factory) და კომპანიების ეკონომიკური საქმიანობა გლობალური მასშტაბით ხორციელდება.

გლობალური ეკონომიკის პირობებში იქმნება მულტინაციონალური მომსახურების ქსელი, რომელიც მოიცავს გლობალურ კომპიუტერიზაციაზე დამყარებულ ბანკებს, სარეკლამო

ცხრილი 1

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები
(%-ში, თუ სხვა რამ არაა მითითებული)

მაჩვენებლები\წლები	2006	2007	2008	პროგნოზი	
				2009	2010
მსოფლიო წარმოების მოცულობა	5,0	5,2	3,2	-1,3	1,9
განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები	3,0	2,7	0,9	-3,8	0,0
აშშ	2,9	2,0	1,1	-2,8	0,0
ევროს ზონა	2.8	2,7	0,9	-4,2	-0,4
გერმანია	2.9	2,5	1,3	-5,6	-1,0
საფრანგეთი	2.0	2,1	0,7	-3,0	0,4
იტალია	1.8	1,6	-1,0	-4,4	-0,4
ესპანეთი	3.9	3,7	1,2	-3,0	-0,7
იაპონია	2.4	2,4	-0,6	-6,2	0,5
გაერთიანებული სამეფო	2.9	3,0	0,7	-4,1	-0,4
კანადა	2.8	2,7	0,5	-2,5	1,2
სხვა განვითარებული ქვეყნები	4.5	4,7	1,6	-4,1	0,6
აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები	5.6	5,7	1,5	-5,6	0,8
ფორმირებადი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნები	7.8	8,3	6,1	1,6	4,0
აფრიკა	5.9	6,2	5,2	2,0	3,9
აფრიკის ქვეყნები საჰარის სამხრეთით	6.4	6,9	5,5	1,7	3,8
ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა	6.6	5,4	2,9	-3,7	0,8
დსთ	8.2	8,6	5,5	-5,1	1,2
რუსეთი	7.4	8,1	5,6	-6,0	0,5
რუსეთის გარეშე	10.1	9,9	5,3	-2,9	3,1
აზიის განვითარებადი ქვეყნები	9.6	10,6	7,7	4,8	6,1
ჩინეთი	11.1	13,0	9,0	6,5	7,5
ინდოეთი	9.7	9,3	7,3	4,5	5,6
ასეანი-5	5.7	6,3	4,9	0,0	2,3
ახლო აღმოსავლეთი	5.8	6,3	5,9	2,5	3,5
დასავლეთის ნახევარსფერო	5.5	5,7	4,2	-1,5	1,6
ბრაზილია	3.8	5,7	5,1	-1,3	2,2
მექსიკა	4.8	3,3	1,3	-3,7	1,0

ცხრილი 1-ის გაგრძელება

ევროკავშირი	3.3	3,1	1,1	-4,0	-0,3
მსოფლიოს ზრდის ტემპები საბაზრო გაცვლითი კურსებით	3.9	3,8	2,1	-2,5	1,0
მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა (საქონელი და მომსახურება)	9.2	7,2	3,3	-11,0	0,6
იმპორტი					
განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები	7.4	4,7	0,4	-12,1	0,4
ფორმირებადი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნები	14.4	14,0	10,9	-8,8	0,6
ექსპორტი					
განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები	8.2	6,1	1,8	-13,5	0,5
ფორმირებადი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნები	10.9	9,5	6,0	-6,4	1,2
საბირჟო საქონლის ფასები					
ნავთობი	20.5	10,7	36,4	-46,4	20,2
არასაწვავისაქონელი(საშუალოდ საბირჟო საქონლის მსოფლიო ექსპორტში წილის მიხედვით), აშშ დოლარებში	23.2	14,1	7,5	-27,9	4,4
სამომხმარებლო ფასები, აშშ დოლარებში					
განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები	2.4	2.2	3.4	-0.2	0.3
ფორმირებადი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნები	5.4	6,4	9,3	5,7	4,7
ლიბორი (პროცენტებში)					
დეპოზიტებით, აშშ დოლარებში	5.3	5,3	3,0	1,5	1.4
დეპოზიტებით, ევროში	3.1	4,3	4,6	1,6	2,0
დეპოზიტებით, იაპონურ იენებში	0.4	0,9	1,0	1,0	0,5

წყარო: World Economic Outlook-2008,
World Economic Outlook-2008,Apr.

სააგენტოებს, კონსალტინგურ ფირმებს, უნივერსიტეტებს, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს და ა. შ. ამ შემთხვევაში არაა მნიშვნელოვანი ის ფაქტი, თუ რომელ ქვეყანას ეკუთვნის სერვისის ესა თუ ის ელემენტი. გლობალური ეკონომიკის მთავარი მიზანია გლობალური ეფექტიანობა, რომელიც დაკავშირებულია ორ ფაქტორთან:

1. საქმიანობის ფორმის შერჩევის აბსოლუტური თავისუფლება ნებისმიერ ქვეყანაში;

2. აბსოლუტური თავისუფლება საქმიანობის ადგილის – ქვეყნის შერჩევაში.

გლობალიზაციის პროცესი შეიძლება გაიზომოს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობის მახასიათებელი მაჩვენებლებით. სტატისტიკით დადასტურებულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის და კაპიტალის მიგრაციის გაფართოებას, ჩვეულებრივ, თან ახლავს სტაბილური ეკონომიკური ზრდა, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ პროცესებში არიან ჩართულნი.

გლობალიზაციის პროცესების გავლენით თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობა ახალ ნიშნებსა და თვისებებს იძენს. მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია:

1. *ხელმისაწვდომობა და საყოველთაო ხასიათი.* თანამედროვე პირობებში, ფაქტობრივად, ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ფირმას შეუძლია სერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობაში ჩართვა და თავისი საქმიანი აქტივობის გაზრდა.

2. *საფეხუროვანი განვითარება.* ჩვეულებრივ, ფირმების საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობა მარტივი ფორმებით (ექსპორტი და ა. შ.) იწყება და თანდათან – განვითარების შესაბამისი საფეხურების გაელით მულტინაციონალურ დონეს აღწევს.

3. *ტექნოლოგიური გლობალიზაცია.* ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა არსებითად შეცვალეს საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობა, რომლის დასახასიათებლად შემდეგ 3 ნიშანს გამოყოფენ:

- იგი შეიძლება ეფექტიანად განხორციელდეს „ოფისიდან გაუსვლელად";
- იგი შეიძლება განხორციელდეს რეალური დროის რეჟიმში;

• ტელეკომუნიკაციების მეშვეობით მან შეიძლება მოიცვას ყველა ბაზარი (საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, შრომის, ინფორმაციის და ა. შ.).

4. *ფინანსიარიზაცია.* ეს ტერმინი შემოთავაზებულია ჯ. პ. შერვან-შრაიბერის მიერ და ახასიათებს საერთაშორისო ბიზნესის ფინანსურ შემადგენელს, რომელიც არსებით როლს თამაშობს გლობალურ ეკონომიკაში. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, ფინანსური მენეჯმენტის მიღწევების გამოყენებით გაჩნდა საერთაშორისო ბიზნესის ზრდის ახალი შესაძლებლობები, ხოლო ფინანსიარიზაცია იქცა მისი სრულყოფის საზომად.

5. *ეროვნულისა და ინტერნაციონალურის რთული ურთიერთმოქმედება.* ინტერნაციონალიზაციის პროცესში მეტ-ნაკლები ზომით ყველა ქვეყანა მონაწილეობს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ინტეგრაციულ გაერთიანებებშია ჩართული. ინტეგრაციული პროცესების ზემოქმედებით ყალიბდება მულტინაციონალური საქმიანი კულტურა, მაგრამ ამასთან, ადგილი აქვს ეროვნულ და კულტურულ დიფერენციაციას, რომლის შედეგად რთულდება ეროვნული და ინტერნაციონალური ფაქტორების ურთიერთკავშირი. პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის პროცესში აუცილებელია ეროვნული ფაქტორების გათვალისწინება.

6. *ინტელექტუალური კაპიტალის როლის ამაღლება.* დღეს ეკონომიკის ზრდის მთავარ წყაროდ და მისი მართვის ინსტრუმენტად ინტელექტუალური კაპიტალი გადაიქცა.

გლობალიზაციის მასშტაბები იზრდება საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების, საქონლის ტრანსპორტირების ხარჯების, გადაზიდვებისა და ინფორმაციის გადაცემის დროის შემცირების შედეგად. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალისა და ინფორმაციის ნაკადები. როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, განვითარებულ ქვეყნებში საქონლით ვაჭრობის წილი მშპ-ში 1990-1995 წლების 30.1 %-დან 2000-2005 წლების 38.4 %-მდე გაიზარდა. კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ეს მაჩვენებელი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში — 35.7-დან 49.9 %-მდე. საქონლით ვაჭრობისაგან განსხვავებით მომსახურებით ვაჭრობას მშპ-ში ჯერ კიდევ უმნიშვნელო წილი უკავია, თუმცა ისიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, საანალიზო პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში იგი 7.6-დან 9.5 %-მდე გაიზარდა,

ხოლო განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში — 9.5-დან 8.4 %-მდე. გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციაზე მეტყველებს, აგრეთვე, მობილური ტელეფონებითა და ინტერნეტით მოსასარგებლეთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში მობილური ტელეფონებით მოსასარგებლეთა რიცხვი 3.8-დან 67.6 %-მდე გაიზარდა, ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვი კი 0.7-დან 41 %-მდე. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 0.1-დან 19.5 %-მდე და 0.01-დან 4.9 %-მდე გაიზარდა (ცხრილი 2).

გლობალიზაციას ქვეყნებზე აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება. დადებითი ეფექტი ძირითადად გამოიხატება არსებული რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებაში, გასაღების ბაზრების გაფართოებაში, შედარებით მაღალეფექტიან დარგებში წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებაში და ა.შ.

დღეისათვის გლობალურ ეკონომიკას მკაცრი მარეგულირებელი მექანიზმი არ გააჩნია, ამიტომ იგი ვითარდება, ერთი მხრივ, საბაზრო ანარქიის (ეს, უპირველესად, სავალუტო და საფინანსო სისტემებს ეხება) პროცესებისა და, მეორე მხრივ, ოლიგარქიის ტენდენციების გაძლიერების პირობებში.

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენა ქვეყნებზე, უპირველესად, გამოიხატება მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამძაფრებაში, რაც იწვევს ცალკეული საწარმოების გაკოტრებას ან მთლიანად დარგების განადგურებას, უმუშევრობის დონის ამაღლებას, სიღარიბის ზრდას და ა. შ. გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ გამოდის, აგრეთვე, გრძელვადიანი მოქმედების ისეთი ობიექტური ფაქტორი, როგორიცაა რეგიონალიზაციისაკენ ეროვნული ეკონომიკებისა და სახელმწიფოების გაძლიერებული სწრაფვის ტენდენცია, რომელიც ეწინააღმდეგება „უსაზღვრებო“ და თავისი სტრუქტურით „ერთხაზოვანი“ გლობალური სამყაროს შექმნის იდეას. ამავე დროს, გლობალიზაციის პირობებში რეკონსტრუქციის (გარდაქმნის) პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს (მაგალითად, თანამედროვე ჩინეთსა და ინდოეთში), რომ დასავლური კულტურის ინსტრუმენტული კომპონენტების ათვისებით (მატერიალური წარმოების სტრუქტურის, ინფორმაციის გადაცემის მეთოდების, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და განათლების ტიპის მიხედვით), ბევრ ქვეყანას არ სურს დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების ბრმად კოპირება და უარის თქმა თავისი კულტურის ეგზისტენციალურ საწყისებზე,

ცხრილი 2.

გლობალიზაციის პროცესების ძირითადი მახასიათებლები

მაჩვენებლები	განვითარებული ქვეყნები		განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები		ქვეყნები	
	1990-1995	2000-2005	1990-1995	2000-2005	1990-1995	2000-2005
საქონლით ვაჭრობა (%-ით მშპ-თან)	30.1	38.4	35.7	49.9	30.9	40.5
მომსახურებით ვაჭრობა (%-ით მშპ-თან)	7.6	9.5	8.4	8.4	7.7	9.5
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (%-ით მშპ-თან)	0.8	2.1	1.8	2.7	0.9	2.3
მობილური ტელეფონებით მოსახარგებლეთა რიცხვი (%-ით მოსახლეობასთან)	3.8	67.6	0.1	19.5	0.9	29.8
ინტერნეტით მოსახარგებლეთა რიცხვი (%-ით მოსახლეობასთან)	0.7	41.0	0.01	4.9	0.1	9.1
„ახალი ბაზრების" საბაზრო კაპიტალიზაცია (%-ით მშპ-თან)			34	64		
მიგრანტთა მიერ გზავნილი სახსრების მოცულობა (%-ით მშპ-თან)			118	165		

წყარო: World Development Indicators.

„სულზე“ – რელიგიურ შეგნებაზე, პიროვნების თვითშეგნებისა და ადამიანურ ურთიერთობათა, სასიცოცხლო აზრის ჩვეულ ფორმებზე[7]. გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები განაპირობებს: ეროვნულ ეკონომიკათა დაცვის, ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლების, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების აუცილებლობას.

მსოფლიო თანამეგობრობაზე გლობალიზაციის პროცესების გავლენა ფასდება გლობალიზაციის ინდექსით (Index of Globalization)[8]. ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს კომპანია A.T.Kearney ჟურნალ Foreign Policy-სთან ერთად. გლობალიზაციის ინდექსი გაიანგარიშება 12 პოზიციის მიხედვით, რომელიც შემდეგ 4 კატეგორიაშია დაჯგუფებული:

1. ეკონომიკური ინტეგრაცია;
2. პირადი კონტაქტების ინტენსიურობა ადამიანთა შორის;
3. პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა;
4. კავშირგაბმულობის ტექნიკური სისტემების განვითარება.

2007 წელს გლობალიზაციის ინდექსი გაანგარიშებულია 72 ქვეყნის მიხედვით, რომელთა წილად მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 97% და პლანეტის მოსახლეობის 88%. 2007 წლის ყველაზე გლობალიზებული ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ჰონკონგი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ირლანდია, დანია, აშშ, კანადა, იორდანია, ესტონეთი. საქართველო ამ რეიტინგში ჯერ არაა წარმოდგენილი[9].

A.T. Kearney-სა და Foreign Policy-ს გარდა, გლობალიზაციის ინდექსს (KOF Index of Globalization) 1970 წლიდან განსაზღვრავს შვეიცარიის (ციურიხი) ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი. ამ ინდექსს აქვს 3 განზომილება:

1. ეკონომიკური;
2. სოციალური;
3. პოლიტიკური.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში შედის ფაქტობრივი ეკონომიკური ნაკადებისა და ეკონომიკური შეზღუდვების სუბინდექსები, სოციალურში – სუბინდექსები ინფორმაციული ნაკადების, პირადი კონტაქტების, კულტურული სიახლოვის მო-

---

[7] *Федотова В. Г. Типология модернизаций и способы их изучения. Вопросы философии, 2000, №4.*

[8] *http://www.foreignpolicy.com/*

[9] *http://globalization.kof.ethz.ch/*

ნაცემების შესახებ, ხოლო პოლიტიკურს სუბინდექსები არ გააჩნია.

შვეიცარიის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტის რეიტინგში 2008 წლის ყველაზე გლობალიზებული ქვეყნების პირველი ათეული წარმოდგენილია შემდეგი სახით: ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრია, ირლანდია, შვედეთი, დანია, კანადა, ლუქსემბურგი, უნგრეთი[10]. აშშ-ს უკავია 38-ე ადგილი (74.93 ქულა). საქართველო ამ რეიტინგში 90-ე ადგილზეა (60.01 ქულა) და იმყოფება მაკედონიასა და ჩინეთს შორის. მეზობელი ქვეყნებიდან მასზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ: თურქეთს – 57-ე ადგილი (66.42 ქულა); სომხეთს – 81-ე ადგილი (60.19 ქულა); რუსეთს – 61-ე ადგილი (65.24 ქულა). უარესი კი აზერბაიჯანს, რომელიც 102-ე ადგილზე (57.37 ქულა) იმყოფება (ცხრილი 3).

ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგში ეკონომიკურად ყველაზე გლობალიზებული ქვეყნების პირველი ათეული წარმოდგენილია შემდეგი სახით: სინგაპური (96.67 ქულა), ლუქსემბურგი (93.43 ქულა), ირლანდია (92.63 ქულა), მალტა (92.63 ქულა), ბელგია (91.63 ქულა), ნიდერლანდები (91.30 ქულა), ესტონეთი (90.35 ქულა), უნგრეთი (90.22 ქულა), ბაჰრეინი (88.37 ქულა) და შვედეთი (88.11 ქულა). აშშ იმყოფება 59-ე ადგილზე (67.56 ქულა). აშშ-ზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს საქართველოს – 51 ადგილი (69.43 ქულა). სომხეთი 52 ადგილზეა (69.11 ქულა), თურქეთი – მე-60-ეზე (67.15 ქულა), აზერბაიჯანი – 76-ეზე (62.28 ქულა), რუსეთი – 91-ეზე (57.04 ქულა).

სოციალური გლობალიზაციის თვალსაზრისით ყველაზე გლობალიზებული ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: ლუქსემბურგი (93.87 ქულა), შვეიცარია (93.85 ქულა), ირლანდია (91.96 ქულა), ანტიგუა და ბარბუდა (91.90 ქულა), კვიპროსი (91.72 ქულა), პუერტო რიკო (90.66 ქულა), სინგაპური (90.65 ქულა), ავსტრია (90.62 ქულა), გრენადა (88.53 ქულა) და ბელგია (88.12 ქულა). აშშ-ს უკავია 56-ე ადგილი (70.90 ქულა). რუსეთი 70-ე ადგილზეა (61.89 ქულა), სომხეთი – 72-ეზე (61.56 ქულა), საქართველო – 83-ეზე (58.94 ქულა), აზერბაიჯანი – 94-ეზე (55.31 ქულა), თურქეთი –105-ეზე (50.70 ქულა).

[10] *http://www.foreignpolicy.com/*

KOF გლობალიზაციის ინდექსი, 2008

№	ქვეყანა	გლობალიზაციის ინდექსი
1	ბელგია	91.51
2	ირლანდია	91.02
3	ნიდერლანდები	91.02
4	შვეიცარია	89.92
5	ავსტრია	89.87
6	შვედეთი	89.14
7	დანია	88.68
8	კანადა	87.37
9	ჩეხეთი	86.28
10	ლუქსემბურგი	85.15
11	უნგრეთი	84.65
12	ახალი ზელანდია	84.55
13	ფინეთი	84.15
14	სინგაპური	84.07
15	პორტუგალია	83.94
16	საფრანგეთი	83.68
17	ესტონეთი	83.45
18	ესპანეთი	82.94
19	კვიპროსი	82.70
20	სლოვენია	82.40
19	ნორვეგია	82.27
20	გერმანია	81.75
38	აშშ	74.93
61	რუსეთი	65.24
70	იაპონია	63.54
81	სომხეთი	61.19
90	საქართველო	60.01
102	აზერბაიჯანი	57.37

წყარო: http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/rankings_2009.pdf

პოლიტიკურად ყველაზე გლობალიზებული ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: საფრანგეთი (98.03ქულა), იტალია (97.04 ქულა), ბელგია (97.01 ქულა), ავსტრია (96.85 ქულა), შვედეთი (96.65 ქულა), ესპანეთი (95.22 ქულა), შვეიცარია (95.11 ქულა), კანადა (94.90 ქულა), აშშ (94.05 ქულა) და პოლონეთი (93.88 ქულა). თურქეთს უკავია მე-19 ადგილი (91.72 ქულა), რუსეთს – 43-ე (84.60 ქულა), აზერბაიჯანს – 124-ე (58.82 ქულა),

სომხეთს – 136-ე (47.36 ქულა) და საქართველოს – 138-ე (46.08 ქულა). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს პოლიტიკური გლობალიზაციის თვალსაზრისით, რაც, უპირველესად, მისი პოლიტიკური არასტაბილურობით აიხსნება. ამის გამო, საქართველო განეკუთვნება მსოფლიოს „არაქმედითუნარიან" სახელმწიფოთა რიცხვს (ამ რეიტინგში იგი 33-ე ადგილზეა 91,9 ქულით)[11] და შედის ყველაზე არასახარბიელო ქვეყანათა რიცხვში, რომელსაც წითელი ფერი (90-დან 120 ქულამდე) აქვს განსაზღვრული (ამ ჯგუფში 38 სახელმწიფოა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მასში, საქართველოს გარდა, უზბეკეთი და ტაჯიკეთი შედიან).

როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, გლობალიზაციის ინდექსისა და სუბინდექსების მიხედვით განსაზღვრულ რეიტინგებში ქვეყნები საკმაოდ განსხვავებული შემადგენლობითაა წარმოდგენილი და პირველ ათეულში მოხვედრილ ქვეყნებსაც სხვადასხვა პოზიცია უკავიათ. მაგალითად, 2008 წლის მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებულ ქვეყანას – ბელგიას ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგში მეხუთე ადგილი უკავია, სოციალური გლობალიზაციის რეიტინგში – მეათე და პოლიტიკური გლობალიზაციის რეიტინგში – მესამე. მეორე ადგილზე მყოფ ირლანდიას ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის რეიტინგებში მესამე ადგილი უკავია, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის რეიტინგში კი იგი მხოლოდ 36-ე ადგილზეა (86.72 ქულა). მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებულ ქვეყნებს შორის მესამე ადგილზე გასული ნიდერლანდები ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგში მეექვსე ადგილზეა, სოციალური გლობალიზაციის რეიტინგში – 36-ეზე (86.37 ქულა) და პოლიტიკური გლობალიზაციის რეიტინგში – მეთერთმეტეზე (93.61 ქულა)[12].

---

[11] *http://gtmarket.ru/files/research/Failed-States-Index-2009.html*

[12] *http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/rankings_2009.pdf*

2007 წელს გლობალურმა მშპ-მა 65.61 ტრილიონი აშშ დოლარი[13] შეადგინა. მასში ყველაზე დიდი წილი აშშ-ს უკავია. მყიდველობითუნარიანობის საფუძველზე გაანგარიშებული გაცვლითი კურსებით, მისი წილი გლობალურ მშპ-ში 21.36 %-ს შეადგენს, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსებით 25.51 %-ია. გლობალურ მშპ-ში შეტანილი წვლილით მეორე ადგილზეა ჩინეთი, რომლის წილი მყიდველობითუნარიანობის საფუძველზე გაანგარიშებული გაცვლითი კურსებით 10.83 %-ია, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსებით – 5.99 %. მესამე ადგილზე მყოფი იაპონიის წილი შესაბამისად 6.61 და 8.08 %-ს შეადგენს (ცხრილი 4).

ცხრილი 4.

ქვეყნების წილი გლობალურ მშპ-ში, 2007 წ.

ქვეყანა	მყიდველობითუნარიანობის საფუძველზე გაანგარიშებული გაცვლითი კურსებით	საბაზრო გაცვლითი კურსებით
აშშ	21.36	25.51
ჩინეთი	10.83	5.99
იაპონია	6.61	8.08
ინდოეთი	4.58	2.02
გერმანია	4.34	6.12
გაერთ. სამეფო	3.30	5.11
რუსეთი	3.18	2.38
საფრანგეთი	3.17	4.72
ბრაზილია	2.81	2.42
იტალია	2.76	3.88

წყარო: http://www.worldbank.org/

[13] *http://www.economywatch.com/world_economy/world-economic-indicators/world-gdp.html*

გლობალიზაცია, უპირველესად, მსოფლიო მასშტაბით საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრების, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების საფუძველზე ცივილიზაციათა გაერთიანებას, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გულისხმობს. მართალია, იგი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს ეხება, ზრდის ამ სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მაგრამ იგი მისი ყველა მიმართულების უნიფიკაციას არ გულისხმობს.

თანამედროვე სამყარო არსებითად შეიცვალა, მაგრამ მას ჯერ არ გააჩნია ფუნქციონირების მყარი წესები, ხოლო გლობალური თანამეგობრობისა და საყოველთაო (პლანეტარული) კულტურული ფასეულობების ფორმირების პროცესი წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. მისი მიზეზი კი ისაა, რომ გლობალიზაციის საფუძველში ჩადებულია დასავლური ფასეულობები, რომლებიც სხვა კონფესიებისათვის (განსაკუთრებით კი ისლამური სამყაროსათვის) მიუღებელია. ვესტერნიზაციის ზემოქმედებით მსოფლიო მონოკულტურული საზოგადოების შექმნისაკენ მიისწრაფვის. ეს, თავის მხრივ, არა მარტო სახელწიფოთა, არამედ კონფესიათა სერიოზული კონფლიქტის საბაბი ხდება. აღნიშნულის გამო, გლობალიზაცია უნდა განვიხილოთ არა ერთპოლუსიანი სამყაროს იდეის სახით, არამედ მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით და, უპირველესად, მრავალპოლუსიანობის და მრავალკონფესიურობის თვალსაზრისით. ვინაიდან იგი მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის რელიგიას. ამიტომ აქტუალურია არა მარტო სახელმწიფოთაშორისი, არამედ რელიგიათაშორისი (კონფესიათაშორისი) თანამშრომლობა. საჭიროა, რომ შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ყველა არსებული ცივილიზაციის განვითარებისათვის.

გლობალიზაცია კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, რომელიც ქმნის შესაძლებლობათა ხარისხობრივად ახალ მასშტაბებსა და პორიზონტებს. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს ქვეყანათა განვითარებისა და მათი თანაარსებობის ისეთი გზა, რომელიც გლობალიზაციის უპირატესობების გამოყენებასა და მისი ნეგატიური შედეგების მინიმიზაციას უზრუნველყოფს.

XVIII-XIX სს. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებად იწოდებოდნენ. XX საუკუნის შუა ხანებში კი დ. ბელმა შემოიტანა ტერმინი „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“. ამ ტერმინის დამკვიდრებით დაფიქსირდა საზოგადოების გადასვლა პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომლის ფუძემდებლური არგუმენტია ეკონომიკაში მრეწველობის წამყვანი როლის დაკარგვა (ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე მრეწველობის დარგებში დასაქმებული იყო მუშაკთა დიდი რაოდენობა და იწარმოებოდა ქვეყნის მშპ-ის უდიდესი ნაწილი) და მომსახურების სფეროს სწრაფი ზრდა (სტატისტიკის თანახმად, ამჟამად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მომსახურების სფეროში დასაქმებულია მთლიანი სამუშაო ძალის 1/2-დან 3/4-მდე და მასზე მოდის მშპ-ის დაახლოებით ნახევარი). აღნიშნულთან ერთად, გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციაში არსებით როლს თამაშობს ინფორმაციები და ინფორმაციული ტექნოლოგიები.

თანამედროვე ეტაპის მიმდინარე პროცესების თეორიული აღქმას წინ უსწრებდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის შემუშავება, რომელიც პირველად წარმოდგენილი იყო 1973 წელს გამოსულ დ. ბელის წიგნში „მომავალი პოსტინდუსტრიული საზოგადოება“[14]. ამ წიგნში დ. ბელი პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითად ნიშნებად გამოყოფს:

1. მომსახურების ეკონომიკის შექმნა;
2. სამეცნიერო-ტექნიკური სპეციალისტების ფენის დომინირება;
3. მეცნიერული ცოდნის, როგორც ახალშემოსაღებების წყაროსა და საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამოყოფა;
4. თვითუზრუნველყოფადი ტექნოლოგიური ზრდის შესაძლებლობა;
5. ახალი ინტელექტუალური ტექნიკის შექმნა.

დ. ბელის აზრით, ყველა ეს ცვლილება განპირობებული იყო ტექნიკური პირობებით და მის მიერ განხილულია, როგორც ფართომასშტაბიანი ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობათა გაფართოება ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. ეინა-

[14] *Д. Белл. Грядущее постиндустриальное общество. М., 1999.*

იდან საზოგადოების წინაშე სულ უფრო ხშირად დგება სტრატეგიული ხასიათის პრობლემები, ამიტომ განსაკუთრებული როლი მათ გადაწყვეტაში „ინტელექტუალურ ტექნოლოგიებს" გააჩნიათ, რომლებიც იძლევიან მრავალრიცხოვანი მონაცემების საფუძველზე გარკვეული კანონზომიერებების გამოვლენის, მრავალი ალტერნატიული ვარიანტიდან ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ეკონომიკური პროგრესის დეტერმინანტის როლში თეორიულმა ცოდნამ უნდა შეცვალოს წინა ეპოქებისათვის დამახასიათებელი ექსპერიმენტული და ყოველდღიური ცოდნა.

დ. ბელი თეორიულ ცოდნას განსაზღვრავს, როგორც ფაქტებისა და იდეების შესახებ სისტემატიზებული მტკიცებულებების ნაკრებს, რომლებიც გააზრებული მსჯელობის ან ექსპერიმენტის ის შედეგია, რომელიც სხვებს კომუნიკაციის საშუალებებითა და მკაცრად სისტემატიზებული ფორმით გადაეცემა. ამ ღერძის ირგვლივ განთავსდება ახალი ტექნოლოგია, ეკონომიკური ზრდა და საზოგადოების სტრატიფიკაცია.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია განვითარდა ზ. ბზეჟინსკის, ჯ. გელბრეითის, ო. ტოფლერისა და სხვათა ნაშრომებში[15]. XX საუკუნის დასასრულს პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და ინფორმაციული საზოგადოების ცნებები სინონიმებად განიხილება. გარდა ამისა, გაჩნდა ცნება „ახალი ეკონომიკა", რომელიც თანამედროვე საზოგადოების განვითარების ძირითად ტენდენციადაა აღიარებული. იგი ემყარება ინტელექტუალურ რესურსებს, მეცნიერებატევად და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, წარმოების ყველა ფაქტორის ეფექტიან გამოყენებას.

ამჟამად ახალ ეკონომიკაში (ნეოეკონომიკაში) იგულისხმება ეკონომიკის ის სფეროები, სეგმენტები, რომლებშიც საქონლისა და მომსახურების წარმოება და რეალიზაცია ხორციელდება ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, ან ეს ტექნოლოგიები სერიოზულ გავლენას ახდენენ რო-

---

[15]Toffler A. The Third Wave. London: Pan Books. 1980; Naisbitt J. Megatrends:Ten New Directions transforming our lives. N.Y.: Warner Communication, 1982; Miles I. Information Technology and Information Society: Options for the future. London: ESRC, 1988; Connors M. The Race to the Intelligent State: Towards the Global Information Economy of 2005. Oxford, UK; Cambridge Mass.: Blackwell Business, 1993; Martin W.J. The Global Informational Society. Aldershot: Aslib Gower, Brookfield, Vt, USA: Gower, 1995.

მელიმე დარგის, ან ამა თუ იმ სახის საქმიანობის განვითარებაზე. ამასთან, განიხილება ეკონომიკის განსაზღვრული ტიპი, რომელშიც ზრდის მთავარი წყაროა ცოდნის წარმოება, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრესი, სამეცნიერო კვლევების სფეროს განვითარება, ადამიანური კაპიტალის დაგროვება. ახალ ეკონომიკაზე გადასვლა განაპირობა XX საუკუნის შუა ხანებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელმაც არსებითად შეცვალა წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია მახსოვრობის უზარმაზარი მოცულობის კომპიუტერების შექმნა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის არხების გაჩენა, გრაფიკული ინტერფეისიანი და საექსპლოატაციოდ საკმაოდ მარტივი მრავალფუნქციური პროგრამული უზრუნველყოფა, ლოკალური კომპიუტერული ქსელები და ბოლოს, გლობალური კომპიუტერული ქსელის – ინტერნეტის გაჩენა. ამან განაპირობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების დროის მინიმუმამდე დაყვანა, ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაცია და ადამიანური ფაქტორის როლის გაძლიერება.

ახალმა ეკონომიკამ შეიძინა საკუთარი მახასიათებელი ნიშნები არა მარტო საყოველთაო კომპიუტერიზაციის შედეგად, არამედ, აგრეთვე, კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ტელეკომუნიკაციური ქსელების ფართო გამოყენებით. ინტერნეტი ერთდროულად არის ახალი ეკონომიკის ფორმირების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი და ამავე დროს – მისი რეალური შედეგი. მსოფლიო ტელეკომუნიკაციური ქსელი სერიოზული ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებების პროდუქტია, მაგრამ ინტერნეტი და მასთან დაკავშირებული ქსელური ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად პროდუქტი კი არა, ახალი ეკონომიკის გარემო ხდება, რომელშიც იცვლება წარმოდგენა ფირმის ეფექტიანი ზომის, წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის რეალიზაციის საფუძვლების შესახებ, როგორც მიკრო-, ისე მაკრო- და საერთაშორისო დონეებზე. რეალურ ეკონომიკაში ჩნდება სრულყოფილი ბაზრის ნიშნები. ერთდროულად ფართოვდება, გლობალიზებული ხდება ქსელური ეფექტის მოქმედების საფუძველზე ფორმირებადი ბუნებრივი მონოპოლიების პლაცდარმი. ინფორმაციული ტექნოლოგიების საყოველთაო გამოყენების შედეგად იცვლება ბიზნესის წარმოების ბევრი პი-

რობა, რაც ქვეყნებს ახალ ბაზაზე განვითარებისა და მისი დაჩქარების შესაძლებლობას აძლევს.

ახალ ეკონომიკაში ინფორმაცია გახდა სისტემის წარმომქმნელი ფაქტორი, რომელიც ავსებს წარმოების კლასიკურ ფაქტორებს (მიწა, შრომა, კაპიტალი). კონკურენციის არსებითი ფაქტორი ხდება აგრეთვე დრო, ვინაიდან კონკურენტული უპირატესობები ინფორმაციის მიღების სისწრაფეზეა დამოკიდებული.

ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების დიდი მნიშვნელობის გამო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ელექტრონული ქსელების გამოყენებისათვის ერების მზადყოფნის რეიტინგს განსაზღვრავს. 2008-2009 წლის რეიტინგში (ცხრილი 5). ამ თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო ათეული წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნებით: დანია (5.85 ქულა), შვედეთი (5.84 ქულა), აშშ (5.68 ქულა), სინგაპური (5.67 ქულა), შვეიცარია (5.58 ქულა), ფინეთი (5.53), ისლანდია (5.50), ნორვეგია (5.49 ქულა), ნიდერლანდები (5.48 ქულა), კანადა (5.41 ქულა). საქართველო ამ რეიტინგში 88-ე ადგილზეა (3.48 ქულა). მას უსწრებს აზერბაიჯანი (3.93 ქულა) და ჩამორჩება სომხეთი – 114-ე ადგილი (3.06 ქულა). რეიტინგში სულ 134 ქვეყანაა წარმოდგენილი.

ახალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სივრცის შეკუმშვა კონკურენტების რიცხვის ერთდროული ზრდის პირობებში; აგრეთვე, ბაზრების ხარისხობრივი ტრანსფორმაცია. ახალ ეკონომიკაში ბაზრის ცნებამ სხვა დატვირთვა შეიძინა, რადგან მყიდველს დამოუკიდებლად ან შუამავლებით შეუძლია დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება მისთვის საინტერესო საქონლისა და მომსახურების შესახებ. თავის მხრივ, პოტენციური კლიენტის ინდივიდუალური თვისებების მახასიათებელი ინფორმაცია ხდება დამოუკიდებელი და, ამასთან, არც თუ ისე იაფი საქონელი. ამიტომ კომპანიებში კლიენტთა მონაცემების ბაზები ერთ-ერთი ყველაზე კონფიდენციალური ინფორმაციაა, ხოლო კლიენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა ხდება წარმატებული საქმიანობის საწინდარი და კომპანიის მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა.

ინფორმაციული პროდუქტებისათვის მას'შტაბის ეფექტი ვლინდება არა მარტო ტრადიციულ ასპექტში, არამედ არატრადიციულადაც – მოთხოვნის მხრიდან. წარმოიშობა ე. წ. „ქსელების გარე ეფექტები“ ანუ სარგებლიანობა იზრდება მომხმარებელთა რიცხვის ზრდის შესაბამისად.

ელექტრონული ქსელების გამოყენებისათვის ერების მზადყოფნის რეიტინგი

ქვეყანა	2008-2009 წლების რეიტინგი		2008-2009 წლების რეიტინგი 2007 წლის ქვეყნების შესაბამისად	2007-2008 წლების რეიტინგი	
	რანგი	ქულა	რანგი	რანგი	ქულა
დანია	1	5.85	1	1	5.78
შვედეთი	2	5.84	2	2	5.72
აშშ	3	5.68	3	4	5.49
სინგაპური	4	5.67	4	5	5.49
შვეიცარია	5	5.58	5	3	5.53
ფინეთი	6	5.53	6	6	5.47
ისლანდია	7	5.50	7	8	5.44
ნორვეგია	8	5.49	8	10	5.38
ნიდერლანდები	9	5.48	9	7	5.44
კანადა	10	5.41	10	13	5.41
იაპონია	19	5.19	17	19	5.14
ჩინეთი	46	4.15	46	57	3.90
აზერბაიჯანი	60	3.93	60	67	3.72
რუსეთი	74	3.77	72	72	3.68
საქართველო	88	3.48	85	91	3.34
სომხეთი	114	3.06	108	106	3.10

წყარო: http://www.insead.edu/v1/gitr/wef/main/fullreport/index.html

მაგალითად, საოპერაციო სისტემის „Microsoft Windows“ სამომხმარებლო სარგებლიანობა იზრდება მომხმარებელთა რიცხვის ზრდის შესაბამისად. წარმოიშობა კონკურენციის ახალი სახე – ქსელების კონკურენცია. ინფორმაციულ საზოგადოებაში ყალიბდება ახალი ტიპის საწარმო, ხოლო კომპანიის ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპი იცვლება ეკონომიკური საქმიანობის ახალი ფორმებითა და მოდელებით. წამყვანი ხდება ქსელური გამანაწილებელი სისტემა. ასეთ სტრუქტურაში გამოიყოფა ისეთი კომპანიები, რომლებიც სპეციალიზდებიან ერთი საქმიანი ოპერაციის შესრულებაზე. ე. ი. ყალიბდება ბირთვი-ორგანიზაცია. მის ირგვლივ ყალიბდება „თანამეგობრობა“ სპეცია-

ლიზებული ორგანიზაციების ქსელის სახით, რომლებიც საქონლის ან მომსახურების შექმნისა და კონკრეტულ მომხმარებლამდე მისი მიწოდების პროცესის ირგელივ ერთიანდებიან. ამგვარად, ყოველი საქონელი, ფაქტობრივად, მიწოდების ერთ ინტეგრირებულ ჯაჭვში აერთიანებს ყველა იმ საწარმოს, რომლებიც ჩართულნი არიან მის შექმნაში, წარმოებაში, მომხმარებლამდე მიწოდებასა და სერვისში. ფართო გავრცელებას პოულობს აუტსორსინგი, როდესაც არაძირითადი საქმიანობის სახეები სხვა კომპანიებს გადაეცემა. ამ პროცესის ეკონომიკური საფუძველი ხდება ხარჯების შემცირების სურვილი და ორგანიზაციაში მაპროფილებელი მონაცემების, ინფორმაციისა და ცოდნის კონცენტრაცია. არაპროფილური მუშაკების გამორიცხვით მცირდება ხელფასის, გადასახადების, სამუშაო ადგილების შენახვის და ადმინისტრაციული ხარჯები. აუტსორსინგი აძლიერებს ბაზრის ყველა მონაწილის სპეციალიზაციას და იძლევა პროფესიონალიზმის ამაღლების შესაძლებლობას.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და გლობალიზაცია ურთიერთდაკავშირებულია. ახალი ტექნოლოგიები, ამცირებენ რა კომპიუტერულ და საკომუნიკაციო ხარჯებს, აქტიურად ერცელდებიან და ხელს უწყობენ სამრეწველო წარმოების, მომსახურების სფეროს, საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის გლობალიზაციას. თავის მხრივ, გლობალიზაცია აფართოებს კონკურენტული გარემოს ჩარჩოებს, ასტიმულირებს სიახლეებს, ხელს უწყობს ინოვაციების გავრცელებას (უპირველესად, თვით ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში).

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ახლად დაწყებულია, მაგრამ მისი შედეგები უკვე საკმაოდაა აღქმული. მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის ზრდის მაღალი ტემპები, მოსახლეობის ცხოვრების მზარდი სტანდარტი და ა.შ. აღნიშნულის გამო, მსოფლიო ეკონომიკამ, განსაკუთრებით კი აშშ-ის ეკონომიკამ, უკანასკნელ წლებში არსებითი ცელილებები განიცადა. შეიქმნა ხელსაყრელი საბაზრო პირობები ინოვაციური განვითარების ხელშესაწყობად.

სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია

ტერმინი „ტრანსნაციონალიზაცია“ ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში. იგი აღნიშნავს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე იმ ცვლილებებს, რომლებიც გამოიხატება ტრანსნაციონალური კორპორაციებისა (ტნკ) და ტრანსნაციონალური ბანკების (ტნბ) რიცხვის ზრდაში, წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლებაში, ტნკ-ების საქმიანობის მასშტაბების გაფართოებაში და, საბოლოოდ, გლობალური კორპორაციების ჩამოყალიბებაში. ტრანსნაციონალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო სამრეწველო და საფინანსო ფირმების შექმნას უცხოეთში წარმოების ორგანიზაციის ან ფილიალების გახსნის გზით ისეთი ერთიანი საკუთრების ბაზაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ საქმიანობაზე კონტროლის შესაძლებლობას. ე. ი. ტრანსნაციონალიზაციის პროცესი განიხილება სამრეწველო ფირმების, ბანკების, მომსახურების სფეროს კომპანიების საერთაშორისო საქმიანობის გაფართოების, ეროვნულ საზღვრებს გარეთ გასვლის პროცესად, რომლის შედეგად ეროვნული კომპანიები ტრანსნაციონალურ კომპანიებად გარდაიქმნებიან. ამ პროცესისათვის დამახასიათებელია კაპიტალის ურთიერთგადახლართვა სხვა ქვეყნების ფირმათა შთანთქმისა და შეერთების, ერთობლივი კომპანიების შექმნის, უცხოური ბანკების ფინანსური სახსრების მოზიდვის, სხვადასხვა უცხოურ და ადგილობრივ კომპანიათა შორის ხანგრძლივი, მჭიდრო კავშირების დამყარებით.

ტრანსნაციონალიზაციის პროცესებს დასაბამი მიეცა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალი- ზაციის პირობებში, როდესაც გაჩნდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლის აუცილებლობა. ამან განაპირობა საერთაშორისო კორპორაციების – მსხვილი საფინანსო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, სავაჭრო-სერვისული გაერთიანებების ჩამოყალიბება.

პრაქტიკაში განასხვავებენ 3 ძირითადი ტიპის საერთაშორისო კორპორაციას:

• ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ). ამ ტიპს მიეკუთვნებიან კომპანიები, რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის კაპიტალითა და მმართველობითი კონტროლით, საქმიანობის ინტერნაციონალური სფეროთი. ტნკ-ის მეთაური კომპანია განლაგებულია ბაზირების ქვეყანაში, ხოლო შვილობილი კომპანი-

ები და ფილიალები – მთელ მსოფლიოში. ამის ტიპური წარმომადგენლები არიან „ფორდი“, „ექსონი“, „ნესტლე“ და ა. შ.

• მულტინაციონალური (მრავალეროვნული) კორპორაციები (მნკ). ეს კორპორაციები ინტერნაციონალურია კაპიტალით, კონტროლითა და საქმიანობის სფეროთი. მნკ აერთიანებს ორი და მეტი ქვეყნის ეროვნულ კომპანიებს. ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენლები არიან „ფიატი-სიტროენი“, „იუნილეევერი“, „როიალ დატჩ-შელი“ და ა. შ.

• საერთაშორისო კორპორაციული კავშირები. ესაა სამრეწველო, საბანკო და სხვა კონცერნების გაერთიანებები, რომლებიც იქმნება მსხვილი ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ასეთი კავშირები ძირითადად დამახასიათებელია ელექტრონული, ელექტროტექნიკური, ქიმიური, ნავთობის, ავტომობილ- და ავიამშენებელი, ინფორმატიკის სფეროებისათვის. მისი მაგალითია დასავლეთ-ევროპული კონცერნი „ეირბას ინდასტრი“.

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „გლობალური კორპორაცია“. მასში იგულისხმება ისეთი კორპორაცია, რომელიც თავის საქმიანობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს. მაგრამ რეალურად არ არსებობს ისეთი კორპორაცია, რომელიც ყველა ქვეყანაში მოქმედებს. საერთაშორისო კორპორაციების ყველა ზემოთ დასახელებული ტიპი მეტ-ნაკლები ზომით გლობალურია. მაგალითად, „კოკა-კოლას“ თავისი ფილიალები 190-ზე მეტ ქვეყანაში აქვს, „ექსონს“ – 100-ზე მეტში და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ტერმინს „transnational“ სხვადასხვა თარგმანი გააჩნია და ამიტომ ხშირად ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთაშორისო კორპორაციის ყველა ტიპი ტრანსნაციონალურ კორპორაციად მოიხსენება. ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“ განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება გაეროს ჩარჩოში. გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალური კორპორაციების კოდექსის თანახმად, ტნკ-ის მახასიათებელი ნიშნებია:

- წლიური ბრუნვა (გაყიდვების მოცულობა) 1 მლრდ დოლარზე მეტი;
- ფილიალები არანაკლებ 6 ქვეყანაში;
- უცხოური აქტივების წილი ყველა აქტივის მთლიან ღირებულებაში – არანაკლებ 25-30%;

▪ საგარეო ოპერაციების მოცულობა საქონელბრუნვის მთლიან მოცულობაში ანუ რეალიზაცია რეზიდენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ – არანაკლებ 1/5 –1/3.

ტნკ-ები იქმნებიან მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედებით. მათ შორის აღსანიშნავია:

✓წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია საწარმოო ძალების განვითარების შედეგად;

✓კაპიტალის ექსპანსია უცხოეთში და საკუთარი ფილიალების შექმნა;

✓ზემოგების მიღების სურვილი;

✓მკაცრი კონკურენცია, რომელიც იწვევს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციას მრავალეროვნული მასშტაბით;

✓გეოეკონომიკური საზღვრების მნიშვნელობის შემცირება.

XIX საუკუნეში ჩასახულმა ტნკ-ებმა თავისი არსებობის პერიოდში სერიოზული ევოლუცია განიცადეს.

პირველი თაობის ტნკ-ები მოქმედებდნენ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ისინი კოლონიურ-სანედლეულო ხასიათის იყვნენ და კარტელების, სინდიკატების, პირველი ტრესტების ფორმას ატარებდნენ. მათი მთავარი მიზანი იყო ნედლეულის იაფი წყაროების ხელში ჩაგდება.

მეორე თაობის ტნკ-ები I და II მსოფლიო ომებს შორის მოქმედებდნენ და სამხედრო-ტექნიკურ ხასიათს ატარებდნენ. ისინი შეიარაღების, საბრძოლო მასალების, ამუნიციების წარმოებას ახორციელებდნენ.

მესამე თაობის ტნკ-ები გაჩნდნენ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში. ისინი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და მოთხოვნის ზრდის შედეგია. მათი მიზნებია გასაღების ბაზრების, ნედლეულის წყაროების და კაპიტალის გამოყენების სფეროების დაპყრობა. მათი ჩამოყალიბება ხდებოდა საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრებისა და დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის დაწყების, ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლებისა და ქვეყანათაშორისი კოოპერაციის განვითარების პირობებში. მესამე თაობის კორპორაციების საქმიანობა მასობრივ სამომხმარებლო ბაზარზეა გამიზნული და ისინი ტექნიკურ-სამომხმარებლო ხასიათისაა.

მეოთხე თაობის კორპორაციებმა XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყეს ჩამოყალიბება და მათმა საქმიანობამ გლობალური ხასიათი მიიღო. მათი მახასიათებელი ნიშნებია:

• ბაზრებისა და კონკურენციის პლანეტარული ხედვა;

• მსოფლიო ბაზრის დაყოფა რამდენიმე ტნკ-ის მიერ და, შესაბამისად, მისი ოლიგოპოლიური სტრუქტურის ჩამოყალიბება;

• საერთაშორისო ოპერაციების მართვა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე, მოქნილი და ადაპტირებული ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ბუღალტრული აღრიცხვისა (ეკაუტინგის) და აუდიტის ერთიანი წესების გამოყენება;

• ტნკ-ების ინტეგრირება მართვის გლობალურ ქსელში;

• ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენა ტნკ-ების ქსელის ადგილსამყოფელ სახელმწიფოებზე.

გლობალური კოპორაციების სტრატეგიისათვის დამახასიათებელია ინოვაციური აგრესიულობა და დინამიკურობა, დარგობრივი საზღვრების წაშლა, შიდაკორპორაციული სტრუქტურების მუდმივი სრულყოფა, ბაზრის არა ცალკეული სეგმენტების, არამედ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მსოფლიო საკვანძო პოზიციების დაპყრობა, შერწყმებისა და შთანთქმების პროცესების გაძლიერება, სტრატეგიული ალიანსების განვითარება.

ამჟამად ვითარდებიან მეხუთე თაობის ტნკ-ები, რომლებიც არა მარტო მსოფლიო მეურნეობის დამოუკიდებელი სუბიექტები არიან, არამედ, აგრეთვე, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. მათთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ეკონომიკური სიძლიერე და ტექნოლოგიური აგრესიულობა, ბიზნეს-სისტემების ვირტუალიზაცია.

თანამედროვე ტნკ-ების მახასიათებელი თვისებურებებია:

- ✓ ქვეყანათაშორისი უპირატესობების გამოყენება;
- ✓ კაპიტალის მოძრაობა კორპორაციის ბაზირების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან დამოუკიდებლად;
- ✓ მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში შეღწევა, რომლებიც დიდ ინვესტიციებსა და მაღალკვალიფიციურ პერსონალს საჭიროებენ;
- ✓ მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა;
- ✓ გლობალური საწარმოო-სავაჭრო პოლიტიკა;
- ✓ საქმიანობის დივერსიფიკაცია;
- ✓ ბაზრების მონოპოლიზაცია;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმვა;
- ✓ ფირმისშიდა ვაჭრობის გაძლიერება.

მსოფლიოში მრავალი ტნკ არსებობს, მაგრამ ექსპერტები ჩვეულებრივ, 1 მლრდ დოლარზე მეტი საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ კორპორაციებს იკვლევენ. ასეთი მილიარდერი კორპორაციები აწესებენ კონტროლსა და ზღუდავენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე. ტნკ-ების ინტერესები კოსმოპოლიტურია, ამიტომ ისინი ახორციელებენ საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის პოლიტიკას და ცდილობენ ყოველგვარი შეზღუდვების გაუქმებას იმისდა მიუხედავად, ავნებს ეს ეროვნულ ეკონომიკას თუ არა.

ავტორიტეტული გაზეთის „Financial Times" (იგი ყოველ-წლიურად აქვეყნებს მსოფლიოს უმსხვილესი 500 კორპორაციის რეიტინგს) 2008 წლის IV კვარტლის რეიტინგში პირველ ადგილზეა Exxon Mobil, რომლის საბაზრო კაპიტალიზაცია 406,067 მლნ აშშ დოლარია. მეორე ადგილზეა ჩინეთის ნავთობისა და გაზის კომპანია Petrochina საბაზრო კაპიტალიზაციით 259,836 მლნ აშშ დოლარი. მესამე ადგილი უკავია აშშ-ს საცალო ვაჭრობის ლიდერს Wal-Mart-ს. მისი საბაზრო კაპიტალიზაციაა 219,898 მლნ დოლარი (ცხრილი 6).

„Financial Times"-ის გარდა, ტნკ-ების რეიტინგებს ადგენენ „Fortune" და „Forbes". "Fortune"-ის 2008 წლის რეიტინგში (ცხრილი 7) შემოსავლების მოცულობით პირველი სამი ადგილი ამერიკულ კომპანიებს უკავიათ. პირველ ადგილზეა Exxon Mobil Corp., რომლის შემოსავალმა 390.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაციამ – 452,505 მლრდ აშშ დოლარი. მეორე ადგილზეა Wal-Mart Stores, Inc. 374.5 მლრდ აშშ დოლარი შემოსავლების მოცულობით, მესამეზე - Royal Dutch Shell 355.8 მლრდ აშშ დოლარით.

Forbes-ის რეიტინგში გაყიდვების მოცულობით ლიდერობს ბრიტანული HSBC Holdings – 146.5 მლრდ აშშ დოლარი. მეორე ადგილზეა General Electric – 172.7 მლრდ აშშ დოლარი და მესამეზე – ამერიკული ბანკი Bank of America – 119.2 მლრდ აშშ დოლარი (ცხრილი 8).

ტნკ-ების საქმიანობის მასშტაბების ზრდას ხელს უწყობს შერწყმები და შთანთქმები. 2007 წელს ასეთი გარიგებების მოცულობამ 1 637 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 21 %-ით აღემატება წინა რეკორდულ (2000 წ.) მაჩვენებელს[16].

[16] *World Economic Outlook, 2008, p. 4.*

2007 წელს დაახლოებით 79 ათასი ტნკ-ისა და 790 ათასი უცხოური ფილიალის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობას ზრდის ტენდენცია ახასიათებს. UNCTAD-ის შეფასებით, ტნკ-ების მთლიანმა გაყიდვებმა 31 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 21 %-ით აღემატება 2006 წლის მაჩვენებელს. უცხოური ფილიალების დამატებულმა ღირებულებამ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მსოფლიო მშპ-ის 11% შეადგინა. ამასთან, მუშაკთა რაოდენობა დაახლოებით 82 მლნ-ით გაიზარდა.[17]

2007 წელს, მის მეორე ნახევარში დაწყებული ფინანსური და საკრედიტო კრიზისების მიუხედავად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოცულობა არსებითად გაიზარდა და მსოფლიოში მოზიდულმა მათმა მოცულობამ 1833,3 მლრდ დოლარი შეადგინა. ეს 3-ჯერ აღემატება 2002 წლის მაჩვენებელსა და 120%-ით – 2000 წლის რეკორდულ მაჩვენებელს (1,5 ტრლნ დოლარი). პუი-ს ზრდა დაფიქსირდა ყველა ძირითად დაჯგუფებაში – განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (ცხრილი 9). 2007 წელს განვითარებულ ქვეყნებში მოზიდულია 1247,6 მლრდ დოლარის პუი, განვითარებად ქვეყნებში – 499,7 მლრდ დოლარის და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში – 85,9 მლრდ დოლარის. ამ ქვეყანათა ჯგუფებზე შესაბამისად მოდიოდა მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 68,1; 27,3 და 4,7 %. აღსანიშნავია, რომ 2002-2007 წწ. მსოფლიო პუი-ში განვითარებულ ქვეყნებს ყველაზე მაღალი წილი ეკავათ 2002 წელს (70,8 %) და ყველაზე დაბალი – 2004 წელს (56,2 %), განვითარებულ ქვეყნებს – შესაბამისად 2007 (39,5 %) და 2004 (27,3 %) წლებში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში – შესაბამისად 2007 (4,7 %) და 2002 (1,8 %) წლებში.

2007 წელს მოფლიოში გადინებული ინვესტიციების მოცულობამ 1996,5 მლრდ დოლარი შეადგინა (ცხრილი 10). აქედან განვითარებული ქვეყნების წილად მოდიოდა 84,8 % (1692,1 მლრდ დოლარი), განვითარებად ქვეყნებზე – 12,7 % (253,1 მლრდ დოლარი) და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე – 2,6 % (51,2 მლრდ დოლარი).

როგორც ცნობილია, თანამედროვე ტნკ-ების საქმიანობა დივერსიფიცირებულია. მათი მეთაური კომპანია ახორციელებს

---

[17] *World Economic Outlook, 2008, p. 8.*

ცხრილი 6.

მსოფლიოს 10 უმსხვილესი ტნკ საბაზრო კაპიტალიზაციით, 2008 წლის IV კვარტალი (Financial Times-ის მიხედვით)

რანგი	კომპანიის დასახელება	შტაბ-ბინა	საქმიანობის ძირითადი სფერო	საბაზრო კაპიტა-ლი-ზაცია, მლრდ USD
1	Exxon Mobil	აშშ	ნავთობი და გაზი	406,067
2	Petrochina	ჩინეთი	ნავთობი და გაზი	259,836
3	Wal-Mart	აშშ	საცალო ვაჭრობა	219,898
4	China Mobile	ჰონკონ-გი	ტელეკომუნიკაციები	201,291
5	Procter & Gamble	აშშ	სამომხმარებლო საქონელი	184,576
6	Industrial and Commercial Bank of China	ჩინეთი	ბანკინგი	173,930
7	Microsoft	აშშ	კომპიუტერული ტექნოლოგი-ები	172,929
8	AT&T	აშშ	ტელეკომუნიკაციები	167,950
9	Johnson & Johnson	აშშ	ჯანდაცვა	166,002
10	General Elect.	აშშ	კონგლომერატი	161,278

წყარო: Financial Times.

ცხრილი 7.

მსოფლიოს 10 უმსხვილესი ტნკ შემოსავლების მოცულობით, 2008 წ. (Fortune Global 500-ის მიხედვით)

№	კომპანიის დასახელება	სფერო და ქვეყანა	შემოსავალი, მლრდ USD	საბაზრო კაპიტალიზაცია, მლრდ USD	დასაქმებულთა რაოდენობა, მლრდ USD
1	Exxon Mobil Corp.	ნავთობი და გაზი, აშშ	390.3	452.505	80,800
2	Wal-Mart Stores, Inc.	საცალო ვაჭრობა, აშშ	374.5	210,973	2,100.000
3	Royal Dutch Shell	ნავთობი და გაზი, აშშ	355.8	220,110	112,000
4	British Petrolcum	ნავთობი და გაზი, დიდი ბრიტანეთი	292	191,844	97,600
5	Toyota Motor Corp.	ავტომრეწველობა, იაპონია	264.8	172,166	316,121
6	HSBC Holdings plc	ფინანსური მოსახურება, დიდი ბრიტანეთი	247.50	195,768	312,000
7	Total S.A.	ნავთობი და გაზი, საფრანგეთი	217.6	178,554	111,401
8	Chevron Corp.	ნავთობი და გაზი, აშშ	214.1	177,265	61,533
9	Saudi Aramco	ნავთობი და გაზი, საუდის არაბეთი	199.8	–	51,356
10	ING Group N.V.	ფინანსური მოსახურება, ნიდერლანდები	197.9	84,358	115,000

წყარო: Fortune.

ცხრილი 8.

მსოფლიოს 10 უმსხვილესი ტნკ გაყიდვების მოცულობით, 2008 წ.
(Forbes-ის მიხედვით)

რანგი	კომპანიის დასახელება	სფერო და ქვეყანა	გაყიდვები, მლრდ USD	მოგება მლრდ USD	აქტივები მლრდ USD	საბაზრო კაპიტალიზაცია, მლრდ USD
1	HSBC Holdings	ბანკინგი, დიდი ბრიტანეთი	146.5	19.13	2,348.98	180.81
2	General Electric	კონგლომერატი, აშშ	172.7	22.2	795.3	330.9
3	Bank of America	ბანკინგი, აშშ	119.2	15.0	1,715.8	176.5
4	JPMorgan Chase	ბანკინგი, აშშ	116.4	15.4	1,562.2	136.9
5	ExxonMobil	ნავთობი და გაზი, აშშ	358.6	40.6	242.1	465.5
6	Royal Dutch Shell	ნავთობი და გაზი, ნიდერლანდები	355.8	31.3	266.2	221.1
7	BP	ნავთობი და გაზი, დიდი ბრიტან.	281.0	20.6	236.1	204.9
8	Toyota	ავტომრეწველობა, იაპონია	203.8	14.0	276.4	175.1
9	ING Group	დაზღვევა, ნიდერლანდები	197.9	12.7	1,932.2	75.8
10	Berkshire Hathaway	ფინანსური კომპანია, აშშ	118.3	13.2	273.2	216.7

წყარო: Forbes.

ცხრილი 9.

მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების მიხედვით, 1995-2007 წწ.(მლრდ დოლარი)[18]

რეგიონი/ქვეყანა	1995-2000წწ. საშუალო წლიური მაჩვენებელი	2002	2003	2004	2005	2006	2007
განვითარებული ქვეყნები	539,3	442,9	361,1	403,7	611,3	940,9	1247,6
ევროპა	327,9	316,6	279,8	218,7	505,5	599,3	848,5
ევროკავშირი	314,6	309,4	259,4	214,3	498,4	562,4	804,3
იაპონია	4,6	9,2	6,3	7,8	2,8	-6,5	22,5
აშშ	169,7	74,5	53,1	135,8	104,8	236,7	232,8
სხვა განვითარებული ქვეყნები	37,1	42,6	21,8	41,3	-1,7	111,3	143,7
განვითარებადი ქვეყნები	188,3	171,0	180,1	283,6	316,4	413,0	499,7
აფრიკა	9,0	14,6	18,7	18,0	29,5	45,8	53,0
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	72,9	57,8	45,9	94,4	76,4	92,9	126,3
აზია და წყნარი ოკეანეთი	106,4	98,6	115,5	171,2	210,6	274,3	320,5
აზია	105,9	98,5	115,1	170,3	210,0	272,9	319,3
დასავლეთი აზია	33	5,5	12,0	20,6	42,6	64,0	71,5

[18] *World Investment Report 2008: Transnational Corporations and the Infrastructure Challenge. , annex table B.1 and FDI/TNC database (www.unctad.org/fdistatistics).*

							ცხრილი 9-ის გაგრძელება
აღმოსავლეთი აზია	70,7	67,7	72,7	106,3	116.2	131,9	156,7
ჩინეთი	41,8	52,7	53,5	60,6	72,4	72,7	83,5
სამხრეთი აზია	3,9	7,1	5,9	8,1	12,1	25,8	30,6
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	28,0	18,1	24,6	35,2	39,1	51,2	60,5
ოკეანეთი	0,5	0.1	0,4	0,9	0.5	1,4	1,2
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები)	7,3	11,3	19,9	30,4	31,0	57,2	85,9
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა	1,2	2,2	4,1	3,5	4,8	10,0	11,9
დსთ	6,1	9,1	15,8	26,9	26,1	47,2	74,0
მსოფლიოს ყველა ქვეყანა	734,9	625,2	561,1	717,7	958,7	1411,0	1833,3
წილი მსოფლიო ჯამ-ში							
განვითარებული ქვეყნები,%	73,4	70,8	64,4	56,2	63,8	66,7	68,1
განვითარებადი ქვეყნები,%	25,6	27,4	32,1	39,5	33,0	29,3	27,3
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ(გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები)	1,0	1,8	3,5	4,2	3,2	4,1	4,7

გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების მიხედვით, 1995-2007 წწ.(მლრდ დოლარი)[19]

რეგიონი/ქვეყანა	1995-2000 საშუალო წლიური მაჩვენებელი	2002	2003	2004	2005	2006	2007
განვითარებული ქვეყნები	631,0	483,2	507,0	786,0	748,9	1087,2	1692,1
ევროპა	450,9	279,9	307,1	402,2	689,8	736,9	1216,5
ევროკავშირი	421,6	265,6	285,2	368,0	609,3	640,5	1142,2
იაპონია	25,1	32,3	28,8	31,0	45,8	50,3	73,5
აშშ	125,9	134,9	129,4	294,9	15,4	221,7	313,8
სხვა განვითარებული ქვეყნები	29,2	36,0	41,8	58,0	-2,1	78,4	88,3
განვითარებადი ქვეყნები	74,4	49,6	45,0	120,0	117,6	212,3	253,1
აფრიკა	2,4	0,3	1,2	2,0	2,3	7,8	6,1
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	21,1	12,1	21,3	28,0	35,8	63,3	52,3
აზია და წყნარი ოკეანეთი	51,0	37,3	22,5	89,9	79,5	141,1	194,8
აზია	51,0	37,2	22,5	89,9	79,4	141,1	194,7
დასავლეთი აზია	0,9	3,2	-1,9	7,7	12,3	23,2	44,2
აღმოსავლეთი აზია	39,6	27,6	17,4	62,9	49,8	82,3	102,9

[19] World Investment Report 2008: Transnational Corporations and the Infrastructure Challenge, , annex table B.1 and FDI/TNC database (www.unctad.org/fdistatistics).

							(ჩრილი 10-ის გაგრძელება
ნინეთი	2,0	2,5	2,9	5,5	12,3	21,2	22,5
სამხრეთი აზია	0,3	1,8	1,6	2,3	3,5	13,4	14,2
სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	10,2	4,7	5,3	17,0	13,8	22,2	33,5
ოკეანეთი	-0,0	0,0	0,0	0,1	0,1	0,0	0,1
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები)	2,0	4,6	10,7	14,1	14,3	23,7	51,2
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა	0,1	0,5	0,1	0,4	0,3	0,4	1,4
დსთ	1,9	4.1	10,6	13,8	14,0	23,3	49,9
მსოფლიოს ექსპორტი	707,4	537,4	562,8	920,2	880,8	1323,2	1996,5
წილი მსოფლიო ჯამში							
განვითარებული ქვეყნები,%	89,2	89,9	90.1	85,4	85,0	82,2	84,8
განვითარებადი ქვეყნები,%	10,5	9,2	8,0	13,0	13,3	16,0	12,7
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები)	0,3	0,9	1,9	1,5	1,6	1,8	2,6

საზღვარგარეთული ფილიალების ფინანსურ მართვას, აკონტროლებს მაჩვენებლებს (პროდუქციის რაოდენობასა და ასორტიმენტს, მის შესაბამისობას ხარისხის სტანდარტებთან, წარმოების ხარჯებს), ანაწილებს რესურსებსა და განსაზღვრავს ბაზრებს. ტნკ-ის ცენტრი, ჩვეულებრივ, სრულ ინფორმაციას ფლობს მსოფლიოში ფირმის მიერ წარმოებული საქონლის გასაღების ბაზრების, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების კურსების, ბანკების სესხების განაკეთების, ახალი ტექნოლოგიებისა და ა.შ. შესახებ, რის საფუძველზე საბაზრო სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებს.

ტნკ-ის საგარეო ექსპანსიის მთავარი ფორმაა კაპიტალის გატანა. სხვადასხვა ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელება კაპიტალის შემხვედრ ნაკადებს განაპირობებს. ასეთ სიტუაციაში ყველა ქვეყანა ერთდროულად კაპიტალის ექსპორტიორი და იმპორტიორი ხდება. ეროვნული და უცხოელი აქციონერების კაპიტალის გაერთიანებითა და თავიანთი ფილიალების, შვილობილი კომპანიების მეშვეობით ტნკ-ები სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებენ. ასეთი სახით მათ ეძლევათ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში შეღწევის დამატებითი შესაძლებლობა. მათ შეუძლიათ საკუთარ ინტერესებში გამოიყენონ სხვა ქვეყნების ბუნებრივი, საწარმოო, ტექნოლოგიური და შრომითი რესურსები, გააღრმავონ შრომის ფირმისშიდა დანაწილება უცხოეთში უკვე არსებული ან ახლად შესაქმნელი ვიწროსპეციალიზებული წარმოების ბაზაზე.

ტნკ-ები დასაწყისში, ჩვეულებრივ, საქონლის ექსპორტს აფართოებენ, შემდეგ გადადიან წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის ექსპორტზე და, ბოლოს, ქმნიან ფილიალებს, რის შედეგად საგარეო ვაჭრობა ფირმისშიდა ვაჭრობით იცვლება. ე. ი. სასაქონლო ნაკადები მართალია, კვეთენ სახელმწიფოთა საზღვრებს, მაგრამ მათი მოძრაობა ერთი და იმავე კომპანიის ფარგლებში ხორციელდება ანუ საქონლის მფლობელის შეცვლა არ ხდება. აღნიშნულის გამო, იქმნება ე. წ. ჩაკეტილი ბაზრები, სადაც ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ტრანსფერული გარიგებების ხასიათისაა ან შეზღუდული რაოდენობის ფირმათა მონაწილეობით ხორციელდება. ტრანსფერული ფასების ფართო გამოყენებით ისინი ახდენენ მოგების მაქსიმიზაციას. საგარეო ეკონომიკური ოპერაციების შეცვლა ფირმისშიდა ოპერაციებით იძლევა ახალ ტექნოლოგიებსა და ნოუ-ჰაუზე მონოპოლიის შენარჩუნების, საბაჟო ბარიერების აცილების, საერთაშორისო კონკურენციის შესუსტების, პროდუქციის

თვითღირებულების შემცირების და სხვა შესაძლებლობას, რადგან ტრანსფერული ფასები მსოფლიო ფასებზე 3-4-ჯერ დაბალია. ტნკ-ების საგარეო ვაჭრობა და მისი ორგანიზაციული ფორმები ვითარდება კაპიტალის გატანის ზემოქმედებით. ამის გამო, მათი საგარეო ვაჭრობის დასახასიათებლად, ექსპორტის ნაცვლად, გამოიყენება "უცხოური ოპერაციების" ცნება. უცხოურ ოპერაციებში, სამრეწველო ფირმის მეთაური კომპანიის საბაზისო ქვეყნიდან განხორციელებულ ექსპორტთან ერთად, იგულისხმება მის კუთვნილებაში მყოფი უცხოური საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვა.

ტრანსნაციონალიზაციის პროცესებში მონაწილეობს ტნკ და მინიმუმ ორი ქვეყანა: ბაზირების (დონორი) ქვეყანა, რომელშიც განლაგებულია მეთაური კომპანია და მიმღები (რეციპიენტი) ქვეყანა, რომელშიც მოქმედებენ მისი ფილია-ლები და შვილობილი კომპანიები.

ტნკ-ის საბაზისო ქვეყნის როლში, ჩვეულებრივ, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები გამოდიან, ამიტომ მათი კაპიტალი უშუალოდ მოქმედებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, რომელთა როლში უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნები არიან. ტნკ-ები ეძებენ იაფი შრომის, ეკოლოგიურად მაენე წარმოებებზე დაბალი საჯარიმო სანქციების, სახელმწიფო რეგულირების ნაკლები მასშტაბებისა და სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნებს. უცხოური წარმოება ტნკ-ებს აძლევს ბაზირების და რეციპიენტი ქვეყნების განსხვავებებით განპირობებული ისეთი უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობას, როგორებიცაა: ბუნებრიეი რესურსებით უზრუნველყოფა და ღირებულება, ხელფასის განაკვეთები, დაბეგვრა, საამორტიზაციო ნორმები, ანტიტრესტული (ანტიმონოპოლიური) და შრომითი კანონმდებლობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, ვალუტის კურსი, ეკოლოგიური სტანდარტები და სხვა.

დონორი ქვეყნები, ჩვეულებრივ, ცდილობენ საკუთარი ქვეყნების კანონების გავრცელებას უცხოურ ფილიალებზე (ასეთი სიტუაცია ცნობილია ექსტერიტორიალობის სახელწოდებით), ხოლო რეციპიენტი ქვეყნები კი უარყოფითად აღიქვამენ დონორი ქვეყნის ასეთ მოქმედებას, რადგან ამ შემთხვევაში ისინი კარგავენ უცხოურ საწარმოებზე კონტროლის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, გართულებულია თვით დონორი ქვეყნის მიერ უცხოური ფილიალების კონტროლი. აღნიშნულის მიუხედავად, ტნკ-ის საქმიანობისაგან რეციპიენტ ქვეყნებს სარგებელი აქვთ,

ამიტომ ისინი ხელს უწყობენ მათ: აძლევენ შეღავათებს გადასახადებსა და კრედიტებში, უზრუნველყოფენ სახელმწიფო შეკვეთებით, გამოდიან კერძო კაპიტალის გარანტის როლში, როდესაც ექსპორტირება ხდება არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის ქვეყნებში და ა.შ. ქვეყანაში არაჯანსაღი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შემთხვევაში, ტნკ-ებს შეუძლიათ თავიანთი კაპიტალის გატანა სხვა ქვეყნებში, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, ეროვნული ვალუტის კურსის დაწევას.

ტნკ-ების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფარდობითი მაჩვენებლების საშუალოს სახით: უცხოური აქტივების წილი აქტივების მთლიან მოცულობაში; უცხოეთში განხორციელებული გაყიდვების წილი გაყიდვების მთლიან მოცულობაში; უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალების როლი ტნკ-ს საქმიანობაში.

ტნკ-ები თავიანთ საქმიანობაში ბიზნესის სხვადასხვა სახეებს იყენებენ. ზოგიერთი მათგანი სხვა ფირმებთან ალიანსში შედის. შედეგად ახალ ფორმებსა და განზომილებებს იღებს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, ცვლებები შედის კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, ძლიერდება კოსმოპოლიტიკური ინტერესები, იზრდება წარმოებისა და გაცვლის ინტერნაციონალიზაციის დონე.

ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის პროცესის განვითარების ობიექტური საფუძველია და მის წინა ეტაპადაა მიჩნეული. უ. ბეკის, პ. ჰერსტის, გ. ტოპმსონისა და სხვათა აზრით, დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა შორს არის ჭეშმარიტი გლობალურობისაგან. ამას ისინი ასაბუთებენ ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე. კერძოდ კი ვაჭრობაში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ტრანსნაციონალური კომპანიების ფორმირებაში განვითარებული ქვეყნების დომინირებადი როლით და, პირიქით, განვითარებადი ქვეყნების პასიურობით. აღნიშნულის მიუხედავად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით XX საუკუნის ბოლოს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ სულ უფრო მეტი დინამიზმი და ახალი ნიშან-თვისებები შეიძინა. ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ კი ხელი შეუწყო სამე-

ურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების ეკონომიკური იმპერატივების ტექნიკურ რეალიზაციას. სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია ის, რომ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების უნივერსალურ კანონად იქცა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ ფორმალური და რეალური ინტერნაციონალიზაციის ცნებებს. ფორმალური ინტერნაციონალიზაცია ისეთი სახელმწიფოთაშორისი კავშირებია, რომლის დროსაც საწარმოთა განვითარების პარამეტრების შეთანხმება არ ხდება. მართალია, ამ შემთხვევაში ქვეყნები პროდუქციას ერთმანეთისათვის აწარმოებენ, მაგრამ ანალოგიურ დარგებში მათი საქმიანობის შედეგები განსხვავებულია. თავის მხრივ, რეალური ინტერნაციონალიზაციის დროს ადგილი აქვს ეკონომიკური პარამეტრების გათანაბრებას. მსოფლიო მასშტაბით რეალური ინტერნაციონალიზაცია არ არსებობს. განვითარების თანამედროვე დონეზე იგი მხოლოდ რეგიონული ინტეგრაციის ჩარჩოშია შესაძლებელი. ამის გამო გაჩნდა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ახალი ფორმა – ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც ორი და მეტი სახელმწიფოს ეროვნულ მეურნეობათა დაახლოების, ურთიერთშეგუებისა და შერწყმის ობიექტური და მიზანმიმართული პროცესია. ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად შესაძლებელია უფრო მაღალი საწარმოო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა. ინტეგრაციის წანამძღვრებად მიჩნეულია:[20]

- ინტეგრირებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებისა და საბაზრო სიმწიფის ხარისხის სიახლოვე;
- ინტეგრირებადი ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, უმეტეს შემთხვევაში საერთო საზღვარი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები;
- განვითარების, დაფინანსების, ეკონომიკის რეგული- რების, პოლიტიკური თანამშრომლობის და ა. შ. სფეროებში ქვეყანათა წინაშე არსებული ეკონომიკური და სხვა პრობლემების მსგავსება;
- დემონსტრაციული ეფექტი;
- დომინოს ეფექტი.

---

[20] *Киреев Алексей. Международная экономика. часть , М., 1997, с.362-363.*

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დიდი ხანია ცდილობდა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვეთა ახალი ტენდენციები წარმოების ინტერნაციონალიზაციის სფეროში. სწორედ ამ პერიოდში მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ დაიწყო ინტეგრაციის ეტაპზე გადასვლა. პირველი ასეთი გაერთიანება დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა. GATT/WTO-ს მონაცემებით, XX საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიოში აღირიცხებოდა 18-20 ინტეგრაციული დაჯგუფება, 80-იან წლებში მათი რიცხვი 5-6-მდე შემცირდა, რადგან მათი უმეტესობა ვერ ამუშავდა. 90-იან წლებში კი ევროგაერთიანების მაგალითმა გამოიწვია ე.წ. „დემონსტრაციული ეფექტი" და აგორდა ინტეგრაციის ახალი ტალღა – ინტეგრაციულ დაჯგუფებათა რაოდენობამ 30-ს გადააჭარბა.[21]

ცხრილში მოცემულია ზოგიერთი რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების მაჩვენებლები.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების თვალსაჩინო ნიმუშია ევროკავშირი. იგი მოიცავს 27 სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობა შეადგენს 574,602,745 ადამიანს. 2007 წელს მისი მშპ 17,679.4 მლრდ აშშ დოლარია, რაც წინა წელთან შედარებით 15.31 %-ით მეტია.

ევროპის ეკონომიკური ზონა შეიქმნა 1994 წლის 1 იანვარს. მისი მიზანია ევროკავშირის საერთო ბაზარში ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების ინტეგრირება. მასში შედის ევროკავშირის ყველა ქვეყანა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის 3 ქვეყანა (ისლანდია, ნორვეგია და ლიხტენშტეინი). ამ ზონის მოსახლეობა 499,620,521 ადამიანს შეადგენს, ხოლო 2007 წლის მშპ 17,186.9 მლრდ აშშ დოლარია.

ევროზონაში შედის ევროკავშირის 16 ქვეყანა, რომელთა ვალუტას ევრო წარმოადგენს. 2007 წელს ევროზონის მშპ 12,225 მლრდ აშშ შეადგენს, ხოლო მოსახლეობა – დაახლოებით 325 მლნ ადამიანს (ცხრილი 11).

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (NAFTA) ეფუძნება აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის გაფორმებულ შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვარს. ამ ზონის

---

[21] *The Economist, 1995, Sept. 16, p. 24.*

ცხრილი 11.

ზოგიერთი რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების მაჩვენებლები

	მოსახლეობის რიცხოვნება	მთლიანი შიდა პროდუქტი, აშშ დოლარი			
		2006 წ.	2007 წ.	ზრდა, %	1 სულზე
ევროკავშირი	574,602,745	15,331,827,900,202	17,679,376,474,719	15.31	30,768
ევროს ეკონომიკური ზონა	499,620,521	14,924,076,504,592	17,186,876,431,709	15.16	34,400
ევროზონა	324,879,195	10,685,946,928,310	12,225,304,229,686	14.41	37,630
ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა	449,227,672	15,337,094,304,218	16,189,097,801,318	5.56	36,038
აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა	25,639,622	401,810,366,865	468,101,167,294	16.50	18,257
ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა	39,278,645	51,265,460,685	58,519,380,755	14.15	1,490
აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია	593,905	3,752,679,562	3,998,281,731	6.54	6,732
ფრანკული წყნარი ოკეანის ფრანკის ზონა	504,476	12,264,278,329	14,165,953,200	15.51	28,081
დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა	90,299,945	50,395,629,494	58,453,871,283	15.99	647
ანდის თანამეგობრობა	96,924,486	281,269,141,372	334,172,968,648	18.81	3,448
ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი	37,388,063	87,209,524,889	97,718,800,794	12.05	2,614
სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი	55,681,675	277,544,834,196	305,692,671,540	10.14	5,490

წყარო: გაეროს მონაცემები.

ტერიტორიაზე ცხოვრობს 450 მლნ ადამიანი, ხოლო მისი მშპ 16,189 მლრდ აშშ დოლარია.

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა უმსხვილესი საერთაშორისო (რეგიონული) ეკონომიკური ორგანიზაციაა, რომელზეც 2007 წელს მოდიოდა მსოფლიო მშპ-ის 57 % და მსოფლიო ვაჭრობის 48 %. მისი მოსახლეობა 25,639,622 ადამიანია, ხოლო მშპ 468 ტრლნ აშშ დოლარია.

ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა შექმნილია 1994 წელს ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირის საფუძველზე. მისი შექმნის მთავარი მიზანია რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ჰარმონიზაციის გზით. თანამეგობრობის ქვეყნები იყენებენ CFA-ს (Colonies Françaises d'Afrique – საფრანგეთის აფრიკული კოლონიების) ფრანკს. ამ თანამეგობრობაში შედის 6 აფრიკული ქვეყანა, რომელთა ერთობლივი მშპ-მა 2007 წელს 58,519 მლნ აშშ დოლარს შეადგინს, ხოლო მოსახლეობა 39,278,645 ადამიანია.

აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია შეიქმნა 1981 წლის 18 ივნისს. ორგანიზაციის 7 სახელმწიფოსა და ანგილიას აქვთ ერთიანი ვალუტა – აღმოსავლეთ კარიბის დოლარი, ხოლო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე აშშ დოლარი გამოიყენება. ამ ორგანიზაციის მოსახლეობა 593,905 ადამიანია, ხოლო 2007 წლის მშპ – 3,998 მლნ აშშ დოლარი.

ფრანგული წყნარი ოკეანის ფრანკის ზონამ 1945 წელს შეიმოიღო ფრანგული წყნარი ოკეანის ფრანკი – CFP (Colonies françaises du Pacifique), მაგრამ ამჟამად ეს აბრევიატურა იშიფრება, როგორც Change Franc Pacifique – წყნარი ოკეანის გასაცვლელი ფრანკი. 2007 წელს ამ ზონის მშპ 14,166 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, მის ტერიტორიაზე კი 504,476 ადამიანი ცხოვრობს. ამ ზონაში საშუალო სულადობრივი შემოსავალი 28,081 აშშ დოლარია.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა შექმნილია 1975 წლის 28 მაისს 16 ქვეყნის მიერ, მაგრამ 2004 წელს თანამეგობრობიდან გავიდა მავრიტანია. თანამეგობრობის ტერიტორიაზე ცხოვრობს 90,299,945 ადამიანი, ხოლო მისი მშპ 58,453,871,283 აშშ დოლარია.

ანდის თანამეგობრობა შეიქმნა 1965 წლის 26 მაისს. იგი მოიცავს 4,8 მლნ კვ კმ ფართობსა და 96,924,486 ადამიანს. 2007 წელს ამ თანამეგობრობის მშპ 334,172,968,648 აშშ დოლარია, რაც წინა წელთან შედარებით 18.81 %-ით მეტია.

ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი ამ რეგიონის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური კავშირია. შეთანხმება ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზრის შექმნის შესახებ გაფორმდა 1960 წლის 13 დეკემბერს, მაგრამ კავშირი 1961 წლიდან ამოქმედდა. კავშირში შემავალი ქვეყნების მოსახლეობა შეადგენს 37,388,063 ადამიანს, 2007 წლის მშპ – 97,718,800,794 აშშ დოლარს.

კარიბის თანამეგობრობა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური კავშირია. იგი მოიცავს მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებს, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 6,418,417 ადამიანია, ხოლო 2007 წლის მშპ – 43,967,600,765 აშშ დოლარი, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 6,850 დოლარია.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი აერთიანებს 55,681,675 ადამიანს და მასზე მოდის კონტინენტის მშპ-ის 75 %-ზე მეტი. 2007 წლის მისმა მშპ-მა 305.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ბლოკის შექმნის საფუძველია არგენტინასა და ბრაზილიას შორის დადებული შეთანხმება თაეისუფალი ვაჭრობის შესახებ. ახლანდელი სახით იგი შექმნილია 1991 წლის 26 მარტს.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEAN) შეიქმნა 1967 წლის 9 აგვისტოს და წარმოადგენს რეგიონულ სამთაერობათაშორის ორგანიზაციას. მისი მოსახლეობა 2 მლრდ ადამიანს აღემატება. 2007 წელს ასოციაციის მშპ-მა 11,324 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 110.84 %-ით აღემატება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო აქტიურად ჩაერთო რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში. იგი გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის – დსთ-ის (2008 წლის აგვისტოში საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის და სუუამ-ის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) – ამჟამად სუამ-ის წევრი. მაგრამ ამ გაერთიანებების როლი მსოფლიო ეკონომიკაში უმნიშვნელოა. აღნიშნულის გამო, საქართველოს სტრატეგიული მიზანია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში

გასულ საუკუნეებში ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება, აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად შედეგებიც განისაზღვრებოდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივ-კლიმატური (ნიადაგის ნაყოფიერება, წიაღისეული და ა.შ.) პირობებით. მათი როლი დღესაც შეუფასებელია, მაგრამ, მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი, რადგან ისინი არსებითად ცვლიან მსოფლიო მეურნეობას, ამაღლებენ შრომის მწარმოებლურობასა და წარმოების ეფექტიანობას. ინოვაციები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

ინოვაცია (სიახლე) პრაქტიკაში აღიქმება როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) გარდასახვა რეალურ ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში და გულისხმობს შემოქმედებითი (ინტელექტუალური) საქმიანობის შედეგად მიღებული სიახლის პრაქტიკულ გამოყენებას. ინოვაციური პროცესი, როგორც ერთიანი სისტემა, ხასიათდება საწარმოო-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ამას ადასტურებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი, რომელთაც თავიანთი სიძლიერე მოიპოვეს რადიკალური ინოვაციების საფუძველზე. ინგლისისათვის ეს იყო ინდუსტრიული მანქანა და აქტიური ქვეყანათაშორისი ვაჭრობა, ამერიკისათვის – ფორდის კონვეიერი და ყოვლისმომცველი ინფორმატიზაცია, იაპონიისათვის – მაგნიტოფონი Sony და ხარისხის უმკაცრესი კონტროლი და ა.შ.

1957 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა რობერტ სოლოუმ[22] აშშ-ის ომის შემდგომი სამრეწველო ზრდის ანალიზისას აღმოაჩინა საინტერესო ფაქტი: პროდუქციის გამოშვების ზრდა ერთ ადამიან/საათზე გაანგარიშებით მხოლოდ 12,5%-ით იყო განპი-

---

[22] *Solow, Robert M. (1956). "A Contribution to the Theory of Economic Growth". Quarterly Journal of Economics 70 (1): 65–94; Solow, Robert M. (1957). "Technical Change and the Aggregate Production Function". Review of Economics and Statistics 3(3): 312–320; http://en.wikipedia.org/wiki/Exogenous_growth_model*

რობებული კაპიტალის გამოყენების ზრდით, დანარჩენი 87,5% კი მოდიოდა ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, ანუ ინოვაციებზე. ამავე პერიოდში ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა მოზეს აბრამოვიცი[23], რომელმაც ინოვაციები განსაზღვრა როგორც „აშშ-ის ეკონომიკური ზრდის ჭეშმარიტი მიზეზების არცოდნის ზომა". რ. სოლოუსა და მ. აბრამოვიცის დასკვნებმა საფუძველი ჩაუყარა ამ პრობლემის კვლევას, რის შედეგად ეკონომიკურ კონცეფციებში ინოვაციებსა და მათ გამომწვევ ფაქტორებს სულ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო.

მრავალი მეცნიერის მიერ დადგენილია, რომ ინოვაცია, თავისი ბუნებით, ციკლური ხასიათისაა და გააჩნია მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენების მულტიპლიკაციური სასტარტო ეფექტი. მსოფლიო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი დინამიკისა და მასში სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობის განსაზღვრაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნ. კონდრატიევის „გრძელი ტალღების თეორიას"[24]. 40-50-წლიანი ხანგრძლივობის „გრძელი ტალღების" მატერიალურ მიზეზად ნ. კონდრატიევი თვლიდა „ძირითადი კაპიტალური დოვლათის" ნახტომისებურ ცვლილებებს, რომლებშიც წამყვან როლს მტკ ასრულებს. რევოლუციური სტადიების დადგომას იწვევს „ბაზური" ინოვაციების ერთობლიობა, რომლის დანერგვით რადიკალურად იცვლება მეურნეობის ენერგეტიკული და ტექნიკური საწარმოო ბაზა, ტერიტორიულ-დარგობრივი სტრუქტურები და ორგანიზაციული ფორმები. ეკონომიკური ციკლის დაბალი სტადიიდან უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლა იწვევს მეურნეობის სიღრმისეულ მოდერნიზაციას პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე.

ნ. კონდრატიევის თეორიაში მტკ გვევლინება ციკლური დინამიკის შიდა ელემენტად, რადგან იგი ძირითადად აღმოჩენებისა და გამოგონებების პრაქტიკულ გამოყენებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამით განსხვავდება ეს თეორია სხვა გამოკვლევებისაგან, რომელთა საფუძველში ასევე ჩადებულია განვითარების ტალღური ხასიათი. მაგალითად, ი. შუმპეტერმა[25] გრძელი ტალღების თეორია დაასაბუთა როგორც ტექნიკური ცვლი-

---

[23] *Moses Abramovitz. Thinking About Growth and Other Essays, 1989.*

[24] *Н.Д.Кондратьев. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения – избранные труды. Москва, «Экономика», 2002.*

[25] *Шумпетер И. Капитализм, социализм и демократия.: Пер. с англ. М.: Экономика, 1995, с. 126, 128, 130, 136.*

ლებებიდან გამომდინარე და ტექნიკურ რევოლუციას უწოდა „კონდრატიევის ციკლების გამწევი ძალა“. მან 1911 წელს გამოყო ინოვაციური ხასიათის 5 ტიპური ცვლილება:

1. ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება ან წარმოების ახალი საბაზრო უზრუნველყოფა (ყიდვა-გაყიდვა);
2. ახალი თვისებების მქონე პროდუქციის დანერგვა;
3. ახალი ნედლეულის გამოყენება;
4. ცვლილებები წარმოების ორგანიზაციასა და მის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში;
5. გასაღების ახალი ბაზრების გაჩენა.

მოგვიანებით (XX საუკუნის 30-იან წლებში) ი. შუმპეტერმა შემოიტანა ინოვაციის ცნება, რომელსაც იგი განსაზღვრავს, როგორც ცვლილებას ახალი სამომხმარებლო საქონლის, ახალი საწარმოო და სატრანსპორტო საშუალებების, ბაზრებისა და მრეწველობაში ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვისა და გამოყენების მიზნით.

ი. შუმპეტერმა ასევე ჩამოაყალიბა „საინოვაციო პაკეტების თეორია“ და გამოყო სამი დიდი ტალღა: ორთქლის ძრავა (1720-1842 წწ.), რკინიგზა (1843-1897 წწ.), ელექტროენერგია და ავტომობილი (1898-1949 წწ.).

ა. მინმა 200-წლიანი პერიოდის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა ბაზური ინოვაციური პაკეტების არსებობა და ტალღებთან მათი შეფარდების შესაბამისობა.

უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში კაცობრიობის განვითარებაში გამოყოფილია ტექნიკური აზრის ევოლუციის 5 ეტაპი, 5 ტექნოლოგიური წყობა:[26]

I წყობა (1785-1835 წწ.), რომელიც ეფუძნებოდა საფეიქრო მრეწველობის ახალ ტექნოლოგიებს, წყლის ენერგიის გამოყენებას, მანუფაქტურას;

II წყობა (1830-1890 წწ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია სარკინიგზო მიმოსვლის განვითარება, ორთქლის ძრავა, მსხვილი საწარმოების გაჩენა (1000-ზე მეტი მომუშავით);

III წყობა (1880-1940 წწ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოებაში ელექტროენერგიის გამოყენება, მძიმე მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ქიმიური კომპლექ-

---

[26] *Ж. «Эксперт», 2001, № 42, с.14.*

სის განვითარება, კარტელებისა და კორპორაციების გაჩენა, საბანკო და საფინანსო კაპიტალის კონცენტრაცია;

IV წყობა (1941-1981 წწ.), რომლის საფუძველია ენერგეტიკა ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ბაზაზე, ახალი სინთეზური მასალების გაჩენა, მსხვილი ავტომაგისტრალებისა და აეროპორტების მშენებლობა, კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაჩენა, ოლიგოპოლიური კონკურენციისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა;

V წყობის ფორმირება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში. მისთვის დამახასიათებელია მიკროელექტრონიკის, პროგრამული ტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, გენური ინჟინერიის, ახალი სახის არატრადიციული ენერგიების, თანამგზავრული კავშირების ახალი სახეების განვითარება, ქსელური კულტურის ელემენტების გაჩენა; წარმოების, მარკეტინგის, დისტრიბუციის ახალი ფორმები; სხვადასხვა იდეოლოგიის, იერარქიული სტრუქტურისა და საკუთრების კომპანიათა თანამშრომლობა პროდუქციის ხარისხის კონტროლის, ინვესტიციებისა და „ზუსტად ვადაში" მიწოდების ორგანიზაციის სფეროში.

ნ. კონდრატიევისა და სხვა ავტორების შრომების საფუძველზე, გამოყოფენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების სამ სტადიას – ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული განვითარება[27]. პოსტინდუსტრიული განვითარების სტადიაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელება დაკავშირებულია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან, რომელსაც ზრდის სტადიების თეორიის ავტორმა უ. როსტოუმ მეოთხე სამრეწველო რევოლუცია უწოდა (პირველ სამრეწველო რევოლუციას იგი 1780 წლით ათარიღებს. პირველი და მეორე სამრეწველო რევოლუციები ემთხვევა ნ. კონდრატიევის ოთხ „გრძელ ტალღას", ანუ ინდუსტრიული განვითარების სტადიას, მესამე სამრეწველო რევოლუცია – პოსტინდუსტრიული განვითარების სტადიას). ამ რევოლუციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაოდ, მათ შორის ძველ დარგებშიც, გამოყენებად ახალ ტექნოლოგიებს: მიკროელემენტებს, გენურ ინჟინერიას, ლაზერებს, რობოტებს, კომუნიკაციის ახალ საშუალებებს, ახალ სამრეწველო მასალებს. მეოთხე რევოლუცია შინაგანად უფრო მეტადაა დაკავშირებული ფუნდამენტურ

---

[27] *Липец Ю. Г., Пуляркин В. А., Штатер С. Б. География мирового хозяйства. М., 1999, с. 12.*

მეცნიერებებთან, რომლებიც თვითონ განიცდიან სწრაფ რევოლუციურ ცვლილებებს. ეს ნიშნავს, რომ აქ მთავარ როლს ასრულებს მეცნიერი, ხოლო ახალი ტექნოლოგიების გენერირებისა და გავრცელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერის, ინჟინრისა და მეწარმის ეფექტიან კავშირურთიერთობას.[28]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მეოთხე რევოლუციის შედეგად მსოფლიო მეურნეობა გადადის განვითარების ახალ ეტაპზე, რომელსაც ჯერ სახელწოდება არ გააჩნია. მისი ტექნოლოგიური ბირთვია ბიოტექნოლოგიები, არატრადიციული ენერგეტიკა (მაგალითად, მზისა და წყალბადის), ნანოტექნოლოგიები, მოლეკულური ელექტრონიკა, მულტიმედიური კომუნიკაციები, აგრეთვე ისეთი ეგზოტიკა, როგორიცაა მთვარისა და მარსის ეკონომიკა (უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაშია არა მარტო წიაღისეულის მოპოვება, არამედ, აგრეთვე, დედამიწიდან მავნე წარმოებების გატანა).[29]

გლობალურ ეკონომიკაში ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად კომპანიებმა დროულად უნდა გაითვალისწინონ მომხმარებელთა მოთხოვნა, მათი განწყობის ტენდენციები. საჭიროა იმის დადგენა, ინოვაციების რა პროცენტია სტიმულირებული მომხმარებლებით, რა – იდეების გენერატორებით. აშშ-ში ეს თანაფარდობა შესაბამისად 3:4 და 1:5 შეადგენს. ინოვაციური საქმიანობის საიდუმლო საბაზრო მოთხოვნის უბრალო გათვალისწინებაშია. უცხოელი მკვლევარების აზრით, ინოვაციები ან გამოგონებები იშვიათადაა აღმოჩენების შედეგი. ისინი უფრო ხშირად ორგანიზაციის შიგა ან გარე გარემოში არსებული პრობლების ან შესაძლებლობის საპასუხოდ ჩნდება.

პ. დრუკერის მიერ გამოყოფილია ინოვაციების 4 შიგა და 3 გარე წყარო.[30] შიგა წყაროებს მიეკუთვნება გაუთვალისწინებელი შემთხვევები, შეუსაბამობა-შეუთავსებლობა, საწარმოო პროცესისა და დარგის საჭიროება, ბაზრის ცვლილებები, ცვლილებები მოლოდინში და ახალი ცოდნა. საბოლოო ჯამში, ინოვაციური საქმიანობის ყველაზე მძლავრი წყაროა ახალი

---

[28] *Rostow W. W. Is There Need for Economic Leadershipor U. S.?// American Economician Review. 1985, № 2 (may). p. 285.*

[29] *Ж. «Эксперт», 2000, № 16, с.28.*

[30] *Maurer J. G., Shulman J. M., Ruwe M. L., Becherer R. C. Encyclopdia of busi ness. London, 1995.*

ცოდნა, რომელიც კომპანიებს აძლევს მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობას.

თანამედროვე ინოვაციური პროცესებისათვის დამახასიათებელია მეცნიერების როლის არსებითი ცვლილება. თანამედროვე ეტაპზე მეცნიერება გვევლინება არა მარტო ინოვაციური იდეების წყაროდ, არამედ ინოვაციური პროცესის ყველა რგოლის გამჭოლ რესურსად. ინოვაციურმა პროცესმა შეიძინა სისტემური, კომპლექსური ხასიათი. აღნიშნულის შედეგად გაჩნდა სამეცნიერო წარმოების ხარისხობრივად ახალი ხერხი. მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია ცოდნის წარმოება მისი გამოყენების კონტექსტში, დისციპლინათაშორისობა, ჰეტეროგენურობა და ორგანიზაციული დივერსიფიკაცია, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, უფრო ფართო პრინციპებზე დაფუძნებული ხარისხის კონტროლის სისტემა.[31]

ახალი ტექნოლოგიებით მიღწეული რევოლუციური გარდაქმნები ცვლის ცნობიერებას, თვით ტექნოლოგიები კი, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება high hume ჩვეულებრივი high techის ნაცვლად, ყველაზე მომგებიან ბიზნესად იქცა. აღნიშნულის გამო, ვითარდება მსოფლიო ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური სექტორი, იზრდება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები. მოსახლეობის ერთ სულზე სამეცნიერო კვლევების დანახარჯებით ლიდერია შვედეთი – 1165 აშშ დოლარი. ფინეთში ეს მაჩვენებელი 994.9 აშშ დოლარია, აშშ-ში – 977.7, იაპონიაში –893.4, ესპანეთში – 270.3, პორტუგალიაში – 176, საბერძნეთში – 112 აშშ დოლარი[32].

აშშ-ში გამოგონებებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების გარდაქმნა წარმატებულ ტექნოლოგიურ ბიზნესად განვითარებულია უმაღლეს დონეზე. აშშ მსოფლიო ლიდერია მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტში. სამეცნიერო-ტექნიკური სფეროში ქვეყნის ყველაზე მყარი პოზიციები ეფუძნება მაღალგანვითარებულ უნივერსალურ სამეცნიერო-საწარმოო-საგანმანათლებლო კომპლექსს, რომელსაც გააჩნია სხვა ქვეყნებისათვის ხელმიუწვდომელი რესურსები. აშშ-ში მეცნიერებისა და ტექნიკის ფუნქციონირების მექანიზმები ყველაზე განვითარებუ-

---

[31]Организация, управление и планирование экономики // Экономика и управление в зарубежных странах (по материалам иностранной печати): Информ. бюл., М., 1997, №9.

[32]http://www.nomad.su/?a=4-200704300028

ლი სახით მუშაობენ. რამდენიმე ათეული წამყვანი ამერიკული კორპორაციის კელეეითი ბიუჯეტების დიდი მოცულობები იძლევა ისეთი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნის მთავრობისა და ფირმისათვის დაუძლეველია. აშშ-ის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდას, მთელი ინოვაციური პროცესის ტრანსფორმაციას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების ფონდები, ვენჩურული, ფილანტროპული და სხვა ფონდები. ვენჩურული კაპიტალის განვითარებული ბაზარი და საფონდო ბაზრის დინამიკა მაღალტექნოლოგიური ფირმების აქციებზე ამერიკის ეკონომიკის უნიკალური მახასიათებელია, რომელმაც ხელი შეუწყო „ახალი ეკონომიკის" ჩამოყალიბებას.

აშშ-ის კორპორაციები აფართოებენ პარტნიორულ ურთიერთობებს უცხოურ ფირმებთან იმ სფეროებში, რომლებშიც მათი პოზიციები ამა თუ იმ მიზეზის გამო სუსტია. სტრატეგიული ალიანსების შექმნით ისინი კონკურენტუნარიანობას იმაღლებენ. ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ყველა შექმნილი სტრატეგიული ალიანსის დაახლოებით 1/4 ორიენტირებული იყო მიკროელექტრონიკაზე, გამოთვლით ტექნიკაზე, სამრეწველო წარმოების ავტომატიზაციაზე, კავშირგაბმულობის სისტემების ტექნოლოგიაზე.

გლობალური კონკურენციის პირობებში კომპანიები ეძებენ ინოვაციური პროცესის რეალიზაციის ეფექტიან გზებს. ერთერთი ასეთი ეფექტიანი გზაა ფირმათაშორისი და სექტორთაშორისი თანამშრომლობა. იზრდება აგრეთვე კონტაქტების მნიშვნელობა სახელმწიფო, საუნივერსიტეტო და სამრეწველო სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის. უცხოური წყაროების მონაცემებით,[33] უნივერსიტეტებისა და სამრეწველო მეცნიერების თანამშრომლობის ძირითადი ფორმებია სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, ინოვაციური ცენტრები, ერთობლივი საწარმოები, საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრები, შეთანხმებები სამრეწველო-საუნივერსიტეტო კვლევების შესახებ, სამეცნიერო-კელეეითი კონსორციუმები. მძლავრი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, როგორც წესი, იქმნება უნივერსიტეტების ირგელივ. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია აშშ-ის „სილიკონის ველი", რომელიც შეიქმნა სტენფორდის უნივერსი-

---

[33] *Галаган А. И. Университеты США и Японии и их сотрудничество с промышленной наукой. М., 1993.*

ტეტთან და რომლის შექმნაც განაპირობა მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიამ.

ინგლისელი ეკონომისტის კ. ფრიმანის კვლევის შედეგად (იგი აანალიზებდა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის კომპანიების სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხასიათს ბიოტექნოლოგიების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ახალი მასალების წარმოების სფეროში) დადგენილია, რომ ამ თანამშრომლობის ძირითადი ფორმა იყო ერთობლივი პროექტები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში. მასზე მოდიოდა ყველაზე მეტი პროექტი: 29,8% – ბიოტექნოლოგიებში, 27,6% – ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, 25,1% – ახალ მასალებში. თანამშრომლობის დანარჩენი ფორმების რიცხვშია ერთობლივი ვენჩურული ფირმები, კვლევითი კორპორაციები, შეთანხმებები ტექნიკური გაცვლის შესახებ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეთანხმებები მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის, შეთანხმებები ცალმხრივი ტექნოლოგიური ნაკადების შესახებ.[34]

ინოვაციების რეალიზაციას ხელს უწყობს ეროვნული კვლევითი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია. მაგალითად, ბ. კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში შემუშავდა ნანოსამყაროს კვლევის განვითარების სპეციალური პროგრამა „ეროვნული ინიციატივა ნანოტექნოლოგიების სფეროში". 2000 წელს ამ პროგრამის დაფინანსება შეადგენდა 270 მლნ დოლარს, 2001 წელს კი იგი 495 მლნ დოლარამდე გაიზარდა. დაფინანსების ასეთი ზრდა განპირობებული იყო ნანოტექნოლოგიებთან დაკავშირებული ბუმით. აშშ-ისა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების გარდა, პერსპექტიული ნანოტექნოლოგიების დამუშავებაში უდიდეს სახსრებს აბანდებენ უმსხვილესი High-Tech კორპორაციები.

ნანოტექნოლოგიების გარდა, მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციური კონტურების განმსაზღვრელ მიმართულებებს მიეკუთვნება: დამუშავებები ბიოტექნოლოგიების, გენეტიკისა და მედიცინის სფეროებში, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული ე.წ. ციფრული უთანასწორობის, ტექნოლოგიური გარღვევის გა-

---

[34] *Инновационная деятельность зарубежных фирм. Отв. ред. Вишнякова Г. В., М., 1993.*

დალახვა, მსოფლიოს ფულადი და სავაჭრო სისტემების რეორგანიზაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე.

კომპანიების ახალი ტექნოლოგიური საფუძვლების ფორმირება იწვევს „მეცნიერება-ტექნოლოგია-წარმოება-მოხმარება" სისტემის გართულებას, ახალი ტექნოლოგიური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც საჭიროა ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად. ძლიერი ტექნოლოგიური პოლიტიკა უზრუნველყოფს ახალი პროდუქტების შერჩევას, დამუშავებას, დანერგვას და ემსახურება ფირმის ორ მიზანს: 1. რისკების შემცირებასა და გადარჩენას; 2. ეფექტიანობის (მომგებიანობის) ამაღლებას.

ტექნოლოგიური პოლიტიკა ეფუძნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ მექანიზმებს, რომლებიც პრინციპში ემთხვევა ერთიან სამეურნეო მექანიზმს და, ამასთან, სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.

ტექნოლოგიური პოლიტიკის კლასიკური ტიპებია: გლობალური ცენტრის პოლიტიკა (centre for global) და პოლიცენტრიზმის პოლიტიკა (local for local), მაგრამ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობენ ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელების ახალი მეთოდები. ისინი ორ კატეგორიად იყოფა: ტექნოლოგიური განვითარების განაწილებული სისტემა (locally leveraged) და ტექნოლოგიური განვითარების ინტეგრირებული სისტემა (globally linked).[35]

ტექნოლოგიური პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებაა უმსხვილესი ფირმების მიერ ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შექმნა, რომელშიც წარმოება და კვლევა ერთიან პროცესადაა წარმოდგენილი. აღნიშნული განაპირობებს „მეცნიერება-წარმოება" ციკლის ყველა ეტაპის მჭიდრო კავშირს.

XX საუკუნის 80-იან წლებში მსხვილი ფირმების ტექნოლოგიურ პოლიტიკაში გამოიკვეთა ცვლილებები სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო-გასაღებითი საქმიანობის მიმართულებებში. ეს, უპირველესად, გამოიხატა პროდუქციის გამოშვებულ ასორტიმენტში მეცნიერებატევადი პროდუქციის წილის ამაღლებაში. ამჟამად მეცნერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის მოცულობა 2,3 ტრლნ დოლარადაა შეფასებული. აქედან აშშ-ის წილად მოდის 39%, იაპონიაზე – 30%, გერმანიაზე – 16%, რუსეთზე – 0,3%. თავის მხრივ, მეცნიერებატევადი პრო-

[35] *Managing the Global Firm. London, 1991.*

დუქციის გასაღება იწვევს თანმდევი ტექნიკური მომსახურების (ინჟინირინგი, ლიზინგი, კონსალტინგი და ა. შ) გაფართოებას.

ცვლილებები ტექნოლოგიურ პოლიტიკაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის შედეგია. ერთი მხრივ, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია, აახლოებს რა სტანდარტებსა და მომხმარებელთა არჩევანს, მთელ რიგ დარგებში ქმნის მრავალნაციონალური კორპორაციების (მნკ) ეფექტიანი სტრატეგიული მართვის პირობებს (ცენტრალი- ზებული კონტროლისა და საკუთარი ფილიალების საფუძველზე). მეორე მხრივ, არსებობს მრავალი დარგი და ფირმა, სადაც თანამშრომლობის სტრატეგია უფრო ეფექტიანია. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში თანამშრომლობის სტრატეგია კორპორაციული სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტად იქცა, რადგან იგი იძლევა უაზრო კონკურენციის თავიდან აცილების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის სტრატეგია აძევებს მნკ-ის ისეთ ტრადიციულ მიმართულებებს, როგორებიცაა: დივერსიფიკაციის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და შთანთქმის სტრატეგიები.

ამერიკული კორპორაციების ინოვაციურ აქტივობას განაპირობებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

➢ ინოვაციურად აქტიური კომპანიების დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი. აშშ-ში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული ხარჯების 100% გამოიქვითება კომპანიის დაბეგვრასდაქვემდებარებული შემოსავლიდან.

➢ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახელმწიფო მხარდაჭერის მოცულობა. მაგალითად, კერძო სექტორში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახელმწიფო მხარდაჭერის მოცულობის (კონტრაქტები, სუბსიდიები) შეფარდება კერძო სექტორის მიერ გაწეულ საკუთარ ხარჯებთან აშშ-ში 24,8 %-ია. საფრანგეთში – 22,4 %, დიდ ბრიტანეთში – 16,4 %, გერმანიაში – 16,4 %.

➢ საბიუჯეტო დაფინანსების საფუძველზე შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ფლობის უფლება. მაგალითად, 1980 წელს აშშ-ის მთავრობამ დააფინანსა აკადემიური კვლევების 60% და იმ მომენტში იგი ფლობდა 28 ათას პატენტს, მაგრამ მათი მხოლოდ 4% იყო ლიცენზირებული მრეწველობის მიერ.

შემქმნელებზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, აშშ-ში პატენტების რაოდენობა 10-ჯერ გაიზარდა. უნივერსიტეტებმა შექმნეს 2-3 ათასი ფირმა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების კომერციალიზაციისათვის.

ფინანსური სახსრების შთანთქმის ნაცვლად, უნივერსიტეტებმა და ლაბორატორიებმა დაიწყეს მათი გენერირება ამერიკული ეკონომიკისათვის და დაახლოებით 160 ათასი სამუშაო ადგილი შექმნეს. ინტელექტუალური საკუთრების ბრუნვიდან ამერიკის ბიუჯეტში ყოველწლიურად 40-50 მლრდ აშშ დოლარი შედის.

ამერიკული კორპორაციების ტექნოლოგიური პოლიტიკა გლობალური ხასიათისაა. ეს, უპირველესად, გამოიხატება უცხოური ინტელექტუალური რესურსების, ცოდნის შორს წასული სფეროების მიმართ გამოხატულ ინტერესში. მაგალითად, თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ისრაელს უკავია. სწორედ ამიტომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დასპეციალებულმა რიგმა კომპანიებმა, მათ შორის IBM-მა და Microsoft-მა გასული საუკუნის ბოლოს ამ ქვეყანაში თავიანთი ქვედანაყოფები გახსნეს.

მეცნიერება-ტექნოლოგია-წარმოება-მოხმარება" სისტემის გართულება ინოვაციურ პროცესს მატებს ახალ ფუნქციურ ელემენტებს. კერძოდ, მის სტრუქტურაში მარკეტინგთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა. ინოვაციური პროცესის დაფინანსება უაღრესად აქტუალურ პრობლემად იქცა. ინოვაციური პროცესების რისკის შემცირების მიზნით, იზრდება კერძო კომპანიების თანამშრომლობა საერთო პროექტების ერთობლივი დაფინანსების კუთხით. ერთობლივი ძალისხმევით შექმნილია ისეთი სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრები, როგორებიცაა: AT&T კომპანიის Bell Labs, IBM-ის Yorktown laboratories-ის, Xerox-ის, Microsoft-ის და სხვა კომპანიების კვლევითი ცენტრები.

დასავლეთში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების მთავარი წყარო კერძო სექტორია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორის მიერ ფინანსდება სამეცნიერო ხარჯების 70%-მდე. სახელმწიფო ინვესტირება ძირითადად განათლებასა და ფუნდამენტურ კვლევებში ხორციელდება. აშშ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის წილად მოდის 27%, იაპონიაში – 18%, რუსეთში – დაახლოებით 15%, ჩინეთში – დაახლოებით 40% (ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში).

თანამედროვე პირობებში ამა თუ იმ ქვეყნის ბედი და მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩაეწერება იგი მსოფლიო ეკონომიკის ახალ ინოვაციურ კონტურებში. ხოლო ქვეყნის ეკონომიკური ძალის განმსაზღვრელია მეწარმეთა კლასის ინტელექტუალური დონე და ინოვაციური უნარი. ეკონომიკურ აღმავლობას ადგილი აქვს იქ, სადაც ასეთი რესურსია.

სწორედ ამიტომ გრძელვადიან პერსპექტივაში წინგამსწრები ტემპით განვითარების ძირითადი წყარო იქნება ადამიანისეული (ინტელექტუალური) კაპიტალის ხარისხი (სხვადასხვა გამოკვლევებით, სხვა თანაბარ პირობებში, ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის ზრდა, მაგალითად, ბრაზილიის დონიდან აშშ-ის დონემდე ეკონომიკის ზრდის ტემპებს ადიდებს 1,5-2%-ით წელიწადში). მისი კვლავწარმოებისათვის საჭიროა განათლების თანამედროვე სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, ვერ იარსებებს კონკურენტუნარიანი სამეცნიერო კვლევების გარეშე.

სხვადასხვა ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის შედარება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან განათლების ხარისხი განსხვავდება ქვეყანათა მიხედვით. გარდა ამისა, ეროვნულ დონეზე ადგილი აქვს სინერგიულ ეფექტებს (ინდივიდუალურ დონეზე ისინი არ არსებობენ). მაგალითად, ცნობილია, რომ ინოვაციურ დარგებში მოქმედებს კრიტიკული მასის ეფექტი: რაც უფრო მეტი მაღალკვალიფიციური მუშაკია კონცენტრირებული, მით უფრო მაღალია მათი მწარმოებლურობა. აღნიშნულის გამო, განათლების დონის ამაღლებით ყოველი მუშაკი ზრდის როგორც საკუთარ, ისე სხვა კვალიფიციური კადრების შემოსავლებს.

ინოვაციების განსაკუთრებული როლის გამო, ამჟამად მსოფლიოს დაყოფა იდეოლოგიური ან ეკონომიკური მაჩვენებლებით კი არა, ტექნოლოგიური განვითარების დონითაა აქტუალური. ამასთან აღსანიშნავია, რომ განსხვავება ქვეყანათა ტექნოლოგიური განვითარების დონეებში სულ უფრო იზრდება. მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 15% ტექნოლოგიური ინოვაციებით უზრუნველყოფს დანარჩენ მსოფლიოს, პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შესწევს საკუთარ წარმოებასა და მოხმარებაში ამ ტექნოლოგიების დანერგვის უნარი, ხოლო დანარჩენი ნაწილი (მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 1/3) არც ინოვაციებს აწარმოებს და არც უცხოურ ტექნოლოგიებს ნერგავს.

თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა 3 ტექნოლოგიური რეგიონი:

- აშშ, კანადა, მექსიკა და სამხრეთ ამერიკის განვითარებადი ქვეყნები;
- იაპონია, სახრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები და ჩინეთი;
- დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიურად მოწყვეტილი ქვეყნების ტექნოლოგიური განვითარების შესახებ წარმოდგენას

იძლევა მსოფლიოს ტექნოლოგიური რუკა, რომელიც შედგენილია შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველზე:

✓ ტექნოლოგიების შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: გაცემულ პატენტებს მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, უცხოეთიდან შემოსულ როიალტებსა და ლიცენზიებზე გადახდილ თანხებს მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით;

✓ უკანასკნელი ინოვაციების გავრცელება – ინტერნეტ-კვანძების რიცხვი მოსახლეობის 1 სულზე, მაღალი და საშუალო ტექნოლოგიების პროდუქციის ექსპორტის მოცულობის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში;

✓ ძველი ტექნოლოგიების გავრცელება – კაბელური და მობილური ტელეფონების რაოდენობის ლოგარითმული მაჩვენებლები მოსახლეობის 1 სულზე, ელექტროენერგიის მოხმარების ლოგარითმული მაჩვენებლები მოსახლეობის 1 სულზე;

✓ ადამიანისეული რესურსების რაოდენობა – სასკოლო განათლების წლების რიცხვი; ინჟინრების, მეცნიერებაში, მათემატიკაში ყველაზე მაღალი მომზადების პირთა რაოდენობის მთლიანი მაჩვენებლები.

აღნიშნული მაჩვენებლების საფუძველზე ქვეყნები დაყოფილია 4 ჯგუფად: ტექნოლოგიური ლიდერები, პოტენციური ლიდერები, მიმდევრები და მარგინალები.

„ტექნოლოგიური ლიდერების“ ჯგუფში შემავალი უმსხვილესი ტექნოლოგიური სახელმწიფოები არიან: ფინეთი, აშშ, შვედეთი და იაპონია.

II ჯგუფის – „პოტენციური ლიდერების“ ჯგუფში წამყვანი ადგილები უკავიათ ესპანეთს, იტალიას, ჩეხეთს და ა. შ. მეორე ჯგუფის ქვეყანათა უმეტესობისათვის დამახასიათებელია ინვესტიციების მაღალი დონე სპეციალისტთა მომზადებაში, ძველი ტექნოლოგიების საყოველთაო გავრცელება და უმნიშვნელო ინოვაციური აქტიურობა. ამასთან, ამ ქვეყნების სამუშაო ძალის პროფესიონალიზმის დონე ძირითადად ლიდერი ქვეყნების მომზადების დონეს შეესაბამება.

III ჯგუფია ქვეყნები-მიმდევრები. ეს ქვეყნები აქტიურები არიან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში. მათი უმეტესობა წარმოდგენილია განვითარებადი ქვეყნებით, რომელთაც სპეციალისტთა მომზადების უფრო მაღალი დონე აქვთ, ვიდრე IV ჯგუფის ქვეყნებს. III ჯგუფის ლიდერები არიან: ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი. ამ ჯგუფის ზოგიერთი ქვეყანა ავითარებს ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ დარგებს, აქვთ მსოფლიო მნიშ-

ენელობის ტექნოლოგიური ცენტრები. ამასთან, არათუ ახალი, არამედ ძველი ტექნოლოგიების (აღმოჩენების) გავრცელებაც კი შენელებული და გართულებულია.

IV ჯგუფს მიეკუთვნებიან მარგინალები. ამ ჯგუფის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიების გავრცელებისა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციური მომზადების დაბალი დონე. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ძველი ტექნოლოგიების გავრცელებისაგან არაკითარ სარგებელს არ იღებს, ახალი ტექნოლოგიები კი მათ არ გააჩნიათ.

ქვეყანათა ტექნოლოგიური განვითარების რუქა შედგენილია გაეროს სამრეწველო განვითარების მეცნიერთა ჯგუფის მიერ. იგი უშუალოდ ქვეყანათა ტექნოლოგიური განვითარების სურათს იძლევა და ეროვნული შემოსავლის დონეზე არაა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ტექნოლოგიური საზღვრები არაა ფიქსირებული და ამიტომ ბევრ ქვეყანას აქვს ტექნოლოგიური განვითარების უფრო მაღალი დონის ჯგუფში გადასვლის შესაძლებლობა.

ინტელექტუალური კაპიტალით მდიდარ საქართველოს გააჩნია განვითარებული ქვეყნების შესაფერისი მეცნიერული ელიტა ანუ საქართველოს აქვს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსი, რომლის გონივრული გამოყენებით შესაძლებელია სერიოზული აღმავლობა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამისათვის კი ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ვექტორი ადამიანისეული კაპიტალით უნდა განისაზღვროს, რომ ინოვაციები და ინფორმაცია მათ შესახებ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პერსპექტივების დამადასტურებელი და კაპიტალიზაციის ამაღლების საშუალებაა. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას განაპირობებს, ხოლო ქვეყნის ინოვაციურ პოლიტიკას ეროვნული იდეოლოგიის რანგში აიყვანს.

თანამედროვე ეტაპზე საინოვაციო საქმიანობის გააქტიურება, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისა და ახალი ცოდნის დაგროვების ხელშეწყობა, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლება სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისათვის უნდა გამოიძებნოს სათანადო სახსრები, რომლებიც მოხმარდება მეცნიერების აღორძინებასა და განათლების სისტემის სრულყოფას.

ქვეყნის ინოვაციური სექტორის შესაქმნელად საჭიროა ინოვაციური პოტენციალის შეფასება, არსებული მეცნიერული დამუშავებებისა და გამოგონებების დაყენა „საბაზრო კონდიციაზე“, აქტუალური სიახლეების ძიება და მათზე მოთხოვნის სტიმულირება, ინოვაციური ფირმების შექმნა და დასავლეთის ბაზრებზე მათი გასვლის სახელმწიფო ხელშეწყობა, ვენჩურული ბიზნესის განვითარება.

სახელმწიფოსთან ერთად, ინოვაციური პროცესების განვითარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კერძო სექტორმა. რა თქმა უნდა, ჩვენი საწარმოებისათვის ინოვაციების დანერგვა და ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება არაა პრიორიტეტული. მიუხედავად ამისა, უნდა ვიზრუნოთ, რომ დარგობრივი ინსტიტუტები გადაიქცეს კერძო კომპანიების საკუთრებად და ბიზნეს-სქემების ნაწილად, მათი საქმიანობა კი ბაზრის მოთხოვნაზე იყოს ორიენტირებული.

დღეს ტერიტორიის ეფექტიანი ათვისება მისი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ამოღებაა. განვითარებული ქვეყნები ცდილობენ საუკეთესო მეცნიერების, სპეციალისტების მიზიდვას და ასეთი სახით ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვებას. ადამიანისეული კაპიტალის კონცენტრაცია ობიექტური პროცესია, თუმცა უფრო განვითარებული სამყაროს პროგრესი მიმდინარეობს „ასათვისებელი“ ქვეყნების დეგრადაციის ხარჯზე, რაც ე.წ. „წყალწაღებული“ ქვეყნების წარმოშობას განაპირობებს. ამ ცნებაში იგულისხმება ის ქვეყნები, რომელთაც დაკარგეს განვითარების რესურსი და მათი წარმოების უნარი, მათ არ შეუძლიათ „ახალი ეკონომიკის“ პროდუქტების მოხმარება და ახალ ინოვაციურ კონტურებში ჩაწერა. მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციურ კონტურებს გარეთ დარჩენილი ქვეყნები კი განწირულნი არიან. საქართველოს წინაშეც დგას ასეთი საშიშროება, ამიტომ ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას „ტვინების გადინება“, ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების დაკარგვა. ამის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი ხელფასები, ჩვენს სასარგებლოდ იმ თანამედროვე მსოფლიო ტენდენციის გამოყენება, რომელიც გამოიხატება განვითარებად ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოებების გადატანაში, რადგან იქ იაფია შრომა.

ინოვაციების როლი შეუფასებელია, როგორც მსოფლიო, ისე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, მათი შედეგები არაა მკაცრად დეტერმინირებული. მეცნიერულ-ტექნი-

კური მიღწევების გამოყენება შეიძლება როგორც ადამიანთა სასიკეთოდ, ისე ცივილიზაციის საწინააღმდეგოდ. XX საუკუნე იყო ფენომენალური მეცნიერული აღმოჩენების საუკუნე, მაგრამ ისტორიაში იგი შევიდა როგორც ყველაზე სისხლიანი, მოკლული და დასახიჩრებული ადამიანების უდიდესი რიცხვითა და მატერიალური ფასეულობების განადგურების მასშტაბებით. XXI საუკუნეში კიდევ უფრო დიდი მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენებია მოსალოდნელი, მაგრამ კაცობრიობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ისინი მის საწინააღმდეგოდ არ შემობრუნდნენ.

ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციებში ინვესტირების პრობლემა უაღრესად აქტუალურია, მაგრამ ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვა გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და საწყის ეტაპებზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმის რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუწყო ვენჩურული (სარისკო) ბიზნესის განვითარებას.

ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისათვის მიზანშეწონილ დონემდე ანუ კომერციალიზაციას. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“. ვენჩურული ბიზნესი თავისი მომგებიანობითა და რისკიანობით არ ჩამოუვარდება ტრადიციული ბიზნესის ისეთ ყველაზე მომგებიან სახეობებს, როგორებიცაა: ნავთობით, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა.

ვენჩურული ბიზნესის პრინციპები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. რა თქმა უნდა, იმ პერიოდში ვენჩურული კომპანიები არ არსებობდნენ, მაგრამ მარტოხელა მევახშეები, იღბლიანი ნეგოციანტები და მდიდარი ფეოდალები (მათი ადგილი შემდგომ ბანკებმა დაიკავეს) საზღვაო სავაჭრო ოპერაციებს აფინანსებდნენ. ამ სახის ვენჩურული კაპიტალისტების მიერაა დაფინანსებული თითქმის ყველა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენის გმირი, მარკო პოლოსა და ქრისტეფორე კოლუმბის ჩათვლით.

ვენჩურული ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ცენტრალურ კალიფორნიაში შექმნილმა „სილიკონის[36] (კაუბადის) ველმა“ ითამაშა. მომავალი „სილიკონის ველში“ 1950 წელს 300 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა. ეს ადგილი ხილის ბაღებით იყო ცნობილი, რომელთაც ადგილობრივი ფერმერებისათვის 65 მლნ აშშ დოლარი შემოსავალი მოჰქონდათ. ინტენსიური მებაღეობის შედეგად ცენტრალური კალიფორნია XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის სწრაფად

[36] http://en.wikipedia.org/wiki/Silicon_Valley

მზარდი რეგიონების ათეულში შედიოდა. აქ იკრიფებოდა შაგი ქლიავის მსოფლიო მოსავლის დაახლოებით 1/3. მაგრამ 1974 წლის დეკემბერში ამ ადგილას მოხდა მოვლენა, რომელმაც რეგიონის შემდგომი განვითარება განაპირობა: AT&T Bell-ის ლაბორატორიებში ელექტროდენის გასაძლიერებლად პირველად გამოიყენეს კაუბადის ნახევარგამტარი. ამ გამოგონებით პირველ ელექტროგამომთვლელ მანქანაში გამოყენებული ვაკუუმის მილაკები შეიცვალა მცირე და შედარებით იაფი ინტეგრალური სქემებით.

დღეს ცენტრალური კალიფორნიის მაღალი ტექნოლოგიების (High Tech) ინდუსტრია მსოფლიო მიღწევების საუკეთესო ნიმუშია. ამ სილიკონის ველში განლაგებულია ოთხი ათასზე მეტი კომპიუტერული ფირმა ნახევარი მილიონი თანამშრომლით. აქ უშვებენ აშშ-ის რაკეტებისა და თვითმფრინავების წარმოების 1/3-ს, ნახევარგამტარების მსოფლიო წარმოების 1/5-ს, კომპიუტერების 1/6-ს.

თანამედროვე ეტაპზე კონკურენციული უპირატესობისა და ეკონომიკური წარმატებების მისაღწევად აუცილებელია პირველობა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სფეროში, ამიტომ საკუთარი „სილიკონის ველის" (Silicon Valley) არსებობა პრესტიჟის საკითხად იქცა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ცდილობენ ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების რიცხვში მოხვედრას. მსოფლიოს თანამედროვე რუკაზე გაჩნდა მრავალი სახელწოდება „სილიკონის" ზედსართავით. გერმანიაში სარისკო დაფინანსების ბახტრიონად იქცა დიდი მიუნჰენი (ბავარია), ინდოეთი ამაყობს თავისი „სილიკონის პლატოთი", შოტლანდია – „სილიკონის გლენით" და ა. შ.

ცენტრალური კალიფორნიის სილიკონის ველის ჩამოყალიბებაში პრინციპული როლი ამ ტერიტორიაზე მდებარე სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტმა ითამაშა. სილიკონის ველის „პირველი საპატიო მამა" გამოჩენილი ელექტროტექნიკოსი პროფ. ფრედერიკ თერმანია. იგი XX საუკუნის 30-იან წლებში სტენფორდის უნივერსიტეტში რადიოტექნიკის კურსს კითხულობდა და თავის სტუდენტებს ადგილობრივ ფირმებში სამუშაოდ ან საკუთარი ბიზნესის დაფუძნებისაკენ უბიძგებდა. XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ფრედერიკ თერმანი სტენდფორდის უნივერსიტეტის რექტორი გახდა და სილიკონის ველის ჩამოყალიბებაში აქტიური როლი ითამაშა.

სილიკონის ველი ტექნიკოს-მეცნიერთა საზოგადოების შექმნის საფუძველზე ვითარდებოდა. ეს მოდელი მოიცავს: ერთი

მხრივ, მაღალი ტექნოლოგიების გამომყენებელ ძლიერ უნივერსიტეტებს, რომელთაც შესწევთ შემოქმედებითი საქმიანობის უნარი და, მეორე მხრივ, ამ შედეგების გამომყენებელ კომპანიებს. ტექნიკოს-მეცნიერთა იდეების რეალიზაციას ხელი შეუწყო სილიკონის ველის მახლობლად მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზამ. II მსოფლიო ომის დროს კალიფორნია გახდა აშშ თავდაცვითი მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი რაიონი. აქ განლაგებულმა საწარმოებმა მიიღეს 40 მლნ აშშ დოლარის სამხედრო შეკვეთა. სტენფორდის უნივერსიტეტთან დაფუძნდა კელვეითი ინსტიტუტი, რომელიც დასაწყისში თავდაცვას ემსახურებოდა და ელექტრონულ მრეწველობას ავითარებდა. ამ ინსტიტუტში სამუშაოდ საუკეთესო სპეციალისტებს მთელი მსოფლიოდან იზიდავდნენ. ომის დამთავრების შემდეგ ეს ტენდენცია გაგრძელდა. 1957 წელს სტარტი აიღო NASA-ს პროგრამამ, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფო შეკვეთები. ეს იყო ტექნიკური ფირმების დაფინანსების საშუალება, მაგრამ XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ასეთი ფირმების რიცხვი ასეულებზე ავიდა. სახელმწიფო დაფინანსება მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და გაჩნდა სასესხო კაპიტალის მოზიდვის აუცილებლობა. ბანკებმა ვერ შეძლეს სარისკო ოპერაციების მასშტაბური დაფინანსება, ამიტომ ისინი ვენჩურულმა საინვესტიციო კომპანიებმა ჩაანაცვლეს. გაჩნდა წარმატების კალიფორნიული ფორმულა: brain capital + venture capital (ინტელექტუალური კაპიტალი + ვენჩურული კაპიტალი).

ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. ვენჩურული დაფინანსება გახდა ამერიკის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. იგი უზრუნველყოფს ნათელ მომავალს კალიფორნიული რეცეპტით "high tech - high life – high risk" (მაღალი ტექნოლოგიები – ცხოვრების მაღალი დონე – მაღალი რისკი).

ამერიკული ვენჩურული სისტემა ამ ბიზნესის პირველი და წარმატებული მაგალითია მსოფლიოში. აშშ-ზე მოდის პლანეტის ვენჩურული კაპიტალის დაახლოებით 3/4. თანამედროვე ვენჩურული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება დაიწყო მას შემდეგ, როდესაც ამერიკის მთავრობამ XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შექმნა სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტი SBA (Small Business Administration), ხოლო კონგრესმა 1958 წელს მიიღო კანონი მცირე ბიზნესში ინვესტიციების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე დაიწყო ე.წ. SBIC-ების (Small Business

Investment Companies) ჩამოყალიბება. მათ საკუთარ კაპიტალს უზრუნველყოფდა არა მარტო კერძო სექტორი, არამედ სახელმწიფოც, შეღავათიანი სესხის პირობებით. SBA-ს მიერ რაიმე პროექტის მოწონების შემთხვევაში საკუთარ ინვესტიციებს (მაგალითად, 3 ათასი დოლარი) შეიძლება 9 ათასი დოლარი სახელმწიფო ინვესტიცია დამატებოდა.

მცირე ტექნოლოგიური ბიზნესის სახელმწიფო დაფინანსების SBIR (Small Business Innovation Research) სქემის შესაბამისად, ამერიკის მთავრობის სხვადასხვა უწყება უსასყიდლოდ აფინანსებს კომერციული მეცნიერებატევადი დამუშავებების საწყის ფაზებს. სახსრებით უზრუნველყოფა შესაძლებელია ზრდის სამ ფაზამდე და შეიძლება 1 მლნ აშშ დოლარს მიაღწიოს. დამწყებ მეცნიერ-მეწარმეებზე გრანტების გაცემა ხელსაყრელია იმით, რომ შემდგომ ეს ფული სახელმწიფოს გადასახადების სახით ერთიანად უბრუნდება. მოგებაში არიან კვლევითი დაწესებულებებიც იმის გამო, რომ მათ აქვთ წილი კომპანიებში, აგრეთვე, მთავრობის ახალი ასიგნებანი და წამოზრდილი კომპანიების შეკვეთები კვლევით სამუშაოებზე. შესაბამისად, აშშ-ის საჯარო სექტორისათვის ეს სისტემა არანაკლებაა საინტერესო, ვიდრე კერძოსათვის.

ვენჩურის პირველი ტალღა ნახევარგამტარებით (XX საუკუნის 70-იანი წლები) დაიწყო. ეს იყო XX საუკუნის 50-60-იანი წლების ისეთი აღმოჩენების შედეგი, როგორებიცაა: მიკროსქემები, A3-B5 ჰეტეროსტრუქტურები, ნახევარ- გამტარული ლაზერები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა სერიოზულ წარმატებებს ბიოტექნოლოგიების სფეროში, მაგრამ ეს ტალღა მოგვიანებით (XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში) დაიწყო და, ამასთან, „ნამდვილი ტალღის“ ხასიათი დღესაც არ შეუძენია.

მეორე ტალღა დაიწყო 80-იან წლებში. იგი დაკავშირებულია პერსონალურ კომპიუტერებთან. ვენჩურის თვალსაზრისით მისი დაცემა დაიწყო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. 1992 წელს ვენჩურმა კრიზისიც კი განიცადა, რომელსაც მოჰყვა მესამე ტალღა ინტერნეტის სახით.

უახლოეს წლებში ვენჩურული ბიზნესის განვითარების მთავარი მიმართულებებად მიჩნეულია: უსაფრთხოების ტექნოლოგიები (ამ ტერმინის ფართო გაგებით – პირადი, ინფორმაციული და ა. შ.), ნანოტექნოლოგიები და ბიოტექნოლოგიები. 2000 წლის შემდეგ პირველი ვენჩურული კაპიტალისტები ახლად შექმნილ სტარტაპებში უფრო მეტს აბანდებენ, ვიდრე მათ

პორტფელში არსებული კომპანიების განმეორებით რაუნდებში, ამიტომ იწყება ვენჩურული ბიზნესის ახალი აღმავლობა. უწინდებურად მოდაშია ყველა სახის უსადენო ტექნოლოგიები: Wi-Fi, Wi-Max, Bluetooth და ახალი სტანდარტები. დიდი პოპულარობით სარგებლობს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია რადიოიდენტიფიკაციასთან (RFID), ბიოტექნოლოგიებთან, ინტერესი გაჩნდა ახალი თაობის ინტერნეტ-პროექტებისადმი, ე.წ. სოციალური ქსელებისადმი.

ვენჩურული კაპიტალისტები არ აზროვნებენ გამოგონებების, კვლევებისა და აღმოჩენების კატეგორიებით. ისინი თანხებს აბანდებენ არა პატენტებსა და პროექტებში, არამედ იურიდიულ პირებში, სადაც პატენტები და პროექტები არც თუ ისე მნიშვნელოვანია. ვენჩურული კაპიტალისტებისათვის მთავარი ერთეული კომპანიაა. ისინი ეძებენ ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც შექმნის ახალ სუპერვარსკვლავს (იგი შეიძლება მსოფლიო მასშტაბის იყოს). მათ უნდა იპოვონ არა უბრალოდ დიდი იმედების მომცემი ტექნოლოგია, არამედ ასეთი ტექნოლოგია საუკეთესო გუნდთან ერთად. როგორც საქმიანი, ისე ტექნიკური იდეები არაფერი არ ღირს, მთავარია მათი რეალიზება, რომელიც მხოლოდ გამოცდილი მენეჯერებისა და ინჟინრების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ვენჩურული ბიზნესისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური თავისებურებები:

➢კაპიტალდაბანდებათა ობიექტების როლში სარისკო პროექტების წარმოდგენა;

➢კაპიტალის პორტფელური მართვა;

➢სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბანდება ინოვაციური ფირმის საწესდებო კაპიტალში;

➢ვენჩურული კაპიტალისტის აქტიური მონაწილეობა პროექტის მართვაში ან მის მიერ საიმედო კონტროლის უზრუნველყოფა;

➢პროექტის სიმწიფის ფაზაში ბიზნესიდან ვენჩურული კაპიტალისტის წინასწარ განსაზღვრული გამოსელა.

ვენჩურული კაპიტალის ძირითადი წყაროებია:

• დამოუკიდებელი ფონდები, რომლებიც ორგანიზებულია პარტნიორობის (ამხანაგობის) პრინციპით;

• კორპორაციათა ფონდები, რომლებიც გამიზნულია მშობელი კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად (მაგალითად, ამგვარი ფონდი შექ-

მნილია Intel-ში, რომელიც აფინანსებს ინტერნეტის განვითარებასა და ქმნის ბაზარს საკუთარი პროდუქტებისათვის);

• სახელმწიფო სახსრებით შექმნილი ფონდები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას;

• მცირე ინოვაციური კომპანიები;

• სატრასტო ფონდები;

• კერძო ინვესტორები.

ვენჩურული ინვესტიციების დიდი ნაწილი დამოუკიდებელ ფონდებზე მოდის.

სილიკონის ველის პირველი ვენჩურული ფონდების დამაარსებლები არიან: ბ. დრეიპერი (ფონდი დაარსდა 1958 წელს), ფ. ჯონსონი (1962 წ.) და ბ. მაკმერტი (1969 წ.), თ. პერკინსონი – პირველი რეკორდსმენი თანხების მოცულობით (8 მლრდ დოლარი 1969 წლის ფასებში), დ. ვალენტინო – პირველი ინვესტორი, ა. როკი – Intel-ის პირველი ინვესტორი. ძველი თაობის უმეტესობა ვენჩურულ ბიზნესში შემთხვევით ან ნაცნობობით მოხვდა. მაგალითად, ბ. დრეიპერი მშობლებმა მიიყვანეს: მისი მამა იყო მარშალის გეგმის ეკონომიკური პროგრამების ხელმძღვანელი, რომელთა დამთავრების შემდეგ იგი კალიფორნიაში დასახლდა. როკი, პერკინსონი და ჯონსონი ჰარვარდის ბიზნესის სკოლაში ამერიკული ვენჩურული კაპიტალიზმის ფუძემდებელთან, ჟორჟ დორიოსთან ერთად სწავლობდნენ. საწყის ეტაპზე ვენჩური შინაურული ხასიათის იყო და მისი მონაწილენი ხშირად გუნდის პრინციპით მუშაობდნენ, ინვესტირებას ერთობლივად ახორციელებდნენ, ამჟამად კი იგი კონკურენტული ხასიათისაა და თანამშრომლობის პრინციპი მისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. ვენჩურული ბიზნესი მცირე ბიზნესიდან სერიოზულ საზოგადოებრივ ინსტიტუტად გადაიქცა და მას განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვს.

აშშ-ის სილიკონის ველში არსებობს ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის საინტერესო ხერხი. აქ თვეში ერთხელ სადილ-პრეზენტაციაზე იკრიბება ვენჩურულ კაპიტალისტთა ჯგუფი, ე. წ. „ანგელოზების ბანდა“, რომელსაც 1-2 ახალ ფირმას წარუდგენენ. სადილის ბოლოს წრეზე უშვებენ ქუდს, რომელშიც „ფულის ტომრები“ ყრიან თავიანთ საეიზიტო ბარათებს შესაძლო შენატანის მითითებით. ამბობენ, რომ ამ სადილზე მოხვედრილებს შეუძლიათ წყნარად იყვნენ თავიანთი ფირმის მომავალთან დაკავშირებით. „ანგელოზების“ ინტერესი ეფუძნე-

ბა კაპიტალისტის მუდმივ ოცნებას მიაგნონ „ოქროს ძარღვს“, მაგალითად, ისეთს, როგორიც აღმოჩნდა Apple Computers, რომლის აქციები 3 წლის შემდეგ 100-ჯერ გაიზარდა.

„ბიზნეს-ანგელოზები“ არაფორმალური ინვესტორები და ვენჩურული კაპიტალის არაფორმალური ბაზრის შემქმნელები არიან. ინვესტირების პროცესში ისინი საკუთარ ინტუიციას ეჯრდნობიან და ოპერატიულად იღებენ გადაწყვეტილებას, რის გამოც მცირე ფირმას ინვესტიციების მიღების პროცესი უმარტივდება.

ვენჩურული კაპიტალის არაფორმალურ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ სათანადო ინფორმაციის არარსებობის გამო და რისკის შემცირების მიზნით, უკანასკნელ წლებში გაჩნდა „ბიზნეს-ანგელოზების“ ქსელი, რომელიც ინტერნეტის საფუძველზე მოქმედებს. ასეთი ქსელები განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში.

„ანგელოზთა“ როლში, ჩვეულებრივ, ვენჩურული ბიზნესით გამდიდრებული ადამიანები გამოდიან. ზოგიერთ შემთხვევაში პროფესორები საკუთარი თანხებით აფინანსებენ ნიჭიერ სტუდენტებს. მაგალითად, პირველ „ანგელოზად“ მიჩნეულია სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფრედ თერმონი, რომელმაც 1938 წელს საკუთარი სახსრებიდან გამოყო 538 აშშ დოლარი და ორგანიზება გაუკეთა 1000 დოლარიან სესხს ადგილობრივ ბანკში, მისი ასპირანტების უილიამ ჰიულეტისა და დევიდ პაკარდის მიერ შექმნილი ოსცილოგრაფის წარმოებისათვის. ასეთი სახით ფ. თერმონი გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის Hewlett Packard-ის მამა-დამფუძნებელი.

ინვესტორი, როგორც წესი, მხოლოდ მოსალოდნელი მოგების ღრმა რწმენით აფინანსებს პროექტს, რომელსაც პრაქტიკულად არავითარი გარანტია არ გააჩნია. ქრესტომათიულია შემდეგი მაგალითი: 1987 წელს ვენჩურულმა ფონდმა Sequoia Capital-მა 2,5 მლნ დოლარად შეიძინა ახალი კომპანიის Cisco Systems-ის აქციების პაკეტი. ერთი წლის შემდეგ ამ აქციების პაკეტი 3 მლრდ დოლარი ღირდა. ინტერნეტ-კომპანია Yahoo!-ს ღირებულება, რომლის ინვესტირება ამავე ფონდმა მოახდინა, 1 წელიწადში 4000 %-ით გაიზარდა.

ვენჩურული კაპიტალისტის წარმატება აქციების ზრდაზეა დაფუძნებული. სტატისტიკის თანახმად, იგი წელიწადში დაახლოებით 66 %-ს შეადგენს. იმავე სტატისტიკის მიხედვით ვენჩურული ფონდისათვის შეთავაზებული 100 წინადადებიდან ერთი ფინანსდება და დაფინანსებული 10 ფირმიდან მხოლოდ 3

აღწევს წარმატებას 3-5 წლის შემდეგ. სამაგიეროდ, წარმატებას მიღწეული ფირმების აქციების გაყიდვით ვენჩურული კაპიტალისტი ყველა წარუმატებელ პროექტს ინაზღაურებს და იღებს მოგებას, რომელიც საბანკო პროცენტს დაახლოებით 10-15 %-ით აღემატება.

ეკონომიკის, საფონდო ბაზრისა დ ცალკეული დარგების მდგომარეობის შესაბამისად, ინვესტორებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფ ფირმებს. ვენჩურული ფონდებისათვის პოტენციური ინტერესის თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ფირმის შემდეგ სტადიებს[37]:

I – დათესვის სტადია, როდესაც არის იდეის წარმოშობისა (თუნდაც თეორიულად) და მისი ხორცშესხმის მცდელობა;

II – სტარტის სტადია ანუ იდეის რეალიზაციისათვის კონკრეტული მოქმედებების დაწყების სტადია;

III – ზრდის, გაფართოების სტადია, როდესაც შესაძლებელია იდეის პირველი შედეგების დანახვა;

IV – განვითარების სტადია, როდესაც პირველადი პროდუქტი სრულყოფას განიცდის, ახალ თვისებებს იძენს და ფირმა ფართოვდება;

V – ბიზნესიდან ვენჩურული კაპიტალისტის გამოსვლის ფაზა.

ამერიკული ვენჩურული ინდუსტრიისათვის დამახასიათებელია განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი ფირმების დიდი წილი ინვესტიციების მიმღებ ფირმათა საერთო რაოდენობაში – დაახლოებით 25 %, ევროპაში კი მხოლოდ 6 %-ია. აშშ-ში ვენჩურული დაფინანსების ასეთი სწრაფი განვითარება მაღალგანვითარებული საფონდო ბაზრებით აიხსნება. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია მცირე მაღალტექნოლოგიური ფირმებისათვის საფონდო ბაზრის (NASDAQ) არსებობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამერიკული უნივერსიტეტები სამეცნიერო კვლევებისათვის დიდ დაფინანსებას იღებენ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისაგან. ამა თუ იმ ახალ ფირმაში ინვესტირების საშუალო ვადა 5-7 წელია. ამ ვადის გასვლის შემდეგ ვენჩურული კაპიტალისტი, ჩვეულებრივ, ფირმიდან გამოდის, მისი წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად,

---

[37] *Малашенова О., Венчурное инвестирование: мировой опыт. Журнал международного права и международных отношений. 2008, №1, с. 92-97.*

რადგან მისთვის მთავარია საფონდო ბაზარზე ახალი ფირმის გაყვანა.

ვენჩურული დაფინანსების მოცულობები განვითარებულ ქვეყნებში სერიოზულ მოცულობებს აღწევს. მაგალითად, აშშ-ში უკანასკნელ წლებში ვენჩურული ინვესტიციების წლიური მოცულობა საშუალოდ 50 მლრდ დოლარის დონეზეა, ევროპულ ქვეყნებში ვენჩურულ ფონდებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ – მათი მოცულობა 10 მლრდ აშშ დოლარს არ აღემატება. ამასთან, ერთ პროექტზე ასობით ათასიდან რამდენიმე მლნ დოლარამდე გაიცემა. ევროპაში ლიდერია დიდი ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ქვეყანაში ინოვაციების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებია გათვალისწინებული.

ვენჩურული ბიზნესის დიდი მნიშვნელობისა და სარგებლიანობის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს. ამის მიზეზი, უპირველესად ისაა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე, ფინანსური ინფრასტრუქტურა ასეთი ინვესტიციებისათვის. საქართველოში ჯერ არ არსებობს ვენჩურული ბიზნესის მთავარი პირობა – განვითარებული საფონდო ბაზარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვენჩურული კაპიტალისტის მუშაობის მთავარი პრინციპი – საფონდო ბაზარზე ახალი ფირმის გაყვანა, დროის შემდგომ პერიოდში აქციების კურსის ზრდის საფუძველზე მოგების მისაღებად. მიუხედავად ამისა, საქართველოს ვენჩურული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები გააჩნია, მაგრამ ამისათვის, უპირველესად, უნდა ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, ამუშავდეს საფონდო ბაზარი და შეიქმნას ვენჩურული ფონდები, რომლებიც შეძლებენ მაღალრენტაბელური სარისკო პროექტების დაფინანსებასა და, ამასთან, წარუმატებელი ინვესტიციების დაფარვას. ვენჩურული ფონდების შექმნისას გასათვალისწინებელია აშშ-ს გამოცდილება, სადაც არსებობს რამდენიმე ასეული ახალი ფონდი და რომლებიც ძირითადად კერძო სახსრებითაა შექმნილი.

ვენჩურული ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან (უპირველესად, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთან) მიზანშეწონილია შეიქმნას ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, რომლებიც ვენჩურული ფირმების პროტოტიპები იქნებიან. ბიზ-

ნეს-ინკუბატორები უზრუნველყოფენ დასაქმებას, რადგან მთელ მსოფლიოში ისინი ითვლებიან უმუშევრობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად. ევროპის 22 ქვეყანაში ჩატარებულმა 2000-ზე მეტი ასეთი საწარმოს გამოკვლევამ აჩვენა, რომ 5 წლის განმავლობაში მათი მეშვეობით თითქმის 12 ათასი სამუშაო ადგილია შექმნილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ვენჩურული ბიზნესის განვითარებას, რომელიც მუშაობს ინდუსტრიული სამყაროს ახალ ტექნოლოგიურ და დარგობრივ ნიშებში. თავის მხრივ, ვენჩურული კაპიტალით ინვესტირებულმა კომპანიებმა უნდა განსაზღვრონ ეროვნული ბიზნესის განვითარებისა და მასშტაბური ინვესტიციების ოპტიმალური მიმართულებები. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, გახდეს ახალი ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა, უზრუნველყოს თავისი კონკურენტუნარიანობა და სათანადო პასუხი გასცეს ახალი ათასწლეულის გამოწვევას. ამაში კი თავისი წელილი ვენჩურულმა ბიზნესმაც უნდა შეიტანოს.

საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზარი

განათლება ქვეყანათა ზრდისა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში განათლება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სახელმწიფო დოქტრინის საყალდებულო ნაწილად იქცა, რომელსაც დიდი მოგება და კონკურენტული უპირატესობა მოაქვს.

საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზარი დაახლოებით 60 წელი ყალიბდებოდა და XX საუკუნის დასასრულს მსოფლიო სამეურნეო სტრუქტურაში მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2005 წელს 90 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 100 მლნ სტუდენტია, აქედან დაახლოებით 2 მლნ უცხოელი სტუდენტია. UNESCO-ს პროგნოზით, 2025 წლისათვის სტუდენტთა საერთო რაოდენობამ 260 მლნ-ს უნდა მიაღწიოს, მათ შორის უცხოელ სტუდენტთა რაოდენობამ — 5-7 მლნ-ს. მათი 2/3 აზიის ქვეყნებიდან იქნება.

საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე იყიდება სხვადასხვა სახის საქონელი: ენის შემსწავლელი კურსები, დისტანციური სწავლება, სკოლებში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და ა. შ., აგრეთვე დამატებითი საგანმანათლებლო პროდუქტები: პროგრამები, მეთოდიკები, სასწავლო კომპაქტ-დისკები, წიგნები და სხვა მასალები. აქედან ყველაზე მასობრივი და უდიდესი წილითაა წარმოდგენილი უცხოელი სტუდენტების მიერ უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება. უცხოელების მოზიდვა ნიშნავს არა მარტო სწავლის საფასურის გადახდას, არამედ ისინი მიმღები ქვეყნის ეკონომიკას აძლევენ სხვა სოლიდურ შემოსავალს ცხოვრების, კვების და რეგულარულ მომსახურებაზე გაწეული დახარჯების სახით.

საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზრის ლიდერები არიან: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი. აშშ აკონტროლებს ამ ბაზრის ბრუნვის თითქმის 1/3-ს. ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების მიერ უცხოელი სტუდენტებისაგან მიღებული შემოსავალი 15-ჯერ აღემატება მთავრობის მიერ მათზე გაწეულ ხარჯებს. უმაღლესი განათლება ამ ქვეყანაში ყველაზე ძვირია – 15-25 ათასი დოლარი წელიწადში.

დიდ ბრიტანეთში იგი 12-20 ათასი დოლარი ღირს. კანადასა და ავსტრალიაში სწავლის ფასი 1,5 – 2-ჯერ ნაკლებია აშშ-თან შედარებით, საშუალო მსოფლიო ფასი კი 10 ათას დოლარს შეადგენს. სტუდენტთა არჩევანში პირველ ადგილზეა ბიზნეს-განათლება. მასზე მოდის სტუდენტთა რაოდენობის 25 %. მეორე ადგილზეა ტექნიკური და საინჟინრო მეცნიერებები (მათ შორის ყველაზე პოპულარულია ინფორმაციული ტექნოლოგიები) – 20 %. დაახლოებით 20 %-თაა წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მათ შორის დაახლოებით ნახევარი მათემატიკაზე მოდის). სოციალურ მეცნიერებებს ირჩევს სტუდენტთა 7–8 %, ხელოვნებას – 5–6 %, მედიცინას – 4–5 %.

უნივერსიტეტების მსოფლიო აკადემიურ რეიტინგში[38] საუკეთესო უნივერსიტეტების პირველი ათეული წარმოდგენილია 8 აშშ-ის და 2 ბრიტანული უნივერსიტეტით. მათ შორის ლიდერია ჰარვარდის უნივერსიტეტი, რომელსაც ქულათა აბსოლუტური რაოდენობა (100) აქვს. მეორე ადგილზეა სტენფორდის უნივერსიტეტი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტს 26.3 ქულით ჩამორჩება. 71.4 ქულით მესამე ადგილზეა კალიფორნიის უნივერსიტეტი – ბერკლი (ცხრილი 12). აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზრზე მთავარ როლს აშშ-ის უნივერსიტეტები თამაშობენ. მსოფლიოს Top 20-ში შედის 17 აშშ-ის, 2 ბრიტანეთისა და 1 იაპონიის უნივერსიტეტი. Top 100-ში 54 აშშ-ის, 11 ბრიტანეთის, 4 იაპონიის, 6 გერმანიის, 4 კანადის, 4 შვედეთის, 3 ავსტრალიის, 3 შვეიცარიის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტები (ნიდერლანდების, დანიის, ისრაელის, ნორვეგიის, ფინეთისა და რუსეთის). Top 500-ში 159 აშშ-ის, 42 ბრიტანეთის, 40 გერმანიის, 31 იაპონიის, 30 ჩინეთის, 23 საფრანგეთის, 22 იტალიის, 21 კანადის, 15 ავსტრალიის, 12 ნიდერლანდების, 11 შვედეთის უნივერსიტეტია, სხვა ქვეყნების წილი კი უმნიშვნელოა[39]. აშშ-ის უნივერსიტეტების წილი Top 100-ში 54.0 %-ს შეადგენს, Top 100-ში – 31.6 %-ს, გლობალურ მშპ-ში – 17.2 %-ს, გლობალურ მოსახლეობაში – 4.6 %-ს (ცხრილი 13).

---

[38] http://www.arwu.org/rank2008/ARWU2008_A(EN).htm

[39] http://www.arwu.org/rank2008/ARWU2008Statistics(EN).htm

ცხრილი 12.

უნივერსიტეტების მსოფლიო აკადემიური რეიტინგი, 2008 წ.

რან-გი	უნივერსიტეტი	რეგიონი	რეგიონული რანგი	ქვეყანა	ეროვნული რანგი	ქულა
1	ჰარვარდის უნივერსიტეტი	ამერიკა	1	აშშ	1	100
2	სტენფორდის უნივერსიტეტი	ამერიკა	2	აშშ	2	73.7
3	კალიფორნიის უნივერსიტეტი – ბერკლი	ამერიკა	3	აშშ	3	71.4
4	კემბრიჯის უნივერსიტეტი	ევროპა	1	გაერთ. სამეფო	1	70.4
5	მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ამერიკა	4	აშშ	4	69.6
6	კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ამერიკა	5	აშშ	5	65.4
7	კოლუმბიის უნივერსიტეტი	ამერიკა	6	აშშ	6	62.5
8	პრინცეტონის უნივერსიტეტი	ამერიკა	7	აშშ	7	58.9
9	ჩიკაგოს უნივერსტეტი	ამერიკა	8	აშშ	8	57.1
10	ოქსფორდის უნივერსიტეტი	ევროპა	2	გაერთ. სამეფო	2	56.8

წყარო: http://www.arwu.org/rank2008/ARWU2008_A(EN).htm

ცხრილი 13.

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროცენტული განაწილება ქვეყნების მიხედვით მათი წილებით გლობალურ მოსახლეობასა და მშპ-ში

ქვეყანა	%-ით Top 100-თან	%-ით Top 500-თან	%-ით მშპ-თან	%-ით მოსახლეობასთან
აშშ	54.0	31.6	27.2	4.6
გაერთ.სამეფო	11.0	8.3	4.9	0.9
გერმანია	6.0	8.0	6.0	1.3
იაპონია	4.0	6.2	9.0	2.0
კანადა	4.0	4.2	2.6	0.5
შვედეთი	4.0	2.2	0.8	0.1
საფრანგეთი	3.0	4.6	4.6	0.9
ავსტრალია	3.0	3.0	1.6	0.3
შვეიცარია	3.0	1.6	0.8	0.1
ნიდერლანდები	2.0	2.4	1.4	0.2
დანია	2.0	0.8	0.6	0.1
ფინეთი	1.0	1.2	0.4	0.1
ისრაელი	1.0	1.2	0.3	0.1
ნორვეგია	1.0	0.8	0.7	0.1
რუსეთი	1.0	0.4	2.0	2.2
ჩინეთი	0	6.0	6.6	20.5
იტალია	0	4.4	3.8	0.9
ესპანეთი	0	1.8	2.5	0.7
სამხრ. კორეა	0	1.6	1.8	0.7
ავსტრია	0	1.4	0.7	0.1
ბელგიაა	0	1.4	0.8	0.2
ბრაზილია	0	1.2	2.2	2.9
ახალი ზელანდია	0	1.0	0.2	0.1

			ცხრილი 13-ის გაგრძელება	
ირლანდია	0	0.6	0.5	0.1
სამხრეთი აფრიკა	0	0.6	0.5	0.7
ჩილე	0	0.4	0.3	0.3
საბერძნეთი	0	0.4	0.6	0.2
უნგრეთი	0	0.4	0.2	0.2
ინდოეთი	0	0.4	1.9	17.0
პოლონეთი	0	0.4	0.7	0.6
პორტუგალია	0	0.4	0.4	0.2
სინგაპური	0	0.4	0.3	0.1
არგენტინა	0	0.2	0.4	0.6
ჩეხეთი	0	0.2	0.3	0.2
მექსიკა	0	0.2	1.7	1.6
სლოვენია	0	0.2	0.1	0.0
თურქეთი	0	0.2	0.8	1.1
წყარო: http://www.arwu.org/rank2008/ARWU2008analysis(EN).htm				

ბიზნეს-სკოლების რეიტინგის პირველი ათეული მთლიანად ამერიკული ბიზნეს-სკოლებითაა წარმოდგენილი. ბიზნეს-განათლების მსოფლიო ბაზრის ლიდერია პენსილვანიის უნივერსიტეტის ვარტონის ბიზნესის სკოლა, მეორე ადგილზეა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ლონარდ ნ. შტერნის ბიზნეს-სკოლა, მესამეზე – ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლა (ცხრილი 14).

აღნიშნულ სიტუაციას გარკვეულწილად ხელს უწყობს ისტორიული ტრადიცია – აშშ-ში ძირითადად ბიზნეს-განათლების მისაღებად ჩადიან. გერმანია ცნობილია თავისი საინჟინრო განათლებით, საფრანგეთი – ჰუმანიტარულით, იტალია – სამედიცინოთი და ა. შ. მიუხედავად ამისა, ამჟამად ქვეყნების მკაფიოდ გამოკვეთილი სპეციალიზაცია არ არსებობს.

საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო რუქაზე სამი ძირითადი საგანმანათლებლო ცენტრია გამოკვეთილი: ჩრდილოეთი ამერიკა, ევროპა და ავსტრალია. ჩრდილო-

მსოფლიოს საუკეთესო ბიზნეს-სკოლები, 2008

რანგი	უნივერსიტეტის დასახელება	ქვეყანა
1	University of Pennsylvania (The Wharton School)	აშშ
2	New York University (Leonard N. Stern School of Business)	აშშ
3	Harvard University (Harvard Business School)	აშშ
4	University of Chicago (Graduate School of Business)	აშშ
5	Duke University (The Fuqua School of Business)	აშშ
6	Massachusetts Institute of Technology (Sloan School of Management)	აშშ
7	University of Maryland at College Park (Robert H. Smith School of Business)	აშშ
8	Columbia University (Columbia Graduate School of Business)	აშშ
9	University of Michigan at Ann Arbor (Ross School of Business)	აშშ
10	University of Texas at Austin (Red McCombs School of Business)	აშშ
11	Stanford University (Graduate School of Business)	აშშ
12	Northwestern University (Kellogg School of Management)	აშშ

წყარო: http://www.abroadeducation.com.np/learn-about/Best-Busines-Schools.html

ამერიკულ ცენტრზე (აშშ-კანადა) მოდის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 1/3. მისი წლიური ბრუნვა 17-20 მლრდ დოლარს შეადგენს. ევროპული საგანმანათლებლო ცენტრის წლიური ბრუნვაა 16-18 მლრდ დოლარი, ავსტრალიის – 2-3 მლრდ დოლარი. ეს უკანასკნელი ახალი და სწრაფად მზარდი ცენტრია.

ამჟამად უცხოეთში განათლებას იღებს დაახლოებით 2 მლნ სტუდენტი. აქედან 600 ათასი აშშ-ში სწავლობს. ერთი უცხოელი სტუდენტისაგან მიღებული ერთობლივი ეკონომიკური ეფექტი 50 – 55 ათასი დოლარიდან (კემბრიჯის ან ჰარვარდის უნივერსიტეტების სტუდენტებისაგან) 15 – 20 ათასამდე (კანადისა და ავსტრალიის პროვინციული უნივერსიტეტების სტუდენტებისაგან) მერყეობს. უკანასკნელი 3 ათეული წლის განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე სტუდენტების მთავარი მიმწოდებლები არიან აზიის ქვეყნები: ჩინეთი, კორეა, მალაიზია, ინდოეთი, პონკონგი, ტაილანდი, ინდონეზია, სინგაპური, პაკისტანი... მიმწოდებელთა შორის მეორე ადგილზე არიან ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნები: მაროკო, ირანი, იორდანია, ალჟირი, პალესტინა...

სტუდენტთა საერთაშორისო მიგრაციის ნაკადებში ძირითადია შემდეგი მიმართულებები: აღმოსავლეთი – დასავლეთი, სამხრეთი – ჩრდილოეთი, ევროპა – ამერიკა. «აღმოსავლეთ – დასავლეთის» ნაკადში ძირითადი ადგილი უკავია სტუდენტთა მიგრაციას სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებიდან ჩრდილოეთი ამერიკის (300 – 350 ათასი ადამიანი) და ევროპის (200 – 250 ათასი ადამიანი) მიმართულებით. ამასთან, 150 – 200 ათასი ადამიანი განათლების მისაღებად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებიდან ავსტრალიაში მიემართება; «სამხრეთი – ჩრდილოეთის» ნაკადში – სამხრეთ-აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან ჩრდილოეთ ამერიკასა (200 – 250 ათასი ადამიანი) და ევროპაში (100 – 150 ათასი ადამიანი); «ევროპა – ამერიკა» ნაკადი ორმხრივი მიმართულებისაა. ყოველწლიურად ევროპიდან ამერიკაში სასწავლებლად ჩადის 200 – 250 ათასი ადამიანი, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის სასწავლო ცენტრიდან ევროპაში – 100 – 110 ათასი. სტუდენტთა მიგრაციის ნაკადებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ცენტრისშიდა მიგრაციას. მაგალითად, ევროპული წარმოშობის უცხოელი სტუდენტების 1/3 – 1/2 მოძრაობს ევროპის საზღვრებში.

საგანმანათლებლო მომსახურების მსოფლიო ბაზრის ძირითადი სუბიექტები განვითარებული ქვეყნების ტნკ-ები არიან. მათ შორის მთავარ როლს შემდეგი ტნკ-ები თამაშობენ: გერმანული DAAD-ი (აკადემიური გაცვლის გერმანული სამსახური ფუნქციონირებს 1925 წლიდან და აერთიანებს 233 უმაღლეს სასწავლებელს), ბრიტანული British Council, ფინური CIMO, ავსტრალიური IDP Education Australia, ფრანგული EduFrance, ამერიკული NAFSA და სხვა. ტნკ-ების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ეროვნული საგანმანათლებლო მომსახურების გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: თავისი ქვეყნის ენის გავრცელება, სტუდენტებისა და მეცნიერების გაცვლა, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება და სხვა. ასეთი გზით ლიდერი სახელმწიფოები იპყრობენ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო სექტორს, საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ ადამიანისეულ კაპიტალს, ამძაფრებენ კონკურენციას მაღალკვალიფიციურ და მაღალკონკურენტუნარიან სპეციალისტებს შორის, რის შედეგად მცირდება მათი შრომის ანაზღაურება. ეს, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანისეული კაპიტალის თეორიასთან და ინოფრმაციული ეპოქის პარადოქსია.

მართალია, თანამედროვე საგანმანათლებლო ტნკ-ები ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები არიან და არასახელმწიფოებრივი დაფინანსების საფუძველზე ფუნქციონირებენ, მაგრამ მათ საკუთარი ქვეყნის ძლიერი მხარდაჭერა აქვთ. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველში ჩადებულია ძირითადი ამოცანა – საგანმანათლებლო მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე სასწავლო პროგრამების გავრცელება (2000 წელს ბილ კლინტონმა სპეციალურ მემორანდუმში განაცხადა უკვე არსებული სასწავლო პროგრამების გაერცელების აუცილებლობის შესახებ, რაც სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა, განსაკუთრებით კი განათლების საერთაშორისო ასოციაციის – NAFSA-ს მხრიდან. კრიტიკის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ მსოფლიო ვითარდება და ამიტომ ახალი პროგრამების შეთავაზებაა საჭირო). ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

- უმაღლესი განათლების პროცესში მონაწილე ყველა სტრუქტურის ძალისხმევის გაერთიანება;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა აშშ-ში სასწავლებლად;
- სტუდენტების მობილურობის ხელშემშლელი ყველა ბარიერის მოხსნა;
- სტუდენტური და აკადემიური გაცვლის პროგრამების არსებობის უზრუნველმყოფელი ფონდებისა და სხვა სტრუქტურების ფუნქციონირების ოპტიმიზაცია;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და განვითარება.

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება იძლევა განათლების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაყვანის შესაძლებლობას. ახალ ტექნოლოგიებში მთავარი ადგილი დისტანციურ სწავლებას უკავია. დისტანციური სწავლება დაუსწრებელი სწავლების განვითარებული ფორმაა. დაუსწრებელ სწავლებას საფუძველი XIX საუკუნეში რეგულარული საფოსტო კავშირის გაჩენამ ჩაუყარა, ხოლო დისტანციური სწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგია. დისტანციური სწავლების (e-learning) მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2004 წელს 40 მლრდ დოლარი შეადგინა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მისი მოცულობა 2000-ჯერ და მეტად გაიზარდა. ამჟამად ყველა საგანმანათლებლო მომსახურების დაახლოებით 1/5-ის მიწოდება ინტერნეტით ხდება. ინტერნეტის

მეშვეობით სწავლობს 100 მლნ ადამიანი, რაც აღემატება დასწრებული სწავლების სტუდენტთა რაოდენობას მთელ მსოფლიოში. American Educational Research Association-ის პროგნოზით, 2010 წლისათვის მსოფლიო განათლების 2/3 დისტანციურად განხორციელდება და მისი ზრდის ტემპები ტრადიციულს მნიშვნელოვნად გაუსწრებს. აღნიშნულის გამო, დისტანციური სწავლება ყველა სერიოზული უმაღლესი სასწავლებლის შემადგენელი ნაწილია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას სწავლების ამ ფორმაზე ძირითადი აქცენტი არ აქვს აღებული, რადგან დისტანციური სწავლების ფორმის მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება მათი კონკურენტუნარიანობის დაკარგვა გამოიწვიოს. ელექტრონული სწავლების უპირატესობა სხვა ფაქტორებთან ერთად ფასითაცაა განპირობებული: იგი 2-4-ჯერ უფრო იაფია ტრადიციულთან შედარებით.

დისტანციური სწავლება ხელსაყრელია უნივერსიტეტებისათვის, უპირველესად, კარგი ლექტორების, აგრეთვე სასწავლო მასალების დეფიციტისა და სიძვირის გამო. ეკონომიკურად ხელსაყრელია ერთი კარგი მულტიმედიური კურსის მომზადება და მისი პერიოდული განახლება, ვიდრე ლექტორების (ხშირ შემთხვევაში – მეორეხარისხოვანთა) შრომის ანაზღაურება.

დისტანციური სწავლების ლიდერად ითვლება აშშ. Business Week-ის მონაცემებით, დისტანციური სწავლება ამერიკის 2000-ზე მეტ კოლეჯსა და უნივერსიტეტშია დანერგილი. ევროპის ლიდერები არიან ტრადიციული სწავლების ლიდერები: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და საფრანგეთი. როგორც ცნობილია, დაუსწრებელი სწავლების განვითარება დაკავშირებული იყო გეოგრაფიულ ფაქტორთან: იგი მოხერხებულია დიდი ქალაქებიდან მოშორებით მცხოვრებთათვის. გეოგრაფიულ ფაქტორს დღესაც აქვს მნიშვნელობა (განსაკუთრებით დიდი ტერიტორიების მქონე სახელმწიფოებში), მაგრამ ელექტრონული სწავლების მთელი რიგი დადებითი მხარეების გამო, იგი აქტუალური გახდა მცირე სახელმწიფოებისთვისაც. მაგალითად, გერმანია, დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ლიდერთაგანია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ნებისმიერი ადგილიდან უახლოეს უნივერსიტეტამდე მანძილი 50 კილომეტრს არ აღემატება.

დისტანციური სწავლების ბაზრის ერთ-ერთი ტენდენციაა კოოპერაციის პროცესების გაძლიერება, რომელთა საფუძველზე იქმნება საერთაშორისო ალიანსები და მათი ბრენდები. მსოფ-

ლიოში კარგად ცნობილი ეკონომიკური პროფილის ვირტუალური უნივერსიტეტი – Unext.com აერთიანებს ეკონომიკური განათლების ისეთ ლიდერებს, როგორებიც არიან სტენფორდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტები, ლონდონის ეკონომიკის სკოლა და სხვ. სტენფორდისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებმა ჩამოაყალიბეს Stanford-Harvard-ის სტრატეგიული ალიანსი. მელბურნის უნივერსტეტმა, სხვადასხვა ქვეყნის ათამდე უნივერსიტეტსა და სახელმძღვანელოების გამომცემელ Tomson learning კომპანიასთან ერთად, შექმნა ვირტუალური უნივერსიტეტი U21 GLOBAL, რომელიც 2010 წლისათვის 100 ათასი სტუდენტის მომსახურებას გეგმავს. ნიუ-იორკის New School Universy და ინგლისური Open University შეთანხმდნენ თანამშრომლობის შესახებ. ასეთი თანამშრომლობა სტუდენტებს აძლევს რამდენიმე ძლიერი უნივერსიტეტის რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. უნივერსიტეტების გარდა, საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელია კორპორაციული სექტორი. მის წილად მოდის ელექტრონული განათლების თანხების თითქმის ნახევარი, აშშ-ში კი – 65–70%. კონსალტინგური კომპანიის IDS-ის მონაცემებით, თუ ფირმა 2000 ადამიანზე მეტს ასწავლის, მას დისტანციური სწავლება ტრადიციულთან შედარებით 75 %-ით იაფი უჯდება.

დისტანციური სწავლების განვითარება აჩქარებს გლობალიზაციის პროცესებს განათლების სფეროში, მაგრამ განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უნივერსალური მოდელი არ არსებობს. გლობალიზაციის პროცესების მიუხედავად, ყოველი ქვეყანა და, შესაბამისად, მისი განათლების სისტემა იმ გზით ვითარდება, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მის ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ტრადიციებს.

ფასიანი სწავლების შემოღებით საქართველოში ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი და მომსახურების ეს სახეობა ერთ-ერთ მომგებიან ბიზნესად იქცა. ამან განაპირობა უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის მკვეთრი ზრდა (ცხრილი 15). 1991 წელს საქართველოში მხოლოდ 19 უმაღლესი სასწავლებელი იყო და ყველა სახელმწიფო სექტორს განეკუთვნებოდა. 1995-1996 სასწავლო წელს მათმა რიცხვმა 132 შეადგინა, აქედან 23 იყო სახელმწიფო, ხოლო 109 არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლი. უმაღლესი სასწავლებელის მაქსიმალური რაოდენობა იყო 2002/2003

სახელმწიფო და არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლები და მათში სტუდენტთა რიცხოვნობა სწავლების სახეების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისათვის)

წლები	სასწავლებლების რიცხვი	სტუდენტთა რიცხოვნობა, ათასი კაცი			
		სულ	მათ შორის განყოფილებებზე		
			დღის	საღამოს	დაუსწრებელზე
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები					
2001/2002	26	115.5	87.9	0.5	27.1
2002/200	26	122.2	94.1	0.3	27.8
2003/2004	26	123.9	97.2	0.2	26.5
2004/2005	26	137.0	110.0	-	27.0
2005/2006	25	113.8	97.5	-	16.3
2006/2007	18	110.9	94.6	-	16.2
2007/2008	19	81.2	74.8	0.2	6.2
არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლები					
2001/2002	153	31.9	31.0	-	0.9
2002/2003	154	31.5	29.7	-	1.8
2003/2004	150	29.4	27.6	-	1.8
2004/2005	172	35.4	33.3	-	2.2
2005/2006	145	30.5	27.5	-	3.0
2006/2007	148	30.0	39.7	-	0.3
2007/2008	137	30.9	30.3	-	0.2

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

სასწავლო წელს, როდესაც მათმა რიცხვმა 180-ს მიაღწია. აქედან 26 იყო სახელმწიფო, ხოლო 154 არასახელმწიფო. 2007/2008 სასწავლო წლისათვის საქართველოში 19 სახელმწიფო და 137 არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლია. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის რიცხვი 1991 წლის დონეს დაუბრუნდა. 2007/2008 სასწავლო წელს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 81.2 ათასი სტუდენტი, ხოლო არასახელმწიფოში – 30.9 ათასი სტუდენტი ანუ არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებლების დიდი რიცხვის მიუხედავად (მათი რიცხვი 7.1-ჯერ აღემატება სახემწიფოსას), სტუდენტთა უმეტესი ნაწილი (73 % სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობს. ერთ არასახელმწიფო საერო (ფასიანი)

უმაღლეს სასწავლებელზე საშუალოდ მოდის 225 სტუდენტი, სახელმწიფოში – საშუალოდ 4273 სტუდენტი.

უმაღლესი სასწავლებლების ქსელის ზრდისა და ფასიანი სწავლების შემოღების შედეგად უმაღლესმა განათლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ფაქტობრივად, ქვეყანაში მასობრივი უმაღლესი განათლების სისტემა დამკვიდრდა. უმაღლესი განათლების მასობრივი ხასიათი არაა მარტო საქართველოს თავისებურება. ეს პერიოდი მრავალმა ქვეყანამ გაიარა. განვითარებულ ქვეყნებში ამ მოვლენას XX საუკუნის 70 – 80-იან წლებში ჰქონდა ადგილი. ევროპაში სტუდენტების რაოდენობა 1960 წლიდან 1980 წლამდე საშუალოდ 3,5-ჯერ გაიზარდა; ფინეთში, შვედეთსა და იტალიაში – 6-ჯერ; ესპანეთსა და ნორვეგიაში – თითქმის 10-ჯერ. სტუდენტთა რაოდენობის სწრაფი ზრდა მხოლოდ მეოცე საუკუნის დასასრულისათვის შენელდა. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მასობრივ უმაღლეს განათლებაზე გადასვლა ხდებოდა ეკონომიკური აღმავლობის ფონზე, როდესაც მკვეთრად გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა და ამან წარმოშვა მოთხოვნა კვალიფიციურ შრომაზე. საქართველოში სიტუაცია სრულიად განსხვავებულია. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა ხდებოდა მკვეთრი ეკონომიკური დაცემის, დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებისა და კვალიფიციური კადრების სიჭარბის პირობებში. ასეთ სიტუაციაში უმაღლეს განათლებას, თავის ტრადიციულ დანიშნულებასთან ერთად, „დროებითი დასაქმების“ ფუნქციაც დაეკისრა.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოჭარბების გამო უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლება და ან პროფესიული მომზადება ყოველთვის არ იძლევა სპეციალობის მიხედვით შრომითი მოწყობის გარანტიას. ამჟამად დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ 14,4% დაკავებული თავისი განათლების შესაბამისი სპეციალობით, 37,8% სხვა სახის საქმიანობას ეწევა, ხოლო 47,8% დაუსაქმებელია. ანალოგიური მდგომარეობაა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მიხედვითაც. მაგალითად, ფიზიკოსების, ქიმიკოსებისა და მათი მონათესავე პროფესიების სპეციალისტთა 43,4% დასაქმებულია სხვა, თავისი სპეციალობისთვის უცხო საქმიანობით, ხოლო 48,2% – დაუსაქმებელია. შესაბამისი მაჩვენებლები არქიტექტორების, ინჟინრებისა და მათი მონათესავე პროფესიების სპეციალისტთა მიხედვით 41,8% და 47,55 შეადგენს; ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტების მიხედვით – 16,9% და 41,0%, მათ შორის, ექიმების მიხედვით – 14,5% 38,3%. საშუა-

ლო (ზოგადი და პროფესიული) განათლების სისტემის მასწავლებლების მიხედვით – 24,4% და 43,3%, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მეცნიერების სფეროს სპეციალისტების მიხედვით – 40,3% და 50,8%[40].

განათლების მიღწეული დონე პიროვნების განვითარებისა და სპეციალისტად ჩამოყალიბების ძირითადი ინდიკატორია. განათლების მიღწეული დონის საწყისი შეფასებისათვის გამოიყენება UNDP-ის საგანმანათლებლო ინდექსი, რომელიც ადამიანური განვითარების ინდექსის შემადგენელი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ გაერო ქვეყნების კლასიფიკაციას ახორციელებს ადამიანური განვითარების დონის მიხედვით, რომლის შესაფასებლად გამოიყენება ადამიანური განვითარების ინდექსი. გაეროს მიერ ყველა ქვეყანა, რომლებისთვისაც ხდება ადამიანური განვითარების ინდექსის გაანგარიშება, დაყოფილია 3 ჯგუფად:

1. ადამიანური განვითარების მაღალი დონის ქვეყნები – ინდექსი 0,8-1,0;
2. ადამიანური განვითარების საშუალო დონის ქვეყნები – ინდექსი 0,5-0,799;
3. ადამიანური განვითარების დაბალი დონის ქვეყნები – 0,5-ზე ნაკლები ინდექსი.

გაერო 1990 წლიდან ყოველწლიურად (პირველი მოხსენება გამოქვეყნდა 1990 წელს) აქვეყნებს მოხსენებას „ადამიანური პოტენციალის განვითარების შესახებ“ (Human Development Report). 2007/2008 წლების მოხსენებაში (მისი მონაცემები 2005 წელს მოიცავს) წარმოდგენილი შედეგების მიხედვით, საქართველო ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსით (0,754) 96-ე ადგილზეა და შედის ადამიანური განვითარების საშუალო დონის ქვეყნების ანუ მეორე ჯგუფში (ცხრილი 16). ამ მაჩვენებლით იგი ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნების ადამიანური პოტენციალის განვითარების საშუალო დონეს, მაგრამ 0.011-ით უსწრებს საშუალო მსოფლიო დონეს. საქართველოს უმაღლესი მაჩვენებელი (100.0 %) აქვს მოზრდილი მოსახლეობის (15 და მეტი ასაკის) წიგნიერების დონის მხრივ, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსით იგი აღემატება აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნებისა და მსოფლიოს საშუალო დონეს, მაგრამ მოსახლეობის ერთ

---

[40] საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

სულზე მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე გაანგარიშებული მშპ-ის მოცულობით საქართველო თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნების დონეს, ისე საშუალო მსოფლიო დონეს. აღნიშნულის გამო, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ისა და ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის რეიტინგების სხვაობის (24) თვალსაზრისით, მას არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვს (ცხრილი 16).

2005 წლის მონაცემებით, ადამიანური განვითარების პოტენციალით ლიდერობს ისლანდია, რომლის საგანმანათლებლო ინდექსია 0.978, მეორე ადგილზე მყოფ ნორვეგიას კი აქვს უფრო მაღალი საგანმანათლებლო ინდექსი – 0,991. მესამე ადგილის მფლობელის ავსტრალიის საგანმანათლებლო ინდექსია 0.993. ადამიანური განვითარების პოტენციალით 96-ე ადგილზე მყოფი საქართველოს საგანმანათლებლო ინდექსია 0.914.

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საქართველოში საკმაოდ მაღალია მოსახლეობის ზოგადი განათლების დონე (ცხრილი 17). ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის (15 წლისა და უფროსი ასაკის) 22,4%-ს უმაღლესი განათლება აქვს, ნაცვლად 1989 წლის 15,1%-ისა. ასევე, 2,4%-დან 3,3%-მდე გაიზარდა დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონეთა წილიც. საშუალო პროფესიული (სპეციალური) განათლება აქვს მოზრდილი მოსახლეობის 15,7%-ს, დამთავრებული საშუალო ზოგადი განათლება – 35,8%-ს, არასრული საბაზო ზოგადი განათლება – 11,6%-ს, დაწყებითი ზოგადი განათლება კი – 6,7%-ს. წინა აღწერასთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა წერა-კითხვის უცოდინართა წილი და მხოლოდ 0,3% შეადგინა, ნაცვლად 1989 წლის 1,04%-ისა. აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის უცოდინართა თითქმის 64% 55 წელზე უფროსი ასაკისაა. მათი ძირითადი ნაწილი სოფლის მოსახლეობაზე მოდის. ამავე დროს, წერა-კითხვის უცოდინარი ქალები 1,9-ჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცები.

ცხრილი 16.

ადამიანური განვითარების ინდექსი – HDI, 2005 წ.

	საქარ-თველო	აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	მსოფლიო
ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი	0,754	0,808	0,743
დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი)	70,7	68,6	68,1
მოზრდილი მოსახლეობის (15 და მეტი ასაკის) წერა-კითხვის ცოდნის (წიგნიერების) დონე, %, 1995-2005 წწ.	100,0	99,0	78,6
დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მთლიანი მაჩვენებელი (%)	76,3	83,5	67,8
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით, აშშ დოლარი)	3365	9527	9543
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი	0,761	0,726	0,718
განათლების დონის ინდექსი	0,914	0,938	0,750
მშპ-ის ინდექსი	0,587	0,761	0,761
მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის რეიტინგი (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით, აშშ დოლარი) მინუს ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის რეიტინგი	24		

წყარო: Human Development Report, 2007/2008.

ცხრილი 17.

საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერის მონაცემებით

განათლების დონე	1959	1970	1979	1989	2002
განათლების მქონე 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა - სულ	2859386	3225623	3695607	4062367	3453269
მათ შორის					
უმაღლესი განათლებით	153418	273801	425066	613498	773364
დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით	42569	69465	79290	98167	115581
საშუალო პროფესიული განათლებით	173354	256336	414504	759735	540770
საშუალო ზოგადი განათლებით	436660	783093	1212242	1473980	1237319
არასრული საშუალო განათლებით	602159	672688	730423	615805	400804
დაწყებითი განათლებით	532598	599353	524383	347673	230
15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ ათას კაცზე აქვს:					
უმაღლესი განათლება	54	84	115	151	224
დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება	15	21	21	24	33
საშუალო პროფესიული განათლება	61	79	112	187	157
საშუალო ზოგადი განათლება	153	241	328	363	358
არასრული საშულო განათლება	211	207	198	152	116
დაწყებითი განათლება	186	184	142	86	67

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა თავისი კვალი დააჩნია განათლების სისტემას. მოსწავლეთა წილმა 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 23,2% შეადგინა. მათ შორის, 80,1% საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები არიან, რომელთა 71,0% 6-15 წლის ასაკის ბავშვებზე მოდის. 1990 წელთან შედარებით, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მოცვა 3-ჯერ და მეტად შემცირდა. ამასთანავე, ეს მაჩვენებელი ქალაქად 2,4-ჯერ მეტია, სოფელთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გამოყოფილი იყო 164 მლნ ლარი (მშპ-ის 2.1 %), 2007 წელს კი მისი მოცულობა 458 მლნ ლარამდე გაიზარდა და მშპ-ის 2.8 % შეადგინა (ცხრილი 18).

ცხრილი 18.

საქართველოს კონსოლიდირებული სახელმწიფო ბიუჯეტი განათლებისათვის, 2003-2007 წწ.

	2003	2004	2005	2006	2007
მლნ ლარი	164	286	289	414	458
მლნ აშშ დოლარი	76	149	160	232	274
%-ით მშპ-თან	2.1	2.9	2.5	3.0	2.8

წყარო: Georgian-Europian Policy and Legal Advice Centre (February 2008), Georgian Economic Trends: Quarterly Review. Tbilisi, Georgia. p.27. Final quarter for 2007 provided directly by GELPAC.

განათლების ინსტიტუტის მნიშვნელობა შეუფასებელია. ეს საზოგადოებრიეი მანქანა ყველას სჭირდება. ქართველებისათვის განათლებისაკენ სწრაფვა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული მახასიათებელი ნიშანია.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა ავაგოთ მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპის კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებითა და მომავალზე ორიენტაციით. საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა აუცილებელია, რადგან მსოფლიო ეკონომიკური ძალის, თანამედროვე სამეურნეო სისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორია ცოდნა ანუ ადამიანისეული კაპიტალის ხარისხი. ეკონომიკურ აღმავლობას ადგილი აქვს იქ, სადაც ასეთი რესურსია. „ახალ ეკონომიკას" სჭირდება უწ-

ყველი განათლება „აკვნიდან სიკვდილამდე“. შესაბამისად, საქართველოს განათლების სისტემის სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს ისეთი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ადამიანებს მისცემს პროფესიული და კარიერული ზრდისათვის აუცილებელი უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამისათვის უპირველესად, საჭიროა:

- ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა, პროგნოზირება, მარკეტინგი, რომლის მიზანია შრომის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინება და მის მოთხოვნებთან შეგუება, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე ორიენტაცია;
- სპეციალობათა კლასიფიკატორის დახვეწა, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, რათა სტუდენტებმა მიიღონ სწორედ ის კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა, რომელიც საჭიროა თანამედროვე პირობებში. ამასთან, ადამიანთა კეთილდღეობა მიღებულ განათლებაზე უნდა იყოს დამოკიდებული;
- ფართოდ დაინერგოს სწავლების ინოვაციური ტექნოლოგიები. სასწავლო პროცესი მაქსიმალურად უნდა იყოს ტექნიკურად უზრუნველყოფილი, ყოველ სტუდენტს უნდა ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობისა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დისტანციურ სწავლებას;
- მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და მეცნიერული პროდუქტის შექმნა, მის განკარგულებაში არსებული ყველა რესურსის ეფექტიანი გამოყენების გზით;
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება პრიორიტეტულ მიმართულებებში. სტუდენტებმა უნდა მიიღონ, ერთი მხრივ, ცოდნა მეცნიერების რამდენიმე სფეროს მიჯნაზე და, მეორე მხრივ, სიღრმისეული ცოდნა ვიწრო სპეციალიზაციაში;
- განათლების ხარისხის ამაღლება და მაღალხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის ამაღლება. ჩვენს განათლების სისტემაში ამჟამად შეიძლება გამოვყოთ ორი ქვესისტემა: ელიტური განათლება მომსახურების მაღალი ხარისხით (შეფარდებითი მნიშვნელობით) და დაბალი ხა-

რისხის მასობრივი უმაღლესი განათლება, რომელიც შედარებით ხელმისაწვდომია მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის;

• განვითარების როგორც შიდა ფაქტორების, ისე ინტეგრაციის უპირატესობების გამოყენება. სხვა ქვეყნებთან შეთანხმებული პოლიტიკა განათლებისა და მეცნიერების სფეროში გააძლიერებს ქვეყნის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს და ახალი ცოდნის დაგროვებას უზრუნველყოფს;

• რეფორმების განხორციელება ბოლონიის პროცესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის დაახლოებას მსოფლიო განათლების სისტემასთან;

• განათლების სფეროს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;

• განათლების სფეროს ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმის მოდერნიზაცია და მისი მართვის ორგანიზაცია შედეგების მიხედვით. ამისათვის უნდა განისაზღვროს განათლების სფეროს შედეგების ინდიკატორები, ხოლო თვით შედეგები გამჭვირვალე გახდეს;

• მართვის სტრუქტურა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმების მრავალფეროვნებას;

• განათლების სფეროს რეფორმატორთა შესაბამისი მომზადება.

საგანმანათლებლო მომსახურების ეფექტიანობა პირდაპირაა დაკავშირებული ისეთი საკითხებისა და პრობლემების გადაჭრასთან, როგორებიცაა: რა სპეციალობის კადრები უნდა მოვამზადოთ? რამდენი სპეციალისტი უნდა მოვამზადოთ? ვის სჭირდება ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალისტები? როგორ უნდა მოვამზადოთ სპეციალისტები (რა ვასწავლოთ, ვინ და როგორ ასწავლის, როგორ ისწავლიან)?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის ეროვნული რეგისტრი", რომელსაც გამოსცემენ აშშ-ის სამეცნიერო ფონდი და პროფესიული სამეცნიერო საზოგადოებები, 54 სპეციალობას მოიცავდა, ხოლო 20 წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 900-ს მიაღწია. ახალი სპეციალობების ზრდა დროისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებითაა განპირობებული. თანამედროვე პირობებში განათლება ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ცოდნის მოცულობასა და

კონკრეტულ უნარ-ჩვევებზე, ასევე თეორიაზე, ანალიზის მეთოდების ათვისებაზე, იმ თვისებების განვითარებაზე, რომლებიც სპეციალისტებს აძლევს წარმოების სწარაფადცვალებად, დინამიკურ პირობებთან შეგუების შესაძლებლობას. სწავლება კომპლექსური და მიზანმიმართული უნდა იყოს. კომპლექსური განათლება უზრუნველყოფს სპეციალისტთა პრაქტიკული საქმიანობისთვის მომზადებას და მოიცავს სწავლების, აღზრდისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადაცემის პროცესს, ყალიბდება განათლებასა და ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების თვისებრივად ახალი მოდელი.

ადამიანები თავისუფალნი არიან თავიანთ საგანმანათლებლო ტრაექტორიებში და უნდა ისწავლონ იქ, სადაც მათ სურთ. სოციალური შეზღუდვების პირობებში, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მატერიალურად შეზღუდულია, ამ თავისუფლების უზრუნველყოფა ინტერნეტს შეუძლია, ამიტომ უნდა განვითარდეს დისტანციური სწავლება და მან მასობრივი ხასიათი უნდა მიიღოს.

დისტანციური სწავლების ფორმა საქართველოში პირველად 2002-2003 სასწავლო წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე დაინერგა (ფაკულტეტის დეკანის პროფ. გიორგი ბაბუნაშვილის ინიციატივითა და ამ ნაშრომის ავტორის მონაწილეობით). აქ შემუშავდა სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, რომლებშიც მოცემულია: კურსის სასწავლო მასალა, პრაქტიკული ამოცანები, ტესტები, სწავლების კონტროლის ფორმები, ინფორმაცია ყოველი სტუდენტის მუშაობის შედეგების შესახებ, აგრეთვე საკონტროლო სამუშაოებისა და პრაქტიკული მეცადინეობების შემოწმების, მოსწრების აღრიცხვის, ცალკეული დავალებების შესრულების ვადების და სხვა სამუშაოთა შესახებ. 2005 წელს საქართველოში გაიხსნა დისტანციური სწავლების ამერიკულ-ქართული უნივერსიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის სპეციალისტთა მომზადებას. აღნიშნულ სიტუაციაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმა დროულად უნდა გაითავისონ დისტანციური სწავლების სექტორის განვითარების აუცილებლობა, რათა არ დაიკარგოს არა მარტო საგანმანათლებლო მომსახურების ეს ბაზარი, არამედ ტრადიციულიც.

საქართველოში საგანმანათლებლო ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. უცხოელი სტუდენტების სწავლების სათანადო გამოცდილება ქვეყანაში არსებობს, მაგრამ ეს არაა საკმარისი. საჭიროა სათანადო ბაზის მომზადება მათ მისაღებად. ამასთან, კარგად უნდა შევაფასოთ საქართველოს განათლების სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეები გლობალური ბაზრის მიმართ. ჩვენი ძლიერი მხარეა განათლების ფუნდამენტური ხასიათი და სწავლების დაბალი საფასური, აგრეთვე კვებისა და საცხოვრებლის დაბალი ხარჯები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების სპეციალისტებზე, ჩვენ შეგვიძლია წარმატებით ავითვისოთ ბაზრის ეს სეგმენტი და მნიშვნელოვნად გავზარდოთ შემოსავლები. ამასთან ერთად, უნდა მოვამზადოთ მასობრივი პროფესიის სპეციალისტები – სოციოლოგები, მენეჯერები, ექიმები... ამისათვის საჭიროა, რომ შევქმნათ პირობები უცხო ენაზე განათლების მისაღებად.

უცხოელი სტუდენტების სწავლება, საგარეო ბაზარზე გასვლა ამკაცრებს მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროდუქტის ხარისხისადმი და, შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის სწრაფი ამაღლების შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა, რომელმაც XXI საუკუნის დასაწყისში მიიღო მოტივაციის საკუთარი სისტემა და მამოძრავებელი ძალები. მისი ზეგავლენით სწრაფად იცვლება მსოფლიო მეურნეობის ყველა სუბიექტის საბაზრო ურთიერთობათა პირობები, განსაკუთრებულ სიმძაფრესა და დინამიზმს იძენს კონკურენცია, ვითარდება საბაზრო ანარქიის პროცესები (განსაკუთრებით სავალუტო-საფინანსო სფეროში). გლობალიზაცია ახალ პრობლემებს უქმნის კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიების განვითარებას, რადგან თეორია ვერ ასწრებს სწრაფადცვალებადი პირობების ასახვას.

საერთაშორისო კონკურენციისა საკითხების განხილ- ვისას გასათვალისწინებელია, რომ ცნობილი თეორიები აგებულია „ტრადიციული ფირმის“ ცნებაზე, რომელიც ამჟამად „ახალი ფირმის“ ცნებით შეიცვალა. ახალი ფირმისათვის დამახასიათებელია:

- არამატერიალური აქტივების (ბრენდები, პატენტები, წარმოების ორგანიზაციის ნოუ-ჰაუ და ა. შ.) წილის მკვეთრი ზრდა და მათი მნიშვნელობის ამაღლება მატერიალურ აქტივებთან შედარებით. ამასთან, ტრადიციული ფირმის მარგინალური ხარჯები იზრდება წარმოების მოცულობის ზრდის შესაბამისად, ხოლო ახალ ფირმაში ყველაფერი პირიქითაა – არამატერიალური აქტივების უკუგება იზრდება მარგინალური ხარჯების შემცირების პირობებში;
- ადამიანისეული კაპიტალის განსაკუთრებული როლი, რომელიც ამჟამად ფირმის აქტივების ძირითადი ელემენტი და მისი განვითარების საკვანძო რესურსია;
- ფირმის ცვალებადი და ბუნდოვანი საზღვრები, სივრცობრივი განვითარების ტექნოლოგიები მრავალცენტრიანი მოდელებით, რომლებშიც ეკონომიკური აქტიურობის ცენტრები გადაადგილდება;
- პარტნიორებთან და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან თანამშრომლობის მოქნილი სისტემა და უკუკავშირის ეფექტი;

• კარდინალური ცვლილებები ინვესტიციური რესურსების კორპორაციულ მართვასა და კორპორაციულ სტრატეგიაში;

აღნიშნულ გარემოებათა გამო, დღის წესრიგში დგას საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის საკითხის ახლებურად აღქმისა და გააზრების აუცილებლობა. ჩვენი აზრით, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისადმი სტრატეგიული მიდგომა ამჟამად არსებულ კვლევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ გარემოებებს:

➢ *ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე.* მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაცია იძლევა საბაზრო მეურნეობისა და ღია საზოგადოების უპირატესობათა სრული გამოყენების შესაძლებლობას და ფორმალურად ყველა ქვეყანას აძლევს თანაბარ უფლებას იყოს მსოფლიო ბაზრის სუბიექტი, მაგრამ ქვეყანათა განვითარების ასიმეტრიულობის გამო, რეალური სურათი სულ სხვანაირად გამოიყურება. პოლიტიკურად გაელენიანი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, თავიანთი მდგომარეობის გამო, იღებენ ე.წ. „განვითარების რენტას“ და მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ სტრატეგიული ლიდერობის ხარჯზე. ისინი აყალიბებენ დღის წესრიგს მთელი მსოფლიოსათვის, ზემოქმედებენ სხვა ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, განსაზღვრავენ მათი განვითარების მიმართულებებს, თანხებს ახდევინებენ სტანდარტების, ინფორმაციის, იდეების და ა. შ. გამოყენებაზე და სხვა. ამის საპასუხოდ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და რეგიონები იხდიან „ჩამორჩენილობის რენტას“ თავიანთი ბუნებრივი რესურსებით, ადამიანისეული კაპიტალით, ეკოლოგიური კვოტებით და ა. შ. განვითარებისა და ჩამორჩენილობის რენტების რაოდენობრივი შეფასება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის დადგენა უაღრესად აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია.

➢ *მსოფლიო ბაზრების მონოპოლიზაცია და მათი მართვა ზენაციონალურ დონეზე.* საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიო ბაზრები ხასიათდება მონოპოლიზაციის მაღალი დონით და ოლიგოპოლიური სტრუქტურით. ასეთ ბაზრებზე შეღწევა განვითარებადი ქვეყნებისათვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია. როგორც Oxfam International-ის მოხსენებაშია აღნიშნული, განვითარებული ქვეყნები მხარს უჭერენ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციას განვითარებად ქვეყნებში, თავიანთ საზღვრებზე

კი ინარჩუნებენ საგაჭრო ბარიერებს. Oxfam-ის კვლევით დადგენილია, რომ ფართოდ რეკლამირებული აქციები (მაგალითად, ევროკავშირის პროგრამა EBAI, რომელიც თითქოსდა ხსნის ევროპულ ბაზრებს მსოფლიოს ყველაზე ღარიბი 48 ქვეყნის საქონლისათვის) სინამდვილეში უმნიშვნელო ეფექტისაა. მათ არ შეუძლიათ ვაჭრობის არათანაბარი პირობების კომპენსირება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებით განპირობებული. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას იღებენ ბაზრების მონოპოლიზაციისაგან. გარდა ამისა, თანამედროვე ეტაპზე ადგილი აქვს ბაზრების მართვას ზენაციონალურ დონეზე. სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინსტიტუციონალიზაციის ქსელური ფორმის ზენაციონალური სტრუქტურები. ინსტიტუციური ნორმები კონკურენტუნარიანობის მძლავრი იარაღია, რომელსაც იყენებენ ქვეყნები, ქვეყანათა ჯგუფები და ფირმები გლობალურ ეკონომიკაში. საერთაშორისო ორგანიზაციები უმსხვილეს სახელმწიფოებთან და ტნკ-ებთან ერთად ამყარებენ ბაზარზე თამაშის წესებს. ამასთან, ეს წესები არაერთგვაროვანია ბაზრის ყველა სუბიექტისათვის, რადგან არაერთგვაროვანია როგორც მათი პოზიციები მსოფლიო ბაზარზე, ასევე დარგებისა და ფირმების განვითარების პირობები. გლობალურ ეკონომიკაში საჭიროა მსოფლიო ბაზრის სუბიექტთა რეალური გეოპოლიტიკური პოზიციების გათვალისწინება და პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების თანაფარდობის დადგენა.

➢*ტნკ-ისა და მათი რეციპიენტი ქვეყნების ინტერესების თანხვედრა.* ბრძოლა ეროვნულ ეკონომიკაში კაპიტალის მისაზიდად მართვის განსაკუთრებული შეღავათიანი პირობებისა და რეჟიმების მიცემით, კონკურენციის სპეციფიკურ ფორმად იქცა, მაგრამ ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტნკ-ისა და რეციპიენტი ქვეყნების ინტერესების დამთხვევის დონის დადგენას. თუ რეციპიენტი ქვეყნისა და ტნკ-ის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მათი კონკურენტული პოზიციები იზრდება. სხვა სიტუაციაში კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი ძალთა თანაფარდობა იქნება. ტნკ-ის საქმიანობის კონტროლისათვის საჭიროა ქვეყანათა ძალისხმევის კოორდინაცია ტნკ-ისა და რეციპიენტ ქვეყნებს შორის კონკურენტული უპირატესობების სამართლიანი გადაწყვეტილებისათვის.

➢ცვლილებები კორპორაციებისა და შიგაკორპორა ციულ დონეზე ურთიერთობათა სისტემაში. გლობალიზაციამ შეცვალა ურთიერთობათა სისტემა კორპორაციებისა და შიგაკორპორაციულ დონეებზე. მართალია, ბაზრის კანონი გულისხმობს ინტენსიურ კონკურენტულ ბრძოლას, მაგრამ ცივილიზებული ბაზრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ფირმათა მცირე ნაწილი ცდილობს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მიღწევას თავისი კონკურენტების ლიკვიდაციის ხარჯზე. თანამედროვე ეტაპზე ფირმის კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაში მთავარ ხელოვნებად ითვლება მძაფრი და უაზრო კონკურენციის თავიდან აცილების უნარი. ბაზრის კონიუნქტურის სწრაფი ცვლილებების პირობებში არც ერთ ფირმას არ შეუძლია ლიდერობის შენარჩუნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ უაზრო მეტოქეობასთან დაკავშირებული ხარჯების აცილების მიზნით, ფირმები იყენებენ სტრატეგიული თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას. ეს, თავის მხრივ, აძლიერებს მათ პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე და თვით ბაზრების მონოპოლიზაციის დონეს. მონოპოლიზაციის პროცესებს, ასევე, აღრმავებს საწარმოო-სასაქონლო კავშირების ინტერნაციონალიზაცია. ამ კავშირების ფირმისშიდა ბრუნვაში მოქცევის შედეგად მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ მცირე ნაწილს (დაახლოებით 1/4-ს) შეუძლია თავისუფალი კონკურენციის რეჟიმში ფუნქციონირება. ამასთან, საერთაშორისო კონკურენცია, ფაქტობრივად, ლოკალიზაბულია მეტ-ნაკლებად ერგვაროვანი ქვეყნების ჩარჩოებში. კონკურენცია მძაფრდება ამ ქვეყანათა ჯგუფების ჰორიზონტალურ დონეებზე, რომელთა შორის ზღვარი სულ უფრო მეტად ღრმავდება და ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა ანუ ვერტიკალური მოძრაობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

➢*საერთაშორისო მიგრაცია.* მიგრაციული პროცესების ზრდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა. საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, თუ 1965 წელს საერთაშორისო მიგრანტების რიცხვმა 75 მლნ ადამიანი შეადგინა, XXI საუკუნის დასაწყისში იგი 140-150 მლნ ადამიანით ფასდება. ამასთან, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები აღმოჩნდნენ „ტვინების გადინების“ სერიოზული პრობლემის წინაშე, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყანათა ტექნოლოგიურ უთანასწორობას და ხელს უწყობს განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. შესაბამისად, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანალიზის დროს უნ-

და დადგინდეს საკუთარი და „შეძენილი" ტვინების თანაფარდობა, მათი შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა და, საერთოდ, მიღებულ შედეგებში მათ მიერ შეტანილი წვლილი.

➢*პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.* ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საკმაოდ ძლიერია, ამიტომ მიზანშეწონილია სახელმწიფოთა შედარება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ქვეყნის შიდა ინვესტიციების მოცულობაში, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით წარმოებული პროდუქციის წილი ქვეყანაში წარმოებულ მთლიან პროდუქციაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ქვეყნის შიგნით წარმოებულ ეროვნულ პროდუქტში. ეს მაჩვენებელები, UNCTAD-ის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა ქვეყნის პოზიციების დასახასიათებლად გამოყენებულ მაჩვენებელებთან ერთად კიდევ უფრო გააღრმავებენ ქვეყანათა კონკურენტუნარიანობის ანალიზს.

➢*რესურსების გამოყენების ეფექტიანობა.* საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანალიზის დროს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა სხვადასხვა მაჩვენებლით ფასდება. მიგვაჩნია, რომ ისინი ძირითადად განვითარების რენტის შედეგებს ასახავენ და ამიტომ სრულყოფას საჭიროებენ.

მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, გლობალიზაციის პროცესები საბაზრო ეკონომიკისა და ღია საზოგადოების უპირატესობათა გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რის შედეგად კონკურენტულ ბრძოლაში სულ უფრო მეტი ქვეყნები და კომპანიები ერთვებიან. ასეთ პირობებში კონკურენცია განსაკუთრებულ სიმძაფრესა და დინამიზმს იძენს. თავის მხრივ, კონკურენციის მაღალი დონე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის მაღალ დონესა და, ამასთან, მის ცოდნას საჭიროებს. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ამჟამად ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შეფასებას სხვადასხვა ორგანიზაცია ახორციელებს. მათ შორის არიან: მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და სხვა.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი 1989 წლიდან აქვეყნებს წელიწდეულს მსოფლიო კონკურენ-

ტუნარიანობის საკითხებზე. მისი მიზანია მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის დონისა და ტენდენციების შედარება, მაგრამ ამ რეიტინგში საქართველოს ეკონომიკა ჯერ არ განიხილება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ანგარიშობს კონკურენტუნარიანობის სამ ინდექსს:

1.იმპორტის კონკურენტუნარიანობა;

2.ექსპორტის კონკურენტუნარიანობა;

3.მთლიანი კონკურენტუნარიანობა.

1979 წლიდან ქვეყნების კონკურენტუნარიანობას აფასებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, რომლის მეთოდოლოგია სისტემატურად იხვეწება. 2008 წლამდე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ორ ინდექსს:

1.გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index – GCI),

2.ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Business Competitiveness Index - BCI).

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი თავდაპირველად შემუშავებული იყო ჯეფრი საქსისა და მაკ-არტურის მიერ და მას ეწოდებოდა კონკურენტუნარიანობის ზრდის ინდექსი. გლობალიზაციის პროცესების განვითარების ასახვის მიზნით, ეს ინდექსი გააფართოეა ქსავიე სალა-ი-მარტინმა და სწორედ ამის შემდეგ მას ეწოდა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი შემუშავებულია მაიკლ პორტერის მიერ. იგი ეფუძნება კონკურენტუნარიანობის რომბის თეორიას, რომლის თანახმად ქვეყანას კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სჭირდება მთელი რიგი ფაქტორები. კერძოდ, მ. პორტერის თეორიაში გამოყოფილია ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის შემდეგი 4 ძირითადი პარამეტრი[41]:

1.ფაქტორული პირობები;

2.მოთხოვნის პირობები;

3.მომიჯნავე (მახლობელი) და მომსახურე დარგები;

4.ფირმის სტრატეგია და კონკურენცია.

2008 წლიდან ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შემადგენელ ნაწილად იქცა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ახალი

[41] *Портер М. Международная конкуренция. - М., 1993*

ინდექსი ინდიკატორების კორელაციის მაღალი დონით ხასიათდება, რადგან მასში ახალი მეთოდოლოგიური მიდგომაა გამოყენებული.

უკანასკნელი წლებში გლობალური კონკურენტუნა- რიანობის ინდექსი ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ საკვანძო მაკროეკონომიკურ და ინსტიტუციურ ელემენტებთან მუშაობის სასარგებლო ინსრტუმენტად განიხილება. მას იყენებენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და სხვადასხვა ორგანიზაციები.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2007-2008 წლებში გაანგარიშებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 131 ქვეყანას შორის ლიდერობს აშშ – 5.67 ქულა, მეორე ადგილზეა შვეიცარია – 5.62 ქულა, მესამეზე – დანია – 5.55 ქულა, საქართველო 90-ე ადგილზეა – 3.83 ქულა, ბოლო ადგილზეა ჩადი – 2.78 ქულა (ცხრილი 19). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსების გაანგარიშება მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2005 წლიდან დაიწყო, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის – 2006 წლიდან.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი სინთეზური მაჩვენებელია, რომელიც მოიცავს:

1. ბიზნესის გარემოს ხარისხსა და
2. კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების შეფასებას.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის 2007 წლის რეიტინგში წარმოდგენილია 127 ქვეყანა, 2006 წლის 121 ქვეყნის ნაცვლად. ამ რეიტინგში ლიდერობს აშშ, რომელიც პირველობას 3 წლის განმავლობაში ინარჩუნებს. პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე კონკურენტუნარიანია ესტონეთის ეკონომიკა. მას რეიტინგში 27-ე ადგილი უკავია (4.75 ქულა). რუსეთი 58-ე ადგილზეა, ხოლო საქართველო – მე-100 ადგილზე. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა აქვს აზერბაიჯანს (78-ე ადგილი), უარესი – სომხეთს (108-ე ადგილი). რეიტინგში ბოლო 131-ე ადგილზეა ჩადი (ცხრილი 20). საქართველოსათვის განსხვავება GCI-სა და BCI-ს შორის 10 ერთეულია, ანუ ბიზნესის კონკურენტუნარიანობა ჩამორჩება ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

ცხრილი 19.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი – GCI

ქვეყანა/ ეკონომიკა	GCI 2007-2008		GCI 2007-2008 რეიტინგი 2006 წლის ქვეყნებს შორის	GCI 2006-2007
	რეი-ტინ-გი	ქუ-ლა		
აშშ	1	5,67	1	1
შვეიცარია	2	5.62	2	4
დანია	3	5.55	3	3
შვედეთი	4	5.54	4	9
გერმანია	5	5.51	5	7
იაპონია	8	5.43	8	5
ჰონკონგი	12	5.37	12	10
ესტონეთი	27	4.74	27	26
ჩინეთი	34	4.57	34	35
რუსეთი	58	4.19	55	59
აზერბაიჯანი	66	4.07	62	62
საქართველო	90	3.83	83	87
სომხეთი	93	3.76	85	80
ჩადი	131	2.78	122	121
წყარო: http://www.weforum.org				

როგორც ცხრილი 20-ის მონაცემებიდან ჩანს, 2007 წელს 2005 წელთან შედარებით, საქართველოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი გაუარესდა: ქვეყანამ 86-ე ადგილიდან მე-100 ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა ეს გარკვეულწილად რეიტინგში ქვეყანათა რაოდენობის ზრდის მიზეზითაცაა განპირობებული. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მსგავსად, ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხით საქართველო მე-100 ადგილზეა (ცხრილი 21), ხოლო კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების ხარისხით იგი 93-ე ადგილზეა (ცხრილი 22).

ცხრილი 20.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი – BCI

ქვეყანა/ ეკონომიკა	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001
აშშ	1	1	1	2	2	1	2
გერმანია	2	2	3	3	3	3	5
ფინეთი	3	3	2	1	1	2	1
იაპონია	10	8	7	11	13	15	16
ჰონგ კონგი	12	12	15	13	20	19	18
ესტონეთი	26	25	26	25	27	26	26
ჩინეთი	57	59	48	44	42	44	50
რუსეთი	71	73	61	58	61	55	57
აზერბაიჯანი	78	72	-	-	-	-	-
საქართველო	100	92	86	-	-	-	-
სომხეთი	108	91	-	-	-	-	-
ჩადი	127	111	98	93	-	-	-
წყარო: http://www.weforum.org							

ცხრილი 21.

ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხის რეიტინგი

ქვეყანა/ ეკონომიკა	2007	2006	2005	2006	2003	2002	2001
აშშ	1	1	1	2	2	1	2
გერმანია	2	3	3	4	5	3	5
ფინეთი	3	2	2	1	1	2	1
იაპონია	10	8	9	11	20	16	17
ჰონგ კონგი	10	11	13	12	18	19	18
ესტონეთი	26	24	24	24	26	26	26
ჩინეთი	57	58	47	44	43	44	50
რუსეთი	70	71	60	57	59	53	56
აზერბაიჯანი	81	73	-	-	-	-	-
საქართველო	100	92	86	-	-	-	-
სომხეთი	106	89	-	-	-	-	-
ჩადი	127	111	98	93	-	-	-
წყარო: http://www.weforum.org							

კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების ხარისხის რეიტინგი

ქვეყანა/ ეკონომიკა	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001
აშშ	1	1	2	1	1	1	1
გერმანია	2	2	1	2	2	2	4
ფინეთი	9	9	8	5	3	3	3
იაპონია	6	3	3	4	6	8	9
ჰონკონგი	16	15	15	17	23	21	19
ესტონეთი	35	34	32	33	34	32	32
ჩინეთი	54	59	45	39	40	38	46
რუსეთი	77	77	70	65	64	60	62
აზერბაიჯანი	72	67	-	-	-	-	-
საქართველო	93	93	85	-	-	-	-
სომხეთი	115	94	-	-	-	-	-
ჩადი	127	113	99	94	-	-	-

წყარო: http://www.weforum.org

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008 წლის რეიტინგში საქართველო, 2007 წლის მსგავსად, 90-ე ადგილზეა, მაგრამ მისი ქულათა ჯამი წინა პერიოდთან შედარებით 3.83-დან 3.9-მდე გაიზარდა. ამ წელს საქართველოს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს შრომის ბაზრის ეფექტიანობის მაჩვენებლის მიხედვით (22-ე ადგილი და 4.8 ქულა), ხოლო დაბალი – მაკროეკონომიკური სტაბილურობის (118-ე ადგილი და 4.0 ქულა), ბიზნესის სოფისტიკაციის (112-ე ადგილი და 3.4 ქულა) და ინოვაციების (107 ადგილი და 2.7 ქულა) მიხედვით (ცხრილი 23). აღნიშნული მიუთითებს, რომ კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საქართველოს სჭირდება სტაბილური ბიზნეს-გარემო და განვითარების ინოვაციური მოდელი, რომელიც ცოდნის ეკონომიკასა და მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე იქნება დაფუძნებული.

ცხრილი 23.

საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი

	2008-2009		2007-2008	
	რეიტინგი	ქულა	რეიტინგი	ქულა
GCI	**90**	**3.9**	**90**	**3.83**
სუბინდექსი A. ძირითადი მოთხოვნები	**91**	**4.1**	**87**	**4.07**
1. დაწესებულებები	69	3.9	86	3.62
2. ინფრასტრუქტურა	77	3.2	83	2.92
3. მაკროეკონომიკური სტაბილურობა	118	4.0	93	4.49
4.ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	91	5.1	82	5.26
სუბინდექსი B. ეფექტიანობის გამაძლიერებლები	**87**	**3.7**	**90**	**3.55**
5. უმაღლესი განათლება და ტრეინინგები	84	3.7	86	3.59
6. სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა	71	4.2	83	3.95
7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა	22	4.8	28	4.75
8. ფინანსური ბაზრის სოფისტიკაცია (გამოცდილება)	79	4.1	84	3.98
9. ტექნოლოგიური მზადყოფნა	97	2.8	103	2.56
10. ბაზრის ზომა	102	2.7	108	2.49
სუბინდექსი C. ინოვაციები და ფაქტორების სოფისტიკაცია	**109**	**3.1**	**119**	**2.90**
11. ბიზნესის სოფისტიკაცია	112	3.4	123	3.14
12. ინოვაციები	107	2.7	110	2.65

წყარო: http://www.weforum.org

სიღარიბის გლობალური პრობლემა და საერთაშორისო ბიზნესის გარემო

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მკაფიოდ გამოიკვეთა მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციები, რომელთა შორის აღსანიშნავია, ერთი მხრივ, ქვეყანათა ურთიერთდა- მოკიდებულობის ზრდა და, მეორე მხრივ, მსოფლიო განვითარების პოლარიზაცია. ამჟამად განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს პლანეტის მოსახლეობის თითქმის 4/5 და იგი ყველაზე არახელსაყრელ სოციალურ სიტუაციაშია. პლანეტის მოსახლეობის 20 % დღეში 1 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს და მასზე მოდის მსოფლიო შემოსავლის მხოლოდ 1,5 %. პლანეტის მოსახლეობის 40 % დღეში 2 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს და მისი წილი მსოფლიო შემოსავალში დაახლოებით 5 %-ია. პლანეტის მოსახლეობის ამ 60 %-ს ხელი არ მიუწვდება სოციალური დაცვის მრავალ ისეთ სახეზე, რომელიც ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

1990 წლის შემდეგ დღეში 1 დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოსახლეობის წილი პლანეტაზე 28 %-დან 21 %-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, ამჟამად სიღარიბის ზღვარს ქვეით 1 მლრდ-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მსოფლიოს მიზანია 2015 წლისათვის 2-ჯერ შეამციროს უკიდურესი სიღარიბე შემოსავლების მიხედვით, მაგრამ არსებული მონაცემების თანახმად, დაახლოებით 380 მლნ ადამიანისათვის ეს მიზანი მიუღწეველი იქნება.

დიდი ხნის განმავლობაში სიღარიბის ქვედა ზღვრად ითვლებოდა შემოსავალი 1 დოლარი დღეში. მხოლოდ 2000 წელს მსოფლიო ბანკმა ეს ზღვარი 2,5 დოლარამდე ასწია. აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის სიღარიბის ზღვარია დღეში 4 დოლარი 1 ადამიანზე. აშშ-ში და მრეწველობით განვითარებულ სხვა ქვეყნებში ღარიბად ითვლება ადამიანი, რომლის დღიური შემოსავალი 14 დოლარზე ნაკლებია.

სიღარიბის პრობლემა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მსოფლიო საზოგადოებაში, რადგან იგი აქვეითებს ადამიანური რესურსების ხარისხს: ჯანმრთელობასა და განათლებას, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის შრომის მოტივაციასა და სოციალურ აქტიურობაზე. მის გარეშე კი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა არარეალურია. საინტერესოა, რომ მსოფლიოში ღარიბთა რიცხვი ფაქტობრივად არ იცვლება და სიღარიბესთან

ბრძოლის რეალური, ქმედითი ხერხები არ არსებობს. მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ინვესტიციები შედეგს არ იძლევა. ასევე უშედეგოა არახელსაყრელი ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერა. სიღარიბის დონე (ღარიბთა წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში) ევროპის ქვეყნებში 5-7 %-ის დონეზეა, აშშ-ში – არანაკლებ 12 %. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე ღარიბი 30 ქვეყანა აფრიკაშია (საჰარის სამხრეთით), მათ შემდეგ კი პოსტსაბჭოთა ქვეყნები არიან. 2006 წელს საქართველოში სიღარიბის დონემ მედიანური მოხმარების მიმართ 23,3 % შეადგინა, ხოლო 40 %-ის მიმართ – 9,4 %. საარსებო მინიმუმი კი საშუალოდ 106,5 ლარია.

ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თანამშრომლობა ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, რომლის საფუძველია კონკურენციის განვითარება, მოსახლეობის სოციალური დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა, გარემოს დაცვა და სხვა. გაერო ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას განვითარებად ქვეყნებში, რადგან იგი სამუშაო ადგილების შექმნის, მეწარმეობისა და ინოვაციების საფუძველია. გაეროს კვლევების თანახმად, განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორს გააჩნია 3 სახის სტრუქტურული პრობლემა:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები მუშაობენ არაფორმალურად;

2. მცირე და საშუალო ბიზნესს არ გააჩნია გლობალური მაკროგარემო, მატერიალური და სოციალური ინფრასტრუქტურა, მათთვის ხელმიუწვდომელია დაფინანსების საშუალებები, ცოდნა და უნარ-ჩვევები;

3. კონკურენციის არასათანადო დონის გამო, რეალურად დიდ ფირმებს საბაზრო პირობებში მუშაობა არ შეუძლიათ.

სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა 4 შემადგენელზეა დაფუძნებული:

- კერძო მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- სახელმწიფო სექტორში ანგარიშგების, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება;
- გაზის სფეროსა და ელექტროენერგეტიკაში მუშაობის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

სიღარიბის პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც. მართალია ქვეყანაში უმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებ- ლები,

მაგრამ ეს, უპირველესად, იმ მონოპოლიების ხარჯზე ხდება, რომელთა გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს: გაზი, ელექტროენერგია, წყალი, კომუნიკაციები და ა. შ. ამ მონოპოლიების ზემოგების ხარჯზე იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები და საშუალო ხელფასი, ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას. მაგრამ ამასთან, მონოპოლიები ქვეყანაში სიღარიბის ზრდას განაპირობებენ, რადგან საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის საგადასახადო წნეხი მოსახლეობაზე გადადის – მათ უნდა მეტი გადაიხადონ. მეტი გადასახადი კი აკოტრებს მცირე და საშუალო ბიზნესს, დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი სიღარიბის ქვედა ზღვარს მიღმა გადადის და, რაც ყველაზე მთავარია, სიღარიბის პრობლემის გადაჭრა ბიუჯეტში შესული თანხებით შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში სიღარიბე დაგეგმილი მოვლენაა: არსებული ეკონომიკური პოლიტიკა გამიზნულია მოსახლეობისაგან ფულის ამოქაჩვაზე იმ მომსახურების ანაზღაურების სახით, რომლის გარეშეც იგი ვერ იარსებებს. შესაბამისად, სიღარიბის დასაძლეველად, უპირველესად, აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. ეკონომიკური პოლიტიკა გამიზნული უნდა იყოს საზოგადოებაში უთანასწორობის ზრდის შემცირებაზე, ბიზნესის, უპირველესად კი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, სტრუქტურულ რეფორმაზე. ბიზნესის განვითარებით შესაძლებელია სამეწარმეო უნარის მქონე ადამიანებისათვის შემოსავლის წყაროს გაჩენა და იმ პირთათვის სამუშაო ადგილების შექმნა, ვინც სახელმწიფო სექტორში ადგილს ვერ პოულობს.

საქართველოში სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არაკონკურენტუნარიან, არაეფექტიან დარგებშია დასაქმებული, რომელთაც მაღალი ხელფასების გაცემა არ შეუძლიათ. ქვეყნის არაოპტიმალური და არაკონკურენტუნარიანი მეურნეობა განკერძოებულობას, საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა სექტორისა და სეგმენტის ინტერესთა წინააღმდეგობას იწვევს, ამიტომ იგი სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებებს საჭიროებს. სტრუქტურულმა რეფორმამ მეურნეობის დარგობრიული სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად რეგიონული სტრუქტურების ცვლილებაც უნდა მოიცვას, რადგან ღარიბთა უმეტესი ნაწილი რეგიონებში, სოფლებსა და მცირე ქალაქებში ცხოვრობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ეტაპზე რეგიონებისა

და ბიზნესის განვითარების ეფექტიანობა კლასტერებისა და სხვა ქსელური საწარმოო სისტემების გამოყენებასთანაა დაკავშირებული. კლასტერი რეგიონების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეალური და ეფექტიანი საშუალებაა, ამიტომ მას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

ბიზნესის სტიმულირება, სტრუქტურული რეფორმები, მაღალი ტექნოლოგიების განვითარება სიღარიბესთან ბრძოლის ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში რეალიზდება და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაში აისახება.

საერთაშორისო ბიზნესის გარემო ფირმის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობაა. სხვადასხვა საბაზრო სიტუაციაში ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედების დონე არსებითად იცვლება. დროთა განმავლობაში ზოგიერთი ძირითადი ფაქტორი შეიძლება გახდეს მეორეხარისხოვანი, ან პირიქით. ამასთან, ფირმაზე მათი ზემოქმედების დონე მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია მისი საქმიანობის მასშტაბები და სფეროები.

საერთაშორისო ბიზნესის გარემოს შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფაში. ამიტომ ფირმების გარდა, მის შესწავლას მრავალი ორგანიზაცია ახორციელებს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის გამოკვლევები (პროექტი doing business), რომელთა შედეგები ყოველწლიურად ქვეყნდება[42]. პროექტის მიზანია სამეწარმეო საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების სისტემის გაგებისა და სრულყოფისათვის ობიექტური საფუძვლის შექმნა. ამ პროექტის პირველი მოხსენება გამოქვეყნდა 2003 წელს. მასში განხილული იყო 131 ქვეყანა, ხოლო ანალიზი განხორციელდა 5 მაჩვენებლის მიხედვით. ამჟამად ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი 10 მაჩვენებელი:[43] ბიზნესის წამოწყება (კომპანიის დაფუძნება); მშენებლობაზე ნებართვის მიღება; მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება; საკუთრების რეგისტრაცია; კრედიტის მიღება; ინვესტორების ინტერესების დაცვა; გადასახადების გადახდა; საერთაშორისო ვაჭრობის წარმოება; კონტრაქტების შესრულება; ბიზნესის (კომპანიის) დახურვა.

---

[42] *http://www.doingbusiness.org/*

[43] *http://russian.doingbusiness.org/Documents/DB2009_Overview_Russian.pdf*

როგორც ცხრილი 24-ის მონაცემები გვიჩვენებენ, 2007-2008 წლების რეიტინგში ბიზნესის წარმოების სიმარტივით ლიდერების პირველ სამეულში შედიან: სინგაპური, ახალი ზელანდია და აშშ. სინგაპური ლიდერობს მუშა-მოსამსახურეთა დაქირავების და ინვესტორების ინტერესების დაცვის პირობებში, აშშ – მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა დაქირავების პირობებში. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინგში პირველობის მიუხედავად, სინგაპურს მე-16 ადგილი უკავია საკუთრების რეგისტრაციაში, მე-14 – კონტრაქტების შესრულებაში, მე-10 – კომპანიის დაფუძნებაში. ახალი ზელანდია 23-ე ადგილზეა ვაჭრობის წარმოების პირობებში, მე-17 – ბიზნესის დახურვაში, მე-14 – მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებაში, მე-12 – გადასახადების გადახდაში. კიდევ უფრო განსხვავებული რეიტინგები აქვს ბიზნესის წარმოების სიმარტივით მესამე ადგილზე მყოფ აშშ-ს: 46-ე ადგილი – გადასახადების გადახდაში, 26-ე – მშენებლობაზე ნებართვის მიღებაში, მე-15 – ბიზნესის დახურვასა და საერთაშორისო ვაჭრობის წარმოებაში, მე-12 – საკუთრების რეგისტრაციაში.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ბიზნეს-გარემომ არსებითი ცვლილებები განიცადა. 2008-2009 წლების რეიტინგში საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტივით მე-15 ადგილზეა მსოფლიოში (ცხრილი 24). ამ პირობით იგი უსწრებს მრავალ განვითარებულ ქვეყანას და ლიდერობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. საქართველო მე-2 ადგილზეა მსოფლიოში საკუთრების რეგისტრაციის პირობით, მე-4-ზე – კომპანიის დაფუძნებაში, მე-5-ზე – მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებაში, მე-10-ზე – მშენებლობაზე ნებართვის მიღებაში, 28-ეზე – კრედიტის მიღებაში, 38-ეზე – ინვესტორების ინტერესების დაცვაში, 43-ეზე – კონტრაქტების შესრულებაში. მაგრამ მას არასახარბიელო მაჩვენებლები აქვს ბიზნესის დახურვისა (92-ე ადგილი) და გადასახადების გადახდის (110-ე ადგილი) პირობების თვალსაზრისით.

ბიზნესის წამოწყების თვალსაზრისით საუკეთესო ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: ახალი ზელანდია, კანადა, ავსტრალია, საქართველო, ირლანდია, აშშ, მავრიტანია, გაერთიანებული სამეფო, პუერტო-რიკო, სინგაპური, ხოლო ამ მაჩვენებლით ყველაზე ცუდი პირობების ათეულში არიან: გვიანა-ბისაუ, ჩადი, ტოგო, ერიტრია, გვინეა, ჰაიტი, ერაყი, ეკვატორული გვინეა, ჯიბუტი, კამერუნი და ინდონეზია.

ზოგიერთი ქვეყნის რეიტინგი ბიზნესის წარმოების პირობების მიმზიდველობით, 2008 წ.

ქვეყანა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
სინგაპური	1	10	2	1	16	5	2	5	1	14	2
ახ. ზელანდია	2	1	2	14	3	5	1	12	23	11	17
აშშ	3	6	26	1	12	5	5	46	15	6	15
ჰონკონგი	4	15	20	20	74	2	3	3	2	1	13
დანია	5	16	7	10	43	12	24	13	3	29	7
გაერთ.სამეფო	6	8	61	28	22	2	9	16	28	24	9
ირლანდია	7	5	30	38	82	12	5	6	18	39	6
კანადა	8	2	29	18	32	28	5	28	44	58	4
ავსტრალია	9	3	57	8	33	5	53	48	45	20	14
ნორვეგია	10	33	66	99	8	43	18	18	7	7	3
ისლანდია	11	17	28	62	15	28	70	32	34	3	16
იაპონია	12	64	39	17	51	12	15	112	17	21	1
ტაილანდი	13	44	12	56	5	68	11	82	10	25	46
ფინეთი	14	18	43	129	21	28	53	97	4	5	5
საქართველო	15	4	10	5	2	28	38	110	81	43	92
საუდის არაბ.	16	28	50	45	1	59	24	7	16	137	57
შვედეთი	17	30	17	114	10	68	53	42	6	55	18
ბაჰრეინი	18	49	14	26	18	84	53	15	21	113	25
ბელგია	19	20	44	37	168	43	15	64	43	22	8
მალაიზია	20	75	104	48	81	1	4	21	29	59	54
აზერბაიჯანი	33	13	155	15	9	12	18	102	174	26	81
სომხეთი	44	66	42	54	5	28	88	150	143	61	47
ჩინეთი	83	151	176	111	30	59	88	132	48	18	62
რუსეთი	120	65	180	101	49	109	88	134	161	18	89

1 – ბიზნესის წარმოების სიმარტივე; 2 – ბიზნესის წამოწყება (კომპანიის დაფუძნება); 3 – მშენებლობაზე ნებართვის მიღება; 4 – მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება; 5 – საკუთრების რეგისტრაცია; 6 – კრედიტის მიღება; 7 – ინვესტორების ინტერესების დაცვა; 8 – გადასახადების გადახდა; 9 – საერთაშორისო ვაჭრობის წარმოება; 10 – კონტრაქტების შესრულება; 11 – ბიზნესის დახურვა.

წყარო: http://www.doingbusiness.org/economyrankings/

მშენებლობაზე ნებართვის მიღების პირობით ლიდერები არიან: სენტ-ვინსენტი და გრენადინი, სინგაპური, ახალი ზელანდია, ბელიზი, მარშალის კუნძულები, სენტ-კიტსი და ნევისი, დანია, მალდივები, კენია, საქართველო, ხოლო ჩამორჩენილების რიცხვში შედიან: ერიტრია, რუსეთი, უკრაინა, ტაჯიკეთი, ლიბერია, ჩინეთი, ყაზახეთი, ზიმბაბვე, ბურუნდი, ტანზანია და სერბია.

მუშა-მოსამსახურეთა დაქირაების პირობებით საუკეთესოთა პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, აშშ, მარშალის კუნძულები, მალდივები, საქართველო, ტონგო, ბრუნეი, ავსტრალია, პალაუ და დანია, ხოლო ამ მაჩვენებლით ყველაზე ცუდი პირობების ათეულში არიან: ვენესუელა, ბოლივია, სან-ტომე და პრინსიპი, ეკვატორული გვინეა, პარაგვაი, გვინეა-ბისაუ, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ანგოლა, სიერა-ლეონე და პანამა.

საკუთრების რეგისტრაციის რეიტინგში წამყვანი ქვეყნები არიან: საუდის არაბეთი, საქართველო, ახალი ზელანდია, ლიტვა, ტაილანდი, სომხეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, აზერბაიჯანი და შვედეთი, ჩამორჩენილები – ტიმორი ლესრე (აღმოსავლეთი ტიმორი), მიკრონეზია, მარშალის კუნძულები, ბრუნეი, მალდივები, ნიგერია, ბანგლადეში, ავღანეთი, ანგოლა და ლიბერია.

კრედიტის მიღების თვალსაზრისით საუკეთესო პირობები აქვთ შემდეგ ქვეყნებს: მალაიზია, ჰონკონგი, გაერთიანებული სამეფო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სინგაპური, ახალი ზელანდია, აშშ, ავსტრალია, ისრაელი, ბულგარეთი. ყველაზე ცუდი პირობები კი აქვთ პალაუს, ტიმორი ლესრეს (აღმოსავლეთ ტიმორს), ავღანეთს, სირიის არაბეთის რესპუბლიკას, ერიტრიას, ტაჯიკეთს, ჯიბუტს, მადაგასკარს, ბუტანსა და იემენს.

ინვესტორების ინტერესებს ყველაზე უკეთ იცავენ შემდეგი ქვეყნები: ახალი ზელანდია, სინგაპური, ჰონკონგი, მალაიზია, აშშ, ირლანდია, კანადა, ისრაელი, გაერთიანებული სამეფო და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; ყველაზე ცუდად – ავღანეთი, ლაოსი, სურინამი, სვაზილენდი, ჯიბუტი, ვენესუელა, გვინეა, რუანდა, გამბია და მიკრონეზია.

გადასახადების გადახდის საუკეთესო პირობები აქვთ შემდეგ ქვეყნებს: მალდივები, კატარი, ჰონკონგი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, სინგაპური, ირლანდია, საუდის არაბეთი, ომანი, ქუვეითი და კირიბატი, ხოლო ყველაზე ცუდი – ბელორუსი, უკრაინა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ცენტრა-

ლური აფრიკის რესპუბლიკა, ვენესუელა, ბოლივია, გამბია, მავრიტანია, იამაიკა და პანამა.

საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების პირობები ყველაზე მიმზიდველია შემდეგ ქვეყნებში: სინგაპური, ჰონკონგი, დანია, ფინეთი, ესტონეთი, შვედეთი, ნორვეგია, პანამა, ისრაელი და ტაილანდი, ხოლო ყველაზე არასახარბიელო – ყირგიზეთი, ყაზახეთი, ავღანეთი, ერაყი, ტაჯიკეთი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, აზერბაიჯანი, ბურკინა-ფასო და ანგოლა.

კონტრაქტებს ყველაზე უკეთ ასრულებენ შემდეგ ქვეყნებში: ჰონკონგი, ლუქსემბურგი, ისლანდია, ლატვია, ფინეთი, აშშ, ნორვეგია, კორეა, გერმანია და საფრანგეთი, ხოლო ყველაზე ცუდად – ტიმორ-ლესტე, ინდოეთი, ანგოლა, ბანგლადეში, სურინამი, ჰონდურასი, ბენინი, სირია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და კამერუნი.

ბიზნესიდან გამოსვლის ყველაზე მარტივი პირობებით გამოირჩევიან: იაპონია, სინგაპური, ნორვეგია, კანადა, ფინეთი, ირლანდია, დანია, ბელგია, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები, ხოლო ამ თვალსაზრისით ყველაზე რთული პირობები ახასიათებთ შემდეგ ქვეყნებს: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, გვინეა-ბისაუ, ბურუნდი, სან-ტომე და პრინსიპი, ჩადი, ერიტრია, ტიმორ-ლესტე, ეკვადორული გვინეა, ლაოსი და ავღანეთი.

აღსანიშნავია, რომ 5 წლის განმავლობაში ბიზნეს-გარემოს პირობების რეფორმატორთა რიცხვში ლიდერობენ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები. სამეწარმეო საქმიანობის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, 2007 წლის ივნისიდან 2008 წლის ივნისის ჩათვლით 113 ქვეყანაში 239 რეფორმაა განხორციელებული, რაც რეფორმების მაქსიმალური რაოდენობაა პროექტის – doing business არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.[44]

2007-2008 წლების რეფორმატორი ქვეყნების ლიდერია აზერბაიჯანი, რომელმაც 10 მაჩვენებლიდან 7 გაიუმჯობესა. მასშტაბური რეფორმების შედეგად ქვეყანამ ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინგში 97-ე ადგილიდან 33-ეზე გადაინაცვლა.

---

[44] *http://www.doingbusiness.org/Reformers/*

აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-გარემოში მოქმედ ფაქტორებსა და პირობებს ახასიათებს ისეთი გარკვეული თვისებები: როგორებიცაა: ურთიერთდამოკიდებულება, მრავალსახეობა, დინამიკურობა და განუსაზღვრელობა. ამიტომ ბიზნესის წარმოების პროცესში აუცილებელია მათზე რეაგირება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბიზნესის გარემოში მოქმედებენ ორი ჯგუფის ფაქტორები:

1. *პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები*, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ბიზნესზე, მაგალითად, სახელმწიფო რეგულირების კანონები და დაწესებულებები, ადამიანისეული რესურსები, მიმწოდებლები, მომხმარებლები და კონკურენტები;

2. *არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები*, რომლებიც, მართალია, უშუალოდ ბიზნესზე არ არიან გამიზნულნი, მაგრამ მასზე ზემოქმედებენ. მაგალითად, ეკონომიკის მდგომარეობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები საზოგადოებაში, ბუნებრივ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული მაჩვენებლები.

ბიზნესის გარემოში მოქმედი ფაქტორები და პირობები შეიძლება იყოს კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი. კონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომელთა მართვა ფირმას შეუძლია (მაგალითად, ბიზნესის დაგეგმვა, მართვის სტრუქტურა, წარმოებისა და რელიზაციის ფორმების შერჩევა, რეკლამა და ა.შ.). არაკონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც ფირმის მხრიდან რეგულირებას არ ექვემდებარებიან. ასეთებია: მომხმარებლები, ეკონომიკა, პოლიტიკა, სახელმწიფო მმართველობა, კონკურენტები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სხვა. საერთოდ, ბიზნესის გარემოში მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა უნდა განიხილებოდეს მუდმივ მოძრაობასა და ურთიერთკავშირში. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ბიზნესის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა

საგარეო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი სფეროა. იგი უძველეს დროს ჩაისახა, მაგრამ მისი განვითარება ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო-ფულად ურთიერთობებზე გადასვლასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარებასთანაა დაკავშირებული. კაპიტალის აღმოცენებამ ეროვნული ბაზრებისა და ეროვნული მეურნეობების ჩამოყალიბება განაპირობა, ხოლო საწარმოო ძალებისა და სპეციალიზაციის განვითარებამ ეროვნულ მეურნეობათა შორის კავშირების დამყარების აუცილებლობა წარმოშვა.

ქვეყანათა შორის სამეურნეო კავშირების გაფართოებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მანქანური წარმოების ჩამოყალიბებამ მოახდინა. წარმოების მასშტაბების ზრდამ, თავის მხრივ, საგარეო ვაჭრობის გაფართოება მოითხოვა. დღეს საერთაშორისო ვაჭრობა გვევლინება წარმოების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად. მისი ზრდის ტემპები 1,5–2-ჯერ აღემატება მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპებს.

ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დამყარების, განვითარებისა და რეგულირების მიზნით, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს დასახული მიზნების შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებასა და გამოყენებას. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ იძლევა თავის საზღვრებზე საქონლისა და მომსახურების არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უფლებას. შეზღუდვები დამახასიათებელია როგორც საქონლისა და მომსახურების შეტანისათვის, ისე გატანისათვის. სახელმწიფოთა უმრავლესობა ამჟამად ფლობს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების პოლიტიკის ფართო არსენალს, რის შედეგად ისინი აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო თავიანთი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე, არამედ სხვა ქვეყნების საგარეო ვაჭრობასა და საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ეკონომიკურ მეცნიერებაში არც ერთი საკითხი არაა ისეთი წინააღმდეგობრივი, როგორიც საგარეო ვაჭრობის თეორია და პოლიტიკაა. ადამ სმითის დროიდან ეკონომისტები თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი არიან და მას ზრდის სტრატეგიის ძირითად ელემენტად განიხილავენ. მიუხედავად ამისა, პროტექციონიზმი საკმაოდ წარმატებით ჰყვავის. საბაჟო ტარიფების

მკვეთრი შემცირების პირობებში ამჟამად გაჩნდა არასატარიფო პროტექციონიზმის პრაქტიკა, რომელსაც ფაქტობრივად ეკონომიკური თეორიის დასკვნებთან კავშირი არ გააჩნია, მაგრამ ცალკეული ქვეყნებისა და ქვეყანათა ჯგუფების ინტერესების სფეროში შედის.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება ჩვეულებრივ ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ ან პოლიტიკურ მიზნებს. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოც იყოს, ამიტომ საგარეო ვაჭრობის რეგულირების წესები ცალკეულ პირთა და გარკვეული წრეების სერიოზული დებატების საგანია.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ქვეყნისშიდა წმინდა ეროვნული პროდუქტის მოცულობის ზრდა. ეს ამოცანა საერთოა მსოფლიოს სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ამასთან ერთად, ზოგიერთ, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში არსებობს სხვა ამოცანებიც, რომლებიც განპირობებულია მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესებით, აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენტული ბრძოლით, სავალუტო კურსების დესტაბილიზაციით, საგადასახდელო ბალანსების დაუბალანსებლობით და ა.შ. აღნიშნულის გამო, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ორი ტენდენციის – პროტექციონიზმისა და ლიბერალიზაციის – მუდმივი ურთიერთქმედებით ხასიათდება. ამ ორ პოლიტიკაში აისახება ამა თუ იმ ქვეყნის რეაქცია მსოფლიო მეურნეობაში, განსაკუთრებით კი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მიმდინარე ცვლილებებზე.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების აუცუილებლობის მიზეზებია: ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის შემცირება, ახალი დარგების დაცვა, ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება და სხვა.

მრავალი ქვეყნისათვის საგარეო სავაჭრო ბალანსი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ძირითადი კომპონენტია. ამ გარემოებების გამო, მთავრობა ატარებს ექსპორტსა და იმპორტზე ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებებს. საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო ზემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკურ მიზნებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, დახმარება, კრედიტი და შესყიდვები ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული ან ეს ღონისძიებები მიზნად ისა-

ხავენ საერთაშორისო ორგანიზაციებში ხმის მიღების უფლებას. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, ამ უკანასკნელთაგან ნედლეულსა და პროდუქტს ყიდულობენ მსოფლიო ფასზე უფრო მაღალი ფასებით. ქვეყანათა შორის ხელშეკრულებების დადებისას მეტი ყურადღება ეთმობა პოლიტიკური უპირატესობის მიღწევას ეკონომიკური ინტერესების საზიანოდ.

მრავალ ქვეყანაში უმუშევრების მიერ იქმნება ე.წ. ხელწოლის ჯგუფები, რომლებიც მთავრობისგან იმპორტის შეზღუდვას მოითხოვენ. ასეთი მოთხოვნა განპირობებულია სამუშაო ადგილების შექმნის სურვილით, მაგრამ ამ შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვა, რომელიც მეორე ქვეყნისათვის ექსპორტია, სხვა ქვეყნების საპასუხო ქმედებებს იწვევს. უდიდესი დეპრესიის წლებში აშშ-ის მიერ იმპორტის შეზღუდვამ სამუშაო ადგილების ზრდას კი არ შეუშალა ხელი, არამედ პირიქით, სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული რეპრესალიების შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა დეპრესია, შემცირდა ექსპორტი და დაინგრა ქვეყნის მეურნეობა. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ გარკვეულ პირობებში (ორი ფაქტორის შემთხვევაში) შეიძლება რეპრესალიების ზემოქმედების შემცირება. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება: 1.ქვეყნის მცირე ზომა (ეკონომიკური თვალსაზრისით), რომლის მიმართ ჩვეულებრივ საპასუხო ზომები არ ტარდება და ამიტომ მას შეუძლია დასაქმების დონის ამაღლება; 2. რეპრესალიებით გამოწვეული რესურსების გადანაწილება კაპიტალტევადი დარგებიდან შრომატევად დარგებში, ამ შემთხვევაშიც მიზანი (სამუშაო ადგილების ზრდა) მიღწეული იქნება.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რეპრესალიების არარსებობის პირობებშიც კი იმპორტის შეზღუდვით მიღებული სამუშაო ადგილების მატება მაინც ნაკლებია პროტექციონიზმით დაცულ დარგებში უმუშევართა დასაქმების რაოდენობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვას ნამდვილად თან ახლავს სამუშაო ადგილების ზრდა, მაგრამ იგი ჩვეულებრივ მაღალ ფასებთან ან გადასახადებთანაა დაკავშირებული. ე.ი. იგი იწვევს დანახარჯების ზრდას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მომენტად.

იმპორტის შეზღუდვის აუცილებლობა დასაბუთებულია 1792 წელს ალექსანდრე ჰამილტონის მიერ ჩამოყალიბებულ ახალგაზრდა დარგის დაცვის თეორიაში, რომლის თანახმად პროტექციონისტული ზომები საჭიროა, რათა მაღალი დანახარ-

ჯების მქონე ახალგაზრდა დარგმა დროთა განმავლობაში მიაღწიოს წარმოების ეფექტიანობას და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან, დანახარჯების შემცირებას ხელი უნდა შეუწყოს ორმა ფაქტორმა: წარმოების მასშტაბის ეფექტმა და კვალიფიკაციის ამაღლებამ. აღნიშნული მოსაზრების მიმდევართა აზრით, ახალგაზრდა დარგის სიმწიფის უზრუნველსაყოფად მისთვის გარანტირებული უნდა იყოს შიდა ბაზრის დიდი წილი. რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსალოდნელია ხარჯების შემცირება, მაგრამ არც იმის ალბათობაა გამორიცხული, რომ ეს შემცირება საკმარისი არ იქნება კონკურენტუნარიანობის განსამტკიცებლად. შესაბამისად, პროტექციონიზმის ამ არგუმენტებს თან ახლავს გარკვეული პრობლემები, რომელთაგან აღსანიშნავია კონკურენტუნარიანი დარგების გამოვლენისა და სახელწიფოს მხრიდან მათი ხელშეწყობის სირთულეები.

თანამედროვე ეტაპზე მრავალი სახელმწიფო პროტექციონიზმს იყენებს საკუთარი ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობასთან შედარებით უპირატესი ტემპით და, შესაბამისად, პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება, უცხოური ინვესტიციების ზრდა მრეწველობის დარგებში, მრეწველობის განვითარება ვაჭრობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ვაჭრობაში მზა ნაწარმით მონაწილეობა, ვინაიდან იგი უფრო მომგებიანია ნედლეულის რეალიზაციასთან შედარებით.

ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების მოსაზრება ახალგაზრდა დარგის დაცვის არგუმენტებისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი მომხრენი ამტკიცებენ დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას არაკონკურენტული ფასების პირობებშიც კი.

თანამედროვე ეტაპზე კონკურენცია საერთაშორისო ბაზრებზე არც წმინდა სახისაა და არც სრულყოფილი, ამიტომ საერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორიის თანახმად, მოქმედ ძალთა უთანასწორობა მსოფლიო სამეურნეო ცხოვრების წესია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროტექციონიზმის გამართლება შეიძლება შემდეგი არგუმენტებით: დაცვას საჭიროებენ ახალი არაკონკურენტუნარიანი დარგები, რათა ისინი ჩანასახშივე არ ჩაკვდნენ. საერთაშორისო კონკურენციისაგან დაცული დარგები კი მიიზიდავენ კაპიტალსა და შესაძლებელი იქნება ეროვნული მრეწველობის განვითარება. მრეწ-

ეელობის განვითარება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ახალ სამუშაო ადგილებს. ზოგადი თვალსაზრისით პროტექციონიზმი გვევლინება ეროვნული დამოუკიდებლობის, გარკვეული სოციალური ფენების ან მთლიანად მოსახლეობის, ან ზოგიერთი რეგიონული სახის საქმიანობის დაცვის საშუალებად.

აღნიშნულის მიუხედავად, თავისუფალი ვაჭრობის თეორია უფრო დამაჯერებლად ჟღერს, ვინაიდან დროთა განმავლობაში, კონკურენციის არარსებობის გამო, კნინდება და არაეფექტიანი ხდება ეროვნული მეურნეობა, იზრდება მომხმარებლის დანახარჯები საქონლის შეძენაზე მსოფლიო ბაზრის ხელმიუწვდომლობის გამო.

თავისუფალი ვაჭრობისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი დადებითი მხარეები: უწინარესად, იგი ხელს უწყობს საერთაშორისო სპეციალიზაციის გაღრმავებასა და ყოველი ქვეყნის პოტენციალის უკეთ გამოყენებას, აძლიერებს კონკურენციას, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და სიახლეების დანერგვას, აფართოებს ბაზრებსა და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება მასობრივი წარმოების ორგანიზაცია. ყოველივე აღნიშნული კი ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, დანახარჯების შემცირებას და, საბოლოოდ, მომგებიანია მომხმარებლისათვის. ამასთან ერთად, ლიბერალური პოილიტიკის ქვეყნების მაგალითი ნათლად მეტყველებს თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობაზე და სწორედ ეს გახდა მრავალი ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილების მიზეზი.

პროტექციონიზმისა და ლიბერალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის აუცილებელია გარკვეული პრაგმატიზმი და სათანადო წონასწორობის დაცვა. ეს წონასწორობა უნდა იყოს ისეთი, რომ მან არ ავნოს სუსტ სახელმწიფოებსა და კიდევ უფრო არ გააძლიეროს ქვეყანათა უთანასწორობა.

თავისუფალი ვაჭრობის იდეა დაფუძნებულია ქვეყანათა შორის საქონლის ნაკადების მოძრაობის გზაზე საბაჟო და სხვა ბარიერების ლიკვიდაციის აუცილობლობაზე. თავისუფალი ვაჭრობის (ნეოკლასიკური დოქტრინის) მომხრენი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე ადასტურებენ ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსთვის ვაჭრობის ლიბერალიზაციის მომგებიანობას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ყველა ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის რეგულირების სხვადასხვა ბარიერები სახელმწიფო პოლიტიკაა.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები უამრავია, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და კლასიკური ინსტრუმენტია საბაჟო ტარიფები. ისინი ეკონომიკური ხასიათისაა და ემსახურება შემდეგ მიზნებს: დამატებითი ფინანსური სახსრების მიღება (როგორც წესი, დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის), საგარეო სავაჭრო ნაკადების რეგულირება (ტიპურია განვითარებული ქვეყნებისათვის) ან ეროვნულ მწარმოებელთა დაცვა (ძირითად და შრომატევად დარგებში).

თანამედროვე ეკონომისტთა უმეტესობის აზრით, თავისუფალი ვაჭრობისაგან მიღებული მატერიალური უპირატესობა ეროვნული ეკონომიკის დანაკარგებს აღემატება. პროტექციონიზმი ამცირებს კონკურენტულ ზეწოლას ეროვნულ მეწარმეებზე, რაც, თავის მხრივ, წარმოების ეფექტიანობის შემცირების მიზეზია. გარდა ამისა, მისი ხანგრძლივი გამოყენება ხელს უშლის ახალი და უახლესი ტექნოლოგიების გაცნობასა და გამოყენებას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ბაზარზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი კონკურენცია. მონოპოლისტური წარმოების პირობებში მწარმოებელი იღებს ზემოგებას, ხოლო იმპორტის დროს თავისუფალი კონკურენცია ამცირებს ზემოგების სიდიდეს.

აშშ-ში საქონლის საბაჟო შეფასებისას გამოიყენება FOB ფასები, საბაჟო-სატარიფო რეგულირების მრავალმხრივი შეთანხმების (ძალაშია 1981 წლიდან და სავალდებულოა GATT/WTO-ს ყველა წევრი ქვეყნისათვის) მონაწილეთა უმეტესობა კი იყენებს CIF ფასებს. ამ შეთანხმებაში არმონაწილე ქვეყნების ინტერესები არაა დაცული საკანონმდებლო წესით, ამიტომ მათ მიმართ შესაძლებელია საქონლის საბაჟო შეფასების დისკრიმინაციული მეთოდების გამოყენება. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ამ ხელშეკულებაში არმონაწილე ქვეყნებს არ გააჩნიათ აპელაციისა და დაცვის უფლება არამარტო ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნების საბაჟო ორგანოებში, არამედ აგრეთვე GATT/WTO-ს ჩარჩოში შექმნილ საბაჟო შეფასების კომიტეტში.

მთელ რიგ ქვეყნებში მიღებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნისშიდა ლეგალური რეალიზაციისათვის ყოველ კონკრეტულ საქონელზე ღირებულების მინიმალურ ადგილობრივ (სამამულო) პროცენტს.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია საბაჟო ტარიფების შედარებით დაბალი დონე, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ისინი საკმაოდ მაღალია. განვითარებულ ქვეყნებში ბაჟის საშუალო ზომა საქონლის ფასის 6%-ს შეადგენს. მის ძირითადი მიზეზია ჩარჩოში საბაჟო ტარიფების შემცირება. განვითარებად ქვეყნებში საბაჟო ტარიფების საშუალო დონე 38-40%-ია, ხოლო ზოგიერთ საქონელზე კი 150-200% და უფრო მეტი. ბაჟების ასეთი მაღალი განაკვეთები განპირობებულია საკუთარი საქონელმწარმოებლების უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად და ინდუსტრიული დონის ასამაღლებლად.

განვითარებადი ქვეყნების საქონლის იმპორტისათვის შეღავათიანი რეჟიმის დაწესების მიუხედავად, ცალკეული ქვეყანა აღწევს განვითარების ისეთ ზღვარს, როდესაც ეს შეღავათები იკარგება. მაგალითად, ტაივანს, სინგაპურს, ჰონკონგსა და სამხრეთ კორეას აშშ-მა მოუხსნა ეს შეღავათიანი რეჟიმი.

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების საბაჟო ტარიფები აგებულია საქონლის დამუშავების დონის მიხედვით: რაც უფრო მაღალია მათი დამუშავების დონე, მით უფრო მეტია საბაჟო ტარიფი. ამით ისინი იცავენ საკუთარ ბაზრებს განვითარებადი ქვეყნების გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციისაგან. ასეთი საბაჟო დაცვის ზომა მით უფრო მეტია, რაც დიდია სხვაობა ნაწარმისა და ნედლეულის ბაჟებს შორის და რაც უფრო მაღალია ნედლეულის წილი მზა ნაწარმში.

მრავალი ქვეყანა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვის მიზნით, კონკურენტულ იმპორტულ საქონელზე მაღალი ბაჟების დაწესებასთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს სეზონურ ბაჟებს.

დღემდე ერთ-ერთი საკამათო საკითხია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სატარიფო რეჟიმი განვითარებული ქვეყნებიდან ექსპორტირებულ გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის მიმართ. ხშირ შემთხვევაში ნედლეულის შეტანა განვითარებულ ქვეყნებში უბაჟოდ ხდება. მაგრამ მათი გადამუშავების პროდუქტები ბაჟის გადახდას მოითხოვს. განვითარებადი ქვეყნების მტკიცებით, რეალური ბაჟი საქონლის დამუშავების ნაწილის ღირებულებაზე უფრო მაღალია, ვიდრე სატარიფო განაკვეთი.

იმპორტზე საბაჟო ტარიფების დაწესებით სახელმწიფოს რთულ სიტუაციაში უხდება მოქმედება, ვინაიდან უცხოურ საქონელზე ფასების ხელოვნური ზრდით, მართალია, იგი იცავს

საკუთარ საქონელმწარმოებლებს კონკურენციისაგან, მაგრამ იგი ერთდროულად შიდა ბაზარზე ქმნის არაბუნებრივ მდგომარეობას და ხელს უშლის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობას. არაკონკურენტულ პირობებში ეროვნული წარმოების განვითარება იწვევს მისი მეცნიერულ-ტექნიკური დონის ჩამორჩენას. გარდა ამისა, ასეთ შედეგებს თან ახლავს უკუქმედება იმ ქვეყანათა მხრიდან, რომელთა ფირმები დაზარალდნენ პროტექციონიზმისაგან. აღნიშნულთან ერთად, ზეჭარბმა საბაჟო გადასახდელებმა შეიძლება გამოიწვიონ ინფლაციური ეფექტი, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება იმ ქვეყნის ეკონომიკაში, რომლისთვისაც ეროვნული ვალუტის საბაზრო კურსის დაცეა დამახასიათებელი. მართალია, მაღალი საბაჟო ტარიფები ზრდიან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, გაყიდვებზე რეგრესიული გადასახადებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველაზე ეფექტიანია საბაჟო ტარიფების მოქნილი რეგულირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც შიდა ბაზრის დაცვა, ისე პროტექციონიზმის მძიმე შედეგების შერბილება და გამორიცხვა.

იმპორტულ საქონელზე საბაჟო გადასახადების რეგულირება წარმოებს როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკით, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ამ საკითხში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მსოფლიოს საეაჭრო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და საბაჟო ტარიფების შემცირებას.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პრობლემები განიხილეს GATT-ის მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებათა მერვე, ე.წ. ურუგვაის რაუნდზე. ეს მოლაპარაკება გრძელდებოდა 7 წელი, რომლის შედეგად 1993 წლის 15 დეკემბერს 117-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას 1995 წლის 1 იანვრიდან საბაჟო ტარიფების 40-50%-ით შემცირების შესახებ, ზოგიერთ საქონელზე ისინი საერთოდ გაუქმდა, ხოლო საბაჟო გადასახადი იმ საქონელზე, რომელზედაც იგი 15 %-ს აღემატება, უნდა შემცირდეს 2-ჯერ. ამ შეთანხმებით GATT-ის წესები ვრცელდება მომსახურების სფეროზედაც. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე გადასვლის ტენდენცია. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს საბაჟო საზღვრების გაუქმებას, რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებელია მსოფლიოს სამი ცენტრისათვის: აშშ, იაპონია,

დასავლეთ ევროპა. მართალია, ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში საბაჟო საზღვრები გაუქმდა, მაგრამ იგი ცდილობს ხელი შეუშალოს ამერიკული და იაპონური საქონლის შიდა ბაზარზე რეალიზაციას.

საბაჟო ბარიერების დემონტაჟის პირობებში სახელმწიფოები შიდა ბაზრის დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ ე.წ. არასატარიფო ზომებს, რომლებიც მოიცავენ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობისა და სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ფართო წრეს. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ არაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის რეგულირებასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს.

ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ადმინისტრაციული ფორმაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში უფრო მოქნილი და ეფექტიანია, ვიდრე საგარეო ვაჭრობის რეგულირების ეკონომიკური ბერკეტები.

უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გავრცელდა ე.წ. ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა და მინიმალური საიმპორტო ფასების დადგენის შესახებ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა. ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, იდება ეკონომიკურად განვითარებულ და ეკონომიკურად და პოლიტიკურად სუსტ ქვეყანათა შორის. ამ სავაჭრო შეზღუდვების სპეციფიკა გამოიხატება მათი გატარების არატრადიციულ ტექნიკაში. კერძოდ, იგი ითვალისწინებს იმპორტიორი ქვეყნის დამცავ სავაჭრო ბარიერებს, რომელიც იქმნება ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრებზე.

ხშირად საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება მიმართულია არა საგარეო სავაჭრო ოპერაციების კონტროლზე, არამედ სახელმწიფო თვითონ ახორციელებს საგარეო სავაჭრო კავშირების მომსახურებას. მაგალითად, ეროვნული კომპანიების მიერ იმპორტის სავალდებულო დაზღვევა შემოღებულია 40-ზე მეტ განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის დაახლოებით 25 ქვეყანაში სავალდებულოა ეროვნული სახელმწიფო ფირმების მომსახურებით სარგებლობა. ანალოგიურად, მრავალ ქვეყანაში სავალდებულოა საგარეო სავაჭრო ტვირთების გადასაზიდად სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება. ასეთ სიტუაციაში სახლემწიფო გამოდის მონოპოლისტის როლში. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია დირიჟისტული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი მთავარი მი-

ზანია საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის უზრუნველყოფა.

საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება მოიცავს საიმპორტო ოპერაციებს, ხოლო საექსპორტო ოპერაციები ჩვეულებრივ იზღუდება ან იმ საქონლით, რომლითაც ქვეყანა მონაწილეობს მსოფლიო ვაჭრობაში, ან სამხედრო ტექნოლოგიებით.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში იმპორტის ერთიანი სახელმწიფო არხი იზღუდება საქონლის ვიწრო ასორტიმენტით. მაგალითად, იაპონიაში ესაა ბრინჯი, ხორბალი, ქერი, რძის პროდუქტები, სპირტი, თამბაქო, მარილი; შვეიცარიასა და ფინეთში – ალკოჰოლიანი სასმელები; ავსტრიაში სახელწიფოს მიერ მონოპოლიზებულია თამბაქოს, სპირტისა და მარილის იმპორტი.

საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია. იგი აღიარებს თავისუფალი ვაჭრობის მომგებიანობას და ლიბერალური პოლიტიკის პრინციპებს იცავს. ქვეყანას გააჩნია დაბალი საიმპორტო ტარიფები. 2007 წელს საქართველო 16 სატარიფო განაკვეთი 3 განაკვეთამდეა შემცირებული და ისინი 0-დან 12 %-მდე საზღვრებშია მოქცეული (0, 5 და 12 %). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90 %-ზე (დარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და საშენ მასალებზე). აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. აღარაა განსხვავება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის. ასევე, გამარტივდა საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესები. ამ სერტიფიკატის მისაღებად აღარაა საჭირო საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი ექსპერტიზის აქტის წარდგენა.

საქართველოში არაა გათვალისწინებული რაოდენობრივი (კვოტები, სატარიფო კვოტები) და სხვა არასატარიფო ბარიერები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის. ლიცენზირებადია მხოლოდ ზოგიერთი სახეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნაწარმი, ზოგიერთი სახეობის სამედიცინო პროდუქცია, იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების, რადიაქტიური მასალების სამრეწველო ნარჩენების იმპორტი. ექსპორტი და რეექსპორტი საქართველოდან მთლიანად გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისაგან.

საიმპორტო ტარიფების შემცირება და ბოლო წლებში განხორციელებული ლიბერალური პოლიტიკა მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობა გარე ბაზარზე (ექსპორტზე) ორიენტირებული პოლიტიკის იდეის მომხრეა, რომელმაც ეკონომიკური ზრდა უნდა უზრუნველყოს. ექსპორტით ეკონომიკური ზრდის სტიმულირება იმპორტის ჩანაცვლების საპირისპირო სტრატეგიაა, რომელიც ხელს უწყობს საგარეო ბაზრებზე შეღწევასა და ადგილობრივ საექსპორტო სექტორში წარმოების პირობების გაუმჯობესებას. აღნიშნული ასპექტები, როგორც წესი, ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკების საგანია და განსაზღვრავს სავაჭრო პარტნიორების მიერ ერთმანეთისათვის ბაზრების გახსნის პირობებს. ყოველი პარტნიორი ცდილობს მეორე მხარისაგან მიიღოს გარკვეული შეღავათები იმ დარგებში, რომლებშიც ფარდობითი უპირატესობა გააჩნია. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი ძირითადად შრომატევად წარმოებაში აქვს და ამიტომ იგი დაინტერესებულია საგარეო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და შრომატევადი პროდუქტების გატანით.

საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, ევრო-ის წევრ ქვეყნებთან სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. იგი აშშ-თან, შვეიცარიასთან და იაპონიასთან ვაჭრობისას, აგრეთვე, სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემით (GSP), ანუ ამ ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტირებულ საქონელზე დაბალი საბაჟო ტარიფებია განსაზღვრული.

2005 წლის იელის'ში საქართველო გახდა GSP-ის ახალი სქემის EU GSP+-ის ბენეფიციარი, ხოლო 2006 1 იანვრიდან იგი ამ რეჟიმს თურქეთთანაც იყენებს. ეს საქართველოდან ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. კერძოდ, თუ ძველი სქემით მას ევროკავშირის ბაზარზე უბაჟოდ შეეძლო შეეტანა მხოლოდ 3300 სახეობის პროდუქცია და 6900 დასახელების საქონელზე მოქმედებდა მხოლოდ გარკვეული შეღავათები, GSP+-ის ბენეფიციარის სტატუსის მიღების შემდეგ მას შეუძლია ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7200 სახეობის პროდუქცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის GSP+-ის სქემით გათვალისწინებული საქონლის ფართო ჩამონათვალის მიუხედავად, მასში არაა წარმოდგენილი საქართველოს ძირითადი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია, მაგალითად, ღვინო.

საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვაჭრობის ტექნიკური რეგულირების სისტემას, რაც შედეგად ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასა და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებას იწვევს.

ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა დღეს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ფინანსურ, მონეტარულ, გარემოს დაცვის და სხვა ღონისძიებებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის, შესაძლებლობების გაფართოებას, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მიერ არჩეული ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია ქვეყნისათვის დადებითი შედეგების მომტანია და ექსპორტზე ორიენტაცია მისი მომავალი ეკონომიკური ზრდის წყარო იქნება.

აშშ-ის როლი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, მსოფლიო სავაჭრო სისტემის განვითარებასა და რეორგანიზაციაში აქტიურ როლს თამაშობს აშშ. იგი GATT-ისა (General Agreement on Tariffs and Trade – გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ) და მისი სამართალმემკვიდრის WTO-ის (World Trade Organization – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელები, მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, მხოლოდ ვაჭრობის ლიბერალიზაციის დოქტრინას აღიარებენ. ჯ. ბუში აღნიშნავს, რომ „ღია ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის გენერატორია, რომელიც ქმნის ახალ სამუშაო ადგილებსა და ახალ შემოსავლებს შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოში"[45]. ამასთან, იგი უშუალო კავშირს ხედავს ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და დემოკრატიას შორის. მისი აზრით, „ეკონომიკური თავისუფლება ქმნის თავისუფლების ჩვევას, ხოლო თავისუფლების ჩვევა დემოკრატიის მოლოდინს ბადებს"[46].

აღსანიშნავია, რომ ლიბერალიზაციის დოქტრინის ძირითადი დებულებების თანახმად (ეს დოქტრინა შემუშავებულია კ. ჰალის მიერ, რომელსაც ფ. რუზველტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის პოსტი ეკავა), მშვიდობის შენარჩუნება და ერების კეთილდღეობა პირდაპირაა დაკავშირებული „საერთაშორისო ვაჭრობაში თავისუფლების მაქსიმალურად შესაძლებელ ხარისხთან". მიუხედავად ამისა, ამერიკაში ჯერ ისევ ძლიერია შიდა ბაზრის დაცვის მომხრეთა პოზიციები და ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია. ჯერ კიდევ „ჰავანის ქარტიის" (იგი მიზნად ისახავდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნას) მომხრეებს კონგრესში სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდათ. 50-ზე მეტი ქვეყნის მიერ ორგანიზაციის წესდების რატიფიკაციის მიუხედავად, 1950 წელს აშშ-ის კონგრესმა შეთანხმების რატიფიკაცია არ მოახდინა. სწორედ ამის გამო 1947 წელს

---

[45] *G. W. Bush. Text of a Letter from the President to Congressional Leadership and Chairman and Members of Committes. The write House. Wash, D. C. 2001, May 10.*

[46] *R. B. Zoellik. Statement before the Committee on Finance of the U. S. Senate. Wash, D. C., 200,. Jan. 30.*

ხელმოწერილმა შეთანხმებამ ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ მხოლოდ დროებითი ორგანიზაციის სახე მიიღო და ამ ინსტიტუტს ვაჭრობის სფეროში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსი სტატუსი არ მიენიჭა. ჩანაფიქრის რეალიზაცია მხოლოდ 1995 წლიდან დაიწყო, როდესაც GATT-მა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) სახით დაიწყო ფუნქციონირება.

აშშ-ის ადმინისტრაცია ვმო-ში თავისი მონაწილეობის მთავარ უპირატესობად ამერიკული საქონლისათვის მსოფლიო ბაზრების გახსნაში მიღწეულ წარმატებებს მიიჩნევს. უკანასკნელ წლებში ამერიკა და მისი მსგავსი ღია ეკონომიკის ქვეყნები ორჯერ უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე დახურული ეკონომიკის ქვეყნები. მათთვის დამახასიათებელია ცხოვრების მაღალი დონე და პოლიტიკური სტაბილურობა. ამავე დროს ბაზრების გახსნისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის იდეის მოწინააღმდეგე ქვეყნები სტაგნაციას განიცდიან.

აშშ სასოფლო-სამეურნეო საქონლის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, ამიტომ იგი დაინტერესებულია იმ სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციით, რომლებშიც მას კონკურენტული უპირატესობა გააჩნია. ამ საქონლის ასორტიმენტი არც ისე ფართოა (მარცვლეული, ზეთოვანი კულტურები, ბამბა, ფრინველისა და ღორის ხორცი და სხვა), მაგრამ იგი ამერიკის ექსპორტის საფუძველია.

სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებში აშშ, ჩვეულებრივ, „კერნის ჯგუფთან“ ერთად გამოდის. ესაა რეფორმატორთა ჯგუფი ვმო-ში, რომელიც აცხადებს მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობის სრულ ინტეგრაციას სამრეწველო საქონლის მსგავსი პირობებით. ამ მიზნით შემოთავაზებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრებზე შეღწევის გამარტივების ზომები, მათ შორის ტარიფების შემცირება ან სრული გაუქმება. ამერიკელები, აგრეთვე, დაინტერესებულნი არიან პარტნიორების მიერ ყველა საექსპორტო სუბსიდიის გაუქმებითა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შიდა მხარდაჭერის მასშტაბების მკვეთრი შემცირებით. „რეფორმატორებს“ წინააღმდეგობას უწევს სხვა ბანაკი, რომელშიც შედიან ევროკავშირი, იაპონია და სამხრეთი კორეა. ამ ქვეყნების წარმომადგენლები მოითხოვენ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის

შენარჩუნებას, აგრარული სექტორის სპეციფიკური ფუნქციების გამო.[47]

ურუგვაის რაუნდზე სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ მიღებული შეთანხმების თანახმად, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებს 6 წლის განმავლობაში ღირებულების 36 %-ით უნდა შეემცირებინათ თავიანთი ასიგნებანი ექსპორტის სუბსიდირებაზე. საექსპორტო სუბსიდირებული საქონლის გატანის მოცულობის შემცირება კი 21 %-ით იყო ნავარაუდები. გარდა ამისა, მათ არ უნდა შეემუშავებინათ საექსპორტო სუბსიდირების ახალი ფარული ფორმები.[48] ამერიკელების შეხედულებით, ურუგვაის რაუნდში მიღწეული შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ საკმაოდ მოკრძალებული ნაბიჯია საერთაშორისო ვაჭრობის „დისციპლინირების" გზაზე.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აზრით, საექსპორტო სუბსიდიები არასამართლიანია, რადგან ისინი ახალისებენ ნეგატიურ ეკოლოგიურ პრაქტიკას, სახელმწიფო სახსრების უყაირათო ხარჯვას და აფერხებენ აგრარული დარგის რესტრუქტურიზაციასა და რეფორმირებას. მიუხედავად ამისა, აშშ-ს გაუჭირდა თავისი პოზიციის დაცვა. 2001 წლის სექტემბერში დოჰაში (კატარი) გამართულ მინისტრთა კონფერენციაზე ვმო-ის წევრი ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ სოფლის მეურნეობისათვის სუბსიდიებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე ბაჟების შემცირების შესახებ.[49] მხოლოდ 2005 წლის დეკემბერში მინისტრთა VI კონფერენციაზე ჰონკონგში გადაწყდა, რომ 2013 წლისათვის მთლიანად უნდა გაუქმდეს სუბსიდიები ფერმერებისათვის. 2008 წლიდან ყველა მდიდარმა ქვეყანამ განვითარებადი ქვეყნების (რომელთა შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 750 აშშ დოლარზე ნაკლებია) საქონლის 97 %-ს უნდა გააუქმოს კვოტები ან სხვა სახის შეზღუდვები.[50]

აშშ-სათვის განსაკუთრებით მწვავეა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შიდა მხარდაჭერის საკითხი. აშშ-ის კანონმა სოფლის მეურნეობის შესახებ 1996 წელს გააუქმა მთელი რიგი

---

[47] *J.Coleman. WTO Agricultural Trade Negotiations: An Updatew / ITC. Wash., DC; Industry Trade and Technology Review, 2000, Oct.*

[48] *J.Kasich. Subsidies Enforcement Annual Report to Congress. Joint Report by USTR and USDC. Wash, 2000, Feb.*

[49] *The Fourth WTO Ministerial Conference. Doha, Qatar from 9 to 14 November 2001. www.wto.org*

[50] *The Sixth WTO Ministerial Conference. Hong Kong, China, 13–18 December 2005. www.wto.org*

პროგრამების მოქმედება, რომელთა მიზანი ძირითადად სათესი ფართობების შემცირების სტიმულირება იყო. ამასთან, გარდამავალ პერიოდში (2002 წლამდე) ფერმერების დანაკარგების საკომპენსაციოდ 35,6 მლრდ დოლარის გამოყოფა გაითვალისწინეს. მაგრამ მარცვლეულზე ფასების დაცემის გამო 1998 წელს კონგრესმა მიიღო ფერმერული მეურნეობების დახმარების სპეციალური საგანგებო პროგრამა, რომლისათვისაც ბიუჯეტიდან 3 წლის განმავლობაში 25 მლრდ დოლარი დაიხარჯა.[51] 2002 წლის მაისში აშშ-მა მიიღო ახალი კანონი სოფლის მეურნეობის შესახებ, რომელშიც შიდა ბაზრის დაცვის მაღალი დონეა გათვალისწინებული. ეს კანონი ევრო-ში აშშ-ის სერიოზული კრიტიკის საბაბი გახდა.

აშშ-სათვის ასევე მწვავედ დგას საექსპორტო დაკრედიტებისა და სასურსათო დახმარების საკითხები. მართალია ეს ზომები ჯერ არ ექვემდებარება „დისციპლინირებას“ ევრო-ის ჩარჩოში, მაგრამ ოპონენტები ევროკავშირიდან მათ ფარულ საექსპორტო სუბსიდიებთან ათანაბრებენ. სახელმწიფო საექსპორტო საკრედიტო გარანტიების მასშტაბებით (დაახლოებით 3 მლრდ დოლარი წელიწადში) აშშ-მა თავის კონკურენტებს მნიშვნელოვნად გაუსწრო. პრინციპში, ამერიკელები თანახმანი არიან საექსპორტო დაკრედიტების მასშტაბების შემცირებაზე, მაგრამ დაჟინებით მოითხოვენ, რომ საკრედიტო გარანტიები პირდაპირ საექსპორტო სუბსიდიებთან არ იყოს გათანაბრებული.

აშშ-სათვის სერიოზული პრობლემაა ბიოტექნოლოგიებით შექმნილი საქონლის იმპორტის რეჟიმის საკითხი, რადგან ევროკავშირის წარმომადგენლები ევრო-ში მოითხოვენ „სიფრთხილის პრინციპის“ დაცვას. ევროკავშირმა აკრძალა გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების იმპორტი, რომელიც 1998-2004 წლებში მოქმედებდა. აღნიშნულმა განაპირობა კანადის, არგენტინის, აშშ-ის მიერ ევრო-ში საჩივრის შეტანა. ამასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ევრო-მ აკრძალვა უკანონოდ და პროტექციონისტული პოლიტიკის გამოვლინებად მიიჩნია. გარდა ამისა, ევრო-მ ასევე უკანონოდ მიიჩნია ექვსი ევროპული ქვეყანის მიერ საერთო ევროპული მორატორიუმის დასრულების შემდეგ შემოღებული აკრძალვა, რომელიც ფაქტობ-

---

[51] *A. M. Veneman. Remarks at the Sparks Companies 9th Annual Food and Agriculture Polisy Conference. Wash, D. C. 2001.,Apr. 17.*

რიგად უცხოელი კონკურენტებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქვეყნისშიდა მწარმოებელთა დაცვაზე იყო გამიზნული. აშშ უკმაყოფილებას გამოთქვამს, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა შექმნის პრაქტიკის თაობაზე, რომელიც გავრცელდა ავსტრალიაში, კანადასა და ახალ ზელანდიაში.

აშშ დიდ ყურადღებას აქცევს ურუგვაის რაუნდზე მიღებული GATS-ის (General Agreement on Trade in Services – გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ) პრინციპების რეალიზაციას. შეთანხმება შეიცავს პირობებს, რომლებიც კრძალავს სავაჭრო შეზღუდვის ზოგიერთი ზომის გამოყენებას უცხოური მომსახურებისა და მომსახურების მიმწოდებელთა მიმართ.

აშშ-ს საჭიროდ მიაჩნია, აგრეთვე, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის რეჟიმის გამკაცრება. ამ საკითხებში აშშ-ის მკაცრი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ კინო- და ტელეფილმების, აგრეთვე ვიდეო- და აუდიოჩანაწერების მსოფლიო ბაზრის უმეტესი ნაწილი ამერიკულ პროდუქციაზე მოდის. 2001 წელს დოჰაში (კატარი) აშშ-მა დაბლოკა საპატენტო სამართალში გამონაკლისების შესახებ დასმული წინადადებები, რომელთა საფუძველზე განვითარებად ქვეყნებს ეძლეოდათ შიდსის, მალარიის, ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებებისათვის იაფი წამლების წარმოებაში ხელშეწყობა.

2003 წელს კანკუნის (მექსიკა) კონფერენციაზე გაღრმავდა წინააღმდეგობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ამიტომ სამიტის ერთადერთი გადაწყვეტილება იყო განვითარებადი ქვეყნებისათვის შიდსისა და სხვა წამლებზე გამიზნული საპატენტო წესების შერბილება.[52]

ვმო-ს კომპეტენციის გაფართოების ახალი ტენდენცია ითვალისწინებს ორგანიზაციის ჩარჩოში კონკურენციის პოლიტიკის, სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის, ინვესტიციების და ექსპორტის მხარდაჭერის საკითხების განხილვას.

ამერიკელები ვმო-ს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მრავალმხრივ დონეზე დაეის დარეგულირების ერთიანი წესების მიღებას მიიჩნევენ. ვმო-ს შექმნის შემდეგ მიღწეულია შეთანხმება ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დაეების განხილვის ვადების შემცირე-

---

[52] *The Fifth WTO Ministerial Conference. Cancún, Mexico from 10 to 14 September 2003.*

ბას, აგრეთვე აპელაციის წესით ვმო-ს ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას. უფრო მეტიც, თუ ერთი მხარე – ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყანა არღვევს თავის ვალდებულებებს, მეორე მხარეს ეძლევა დამრღვევი ქვეყნის საქონლის ან მომსახურების მიმართ საპასუხო ზომების მიღების უფლებამოსილება. მოპასუხე ქვეყანამ თავისი კანონმდებლობა კონკრეტულ საკითხზე უნდა მოიყვანოს ვმო-ს შეთანხმებებთან შესაბამისობაში და თუ იგი ამას არ გააკეთებს, მან მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია ან საპასუხო ზომებისათვის უნდა იყოს მზად.[53]

როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ ყველაზე აქტიური მოსაჩივრე გახდა. ვმო-ის არსებობის პირველი 5 წლის განმავლობაში კონსულტაციების შესახებ დარეგისტრირებული დაახლოებით 228 პეტიციიდან 60 აშშ-ის მიერ იყო ინიცირებული. აშშ-მა სააპელაციო სასამართლო'ში მოიგო კანადის წინააღმდეგ საპატენტო კანონმდებლობის საკითხებზე აღძრული საქმე, მიიღო საპასუხო ზომების უფლება ევროკავშირის წინააღმდეგ დაახლოებით 300 მლნ დოლარის თანხაზე, ბანანებსა და ჰორმონების გამოყენებით წარმოებული საქონლის ხორცზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის გამო. კონგრესი არ დაკმაყოფილდა ასეთი გადაწყვეტილებით და მოითხოვა ამერიკული სანქციების გამოყენებას საქონლის რეგულარულად განახლებადი სიის მიმართ („კარუსელური სანქციები"), რაზეც ევროპელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. „ბანანების" 6-წლიანი ომი დასრულდა კომპრომისით: ამერიკელებმა 2001 წლის 1 ივლისიდან შეაჩერეს სანქციები ევროკავშირის მიმართ, ხოლო ევროპის ქვეყნებმა 2006 წლისათვის უარი თქვეს საიმპორტო ლიცენზიებზე საბაჟო ტარიფების სასარგებლოდ.

2005 წლის მარტში ვმო-მ გამოიტანა დასკვნა, რომ ამერიკელი ბამბის მწარმოებლები იღებენ მრავალმილიარდიან სახელმწიფო სუბსიდიებს, რაც ეწინააღმდეგება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებსა და უსამართლოა ბრაზილიელი და აფრიკელი ბამბის მწარმოებლების მიმართ. ეს გადაწყვეტილება ეხებოდა ბრაზილიის მიერ 2004 წლის სექტემბერში ვმო-ში შეტანილ საჩივარს: აშშ აჭარბებს ამგვარი სუბსიდიებისათვის დადგენილ ლიმიტებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბამბის ჭარ-

---

[53] *World Trade Organization. Issues in Dispute Settlement. Wash.D.C., GAO.2000. Apr.12.*

ბწარმოებასა და მსოფლიო ბაზარზე ფასების დაცემას. ბრაზილიამ გამოიყენა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემები, რათა დაემტკიცებინა, რომ სუბსიდიები აღემატებოდა ევრო-ის მიერ დადგენილ მაქსიმალურ მოცულობას – 1,6 მლრდ დოლარი წელიწადში. ამ მონაცემების შესაბამისად, 1999 წლის აგვისტოდან 2003 წლის იელისის ჩათვლით, აშშ-ის მთავრობამ ბამბის მწარმოებლებზე დახარჯა 12,5 მლრდ დოლარი ანუ წელიწადში 3,1 მლრდ დოლარი, რაც დადგენილ ზღვარს თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა. აშშ-ის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ეს თანხები არის მხოლოდ დამატებითი დაფინანსება, შიდა სუბსიდიები, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე გაელენას არ ახდენენ. მაგრამ საჩივარს შეუერთდნენ არგენტინა, ავსტრალია, ბენინი, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, ჩინეთი, ახალი ზელანდია, პაკისტანი, პარაგვაი, ტაივანი და ჩადი. აფრიკელი ბამბის მწარმოებლების განცხადებით, ევრო-ის გადაწყვეტილებას აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო ბამბის ბაზრისათვის, არამედ, აგრეთვე, კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებაც, რადგან ბენინის, ბურკინა ფასოს, მალისა და ჩადის ექსპორტის ნახევარს ბამბა შეადგენს – აქ მის მოყვანასა და პირველად დამუშავებაზე დასაქმებულია 10 მლნ-ზე ადამიანი. Oxfam-ის მონაცემებით (ეს ორგანიზაცია განვითარებად ქვეყნებს იურიდიულ დახმარებას უწევს), მხოლოდ 2004-2005 წწ. მსოფლიო ფასებზე აშშ-ის ზემოქმედების შედეგად აღნიშნულმა ქვეყნებმა 400 მლნ დოლარზე მეტი დაკარგეს.[54] აღსანიშნავია, რომ აფრიკელი ბამბის მწარმოებლების დაჟინებული მოთხოვნით, ჰონკონგში მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულია პრინციპული გადაწყვეტილება 2006 წლიდან ბამბის ექსპორტზე ყველა სახის სუბსიდიის გაუქმების შესახებ.

ევრო-ის ჩარჩოში დავის დარეგულირების მექანიზმი საკმაოდ დაბალანსებულია და შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერი ქვეყნის ეგოისტურ ინტერესებს, მათ შორის თვით ისეთი აღიარებული ლიდერისას, როგორიც აშშ-ია. აღნიშნულის შედეგად მას ხშირად უწევს მოპასუხის როლში გამოსელა. ამერიკელების ყველაზე სუსტ წერტილად ითვლება ანტიდემპინგური კანონმდებლობა, რომელსაც აშშ-ის პარტნიორი ქვეყნები ევრო-ს ნორმებთან შეუსაბამოდ მიიჩნევენ.

---

[54] *За свободную торговлю хлопком. Эксперт// 2005, № 10, с. 64.*

ვმო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის სფეროში ამერიკის ლიდერობის „ლეგალიზაციის“ ინსტრუმენტად ითვლება, მაგრამ სიეტლისა და შემდგომმა კონფერენციებმა გვიჩვენა, რომ ამ ლიდერობას საფუძველი შეერყა. ნათელი გახდა, რომ ვმო-ის გრძელვადიანი სტრატეგია ორიენტირებულია მრავალპოლუსიან მსოფლიო თანამეგობრობაზე. გარდა ამისა, თუ უწინ აშშ-ისა და ევროკავშირის პოზიციები მთელ რიგ სავაჭრო საკითხებზე (სოფლის მეურნეობის გარდა) ძირითადად დაახლოებული იყო, უკანასკნელ პერიოდში მათ შორის სერიოზული წინააღმდეგობა გამოიკვეთა. სერიოზული დაპირისპირებაა, აგრეთვე, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. ამ უკანასკნელთა გაერთიანებული ფრონტით მოქმედებამ აშშ აიძულა ელიარებინა ვაჭრობის მრავალმხრივ სისტემაში მათი მნიშვნელობა. ამასთან ერთად, აშშ-ის კორექტივები შეაქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროგრამებში. აშშ-ს სჭირდება გონივრული კომპრომისის გზების გამოძებნა იმ პირობებში, როდესაც მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ გააჩნია. აშშ-ის ადმინისტრაციის ოპონენტი კონგრესმენები თეთრ სახლს აფრთხილებენ, რომ ვმო-მ, როგორც კოლექტიურმა ორგანომ, შეიძლება ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღოს. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ 2000 წელს კონგრესმენმა დ.რორენბახერმა ვმო-ს უწოდა „ზღაპრული ოცნება, რომელიც შეიძლება ამერიკის ყველაზე დიდ საშინელებად იქცეს“.[55] დღეს ამას ემატება ამერიკის ეკონომიკის სერიოზული პრობლემები. 2005 წლის შედეგებით, ქვეყნის საგაჭრო დეფიციტმა 725,8 მლრდ დოლარი ანუ მშპ-ის 5,8 % შეადგენა. 2003-2005 წწ. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 9,5-დან 10,4 %-მდე გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 14,1-დან 16,2 %-მდე. იმპორტული საქონლის ფასები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საექსპორტოსი.[56] უზარმაზარი საგადასახდელო დეფიციტი – 805 მლრდ დოლარი[57] პირდაპირ საშიშროებას უქმნის ამერიკული ვალუტის სტაბილურობას და, შესაბამისად, მის როლს საერთაშორისო ვაჭრობაში.

---

[55] *House Rejects Withdrawal From WTO // CQ Weekly. 2000. June 24.*
[56] *WTO. Trade policy review. Report by the US. 3 March 2006.*
[57] *Эксперт // 2006, № 11, с. 8.*

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ლიბერალური პოლიტიკის გზას დაადგა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის უცილობელი შემადგენელი ნაწილია. ამ მიმართულებით ქვეყანამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები: იგი გახდა გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკის), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, შავი ზღვის აუზის, დსთ-ის (2008 წლის აგვისტოში საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ამ თანამეგობრობიდან გამოსვლის შესახებ), სუამის და სხვა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების წევრი, დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები დაამყარა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან.

2008 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 128 სახელმწიფოსთან და მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7 555.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 17.2 %-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის პირველ ნახევარში სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 35.8%-ით გაიზარდა, მაგრამ მეორე ნახევარში იგი მკვეთრად დაეცა და ზრდის ტემპმა – 2.4% შეადგინა. ამ ვარდნის მთავარი მიზეზებია 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის საომარი მოქმედებები და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.[58] აღნიშნულის მიუხედავად, 2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა აღემატება ყველა წინა წლის მოცულობებს. 1994-2008 წლებში იგი თითქმის 18-ჯერ გაიზარდა. აქედან ექსპორტი გაიზარდა 9.9-ჯერ, ხოლო იმპორტი – 22,6-ჯერ (ცხრილი 25).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ცალკეულ ქვეყანათა ჯგუფებს შორის საერთაშორისო ანგარიშსწორების დაუბალანსებელი სტრუქტურა. აქტიური სავაჭრო ბალანსი დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის (მაგალითად, იაპონია, გერმანია და ა. შ.), რომლებიც მსოფლიო ბაზარზე აქტიური ექსპანსიის პოლიტიკას ახორციელებენ. მაგრამ თვით ლიდერი ქვეყნების რიცხვშიც არიან პასიური სალდოს მქონე ქვეყნები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, რომლის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა არნახულ ზომებს მიაღწია.

---

[58] *http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008*

ცხრილი 25.

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სალდოს დინამიკა, 1994-2008 წწ., მლნ აშშ დოლარი

წლები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
1994	151,2	268,0	419,8	-116,8
1995	151,2	391,6	542,8	-240,4
1996	198,8	686,7	885,5	-487,9
1997	239,8	943,5	1183,3	-703,7
1998	189,0	883,2	1071,2	-694,2
1999	240,7	622,6	863,3	-381,9
2000	324,0	709,0	1033,0	-385,1
2001	317,6	753,3	1070,9	-435,7
2002	347,8	731,4	1079,2	-383,6
2003	465,3	1141,1	1606,4	-675,8
2004	646,9	1847,9	2494,8	-1201,0
2005	866,7	2490,9	3357,6	-1624,2
2006	993,1	3681,2	4674,3	-2688,1
2007	1240,2	5216,7	6456,9	-3976,5
2008	1497,7	6058,1	7555,8	-4560,4
ზრდის ტემპი, %-ით წინა წელთან				
1995	100.0	146.1	129.3	205.8
1996	131.5	175.4	163.2	203.0
1997	120.6	137.4	133.6	144.2
1998	78.8	93.6	90.5	98.6
1999	127.4	70.5	80.5	55.0
2000	134.6	113.9	119.6	100.8
2001	96.2	107.6	104,0	113.1
2002	109.5	97.3	100.8	88.0
2003	133.8	156.0	148.9	176.1
2004	139.0	161.9	155.3	177.7
2005	134.0	134.8	134.6	135.2
2006	114.6	147.8	139.2	165.5
2007	124.9	141.7	138.1	147.9
2008	121.8	116.1	117.0	114.7

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

მართალია, ეკონომიკის განვითარების დონით საქართველო ამერიკას ვერ შეედრება, მაგრამ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდის ტემპებით ნამდვილად არ ჩამორჩება. შედეგად საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენ-

დენციაა იმპორტის ზრდის წინმსწრები ტემპი ექსპორტთან შედარებით და შედეგად, მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2008 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 107 პარტნიორ ქვეყანასთან ანუ პარტნიორი ქვეყნების 83,6 %-თან. მთლიანმა სავაჭრო დეფიციტმა 4790,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგენა, რაც წინა წელს 16 %-ით აღემატება (2007 წელს დეფიციტი 4128,3 მლნ აშშ დოლარი იყო) და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (ცხრილი 25). 2008 წელს საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი მხოლოდ 21 ქვეყანასთან დაფიქსირდა და იგი 229,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (2007 წელს მისი მოცულობა 145,8 მლნ აშშ დოლარი იყო).[59]

2008 წელს 2007 წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტის მოცულობა 121.8%-ით გაიზარდა, იმპორტის – 116.1 %-ით. ამის გამო ექსპორტის წილი მთლიან ბრუნვაში, მართალია, უმნიშვნელოდ (19.8 % 2007 წლის 19.1 %-ის ნაცვლად), მაგრამ გაიზარდა. საქართველოს ექსპორტის 22.4 % (335,2 მლნ აშშ დოლარი) მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, 36.2 % (542,5 მლნ. აშშ დოლარი) – დსთ-ს ქვეყნებზე 2006 წელს ადგილი ჰქონდა დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის მოცულობის შემცირებას, მაგრამ 2007-2008 წლებში იგი ისევ გაიზარდა. 2008 წელს 2006 წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში 138,8 %-ით გაიზარდა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში – 148.7 %-ით (ცხრილი 26). ამავე პერიოდში დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა 142.7 %-ით გაიზარდა, ევროკავშირის ქვეყნებიდან – 150.8 %-ით. 2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების იმპორტის წილმა 30.4 % შეადგინა, ევროკავშირის ქვეყნების კი 25.3 % (ცხრილი 27). აღსანიშნავია, რომ 1995 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა საქართველოს ექსპორტის 62.5 % და იმპორტის 40.1 %. 2000 წელს – 40.0 და 32.1 %, 2005 წელს – 47 და 40 %. შესაბამისად, საქართველოს ექსპორტსა და იმპორტში ადგილი აქვს დსთ-ის ქვეყნების წილის შემცირების ტენდენციას. მიუხედავად ამისა, დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებული და დსთ-ის ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლის მოცულობა აღემატება ევროკავშირისას.

---

[59] *http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008*

2008 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 67.4 % ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილად მოდის. ამ წელს სავაჭრო ბრუნვით საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეული წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნებით: თურქეთი (15.9 %), აზერბაიჯანი (10.8 %), უკრაინა (10.5 %), გერმანია (6.2 %), რუსეთი (6.0 %), აშშ (4.5 %), ჩინეთი (4.1 %), არაბთა გაერთიანებული ემირატები (3.8 %), ბულგარეთი (3.1 %) და იტალია (2.6 %) (ცხრ. 27).

2007 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილად მოდიოდა საქართველოს მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 67,9%, პირველი ათეული კი წარმოდ- გენილი იყო შემდეგი ქვეყნებით: თურქეთი (13,9 %), უკრაინა (10,4 %), რუსეთი (9,8 %), აზერბაიჯანი (8,0 %), გერმანია (6,9 %), აშშ (5,5 %), ბულგარეთი (3,8 %), არაბთა გაერთიანებული ემირატები (3,6 %), ჩინეთი (3,3 %) და თურქმენეთი (2,7 %).

2006 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილად მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 69,9 %, პირველ ათეულში კი შედიოდნენ: თურქეთი (13,9 %), რუსეთი (13,6 %), აზერბაიჯანი (8,8 %), გერმანია (8,5 %), უკრაინა (8,1 %), აშშ 94,0 %), ბულგარეთი (3,8 %), თურქმენეთი (3,7 %), არაბთა გაერთიანებული საემიროები (2,8 %) და იტალია (2,7 %).

2005 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილად მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 72,2 %, პირველი ათეული კი წარმოდგენილი იყო შემდეგი ქვეყნებით: რუსეთი (16,0 %), თურქეთი (12,1 %), აზერბაიჯანი (9,4 %), უკრაინა (7,7 %), გერმანია (7,0 %), აშშ (5,2 %), თურქმენეთი (5,1 %), ბულგარეთი (3,4 %), საფრანგეთი (3,2 %) და გაერთიანებული სამეფო (3,0 %).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით,[60] 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველოს 136-ე და 107-ე ადგილები უკავია, ხოლო მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში – შესაბამისად 108-ე და 122-ე ადგილები. საქართველოს ექსპორტსა და იმპორტში მთავარია სამრეწველო პროდუქცია, რომელზეც მოდის. საქონლის ექსპორტის 44.6 % და იმპორტის 59,8 %.

---

[60] *http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFView.aspx?Language=E&Country=GE*

ცხრილი 26.

საქართველოს ექსპორტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2000-2008 წწ., მლნ აშშ დოლარი

ქვეყანათა ჯგუფები\წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ექსპორტი, სულ	324,0	317,6	347,8	465,3	646,9	866,7	993,1	1240,2	1497,7
დსთ-ს ქვეყნები	129,7	144,9	168,7	224,8	327,6	407,2	390,9	462,2	542,5
შავი ზღვის აუ'სის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანი'საციის ქვეყნები	194,9	182,1	180,3	250,3	343,2	498.8	499,0	634,7	მა
სუამის ქვეყნები				46,7	41,1	120,6	145,6	232,5	მა
ევროკავშირის ქვეყნები - 27	69,4	56,2	59,0	82,7	128,2	216,8	225,4	268,5	335,2
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	163,7	152,1	152,1	212,4	272,0	360,7	390,5	612,9	მა

წყარო: http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008
მა – მონაცემები არაა

ცხრილი 27.

საქართველოს იმპორტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2000-2008 წწ., მლნ აშშ დოლარი

ქვეყანათა ჯგუფები\წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
იმპორტი, სულ	709,0	753,3	731,4	1141,1	1847,9	2490,9	3681,2	5216,7	6058,1
დსთ-ის ქვეყნები	229,5	254,0	292,5	370,1	654,9	996.8	1401,5	1852,1	2000,5
შაეი სღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები	347,5	367,1	388,5	499,4	853,2	1295,3	1953,0	2656,0	მა
სუამ-ის ქვეყნები	მა	მა	მა	175,0	300,5	456,8	642,1	961,1	მა
ევროკავშირის ქვეყნები - 27	160,6	213,2	209,6	439,2	657,2	740.3	1104,1	1538,9	1665,3
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	379,1	405,6	394,5	625,3	946.8	1094,0	1708.9	2360,6	მა

წყარო: http://www.economy.ge/allfiles/tradc%20turnover%202008
მა – მონაცემები არაა

ცხრილი 28.

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, 2008 წელი

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	მლნ USD	%	მლნ USD	%	მლნ USD	%
თურქეთი	262,9	17.6	939,9	15.5	1202,8	15.9
აზერბაიჯანი	205,4	13.7	607,8	10.1	813,2	10.8
უკრაინა	134,2	9.0	657,6	10.9	791,8	10.5
გერმანია	33,1	2.2	434,3	7.2	467,4	6.2
რუსეთი	28,5	1.9	426,0	7.0	454,5	6.0
აშშ	102,2	6.8	241,4	4.0	343,6	4.5
ჩინეთი	9,0	0.6	298,2	4.9	307,1	4.1
არაბთა გაერთ. ემირატები	11,2	0.7	272,7	4.5	283,9	3.8
ბულგარეთი	108,2	7.2	122,9	2.0	231,1	3.1
იტალია	17,2	1.1	181,6	3.0	198,8	2.6
სულ 10 ქვეყანა	911,9	60.9	4182,4	69.0	5094,2	67.4
დანარჩენი	585,8	39.1	1875,7	31.0	2461,5	32.6
სულ ბრუნვა	1497,7	100	6058,1	100	7555,8	100

წყარო: http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008

აგრარული პროდუქცია ექსპორტის 26.1 % და იმპორტის 16.3 % შეადგენს. საწვავისა და მინერალური პროდუქციის წილად მოდის ექსპორტის 23.1 %. იმპორტის 18,6 %. მომსახურების ექსპორტსა და იმპორტში ნახევარზე მეტი მოდის სატრანსპორტო მომსახურებაზე (მომსახურების ექსპორტის 52.4 % და იმპორტის 58.2 %). მეორე ადგილზეა მოგზაურობები (მომსახურების ექსპორტის 39.3% და იმპორტის 20.2 %).

2008 წელს საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ათეულში შედის: ფეროშენადნობები – 267.2 მლნ აშშ დოლარი, ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა – 128,5 მლნ აშშ დოლარი, მადნები და კონცენტრატები სპილენძის – 118,3 მლნ აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომობილები – 113,3 მლნ აშშ დოლარი, სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი – 105,5 მლნ აშშ დოლარი, ოქრო დაუმუშაებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით – 100,1 მლნ აშშ დოლარი, ცემენტი – 80,1 მლნ აშშ დოლარი, სპირტი ეთილის, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები – 59,0 მლნ აშშ დოლარი, ყურძნის ნატურალური ღვინოები – 36,9 მლნ აშშ დოლარი, კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი – 31,7 მლნ აშშ დოლარი.

2008 წლის საქართველოს ძირითად საიმპორტო პროდუქციაში შედის: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 762,5 მლნ აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომობილები – 463,3 ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა – 204,7 მლნ აშშ დოლარი, სამკურნალო საშუალებები – 189,9 მლნ აშშ დოლარი, აპარატურა გადამცემი რადიო სატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის – 148,2 მლნ აშშ დოლარი, ხორბალი და მესლინი – 139,19 მლნ აშშ დოლარი, რკინისა და ფოლადის წნელები – 111,1 მლნ აშშ დოლარი, ხორბალი – 108,9 მლნ აშშ დოლარი, გამომთველელი მანქანები და მათი ბლოკები – 92,8 მლნ აშშ დოლარი, ხორბლის ფქვილი – 74,5 მლნ აშშ დოლარი, მანგანუმის მადნები და კონცენტრანტები – 70,1 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ექსპორტს სანედლეულო მიმართულება აქვს (მასში მცირეა მზა პროდუქციის ხვედრითი წონა), ხოლო იმპორტი არაა ორიენტირებული ინვესტიციურ საქონელზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების პირობები. ამ მაჩვენებლით მას შუალედური მდგომარეობა უკავია მსოფლიოს ქვეყნებს შორის – 81-ე ადგილი. 2008 წელს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა სინგაპური. აქ როგორც ექსპორტისათვის, ისე იმპორტისათვის საჭიროა 4 დოკუმენტი. ექსპორტის განხორციელებაზე საკმარისია 5 დღე, ხოლო იმპორტისათვის – 3 დღე. ექსპორტის ღირებულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით 456 აშშ დოლარს შეადგენს, იმპორტის – 439 აშშ დოლარი. საქართველოში ექსპორტისათვის საჭიროა 8 დოკუმენტი და 12 დღე, იმპორტისათვის – 7 დოკუმენტი და 14 დღე. ექსპორტის ღირებულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით 1380 აშშ დოლარია, იმპორტის – 1340 აშშ დოლარი, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატება სინგაპურის ანალოგიურ მაჩვენებელს (ცხრილი 29).

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონეზე. ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგებს ყოველწლიურად ადგენს ავტორიტეტული ორგანიზაცია The Heritage შემდეგი 10 მაჩვენებლის საფუძველზე:

1.ბიზნესის თავისუფლება;
2.ვაჭრობის თავისუფლება;
3.ფისკალური თავისუფლება;
4.სახელმწიფო თავისუფლება;
5.მონეტარული თავისუფლება;
6.ინვესტიციების თავისუფლება;
7.ფინანსური თავისუფლება;
8.საკუთრების წესები;
9.კორუფციისაგან თავისუფლება;
10.შრომის თავისუფლება.

The Heritage -ს შეფასებით, 2008 წელს საქართველო ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლით 69,8 ქულით 32-ე ადგილზეა. წინა წელთან შედარებით მან ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ (0,5 ქულა) გაიუმჯობესა. საქართველო 30.2 ქულით ჩამორჩება მსოფლიოდ ყველაზე თავისუფალ ქვეყანას ჰონკონგს (90.0 ქულა), 10.9 ქულით – მე-6 ადგილზე მყოფ აშშ-ს (80.7 ქულა).

ეკონომიკური თავისუფლების დონით პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოს უსწრებს ესტონეთი

ცხრილი 29.

საქართველოსა და ზოგიერთი ქვეყნის რეიტინგი საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების მიხედვით

ქვეყანა	რეიტინგი	1	2	3	4	5	6
სინგაპური	1	4	5	456	4	3	439
ჰონკონგი (ჩინეთი)	2	4	6	625	4	5	633
დანია	3	4	5	681	3	5	681
ფინეთი	4	4	8	495	5	8	575
ესტონეთი	5	3	5	730	4	5	740
გერმანია	11	4	7	822	5	7	1047
აშშ	15	4	6	990	5	5	1245
იაპონია	17	4	10	989	5	11	1047
საფრანგეთი	22	2	9	1078	2	11	1248
ჩინეთი	48	7	21	460	6	24	545
თურქეთი	59	7	14	940	8	15	1063
საქართველო	81	8	12	1380	7	14	1340
სომხეთი	143	7	30	1746	9	24	1981
აზერბაიჯანი	174	9	48	3075	14	56	3420
რუსეთი	161	8	36	2150	13	36	2150

1 – დოკუმენტები ექსპორტისათვის (რაოდენობა), 2 – დრო ექსპორტისათვის (დღე), 3 – ექსპორტის ღირებულება (აშშ დოლარი 1 კონტეინერზე), 4 – დოკუმენტები იმპორტისათვის (რაოდენობა), 5 – დრო იმპორტისათვის (დღე), 6 – იმპორტის ღირებულება (აშშ დოლარი 1 კონტეინერზე).

წყარო: http://www.doingbusiness.org/economyrankings/

(მე-13 ადგილი და 76,4 ქულა), ლიტვა (30-ე ადგილი და 70 ქულა) და სომხეთი (31 ადგილი და 69,9 ქულა). აზერბაიჯანი 58,0 ქულით 99-ე ადგილზეა და საქართველოს 11.9 ქულით ჩამორჩება. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შემადგენელი ელემენტებიდან საქართველოს ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვს შრომის თავისუფლების თვალსაზრისით. ამ მაჩვენებლით იგი (99,4 ქულა) უსწრებს 1 ადგილზე მყოფ ჰონკონგს (86,3 ქულა). საქართველოს შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს ბიზნესის თავისუფლების (86,6 ქულა), ფისკალური თავისუფლებისა (86,8 ქულა) და ვაჭრობის თა-

ვისუფლების კუთხით, ხოლო ცუდი მდგომარეობა აქვს აქვთ კორუფციისაგან თავისუფლებისა (34,0 ქულა) და საკუთრების წესების (35,0 ქულა) მხრივ (ცხრილი 30).

საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქმიანობის პერსპექტივების განხილვისას მხედველობაში მისაღებია ზოგიერთი ფაქტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირება (2009 წლის იანვარ-თებერვალში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 701,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 34,7 %-ით ნაკლებია[61];
- იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონე (განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლით) და ექსპორტის მცირე მოცულობა. იმპორტის ზრდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს ეროვნულ ეკონომიკას, რადგან საქართველო სხვა ქვეყნებზე ხდება დამოკიდებული. ამჟამად საქართველო მიუახლოვდა იმ ზღვარს (მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იმპორტის 30 %-იანი წილი), რომელიც დამოუკიდებელ ქვეყნებს ეისიმე გავლენის ქვეშ აქცევს. სწორედ ამიტომ ქვეყანას სჭირდება ექსპორტის განვითარებასა და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც მისი მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოფს.
- მსოფლიო ფინანსური კრიზისი, არასტაბილური სამეურნეო და სასაქონლო კონიუნქტურა, რომელთაც საგარეო ვაჭრობისათვის სერიოზული რისკები მოაქვთ;
- მრეწველობის განვითარების დაბალი დონე და სამეცნიერო-კვლევითი სფეროს დეგრადაცია;
- საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
- მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის დაბალი დონე;
- არასახარბიელო პოლიტიკური სიტუაცია. დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამის გამო, მსოფლიოს „არაქმედითუნარიან" სახელმწიფოთა რეიტინგში საქართველო ყველაზე არასახარბიელო ქვეყანათა რიცხვში შედის.

---

[61] *http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade_January-February2009.pdf*

ცხრილი 30.

ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი, 2008 წ.

რანგი	ქვეყანა	ქულა	ცვლილება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ჰონკონგი	90,0	+0,3	92,7	95,0	93,4	93,1	86,2	90,0	90,0	90,0	83,0	86,3
2	სინგაპური	87,1	-0,2	98,3	92,0	91,1	93,8	86,8	80,0	50,0	90,0	93,0	98,1
3	ავსტრალია	82,6	+0,4	90,5	84,8	61,4	64,3	84,7	80,0	90,0	90,0	86,0	94,7
6	აშშ	80,7	-0,3	91,9	86,8	67,5	59,6	84,0	80,0	80,0	90,0	72,0	95,1
10	დიდი ბრიტანეთი	79,0	-0,5	89,8	85,8	61,0	40,3	80,4	90,0	90,0	90,0	84,0	78,6
13	ესტონეთი	76,4	-1,5	75,9	85,8	81,5	67,3	79,7	90,0	80,0	90,0	65,0	48,5
19	იაპონია	72,8	-0,2	85,8	82,0	67,5	61,1	93,6	60,0	50,0	70,0	75,0	82,5
30	ლიტვა	70,0	-1,0	82,4	85,8	87,6	65,3	75,8	70,0	80,0	50,0	48,0	54,6
31	სომხეთი	69,9	0	83,7	86,4	90,0	89,7	77,8	70,0	70,0	35,0	30,0	66,3
32	საქართველო	69,8	+0,5	86,6	80,6	86,8	74,6	70,9	70,0	60,0	35,0	34,0	99,4
99	აზერბაიჯანი	58,0	+2,6	74,6	78,4	79,7	77,5	66,3	30,0	40,0	25,0	21,0	87,0
146	რუსეთი	50,8	+1,0	54,0	60,8	78,9	70,6	65,5	30,0	40,0	25,0	23,0	60,0
152	უკრაინა	48,8	-2,2	40,5	84,0	77,0	39,0	68,1	30,0	40,0	30,0	27,0	52,4

1 – ბიზნესის თავისუფლება, 2 – ვაჭრობის თავისუფლება, 3 – ფისკალური თავისუფლება, 4 – სახელმწიფო თავისუფლება, 5 – მონეტარული თავისუფლება, 6 – ინვესტიციების თავისუფლება, 7 – ფინანსური თავისუფლება, 8 – საკუთრების უფლები, 9 – კორუფციისაგან თავისუფლება, 10 – შრომის თავისუფლება.

წყარო: http://www.heritage.org/index/Ranking.aspx

საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

საბჭოთა კავშირის დაშლისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ცვლილებებმა განაპირობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ახალ ჭრილში განხილვის აუცილებლობა, საგარეო პოლიტიკური საქმიანობის ობიექტების, მიზნებისა და ამოცანების გადაფასება. ამჟამად საქართველო თავის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას მიიჩნევს.

ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1992 წელს აღიარა, მაგრამ მათ შორის ოფიციალური ურთიერთობების დამყარების მცირე ისტორიული მონაკვეთის მიუხედავად, არსებითი ცვლილებები მოხდა როგორც ევროკავშირში, ისე საქართველოში. ევროკავშირი 15 სახელმწიფოდან 27 სახელმწიფომდე გაიზარდა და დღეს იგი კიდევ უფრო რთულ და ამბიციურ გაერთიანებად იქცა. ამასთან, გაფართოვდა მისი კომპეტენციის სფეროები და საკითხები, მათ შორის ისეთების ხარჯზე, რომლებიც ადრე მხოლოდ წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში შედიოდა. ევროპული ინტეგრაცია დღეს საერთაშორისო პოლიტიკის ქვაკუთხედად, პოლიტიკური ძალაუფლების ღერძად იქცა. ინტეგრაციამ მიაღწია იმ უმაღლეს დონეს, როდესაც ფართოვდება პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცე და რომელიც საერთო ზენაციონალური წესებით სათანადო წესრიგის დამყარებას საჭიროებს. ევროკონსტიტუციის საფუძველზე ინტეგრაცია ხდება უფრო ეფექტიანი და იგი იღებს ახალ პოლიტიკურ მასშტაბებს. ამასთან, სახელმწიფოთა სიმრავლის გამო, ინტეგრაცია არის დიფერენცირებული, ნაკლებად ჰომოგენური და არაერთგვაროვანი. გაფართოება უფრო პოლიტიკური ნაბიჯია და მისი შედეგები ძველი წევრებისათვის არამომგებიანია. ახალი წევრების მიღების შედეგად დანახარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა უარყოფითად შეიცვალა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დიდი ხანია ცდილობდა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, მაგრამ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპამ გაიაზრა, რომ მას თანამედროვე მსოფლიოში წამყვანი როლის დაკავება მხოლოდ ინტეგრაციის გზით შეუძლია. სწორედ ამ გააზრებული პოლიტიკის შედეგია პირველი ინტეგრაციული გაერთიანება – ევროკავშირი, რომლის შექმნით მიღე-

ბულმა შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ამჟამად ევროკავშირზე მოდის მთლიანი მსოფლიო პროდუქტის დაახლოებით 1/4, თუმცა მისი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები ჩამორჩება როგორც აშშ-ის, ასევე მთელი მსოფლიოს ზრდის ტემპებს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ 2006 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობა 456 მლნ ადამიანს შეადგენს და აქედან 16 % სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო შრომისუნარიანი მოსახლეობის (სტუდენტების გარდა) 1/10 ცხოვრობს იმ ოჯახებში, რომლებშიც არავინ არ მუშაობს. უმუშევრობის თვალსაზრისით ყველაზე ცუდი მდგომარეობაა პოლონეთსა და ბელგიაში, სადაც უმუშევრობის დონე 13 %-ია.[62]

ამჟამად საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას ეფუძნება. ამ შეთანხმებაზე მუშაობა საქართველომ 1993 წლიდან დაიწყო. იგი 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში იყო ხელმოწერილი და 1999 წელს ძალაში შევიდა. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ეკონომიკური ხასიათისაა და მისი მოქმედების პერიოდში სერიოზული შედეგებია მიღწეული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს საქართველო-ევროკავშირის საავჭრო ბრუნვამ 1807,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2000 წლის მონაცემს 6,8-ჯერ აღემატება. მოცემულ პერიოდში ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 3,5-ჯერ გაიზარდა, იმპორტი – 8,2-ჯერ (ცხრილი 31). ასეთი ზრდის მიუხედავად, 2007 წელს საქართველოს უმსხვილესი 10 სავაჭრო პარტნიორის რიცხვში ევროკავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ გერმანია და ბულგარეთი შედიოდნენ. მათი წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში შესაბამისად 6,9 და 3,8 %-ია.[63]

[62] *https://www.cia.gov*

[63] *http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008*

ცხრილი 31.

საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები, 2000-2007 წწ.*

წლები	ბრუნვა, ათასი აშშ დოლარი	ექსპორტი, ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტ'ში, %	იმპორტი, ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტ'ში, %	ბალანსი, ათასი აშშ დოლარი
2000	264559,0	76389,1	23.7	188170,0	26.5	- 11780,9
2001	302454,8	61604,9	19.4	240845,9	32.0	- 79241,0
2002	295496,6	63220,5	18.3	232254,1	29.2	- 69033,6
2003	512756,0	81589,6	17.7	431160,4	37.8	- 49570,8
2004	785452,4	128204,3	19.8	657248,1	35.6	- 29043,8
2005	957078,6	216755,7	25.0	740322,9	29.7	- 23567,2
2006	1366121,6	256720,4	25.9	1109401,2	30.1	- 52680,8
2007	1807435,0	268530,0	14.9	1538905,0	85.1	- 1270375

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

შენიშვნა: 2004 წლამდე მონაცემები მოიცავს ევროკავშირის წევრ 25 ქვეყანას. 2004 წლიდან – 27 ქვეყანას (ბულგარეთისა და რუმინეთის ჩათვლით)

როგორც ცხრილი 32-ის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს წილი საქონლისა მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში უმნიშვნელოა – შესაბამისად 0.01 და 0.03 %. ასევე უმნიშვნელოა საქართველოს წილი მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში – ორივე შემთხვევაში 0.3 %. 2006 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტში პირველ ადგილზეა გერმანია, რომელსაც საქონლის მსოფლიო იმპორტში მეორე ადგილი უკავია. იგი აგრეთვე წამყვან როლს თამაშობს მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში – შესაბამისად მესამე და მეორე ადგილები. მომსახურების მსოფლიო ექსპორტში გერმანიას უსწრებს გაერთიანებული სამეფო, რომელსაც ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. მსოფლიო ვაჭრობაში ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის წილები და მათი ადგილები საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში მოცემულია ცხრილში 32.

ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მშპ-ის, საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები ღირებულებით მაჩვენებლებში, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის წილები მშპ-ში მოცემულია ცხრილში 33. ამ ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის მშპ-ის მოცულობით პირველ ადგილზეა გერმანია – 2906681 მლნ აშშ დოლარი, მეორეზეა გაერთიანებული სამეფო – 2345015 მლნ აშშ დოლარი, მესამეზე – საფრანგეთი – 2230721 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ბოლო ადგილზეა მალტა – 5570 მლნ აშშ დოლარი. მშპ-ში საქონლის ექსპორტის ყველაზე მაღალი წილი აქვთ: ბელგიას – 94 %, სლოვაკეთს – 76 %, ნიდერლანდებს – 70 %; საქონლის იმპორტის – ბელგიას – 90 %, ბულგარეთს – 73 %, მალტას – 71 %. მშპ-ში მომსახურების ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს ლუქსემბურგს – 123 %, კვიპროსს – 45 %, მალტას – 32 %, ხოლო მომსახურების იმპორტის – ლუქსემბურგს – 74 %, ირლანდიას – 35 % და მალტას – 26 %. საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო კვოტები საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში შესაბამისად შეადგენს 13 და 49 %-ს, ხოლო მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში – შესაბამისად 11 და 9%.

ცხრილი 32.

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ადგილი საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობაში, 2006 წ.

ქვეყანა	ქვეყნის საქონლით ვაჭრობის წილი მსოფლიო		ქვეყნის მომსახურებით ვაჭრობის წილი მსოფლიო		ადგილი საქონლის მსოფლიო		ადგილი მომსახურების მსოფლიო	
	ექსპორტში	იმპორტში	ექსპორტში	იმპორტში	ექსპორტში	იმპორტში	ექსპორტში	იმპორტში
ავსტრია	1,16	1,13	2,14	2,01	22	20	13	16
ბელგია	3,06	2,85	2,09	2,04	10	10	15	15
ბულგარეთი	0,12	0,19	0,18	0,15	66	58	57	62
გაერთ. სამეფო	3,71	4,99	8,26	6,49	7	4	2	3
გერმანია	9,20	7,32	6,12	8,27	1	2	3	2
დანია	0,77	0,70	1,88	1,70	33	30	17	17
ესპანეთი	1,70	2,55	3,83	2,94	18	12	6	10
ესტონეთი	0,08	0,11	0,13	0,09	76	70	66	76
იტალია	3,40	3,52	3,54	3,71	8	7	7	7
ირლანდია	0,92	0,59	2,47	2,96	29	34	12	8
კვიპროსი	0,01	0,06	0,25	0,11	129	90	49	69
ლატვია	0,05	0,09	0,10	0,07	88	76	72	84

ცხრილი 32-ის გაგრძელება

ლიტვა	0,12	0,16	0,13	0,09	68	64	65	74
ლუქსემბურგი	0,19	0,21	1,85	1,16	60	52	18	24
მალტა	0,02	0,03	0,07	0,05	111	108	83	99
ნიდერლანდები	3,83	3,35	2,99	2,95	6	8	9	9
პოლონეთი	0,91	1,02	0,74	0,68	30	26	30	33
პორტუგალია	0,36	0,54	0,64	0,43	47	36	33	39
რუმინეთი	0,27	0,41	0,25	0,26	55	41	50	55
საბერძნეთი	0,17	0,51	1,29	0,60	63	39	22	34
საფრანგეთი	4,06	4,31	4,15	4,11	5	6	5	5
სლოვაკეთი	0,35	0,37	0,19	0,18	48	44	54	61
სლოვენია	0,19	0,19	0,16	0,13	59	56	60	67
უნგრეთი	0,62	0,62	0,48	0,45	36	33	37	38
ფინეთი	0,64	0,55	0,61	0,56	35	35	34	35
შვედეთი	1,22	1,02	1,79	1,48	21	25	21	19
ჩეხეთი	0,79	0,75	0,43	0,42	32	29	39	40
საქართველო	0,01	0,03	0,03	0,03	140	110	106	125

წყარო: http://www.wto.org

ცხრილი 33.

ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მშპ-ის, საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა, 2006 წ. (მლნ აშშ დოლარი)

№	ქვეყანა	მშპ	საქონლის		მომსახურების		მშპ-ში საქონლისა (1) და მომსახურების (2)			
			ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექს1	იმ1	ექს2	იმ2
							წილი, %			
1	ავსტრია	322444	140397	140258	58948	53295	44	43	18	17
2	ბელგია	392001	369166	353720	57629	53992	94	90	15	14
3	ბულგარეთი	31483	15064	23136	5041	4103	48	73	16	13
4	გაერთ.სამეფო	2345015	448291	619385	27529	171957	19	26	10	7
5	გერმანია	2906681	1111969	908630	168766	219103	47	39	7	9
6	დანია	275237	92752	86273	51749	44953	34	31	19	16
7	ესპანეთი	1223988	205455	316448	105483	77902	17	26	9	6
8	ესტონეთი	16410	9469	13277	3451	2427	58	81	21	15
9	იტალია	1844749	410572	437386	97508	98369	22	24	5	5
10	ირლანდია	222650	111066	72806	6971	78381	50	33	31	35
11	კვიპროსი	15418	1333	6928	6877	2898	9	45	45	19
12	ლატვია	20116	6153	11510	2640	1966	31	57	13	10
13	ლიტვა	29791	14113	19300	3583	2459	47	65	12	8
14	ლუქსემბურგი	41382	22845	26655	51101	30612	55	64	123	74
15	მალტა	5570	2665	3976	1807	1437	48	71	32	26

ცხრილი 33-ის გაგრძელება

16	ნიდერლანდები	657590	462410	416445	82462	78109	70	63	13	12
17	პოლონეთი	338733	110303	125997	20497	17910	33	37	6	5
18	პორტუგალია	192572	43323	66618	17624	11314	22	35	9	6
19	რუმინეთი	121609	32336	51106	6853	6773	27	42	6	6
20	საბერძნეთი	244951	20898	63185	35671	15899	9	26	15	6
21	საფრანგეთი	2230721	490368	534894	114461	108783	22	24	5	5
22	სლოვაკეთი	55049	41721	45870	5372	4687	76	83	10	9
23	სლოვენია	37303	23257	24104	4446	3311	62	65	12	9
24	უნგრეთი	112899	74478	76963	13351	11983	66	68	12	11
25	ფინეთი	209445	77032	68873	16821	14727	37	33	8	7
26	შვედეთი	384927	147377	126738	49243	39294	38	33	13	10
27	ჩეხეთი	141801	95077	93217	11759	11140	67	66	8	8
28	საქართველო	7550	993	3678	802	684	13	49	11	9

წყარო: ცხრილი შედგენილია გაეროს მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების (www.wto.org) საფუძველზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სტრატეგიული მიზანია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ეკონომიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისათვის გარკვეული წანამძღვრები არსებობს, მაგრამ მას არ გააჩნია ინტეგრაციისათვის საჭირო პარამეტრები და ისეთი მოდელი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს.

საქართველოსათვის, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, დამახასიათებელია განვითარების ინერციული მოდელი, რომელიც ძირითადად ძველი კავშირებისა და პოტენციალის საფუძველზეა დამყარებული. ამ მოდელმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რის გამოც აუცილებელია განვითარების ახალი გზებისა და ორიენტირების მოძებნა. საქართველოს მთავარ ამოცანად უნდა იქცეს თანმიმდევრული, მდგრადი განვითარება და ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო პარამეტრების მიღწევა. ამისათვის კი უნდა გაუიაროთ ევროკავშირისათვის ნაცნობი გზა: თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან სრულ ინტეგრაციამდე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდა. ამას მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებამ უნდა შეუწყოს ხელი, რომლის საფუძველსაც **GSP+** სქემით ვაჭრობის უკვე არსებული უფლება და შემდგომში ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა იძლევა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაცია და ცალკეულ ბაზრებზე (განსაკუთრებით დსთის) დამოკიდებულების შემცირება, ევროკავშირში საექსპორტო საქონლის მოცულობის ზრდა, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრება, სტანდარტებთან და სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება და ა. შ. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს შემდეგი მიმართულებებით:

- ეკონომიკური დაახლოების ოპტიმალური სავაჭრო-პოლიტიკური რეჟიმისა და პირობების ფორმირება საქონლის, კაპიტალის, ადამიანური რესურსების თავისუფალი მოძრაო-

ბის, კომპანიების დაფუძნების მაქსიმალური თავისუფლების უზრუნველსაყოფად;

- ჰუმანიტარული თანამშრომლობა;
- თანამშრომლობა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება;
- ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

ყველა აღნიშნული მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს, მოქმედებს ცალკეული პროგრამები. მაგალითად, დღეისათვის ევროკავშირის დახმარების ფარგლებში მიმდინარეობს შემდეგი პროგრამები: ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა ECHO, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა FSP, განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამა EFA და სხვა. 1992-2005 წლებში ევროგაერთიანების (შემდგომში ევროკავშირის) მიერ საქართველოსათვის გაწეულმა დახმარებამ 451 მლნ ევრო შეადგინა. აქედან ჰუმანიტარულ დახმარებაზე მოდიოდა 160 მლნ ევრო, ტექნიკურ დახმარებაზე TACIS-ის პროგრამის ფარგლებში – 110 მლნ ევრო, სასურსათო უსაფრთხოების პროგრამაზე – დაახლოებით 110 მლნ ევრო, მაკროფინანსურმა დახმარებამ გრანტის სახით დაახლოებით 31,5 მლნ ევრო და გრძელვადიანი სესხის სახით – 110 მლნ ევრო შეადგინა და ა.შ.[64] შესაბამისად, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის მძიმე პერიოდში ევროკავშირს საქართველოსათვის გარკვეული დახმარება აქვს გაწეული და კიდევ აგრძელებს მას. გარდა ამისა, 2004 წლის 14 ივნისს მიღებულია გადაწყვეტილება ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ჩართვის შესახებ.

სამეზობლო ინიციატივის საფუძველზე საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდა და თანამშრომლობამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. მართალია, სამეზობლო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ევროკავშირის სტრუქტურებში ინტეგრირებას, მაგრამ სამეზობლო ინიციატივაში მონაწილე ქვეყნების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა იმის რეალურ საფუძველს იძლევა, რომ პერსპექტივაში საქარ-

[64] http://www.eu-integration.gov.ge/geo/#

თეელო შეიძლება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. თუმცა ამისათვის სერიოზული მუშაობაა საჭირო. უპირველესად, საქართველომ უნდა მიაღწიოს ევროკავშირის მიერ ინტეგრაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს (ეკონომიკური სიტუაცია, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დონე). ამ კრიტერიუმების მისაღწევად, ერთი მხრივ, საჭიროა განვითარების ინოვაციური მოდელი, რომელიც დაეფუძნება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას საქმიანობის ყველა სფეროში და ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას მაღალტექნოლოგიური დარგების საფუძველზე. ინოვაციური მოდელის რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სწრაფი განვითარება იაფი მუშახელის, განათლებაში ინვესტიციების, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში. მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო კავკასიის შემადგენელი ნაწილია და მისი მომავალიც ამ რეგიონის განვითარებასთანაა დაკავშირებული. აღნიშნულის გამო, უპირველესად, აუცილებელია კავკასიის სუბიექტების ინტეგრაცია და რეგიონული გაერთიანების – კავკასიის ერთიანი ბაზრის შექმნა.

დღეს კავკასია არ არის მხოლოდ უბრალო გეოგრაფიული ცნება, რადგან აქ იკვეთება მსოფლიოს უმსხვილესი სახელმწიფოების სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა ინტერესები. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ეფუძნება აქ არსებულ ნავთობისა და გაზის მარაგს. კასპიის ზღვის რეგიონი (სამხრეთი კავკასია და ცენტრალური აზია) ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის 3-4 %-ს და გაზის – 4-6 %-ს. ევროკავშირის ქვეყნები ახორციელებენ მოხმარებული ენერგორესურსების 50%-ის (აშშ – 58 %-ის) იმპორტს და 2030 წლისათვის მათ დასჭირდებათ 70 %-ის იმპორტი. რუსეთზე მოდის 25%, მოსალოდნელია, რომ 2030 წლისათვის ეს წილი 40%-მდე გაიზრდება. 45 %-ის იმპორტირება ახლო აღმოსავლეთიდან წარმოებს. რა თქმა უნდა, კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობისა და გაზის მარაგი არც ისე დიდია, მაგრამ რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესამცირებლად, აგრეთვე სპარსეთის ყურეში არსებული არასტაბილურობის გამო, ევროპას ამ რესურსების იმპორტის დივერსიფიკაცია სჭირდება. საქართველო, როგორც სატრანსპორტო დერეფნის მონაწილე, მზადაა უზრუნველყოს ევროპის ბაზარზე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების მიწოდება.

ევროკავშირისათვის საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის საკვანძო რგოლის მნიშვნელობის შესახებ ბევრი იწერება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები უფრო მეტია, ვიდრე სატრანსპორტო დერეფანი. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში ევროკავშირში მოდად იქცა მსჯელობა სოლიდარობის შესახებ. ამ სოლიდარობის თვალსაზრისით კი ჩვენ სტრატეგიული პარტნიორების რიცხვში უნდა ვიყოთ განხილული.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აქტიური ჩართვისათვის აუცილებელია რეგიონისშიდა და საერთაშორისო ხასიათის პრობლემების გადაჭრა. რეგიონისშიდა პრობლემებს შორის მთავარია სეპარატიზმის დაძლევა, კავკასიის ყველა სუბიექტის გრძელვადიანი და მიმდინარე ინტერესების შეთანხმება, კავკასიის განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება შრომის რეგიონისშიდა დანაწილებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპებს. საერთაშორისო ასპექტში კი უნდა შემუშავდეს გარე სამყაროსთან ურთიერთობის ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეარბილებს გარე (დეზინტეგრაციული) ძალების უარყოფით ზემოქმედებას და უზრუნველყოფს ევროკავშირის სტრუქტურებში კავკასიისათვის ოპტიმალურად მისაღებ ინტეგრაციას. რა თქმა უნდა, კავკასიაში არსებული პრობლემების გამო, ძნელი წარმოსადგენია საომარ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოების თანამშრომლობა, კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს არაა უტოპია. ევროპის ისტორია და, კერძოდ, გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითი, ამის შესაძლებლობას იძლევა. XX საუკუნის ორივე მსოფლიო ომში ეს ქვეყნები ერთმანეთს ეომებოდნენ, მაგრამ დღეს ისინი უახლოესი მოკავშირენი და ევროკავშირის ლიდერები არიან.

საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობა ნიშნავს:

- იმის ფორმალურ დადასტურებას, რომ სახელმწიფოს გააჩნია მაღალი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზოგადცივილიზაციური სიმწიფის, განვითარებისა და სტაბილურობის მაღალი დონე;
- რომ ქვეყანა შედის ნორმალური, სტანდარტული ევროპული ქვეყნების რიცხვში და აღიარებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. ესაა სიგნალი ახალი ცხოვრების დასაწყისისა;

• ქვეყანა აღიარებს ლიბერალურ ფასეულობებს, აქვს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა;

• მონაწილეობს გლობალური საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში არსებული ბიუროკრატიის პირობებში, გადაწყვეტილებათა მიღებაში მისი მონაწილეობის ეფექტიანობის დონე არც ისეთი მაღალი იქნება.

ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების დადებითი მხარეების მიუხედავად, ამ ინტეგრაციას აქვს სერიოზული პრობლემა: ევროკავშირის ფუძემდებლური პრინციპია ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილზე უარის თქმა და ზენაციონალური ორგანოებზე გადაწყვეტილებათა მიღების უფლების დელეგირება. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში ამ დელეგირების ზომა კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, უნდა გაკარკვიოთ, რამდენადაა საქართველო ამისათვის მზად. აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი პასუხობდეს გლობალიზაციის პროცესებსა და XXI საუკუნის გამოწვევას. მან უნდა უზრუნველყოს ევროპისა და კავკასიის უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება. სტაბილური კავკასია ევროკავშირის ინტერესებშია.

საქართველო-თურქეთის საგანგრო ურთიერთობები

თურქეთის რესპუბლიკა ისლამური სამყაროს მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მსოფლიოში 1,3 მლრდ მუსულმანია. პროგნოზის თანახმად, 2025 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის არანაკლებ 30%-სა მუსულმანები იქნებიან. 40-ზე მეტ სახელმწიფოში მოსახლეობის უმეტესობას მუსულმანები შეადგენენ. ინდონეზიაში ცხოვრობს 210 მლნ მუსულმანი, პაკისტანში – 150, ბანგლადეშში – 110, ნიგერიაში – 80, ირანში – 65, თურქეთში – 65, ეგვიპტეში – 60, ერთმილიარდიან ინდოეთში – 140 და ა. შ.

1996 წელს თურქეთის პრემიერ-მინისტრის ნ. ერბაქანის წინადადებით შეიქმნა ისლამური სამყაროს „რვიანი", რომელშიც მონაწილეობენ შემდეგი ქვეყნები: თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, პაკისტანი, ბანგლადეში, მალაიზია და ინდონეზია. იგი განვითარებული ქვეყნების „რვიანი"-ს საპირისპიროდ ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, 1969 წელს შექმნილი ორგანიზაცია ისლამური კონფერენცია (ოიკ) აერთიანებს 57 სახელმწიფოს და იგი 1,2 მლნ მოსახლეობას მოიცავს. ეს ორგანიზაცია ისლამური სამყაროს მინი-გაეროს როლს ასრულებს. მას გააჩნია ასოცირებული დაწესებულებების ფართო ქსელი, მათ შორისაა განვითარების ისლამური ბანკი, ისლამური კომისია ეკონომიკისა და კულტურის საკითხებზე, ვაჭრობის განვითარების ისლამური ცენტრი, განვითარების ისლამური ფონდი, წითელი ნახევარმთვარის (წითელი ჯვრის ანალოგი) და სხვა დაწესებულებები.

თურქეთი ოიკ-ში აქტიურ როლს თამაშობს. ამასთან, იგი ახორციელებს საკუთარი ინტერესების დაცვაზე გამიზნულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. დასახული მიზნის რეალიზაციისათვის თურქეთი მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან თანამშრომლობს.

თურქეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 16 დეკემბერს აღიარა, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები მათ შორის 1992 წლის 21 მაისს დამყარდა. ამის შემდეგ საქართველო-თურქეთის ურთიერთობები სათანადო სამართლებრივი ბაზით განმტკიცდა. ორ ქვეყნას შორის ხელმოწერილია 120-ზე

მეტი დოკუმენტი, რომლებიც ფაქტობრივად ყველა სფეროს ეხება. მათ შორის აღსანიშნავია[65]:

- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ (30.07.1992);
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საეჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (30.07.1992);
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ (30.07.1992);
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ (30.07.1992);
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შესახებ (1994 წლის იანვარი);
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკას მთავრობას შორის საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ (13.01.1994);
- შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის პრეფერენციული ვაჭრობის შესახებ (19.12.2006).

თურქეთი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოა, რომლის ფართობი 11.2-ჯერ აღემატება საქართველოსას, მოსახლეობის რიცხოვნობა – 16.6-ჯერ, მშპ-ის მოცულობა – 44-ჯერ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე – 2.6-ჯერ, ექსპორტის მოცულობა – 51-ჯერ, იმპორტის მოცულობა – 28-ჯერ, საერთაშორისო რეზერვები – 54-ჯერ და ა. შ.[66] მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ეს ორი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა სავაჭრო ურთიერთობები.

საქართველოს მსგავსად, თურქეთის საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2008 წელს მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 333,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 132 მლრდ აშშ დოლარია,

---

[65] *http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=298&lang_id=GEO*

[66] *გაანგარიშებულია https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/docs/rankorderguide.html მონაცემების საფუძველზე*

ხოლო იმპორტი – 201,9 მლრდ აშშ დოლარი. უარყოფითი სავაჭრო სალდო 69.9 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს[67]. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში თურქეთს 33-ე და მე-19 ადგილები უკავია, მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში კი იგი ორივე შემთხვევაში 39-ე ადგილზეა. თურქეთის ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფია სამრეწველო პროდუქცია – 79.6 %, აგრარული პროდუქციაზე მოდის 9.4 %, საწვავსა და მინერალურ პროდუქციაზე – 10.0 %. თურქეთის იმპორტში მათი წილი შესაბამისად 62.7, 5.9 და 22.7 %-ს შეადგენს[68].

2008 წელს თურქეთის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 15.9 %-ს შეადგენს, ექსპორტის – 17.6 % და იმპორტის – 15.9 %. სავაჭრო ბრუნვის მოცულობით თურქეთი საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორია[69].

2008 წელს საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვამ 1202,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 303,1 ათასი აშშ დოლარით ანუ 133,7 %-ით გაიზარდა. საქართველოს თურქეთთან მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს და მას ზრდის ტენდენცია ახასიათებს. 2008 წელს დეფიციტმა 677,0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 120,9 ათასი აშშ დოლარით ანუ 121,7 %-ით გაიზარდა, ხოლო 2000 წელთან შედარებით 647,8 ათასი აშშ დოლარით ანუ 23.2-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 34).

თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი პირველ სამეულში შედის. 1994-2008 წლების განმავლობაში სავაჭრო ბრუნვით თურქეთი 6-ჯერ იყო პირველ ადგილზე (1995, 2000, 2001, 2006, 2007, 2008 წლები), 7-ჯერ – მეორეზე (1997, 1998, 1999, 2002, 2003, 2004 და 2005 წლები), 2-ჯერ – მესამეზე (1994 და 1996 წლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში თურქეთი ყველაზე მაღალი წილით (21.4 %) წარმოდგენილი იყო 1995 წელს, ხოლო ყველაზე დაბალით (11.3 %) – 1998 წელს (ცხრილი 35).

---

[67] *http://www.turkstat.gov.tr/PreIstatistikTablo.do?istab_id=621*

[68] *http://www. wto.org*

[69] *http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008*

ცხრილი 34.

საქართველოს-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა, 2000-2008 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	საგაჭრო ბრუნვა	საგაჭრო სალდო
2000	74,8	104,0	178,8	–29,2
2001	68,7	105,0	175,7	–36,3
2002	53,7	89,7	143,4	–36,0
2003	78,9	107,5	186,4	–28,6
2004	118,7	202,3	321,0	–83,6
2005	121,8	283,0	404,9	–161,2
2006	125,0	523,0	648,0	–398,0
2007	171,8	727,9	899,7	–556,1
2008	262,9	939,9	1202,8	–677,0
წყარო: http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008				

ცხრილი 35.

თურქეთის ადგილი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის (2000-2008 წწ.)

წლები	ადგილი	%-ით ჯამთან		
		ექსპორტი	იმპორტი	საგაჭრო ბრუნვა
2000	1	21.5	15.5	17.6
2001	1	22.7	16.0	18.2
2002	2	15,5	12,0	13,1
2003	2	17,8	10,2	12,4
2004	2	18,3	11,0	12,9
2005	2	14,1	11,4	12,1
2006	1	12,6	14,2	13,9
2007	1	13,85	14,0	13,9
2008	1	17,6	15,5	15,9
წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.				

2007 წელს თურქეთში საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები წარმოდგენილია შემდეგი სახით: ნარჩე-

ნები და ჯართი შაეი ლითონებისა – 83 721 ათასი აშშ დოლარი, ნარჩენები და ჯართი ალუმინისა – 14 079 ათასი აშშ დოლარი, ნარჩენები და ჯართი სპილენძისა – 10 939 ათასი აშშ დოლარი, ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი – 7 533 ათასი აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომობილები – 6 911 ათასი აშშ დოლარი (188 ცალი), ხოლო თურქეთიდან იმპორტის ძირითად ჯგუფებში შედის: მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები პლასტმასებისაგან – 18 692 ათასი აშშ დოლარი, ქაღალდი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ან სანიტარიულ-ჰიგიენური დანიშნულების – 18 198 ათასი აშშ დოლარი, ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან მის შესაფუთად პლასტმასებისაგან – 16 395 ათასი აშშ დოლარი, მაცივრები, საყინულეები და სხვა სამაციერო ან საყინულე მოწყობილობები – 16 146 ათასი აშშ დოლარი, მეტალოკონსტრუქციები შაეი ლითონებისაგან და მათი ნაწილები – 15 861 ათასი აშშ დოლარი.

საქართველო-თურქეთის ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი არ მოიცავს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციას, ამიტომ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის სრულყოფას უნდა დაეთმოს.

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული თანამშრომლობის სხვა სფეროებზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-სუფსის, ბაქო-თბილისი-ერზერუმის, ნაბუკოს, ტრასეკასა და ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტების ჩარჩოებში. გარდა ამისა, თურქეთი ნატოს წევრი და ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანაა. ამის გამო, საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობას კარგი საფუძველი გააჩნია და იგი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს.

საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები

საქართველომ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 1 ივლისს დაამყარა. ამ დროიდან საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში უნდა გამოვყოთ 2 პერიოდი:

1.აქტიური თანამშრომლობის პერიოდი – 1992-2005 წწ.;

2.ურთიერთობათა „დესტაბილიზაციის" პერიოდი – 2006 წლიდან დღემდე.

პირველ პერიოდში საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობა ყველა მიმართულებით აქტიურად ვითარდებოდა, მუშაობდა ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისია, შემუშავდა ამ თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა. საქართველოსა და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა 100-ზე მეტი სახელშეკრულებო-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც ფაქტობრივად ყველა სფეროს ეხება.[70] აღნიშნულის მიუხედავად, 2006 წლიდან, რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებების გამო, თანდათან შეჩერდა ამ თანამშრომლობის ზრდის ტემპები, 2008 წელს კი, აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შედეგად, იგი არსებითად შემცირდა.

საქართველოსაგან განსხვავებით, რუსეთის საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია დადებითი სავაჭრო ბალანსი. 2008 წელს მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 763,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 471,7 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 292,0 მლრდ აშშ დოლარი. რუსეთის დადებითი სავაჭრო სალდო 179,7 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ეს წინა წელთან შედარებით 36 %-ით მეტია, ხოლო 2000 წელთან შედარებით – 299 %-ით. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით რუსეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 32.1 %-ით გაიზარდა, ექსპორტი – 32.8 %-ით, იმპორტი – 30.9 %-ით.

2008 წელს საქართველო-რუსეთის სავაჭრო ბრუნვამ 454,5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 177,352 ათასი აშშ დოლარით ანუ 39 %-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რუსეთთან მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 2008 წელს საქართველო-რუსეთის უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 397,5 ათასი აშშ დოლარი შეადგი-

---

[70] *http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=351&lang_id=GEO*

ნა, 2007 წელს კი მისი მოცულობა რეკორდული (525,824 ათასი აშშ დოლარი) იყო საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების მთელი პერიოდის განმავლობაში (ცხრილი 36).

ცხრილი 36.

საქართველო-რუსეთის სავაჭრო ბრუნვა 2000-2008 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	საერთო ბრუნვა	სავაჭრო სალდო
2000	67,226	92,959	160,185	-25,733
2001	74,007	93,297	167,304	-19,290
2002	61,136	122,462	183,598	-61,326
2003	83,941	161,085	245,026	-77,144
2004	104,533	257,771	362,304	-153,238
2005	153,925	384,350	538,275	-230,425
2006	75,665	561,723	637,388	-486,058
2007	53,014	578,838	631,852	-525,824
2008	28,5	426,0	454,5	-397,5

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა ქვეყნის უმსხვილესი პარტნიორების რიცხვში შედის. 1994-2006 წლების განმავლობაში მას თურქეთთან მონაცვლეობით ეკავა პირველი და მეორე ადგილები. მათ შორის იგი 8-ჯერ იყო I ადგილზე (1996-1999, 2002-2005 წწ.), 5-ჯერ – მეორეზე (1994-1995, 2000-2001, 2006 წწ.). ერთხელ – მეოთხეზე (2007 წ.) დაბოლოს, 2008 წელს – მეხუთეზე. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში რუსეთი ყველაზე მაღალი წილით (21,4 %) წარმოდგენილი იყო 1998 წელს, ყველაზე დაბალით (6,0 %) – 2008 წელს, როდესაც მან მე-5 ადგილზე გადაინაცვლა.[71] ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ორი ქვეყნის პოსტსაბჭოთა პერიოდის სავაჭრო ურთიერთობებში. გარკვეულწილად ეს განპირობებულია რუსეთის მიერ საქართველოსათვის გამოცხადებული ემბარგოთი.

[71] *http://www.statistics.ge*

საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, ხოლო რუსეთი მას'ში დამკვირვებლის სტატუსითაა წარმოდგენილი. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში რუსეთს მე-12 და მე-16 ადგილები უკავია, მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში კი 25-ე და მე-16. რუსეთის ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფია საწვავი და მინერალური პროდუქცია – 72.5 %, ხოლო იმპორტში ძირითადი ადგილი სამრეწველო პროდუქციას უკავია – 83.1 %[72].

1995 წელს საქართველოს ექსპორტის 62.5 % და იმპორტის 40.1 % დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა, 2000 წელს ეს მაჩვენებლები შემცირდა (განსაკუთრებით – ექსპორტი) და შესაბამისად 40.0 და 32.0 % შეადგინა. 2005 წელს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში ისევ გაიზარდა და 47.0 და 40.0 % შეადგინა, მაგრამ შემდგომ ადგილი აქვს მისი შემცირების ტენდენციას. რუსეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2000 წელს დსთ-ის ქვეყნებს 34 % უკავია, 2005 წელს – 19 %, ხოლო 2008 წელს – 14 %. ამასთან, დსთ-ის ქვეყნებიდან რუსეთში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა აღემატება დსთ-ის ქვეყნებში რუსეთიდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობას (ცხრილი 37).

როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, უფრო სწრაფი ტემპით იზრდება ექსპორტი სხვა ქვეყნებში და იმპორტი სხვა ქვეყნებიდან. აღნიშნული ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების ტენდენციას გამოხატავს (ცხრილი 38).

[72]http://www.wto.org/

დსთ-სა და სხვა ქვეყნების წილი საქართველოსა და რუსეთის ექსპორტსა და იმპორტში, %

მაჩვენებლები\წლები	2000	2005	2006	2007	2008*
საქართველო					
ექსპორტი					
დსთ-ის ქვეყნები	40	47	42	38	35
სხვა ქვეყნები	60	53	58	62	65
იმპორტი					
დსთ-ის ქვეყნები	32	40	38	36	33
სხვა ქვეყნები	68	60	62	64	67
რუსეთი					
ექსპორტი					
დსთ-ის ქვეყნები	13	14	14	15	15
სხვა ქვეყნები	87	86	86	85	85
იმპორტი					
დსთ-ის ქვეყნები	34	19	16	15	14
სხვა ქვეყნები	66	81	84	85	86

**იანვარ-ნოემბერი*

წყარო: http://www.cisstat.com/rus/index.htm

საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ქვეყნებში არსებული ბიზნეს-გარემო. ამ ორი ქვეყნის ბიზნეს-გარემო არსებითად განსხვავდება, რადგან ბიზნესის წარმოების სიმარტივით მსოფლიოში მე-15 რანგის მქონე საქართველოს 120-ე ადგილზე მყოფი რუსეთი ყველა პარამეტრით მნიშვნელოვნად ჩამორჩება (ცხრილი 24), ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების პირობებით იგი 161-ე ადგილზეა.

საქართველოსა და რუსეთის ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტემპები, %-ით წინა წელთან

მაჩვენებლები\წლები	1995	2000	2005	2006	2007	2008
საქართველო						
ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში	81	121	125	97	120	116
ექსპორტი სხვა ქვეყნებში	147	148	144	131	141	124
იმპორტი დსთ-ის ქვეყნებიდან	58	102	152	141	132	108
იმპორტი სხვა ქვეყნებიდან	363	127	125	153	147	121
რუსეთი						
ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში	103	129	111	130	124	133
ექსპორტი სხვა ქვეყნებში	129	144	137	124	116	133
იმპორტი დსთ-ის ქვეყნებიდან	133	139	107	118	133	123
იმპორტი სხვა ქვეყნებიდან	117	102	138	145	147	136

წყარო: http://www.cisstat.com/rus/index.htm

საქართველოში ექსპორტის ღირებულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით თითქმის 1.56-ჯერ ნაკლებია რუსეთთან შედარებით, იმპორტის კი – 1.6-ჯერ. რუსეთში ექსპორტისათვის საჭიროა 3-ჯერ მეტი დრო, ვიდრე საქართველოში, ხოლო იმპორტისათვის – 2.6-ჯერ მეტი. ორივე ქვეყანაში ექსპორტისათვის საჭიროა 8 დოკუმენტი, მაგრამ იმპორტისათვის თუ საქართველოში 7 დოკუმენტია საჭირო, რუსეთში მას 13 დოკუმენტი სჭირდება ანუ რუსეთში საქონლის იმპორტირება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე საქართველოში (ცხრილი 29).

2007 წელს რუსეთში საქართველოს ექსპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ფეროშენადნობები, რკინიგზის ან ტრამვაის ლოკომოტივების ან მოძრავი შემადგენლობის ნაწილები; ელექტროენერგია (ცხრილი 39), ხოლო რუსეთიდან საქართველოში იმპორტის – ნავთობის აირები და

ცხრილი 39.

საქართველოს ექსპორტი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2006-2007 წწ., მლნ აშშ დოლარი

კოდი	პოზიციის დასახელება	2006 წ.	2007 წ
7202	ფეროშენადნობები	23350	13494
8607	რკინიგზის ან ტრამვაის ლოკომოტივების ან მოძრავი შემადგენლობის ნაწილები	2 155	9 710
2716	ელექტროენერგია (1000 კვტ სთ)	–	8 468
8475	მანქანები ნათურების ასაწყობად; მანქანები მინის ნაწარმის დასამზადებლად	–	3 486
8601	რკინიგზის ლოკომოტივები, ელექტროენერგიის გარე წყაროზე ან აკუმულატორზე მომუშავე (ცალი)	619 (1)	1 729 (2)
8703	მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	501 (59)	1 726 (95)
6902	აგური, ბლოკები, ფილები და ანალოგიური ცეცხლგამძლე კერამიკული სამშენებლო მასალები	–	1 337
8504	ტრანსფორმატორები ელექტრული, სტატიკური ელექტრული გარდამქმნელები	628	774
2007	ჯემი, ხილ-კენკროვანი ჟელე, მარმელადი და სხვა	110	417
2516	გრანიტი, პორფირი, ბაზალტი, ქვიშაქვა და სხვა ქვები	73	311
	დანარჩენი პროდუქცია	48 136	4 147

წყარო: http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia_2007.pdf

ცხრილი 40.

საქართველოს იმპორტი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (2000-2007 წწ.), მლნ აშშ დოლარი

კოდი	პოზიციის დასახელება	2006 წ.	2007 წ
2711	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	204 246	195 251
1001	ხორბალი და მესლინი	67 679	91 976
1101	ფქვილი ხორბლის ან ხორბალ-ჭვავისა	16 655	25 696
2710	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	5 758	15 354
1806	შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები	11 817	13 610
4011	სალტეები [საბურავები] პნევმატური, რეზინისა, ახალი	8 832	10 469
1512	ზეთი მზესუმზირისა, ალისარიულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები	5 437	9 557
2716	ელექტროენერგია (1000 კვტ სთ)	15 421	7 498
8703	მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	5 268 (714)	7 394 (1 183)
1905	პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, შაქარლამა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული	7 303	7 253
	დანარჩენი პროდუქცია	210 350	192 546

წყარო: http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia_2007.pdf

აირისებრი ნახშირწყალბადები, ხორბალი და მესლინი, ფქვილი ხორბლის ან ხორბალ-ჭვავისა (ცხრილი 40). მონაცემები გვიჩვენებენ, რომ რუსეთიდან ძირითადად სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონლის იმპორტირება ხდება.

საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივების განხილვისას გასათვალისწინებელია ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ რუსეთი საქართველოს უახლოესი მეზობელია. ამიტომ დასავლეთზე ორიენტაციასთან ერთად, აუცილებელია სწორი სამეზობლო პოლიტიკის წარმართვა. დიდი ტევადობის რუსეთის ბაზარი მრავალი განვითარებული ქვეყნისათვისაა მიმზიდველი. საქართველომაც იგი თავისი ექსპორტის განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს. რა თქმა უნდა, მეზობელ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებს გაფართოების პერსპექტივები გააჩნია და ეს შესაძლებლობები საქართველომ თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს.

საქართველოსა და აშშ-ის სავაჭრო ურთიერთობები

აშშ მსოფლიოს ლიდერი და მაღალგანვითარებული სახელმწიფოა, რომლის როლი მსოფლიოში არსებითად განსხვავდება საქართველოსაგან. საქართველოსა და აშშ-ის 2008 წლის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავებულია საქართველოსა და აშშ-ის პარამეტრები. კერძოდ, აშშ-ის ფართობი 141-ჯერ აღემატება საქართველოსას, მოსახლეობის რიცხოვნობა – 132-ჯერ, მშპ-ის მოცულობა – 694-ჯერ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე – 10-ჯერ, ექსპორტის მოცულობა – 499-ჯერ, იმპორტის მოცულობა – 300-ჯერ და ა. შ.[73] მიუხედავად ამისა, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების (1992 წლის 23 აპრილი) შემდეგ, საქართველო აშშ-თან აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა სავაჭრო ურთიერთობები.

საქართველოს მსგავსად, აშშ-ის საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2008 წელს მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3,567 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 1,377 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 2,190 მლრდ აშშ დოლარი[74]. უარყოფითი სავაჭრო სალდო 813 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

2008 წელს აშშ-ის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 4,5 %-ია, ექსპორტის – 6,8 % და იმპორტის – 4,0 %. სავაჭრო ბრუნვის მოცულობით აშშ-ს მეექვსე ადგილი უკავია (ცხრილი 28).

2008 წელს საქართველო-აშშ-ს სავაჭრო ბრუნვამ 343,6 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 9,9 ათასი აშშ დოლარით, ანუ 2,9 %-ით შემცირდა. საქართველოს აშშ-თან მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 2008 წელს დეფიციტმა 139,2 ათასი აშშ დოლარი შე-

---

[73] გაანგარიშებულია https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/docs/rankorderguide.html მონაცემების საფუძველზე

[74] https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/docs/rankorderguide.html

ადგინა და წინა წელთან შედარებით 84,9 ათასი აშშ დოლარით, ანუ 2.6-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 41).

ცხრილი 41

საქართველოსა და აშშ-ის სავაჭრო ბრუნვა, 2000-2008 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო
2000	7,1	69,6	76,7	–62,5
2001	8,8	64,1	72,9	–55,3
2002	13,5	68,8	82,3	–55,3
2003	15,4	90,7	106,1	–75,3
2004	21,2	110,9	132,1	–89,7
2005	26,7	146,9	173,6	–120,2
2006	58,9	129,6	188,5	–70,7
2007	149,6	203,9	353,5	–54,3
2008	102,2	241,4	343,6	–139,2

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშშ მუდამ ქვეყნის უმსხვილესი პარტნიორების რიცხვშია. 2003-2008 წლების განმავლობაში სავაჭრო ბრუნვით იგი ერთხელ იყო მე-8 ადგილზე (2003 წ.), 5-ჯერ – მე-6-ზე. ამ პერიოდში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში იგი ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილი იყო 2003 წელს – 6,6 %, ხოლო ყველაზე დაბალით 2005 წელს – 4,1 %.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში აშშ-ს მესამე და პირველი ადგილები უკავია, მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში კი იგი ორივე შემთხვევაში პირველ ადგილზეა. აშშ-ის ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფია სამრეწველო პროდუქცია, რომლის წილი 78.2 %-ია, აგრარული პროდუქციაზე მოდის 9.8 %, საწვავსა და მინერალურ პროდუქციაზე – 7.2%. აშშ იმპორტში მათი წი-

ლი შესაბამისად 69.8; 16.3 და 21.2 %-ს შეადგენს.[75]

2007 წელს აშშ-ში საქართველოს ექსპორტის უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ფეროშენადნობები – 112,534 ათასი აშშ დოლარი (84 845 ტონა), სასუქები – 29,461 ათასი აშშ დოლარი (172 101 ტონა), ყურძნის ნატურალური ღვინოები – 1,584 ათასი აშშ დოლარი (448 231 ლიტრი). აშშ-დან საქართველოში იმპორტის – მსუბუქი ავტომობილები – 77,980 ათასი აშშ დოლარი (7 260 ცალი), ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის, ახალი, შეყინული ან გაყინული – 17,808 ათასი აშშ დოლარი (13 972 ტონა), სამკურნალო საშუალებები – 14,432 ათასი აშშ დოლარი (20 ტონა)[76].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში აშშ-თან შედარებით ექსპორტისათვის საჭიროა ორჯერ მეტი დოკუმენტი და დრო, ხოლო ექსპორტის ღირებულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით თითქმის 1.4-ჯერ მეტია აშშ-თან შედარებით, იმპორტის ღირებულება კი უმნიშვნელოდ აღემატება (ცხრილი 29).

საქართველოსა და აშშ-ის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა დონის მიუხედავად, საქართველოსათვის მნიშვნელოვანია აშშ-თან თანამშრომლობა და არსებობს ამ თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იმპორტის ზრდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს ეროვნულ ეკონომიკას და სულ უფრო იზრდება სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულობის დონე. სწორედ ამიტომ საქართველო საჭიროებს ექსპორტის განვითარებასა და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელმაც ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოფს. საქართველო-აშშ-ის სავაჭრო ურთიერთობები სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

---

[75] *http://www.wto.org*

[76] *http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia_2007.pdf*

საქართველო-ჩინეთის სამაჯრო ურთიერთობები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. 1992 წლის 9 ივნისს საქართველოსა და ჩინეთის მთავრობების წარმომადგენლებმა ქ. თბილისში ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს ორ ქვეყანას შორის ელჩების დონეზე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. ამ აქტით საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ახალ ეტაპს. თუმცა, საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობის პოტენციური შესაძლებლობები ჯერ კარგად არაა გაანალიზებული. უპირველესად, ჩნდება კითხვები: რა ადგილი შეიძლება დაიკავოს საქართველომ ჩინეთის სტრატეგიაში? შესაძლებელია თუ არა მათი სტრატეგიული პარტნიორობა?

ჩინელებს აქვთ ანდაზა: საკუთარ თავში უნდა კარგად ჩაიხედო, რომ სწორად დაინახო მომავალი. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა საკუთარი ისტორიის შესწავლა, რათა იქ მოიძებნოს მომავალი დღის პროგნოზირების შესაძლებლობა. შესაბამისად, საქართველო-ჩინეთის საეჭრო ურთიერთობების განხილვისას აუცილებელია ამ ბრძნული აზრის გათვალისწინება და უძველესი კულტურის მქონე ორი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების შესწავლა-გაანალიზება.

ჩინეთი მსოფლიოში განსაკუთრებული გაელენის მქონე უძველესი ქვეყანაა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე აქტიურადაა წარმოდგენილი მსოფლიო არენაზე: მსოფლიო პოლიტიკაში, ისტორიაში, საერთაშორისო ურთიერთობებში. თანამედროვე ეტაპზე იგი ახორციელებს ყოველმხრივ გახსნილ პოლიტიკას, მზადაა განაეითაროს ეაჭრობა, ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა და კულტურული გაცვლა მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და რეგიონთან 5 პრინციპის საფუძველზე:

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემა;
2. ურთიერთთავდაუსხმელობა;
3. ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;
4. თანასწორობა და ურთიერთსარგებელი;
5. მშვიდობიანი თანაარსებობა.

XXI საუკუნეში ჩინეთის ლოზუნგია: მშვიდობა, განეითარება და თანამშრომლობა. მშვიდობის პოლიტიკა ჩინეთის

სტრატეგიული არჩევანია, რომლის საფუძველი ტრადიციული ჩინური კულტურაა. სამხედრო ხელოვნების ძველ ჩინურ ტრაქტატებში რეკომენდებულია მოწინააღმდეგეზე გამარჯვება ომის გარეშე – კულტურული და პოლიტიკური ზემოქმედებით. ასეთი მიდგომით ჩინელები ცდილობენ გააქარწყლონ მსოფლიოში გავრცელებული თეზისი ჩინური საშიშროების შესახებ, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1997 წლის შემდეგ, როდესაც ჩინეთმა პირველად ღიად განაცხადა თავისი სწრაფვის შესახებ – გახდეს მსოფლიო ლიდერი სახელმწიფო, ხოლო 2003 წელს წამოაყენა ქვეყნის მშვიდობიანი განდიდების კონცეფცია და გააქტიურა თავისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობა. რეგიონული და გლობალური სახელმწიფოს როლის დამკვიდრების გლობალური მიზნის მიუხედავად, ჩინეთი ხელმძღვანელობს დიდი და მცირე სახელმწიფოების თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების პრინციპებით. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველო-ჩინეთის ეკონომიკურ თანამშრომლობას კარგი პერსპექტივები გააჩნია, რომელიც ამჟამად სათანადო სამართლებრივი ბაზითაცაა განმტკიცებული. ეს ბაზა სამოცამდე დოკუმენტს მოიცავს. მათ შორის აღსანიშნავია[77]:

1. საქართველო-ჩინეთის ერთობლიეი დეკლარაცია (ქ. პეკინი, 02.06.1993);

2. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (ხელმოწერილია 2001 წლის 13 აპრილს);

3. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ (2005 წლის 22 ივნისი);

4. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (ხელმოწერილია ქ. პეკინში 2005 წლის 20 დეკემბერს);

---

[77] http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=381&lang_id=GEO

5. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (11.04.2006);

6. დეკლარაცია საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ (11.04.2006);

7. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საინფორმაციო მრეწველობის სამინისტროს შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (11.04.2006);

8. შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ (11.04.2006).

ამჟამად საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმებიდან ყველაზე განვითარებული სავაჭრო ურთიერთობებია. ჩინეთი საქართველოსათვის თანდათან მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ხდება. 2006 წელს საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ბრუნვამ (ჰონკონგისა და ტაივანის ჩათვლით) 121719 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2000 წელთან შედარებით 22,5-ჯერ მეტია (ცხრილი 42).

2007 წელს საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა 2006 წელთან შედარებით 186.7 %-ით გაიზარდა და 226 972 ათას აშშ დოლარს მიაღწია. ამასთან, 25.8 %-ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი ჩინეთში და 198.1 %-ით გაიზარდა ჩინეთიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა. თუ 2006 წელს 2000 წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი ჩინეთში 31,4-ჯერ გაიზარდა, 2007 წელს მისმა მოცულობამ 2000 წლის დონეს მხოლოდ 8.9-ჯერ გადააჭარბა. 2000-2007 წლებში იმპორტის მოცულობა 62-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 42).

ჩინეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გააქტიურების შედეგად, 2007 წელს ჩინეთი პირველად შევიდა საქართველოს ძირითადი პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულში. სავაჭრო ბრუნვით მან მე-7 ადგილი დაიკავა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ჩინეთის წილად მოდის 4,1 %, ექსპორტში – 0.6 % და იმპორტში – 4.9 % (ცხრილი 28).

ცხრილი 42.

საქართველო-ჩინეთის საგაჭრო ბრუნვის დინამიკა,
2000-2007 წწ., ათასი აშშ დოლარი

ქვეყანა\წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ჩინეთი								
ექსპორტი	908	1045	1176	1172	3307	5600	10400	8273
იმპორტი	2910	3832	8717	23168	28904	46700	103300	206709
ჰონკონგი								
ექსპორტი	5	-	115	670	15	8	978	90
იმპორტი	286	348	249	253	515	1249	2287	4407
ტაივანი								
ექსპორტი	32	-	7	4	75	259	5	85
იმპორტი	315	270	495	434	1354	2493	4749	7408
სულ								
ექსპორტი	945	1045	1298	1846	3397	5867	11383	8448
იმპორტი	3511	4450	9461	23855	30816	50442	110336	218524
ბრუნვა	5401	5495	10759	25701	34213	56309	121719	226972

http://www.wto.org

2006 წელს ჩინეთის პირველი პარტნიორი ქვეყანა იყო აშშ (მასზე მოდიოდა ჩინეთის ექსპორტის 21 %), მაგრამ 2007 წელს მან მეორე ადგილზე გადაინაცვლა და მისი წილი 19.1 %-მდე შემცირდა. სამაგიეროდ მეორე ადგილიდან პირველ ადგილზე გადავიდა ევროკავშირი, რომლის წილი ჩინეთის ექსპორტში 19.6-დან 20.1 %-მდე გაიზარდა. ევროკავშირზე. 2007 წელს ჩინეთის ექსპორტიორი პარტნიორების ხუთეულში, ევროკავშირისა და აშშ-ს გარდა, შედიან ჰონკონგი – 15.1 %, იაპონია – 8.4 %) და კორეის რესპუბლიკა – 4.6 % (ცხრილი 43).

2007 წელს ჩინეთის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები არიან: იაპონია –14.0 %, ევროკავშირი –11.6 %, კორეის რესპუბლიკა – 10.9 %, ტაიბეი (ჩინეთი) – 10.6 %) და ჰონკონგი (ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი) – 9.0 %. ჰონკონგის ექსპორტის 48.3 % და იმპორტის 46.1 % ჩინეთზე მოდის. აგრეთვე მისი ექსპორტიორი პარტნიორები არიან: აშშ – 13.6 %, ევროკავშირი – 13.5 %, იაპონია – 4.4 % და კორეის რესპუბლიკა – 2.1 %, ხოლო იმპორტიორები – იაპონია – 10.1 %, ტაიბეი (ჩინეთი) – 7.2 %, ევროკავშირი – 7.1 %, სინგაპური – 6.9 % (ცხრილი 43).

2007 წელს ჩინეთის სასაქონლო ექსპორტში ძირითადი წილი – 93.2 % (2006 წელს – 92.4 %) სამრეწველო პროდუქციას უკავია. ჩინეთის ექსპორტის სტრუქტურაში ამ საქონლის წილი 2-ჯერ აღემატება საქართველოსას. კიდევ უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი ჰონკონგში – 93.2 % (2006 წ. – 94.4 %). ეს კი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. სასაქონლო იმპორტის სტრუქტურაში ასევე წამყვანი ადგილი სამრეწველო პროდუქციას უკავია: ჩინეთის იმპორტში 70.9 (2006 წ. – 73,2 %) და ჰონკონგის იმპორტში – 90.1 % (2006 წ. –90.7 %). საწვავსა და მინერალურ პროდუქციას ჩინეთის ექსპორტში უმნიშვნელო წილი უკავია – 3.4 %, კიდევ უფრო უმნიშვნელოა მისი წილი ჰონკონგის ექსპორტში – 2.2 %, მაგრამ ჩინეთის იმპორტში მასზე 22.0 % მოდის.

ჩინეთისა და ჰონკონგის ექსპორტსა და იმპორტში, აგრეთვე, უმნიშვნელო ადგილი უკავია აგრარულ პროდუქციას: ჩინეთში – შესაბამისად 3.2 და 6.8 %, ჰონკონგში – 1.6 და 2.6 %. სამაგიეროდ საქართველოს ექსპორტში მასზე მოდის 26.1 და იმპორტში 16.3 %.

ცხრილი 43.

საქართველოსა და ჩინეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, 2006-2007 წწ.

ექსპორტი	წილი, %		იმპორტი	წილი, %	
	2006	2007		2006	2007
საქართველო	100.0	100.0	საქართველო	100.0	100.0
ევროკავშირი-27	25.8	21.8	ევროკავშირი-27	30.0	29.5
თურქეთი	12.6	13.9	რუსეთი	15.2	11.1
აზერბაიჯანი	9.3	11.1	თურქეთი	14.2	14.0
რუსეთი	7.6	-	უკრაინა	8.7	11.0
აშშ	-	12.1	აშშ	-	-
სომხეთი	7.4	9.0	აზერბაიჯანი	8.7	7.3
ჩინეთი	100.0	100.0	ჩინეთი	100.0	100.0
აშშ	21.0	19.1	იაპონია	14.6	14.0
ევროკავშირი-27	19.6	20.1	ევროკავშირი-27	11.5	11.6
ჰონკონგი (ჩინ.)	16.0	15.1	კორეის რესპ.	11.3	10.9
იაპონია	9.5	8.4	ტაივანი (ჩინეთი)	11.0	10.6
კორეის რესპ.	4.6	4.6	ჰონკონგი (ჩინ.)	9.3	9.0
ჰონკონგი (ჩინეთის სარ)	100.0	100.0	ჰონკონგი (ჩინეთის სარ)	100.0	100.0
ჩინეთი	46.3	48.3	ჩინეთი	45.8	46.1
აშშ	14.8	13.6	იაპონია	10,3	10.1
ევროკავშირი-27	14.5	13.5	ტაიბეი (ჩინეთი)	7.5	7.2
იაპონია	4.8	4.4	ევროკავშირი-27	7.3	7.1
კორეის რესპ.	2.2	2.1	სინგაპური	6.3	6.9

წყარო: http://www.wto.org

ცხრილი 44.

საქონლისა და მომსახურების ძირითადი ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტსა და იმპორტში

საქონლისა და მომსახურების დასახელება	2006 წ.			2007 წ.		
	საქართველო	ჩინეთი	ჰონკონგი	საქართველო	ჩინეთი	ჰონკონგი
ძირითადი სასაქონლო ჯგუფების წილი საქონლის მთლიან ექსპორტში						
აგრარული პროდუქცია	25.6	3.4	1.5	26.1	3.2	1.6
საწვავი და მინერალ. პროდუქცია	23.4	4.0	2.2	23.1	3.4	2.2
სამრეწველო პროდუქცია	46.0	92.4	94.4	44.6	93.2	94.8
მომსახურების ძირითადი ჯგუფების წილი მომსახურების მთლიან ექსპორტში						
ტრანსპორტი	52.2	23.0	30.8	52.4	25.7	28.6
მოგზაურობები	38.3	37.1	16.1	39.3	30.6	16.5
სხვა კომერციული მომსახურება	9.5	39.9	53.1	8.3	43.6	55.0
ძირითადი სასაქონლო ჯგუფების წილი საქონლის მთლიან იმპორტში						
აგრარული პროდუქცია	16.8	6.5	3.5	16.3	6.8	3.6
საწვავი და მინერალ. პროდუქცია	20.1	20.0	5.4	18.6	22.0	5.5
სამრეწველო პროდუქცია	60.8	73.2	90.7	59.8	70.9	90.1
მომსახურების ძირითადი ჯგუფების წილი მომსახურების მთლიან ექსპორტში						
ტრანსპორტი	56.4	34.3	30.7	58.2	33.5	31.0
მოგზაურობები	24.3	24.2	38.4	20.2	23.0	36.6
სხვა კომერციული მომსახურება	19.3	41.5	30.8	21.6	43.5	32.4

წყარო: http://www.wto.org

საქართველოს მომსახურების ექსპორტში წამყვანი ადგილი სატრანსპორტო მომსახურებასა და მოგზაურობებს უკავია. მომსახურების ამ სახეობათა მაღალი წილი ამ დარგების პრიორიტეტით აიხსნება: საქართველო სატრანზიტო დერეფანია და, ამასთან, იგი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ტურიზმს მიიჩნევს. ჩინეთის მომსახურების ექსპორტში მოგზაურობების წილად მოდის 30.6 % და ჰონკონგში კი უფრო ნაკლები – 16.5 %, იმპორტში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 23.0 და 36.6 %-ის ტოლია. სატრანსპორტო მომსახურების წილი ჩინეთისა და ჰონკონგის მომსახურების ექსპორტში 25.7 და 28.6 %-ს შეადგენს, იმპორტში 31.0 და 33.5 % (ცხრილი 44).

2007 წელს 2000 წელთან შედარებით ჩინეთის საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 434 %-ით გაიზარდა (2000-2006 წლებში ზრდამ 287 % შეადგინა), საქონლისა და მომსახურების იმპორტი – 325 %-ით (2000-2006 წლებში – 240 %-ით), ჰონკონგის – შესაბამისად 183 და 172 %-ით, საქართველოსი – შესაბამისად 153 და 184 %-ით.

2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში ჩინეთს მე-2 და მე-3 ადგილები უკავია (2006 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტშიც და იმპორტშიც ჩინეთი მე-3 ადგილზე იყო), ხოლო მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში – მე-7 და მე-6 ადგილები (2006 წელს იგი მე-8 და მე-6 ადგილებზე იყო). ჰონკონგს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში შესაბამისად მე-13 და მე-12 ადგილები უკავია, ხოლო მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში – მე-12 და მე-19 ადგილები[78].

2005-2007 წლებში ჩინეთის ვაჭრობის წილი ქვეყნის მშპ-ში 71.3 %-ს შეადგენს, ჰონკონგში – 396.8 %-ს, საქართველოში – 86.9 %[79].

ჩინეთის ექსპორტისა და იმპორტის უზარმაზარი მოცულობისა და ზრდის მაღალი ტემპების მიუხედავად, ვაჭრობის მოცულობამ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2005-2007 წლებში 1483 აშშ დოლარი შეადგინა, ჰონკონგის – 110678 აშშ დოლარი, საქართველოს – 1590 აშშ დოლარი. ჩინეთისა და ჰონკონგის ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტემპები აღემატე-

---

[78] http://www.wto.org
[79] http://www.wto.org

ბა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპს, საქართველოში კი პირიქითაა.

2008 წელს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების პირობებით მსოფლიოს მე-2 ადგილის მფლობელ ჰონკონგში და 48-ე ადგილზე მყოფ ჩინეთში ექსპორტისათვის საჭიროა 4 და 7 დოკუმენტი, იმპორტისათვის – შესაბამისად 4 და 6 დოკუმენტი. ექსპორტის განსახორციელებლად ჰონკონგში იხარჯება 6 დღე, ჩინეთში – 21 დღე, იმპორტისათვის – შესაბამისად 5 და 24 დღე. ექსპორტის ღირებულება ჰონკონგში 625 აშშ დოლარია 1 კონტეინერზე გაანგარიშებით, ჩინეთში – 460 აშშ დოლარი, იმპორტის ღირებულება – შესაბამისად 633 და 545 აშშ დოლარი.

საქართველოს ექსპორტის ღირებულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით 3-ჯერ მეტია, ვიდრე ჩინეთის და 2.2-ჯერ მეტი, ვიდრე ჰონკონგის. საქართველოს იმპორტის ღირებულება კი 2.5-ჯერ აღემატება ჩინეთისას და 2.1-ჯერ – ჰონკონგისას. ამასთან, საქართველოში, ჩინეთთან შედარებით, ნაკლები დროა საჭირო ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციებისათვის (ცხრილი 28).

საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს TRACECA-ს პროექტი. ამ პროექტის ჩარჩოში საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით შეშფოთებას იწვევს შემდეგი პრობლემები:

1. საქართველოს მზარდი სავაჭრო დეფიციტი, რომელიც ეროვნული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობას ასახავს;
2. საქართველოში ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიუხედავად, მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა;
3. სიღარიბე.

ამ პრობლემების გადასაჭრელად საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობებში უნდა მოისინჯოს თანამშრომლობის ყველაზე ეფექტიანი ფორმები, რაც ხელს შეუწყობს ნდობის განმტკიცებას, ორივე ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და იმ ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვას, რომელიც ჩვენს ურთიერთობებში წარმოიშვება. ორმხრივი ურთიერთობები უნდა დაეფუძნოს მეცნიერულ მიდგომას, რომელსაც მიესადაგება ერთიანი მსოფლმხედველობა, დიდი და მცირე ქვეყნების პრობლემები, განვითარების შიგა ფაქტორები და ინტეგრაციის უპირატესობები.

საქართველო-ირანის საშაჰრო ურთიერთობები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, განსაკუთრებით მეზობელ და ახლომდებარე ქვეყნებთან, რომელთა შორისაა ირანის ისლამური რესპუბლიკა. მსოფლიოში ისლამური ფაქტორის აქტუალურობის გამო, ისლამურ ქვეყნებთან თანამშრომლობამ მრავალი ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ამ თვალსაზრისით საქართველოც არაა გამონაკლისი.

2005 წლის ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ირანის ისლამური რესპუბლიკა მიზანდასახულად ახორციელებს საკუთარი ინტერესების დაცვაზე გამიზნული პოლიტიკის აქტივიზაციას. ირანის ხელმძღვანელობა გამოთქვამს სურვილს დაამყაროს ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები ყველა იმ სახელმწიფოსთან (მათ შორის ნატოს ქვეყნებთან), რომელიც ანგარიშს უწევს ირანის ეროვნულ ინტერესებს, ხოლო ანტიირანულად განწყობილი სახელმწიფოების მიმართ იგი განახორციელებს ადეკვატური დიპლომატიური ღონისძიებების პოლიტიკას საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში.

ირანსა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჩარჩოში მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველი გააჩნიათ. ამჟამად საქართველოსა და ირანის შორის ხელმოწერილია 47 დოკუმენტი, რომელთა შორის აღსანიშნავია:[80]

- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო ტრანსპორტის სფეროში;
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ;

---

[80] http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=376&lang_id=GEO

- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება სავაჭრო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის.

ირანი კავკასიის რეგიონის ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. 2007 წელს მისმა რეალურმა მშპ-მა 270 937 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ცხრილი 45). ირანის მშპ 12.1-ჯერ აღემატება აზერბაიჯანის მშპ-ს, 37.9-ჯერ – საქართველოს მშპ-ს და 453-ჯერ – სომხეთის მშპ-ს. მაგრამ მისი ზრდის ტემპი ჩამორჩება აზერბაიჯანისა და საქართველოს მშპ-ის ზრდის ტემპებს, ხოლო მისი და სომხეთის მშპ-ის ზრდის ტემპები თითქმის ერთმანეთის ტოლია. ასევე, დაბალია ირანის ექსპორტის ზრდის ტემპი აზერბაიჯანისა და სომხეთის ექსპორტის ზრდის ტემპებთან შედარებით. 2007 წელს 2000 წელთან შედარებით მისი საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 189 %-ით გაიზარდა. სამაგიეროდ ირანის იმპორტის ზრდის ტემპი აღემატება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქონლის მსოფლიო ექსპორტში ირანიდან ექსპორტირებული საქონლის წილი 0,63%-ს შეადგენს, ხოლო ირანში იმპორტირებული საქონლის წილი საქონლის მსოფლიო იმპორტში 0,31 %-ია. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში ეს წილები შესაბამისად 0,18-სა და 0,34 %-ის ტოლია. საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში ირანს შესაბამისად 37-ე და 48-ე ადგილები უკავია, საქართველოს – 136-ე და 107-ე, აზერბაიჯანს – 65-ე და მე-100, სომხეთს – 140-ე და 125-ე. მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში ირანი 58-ე და 47-ე ადგილებზეა, საქართველო – 105-ე და 122-ე, აზერბაიჯანი – 101-ე და 72-ე, სომხეთი – 97-ე და 103-ე (ცხრილი 46). 2007 წელს ირანის საქონლის ექსპორტის მოცულობამ 88733 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საქონლის იმპორტმა – 44942 მლნ აშშ დოლარი. ირანის მომსახურების ექსპორტი და იმპორტი შესაბამისად 6138 და 10676 მლნ აშშ დოლარს შეადგენს[81]. ირანს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს საქონლით ვაჭრობაში, უარყოფითი – მომსახურებით ვაჭრობაში,

[81] http://www.wto.org

ცხრილი 45.

ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაჩვენებლები, 2007 წ.

მაჩვენებლები	ირანი	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი
მოსახლეობა, ათასი კაცი, 2007 წ.	71028	8571	4396	3001
მშპ, მლრდ აშშ დოლარი, 2007	270937	31248	10176	9177
მშპ, მლრდ აშშ დოლარი PPP. 2007 წ.	776538	64082	20514	17139
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, 2007 წ. მლრდ აშშ დოლარი	12481*	9019	-2006	-590
ვაჭრობა 1 სულზე, აშშ დოლარი (2005-2007წწ)	2056	2710	1590	1426
ვაჭრობის წილი მშპ-ში, % (2005-2007წწ.)	63.0	105.3	86.9	62.9
ზრდა, 2007 წელი %-ით 2000 წელთან				
რეალური მშპ	150	302	175	229
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	189	366	153	272
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	388	371	184	223

*2000 წელი

წყარო: http://www.wto.org

ცხრილი 46.

ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ადგილი საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობაში, 2007 წ.

№	ქვეყანა	ქვეყნის საქონლით ვაჭრობის წილი მსოფლიო		ქვეყნის მომსახურებით ვაჭრობის წილი მსოფლიო		ადგილი საქონლის მსოფლიო		ადგილი მომსახურების მსოფლიო	
		ექსპორტში	იმპორტში	ექსპორტში	იმპორტში	ექსპორტში	იმპორტში	ექსპორტში	იმპორტში
1	ირანი	0.63	0.31	0.18	0.34	37	48	58	47
2	აზერბაიჯანი	0.15	0.04	0.03	0.11	65	100	101	72
3	საქართველო	0.01	0.04	0.03	0.03	136	107	105	122
4	სომხეთი	0.01	0.02	0.02	0.02	140	125	97	103

წყარო: http://www.wto.org

მაგრამ მთლიანობაში საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში მას აქტიური სავაჭრო ბალანსი აქვს.

2007 წელს ირანის საქონლის ექსპორტში ძირითადი წილი საწვავსა და მინერალურ პროდუქციაზე მოდის – 87.3 %, სამრეწველო პროდუქციის წილია 8,7 % და აგრარული პროდუქციის – 4.1 %, ხოლო მის იმპორტში ამ სასაქონლო ჯგუფებზე შესაბამისად მოდის: 10.9, 72.5 და 11.3 %. ირანის მომსახურების ექსპორტში მთავარი ადგილი უკავია სატრანსპორტო მომსახურებას – 43.3 %, იმპორტში – მოგზაურობებს –56.2 % (ცხრილი 47).

ცხრილი 47.

ირანის საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა, %, 2007 წ.

დასახელება	ექსპორტი	იმპორტი
საქონლით ვაჭრობა		
აგრარული პროდუქცია	4.1	11.3
საწვავი და მინერალური პროდუქცია	87.3	10.9
სამრეწველო პროდუქცია	8.7	72.5
მომსახურებით ვაჭრობა		
ტრანსპორტი	43.3	21.9
მოგზაურობები	24.2	56.2
სხვა კომერციული მომსახურება	32.5	21.9
წყარო: http://www.wto.org		

2006 წელს ირანს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებთან: მისი ექსპორტის 28,4 % და იმპორტის 41,1 % ევროკავშირზე (25 ქვეყნის საზღვრებში) მოდიოდა, მაგრამ 2007 წელს სიტუაცია არსებითად შეიცვალა: ევროკავშირის (27 ქვეყნის საზღვრებში წილმა) წილი მის ექსპორტში 19.8 %-მდე შემცირდა, ხოლო იმპორტის – 9.0 %-მდე (ცხრილი 48).

ირანი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების რიცხვში არ შედის. მიუხედავად ამისა, იგი საქართველოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. აღნიშნულის გამო, ქვეყნებს შორის ფუნქციონირებს ერთობლივი

სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

ცხრილი 48

ირანის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, %, 2007 წ.

ექსპორტი	წილი	იმპორტი	წილი
იაპონია	23.9	ევროკავშირი (27)	9.0
თეიბეი (ჩინეთი)	22.5	ჩინეთი	6.0
ევროკავშირი (27)	19.8	ინდოეთი	3.7
არაბეთის გაერთ. ემირატები	2.9	იაპონია	2.6
ერაყი	2.9	მალაიზია	0.8
დაუდგენელი ადგილი	0.3	დაუდგენელი ადგილი	74.8
წყარო: http://www.wto.org			

2007 წელს საქართველოსა და ირანის სავაჭრო ბრუნვამ 57782.9 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 6,050.0 მხოლოდ ათასი აშშ დოლარია, ანუ მასზე მოდის საქართველო-ირანის სავაჭრო ბრუნვის 10.5 %, იმპორტი კი 51,732.9 ათას აშშ დოლარს ანუ 89.5 %-ს შეადგენს. ირანიდან ექსპორტირებული საქონლის მოცულობა 8.6-ჯერ აღემატება ირანში განხორციელებული ექსპორტის მოცულობას. 2000-2003 წლებში საქართველო-ირანის სავაჭრო ბრუნვას ცვალებადი ტენდენცია ახასიათებს, 2003 წლიდან კი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-ირანის სავაჭრო ბრუნვა 2000-2007 წლებში 4,6-ჯერ გაიზარდა, ექსპორტი 11 %-ით შემცირდა (ცხრილი 49).

2003 წელს ირანში საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფებში შედიოდა: ატომური რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; შავი ლითონები და მათი ნაწარმი; სპილენძი და სპილენძის ნაწარმი; ალუმინი და ალუმინის ნაწარმი; არაორგანული ქიმიის ნაწარმი; თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები, მერ-

ქანი და მისი ნაწარმი, ხის ნახშირი, ხოლო ირანიდან იმპორტირებულში – ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცვილები; მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; აკვნები; ლოგინის საკუთნოები; გამანათებელი მოწყობილობები; სამშენებლო კონსტრუქციები; კერამიკული ნაწარმი; მინა და მისი ნაწარმი; საფეიქრო ნაწარმი; ტრიკოტაჟის ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთნოები, მანქანით ან ხელით ნაქსოვი; ფეხსაცმელი, გეტრები და ანალოგიური ნაწარმი; მათი ნაწილები.

ცხრილი 49.

საქართველოსა და ირანის საგაჭრო ბრუნვა, ათასი აშშ დოლარი, 2000-2007 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	საგაჭრო ბრუნვა
2000	6,801.5	5,879.8	12,681.3
2001	4,311.4	6,315.3	10,626.7
2002	3,316.4	8,096.8	11,413.2
2003	3,426.3	6,995.7	10,422.0
2004	4,500.7	15,157.9	19,658.6
2005	4,681.2	25,999.8	30,681.0
2006	2,699.4	40,301.8	43,001.2
2007	6,050.0	51,732.9	57782.9
წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=306&lang_id=GEO			

საგაჭრო ურთიერთობების გარდა, ირანი და საქართველო დაინტერესებულები არიან თანამშრომლობით შემდეგ სფეროებში[82]:

- მუდმივი პოლიტიკური დიალოგი ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;

[82] *http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=376&lang_id=GEO*

➢თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ირანთან, როგორც ენერგიაშემცველების ალტერნატიულ მიმწოდებელთან თანამშრომლობა. თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაცია;

➢თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სფეროში;

➢თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ენერგიაშემცველების მიწოდების დივერსიფიკაციამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. 2005 წელს ირანის ნავთობის დადასტურებული მარაგი 133.3 მლრდ ბარელით განისაზღვრა, გაზის – 26.62 ტრლნ კუბ. მეტრით. 2003 წელს ირანში იწარმოებოდა 79 მლრდ კუბ. მ გაზი. აქედან ექსპორტირებული იყო 3,4 მლრდ კუბ. მ. 2005 წელს ყოველდღიურად იწარმოებოდა 3.979 მლნ ბარელი ნავთობი. 2004 წელს მისი ყოველდღიური ექსპორტი 2.5 მლნ ბარელს შეადგენდა. ირანის ნავთობის ექსპორტისაგან მიღებული ყოველწლიური შემოსავლები 35 მლრდ აშშ დოლარზე მეტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ირანს ეკონომიკურად შედარებით სტაბილურ ქვეყნად განიხილავენ. იგი თავის საგარეო ვალდებულებებს ასრულებს. ამიტომ მასთან თანამშრომლობით არა მარტო მეზობელი და ახლომდებარე ქვეყნები, არამედ დასავლეთევროპული სახელმწიფოები, მათ შორის ნატოს ქვეყნები არიან დაინტერესებულნი. საქართველოსა და ირანის თანამშრომლობას კარგი საფუძველი გააჩნია და იგი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დსთ-ის ქვეყნებთან

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე დადგა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, რომელთა გადაჭრა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, უპირველესად, დასავლეთზე ორიენტაციით გადაწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის საკავშირო სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე შექმნილი მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული მეურნეობების დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი იყო, საბჭოთა პერიოდში დამყარებული კავშირების გაწყვეტის სურვილი ობიექტურ რეალობად იქცა. განსხვავებული ინტერესების გამო, სუვერენულმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა განვითარების საკუთარი გზა აირჩიეს. ამასთან, მათ დაიწყეს თანასწორუფლებიანობისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიება, რის შედეგად 12 ქვეყანა დსთ-ში გაერთიანდა.

საქართველომ დსთ-ის შექმნის შესახებ 1991 წლის 8 დეკემბერის შეთანხმების 1991 წლის 21 დეკემბრის ოქმის რატიფიკაცია მოახდინა 1993 წლის 8 დეკემბერს, ხოლო მისი წესდების – 1994 წლის 19 აპრილს. მაგრამ 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ ოფიციალური განცხადება გააკეთა დსთ-დან გასვლის შესახებ. მიუხედავად ამისა, იგი დსთ-ის ქვეყნებთან აგრძელებს თანამშრომლობას ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, ხოლო ზოგიერთ მათგანთან ერთად იგი შედის რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, სუამი) შემადგენლობაში.

საქართველოსა და დსთ-ის ქვეყნების თანამშრომლობის ყველაზე განვითარებული ფორმაა სავაჭრო ურთიერთობები. 2008 წელს დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის მოცულობამ 248 422,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 123 301,0 მლნ აშშ დოლარია, იმპორტი – 125 121,7 მლნ აშშ დოლარი. დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობისათვის დამახასიათებელია უარყოფითი სავაჭრო სალდო, რომელმაც 2008 წელს -1 820,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ცხრილი 50). 2008 წელს დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის მოცულობა 2007 წელთან შედარებით 129 %-ით გაიზარდა, ექსპორტი – 131 %-ით, იმპორტი – 127 %-ით. მიუხედავად ამისა, დსთ-ის ქვეყნების

2006-2008 წლების ურთიერთვაჭრობაში კარდინალური ცვლილებები არ მომხდარა (ცხრილი 51).

2008 წელს დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობაში ექსპორტის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დამახასიათებელია აზერბაიჯანისათვის – 147 %, იმპორტის – ყირგიზეთისათვის. 2007 წელს ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტემპებით ლიდერობდა სომხეთი – შესაბამისად 167 და 156 %, 2006 წელს – ექსპორტში ყაზახეთი – 137 %, ხოლო იმპორტში – აზერბაიჯანი – 145 % (ცხრილი 51).

2008 წელს დსთ-ის ქვეყნების სავაჭრო ბრუნვამ სხვა ქვეყნებთან 905406,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 570829,0 მლნ აშშ დოლარია, იმპორტი – 334577,3 მლნ აშშ დოლარი. დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობისაგან განსხვავებით, ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან დადებითი სავაჭრო სალდოთი ხასიათდება. მისმა მოცულობამ 236251,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დადებითი სავაჭრო სალდო ძირითადად სამი ქვეყნის – აზერბაიჯანის, რუსეთისა და ყაზახეთის დადებითი სალდოებითაა განპირობებული. დსთ-ის დანარჩენ ქვეყნებს კი სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში უარყოფითი საეაჭრო სალდო აქვთ. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით დსთ-ის ქვეყნების ვაჭრობის მოცულობა სხვა ქვეყნებთან 142 %-ით გაიზარდა, ექსპორტი – 146 %-ით, იმპორტი – 136 %-ით.

2008 წელს საქართველოს ექსპორტის 36,2 % და იმპორტის 33,0 % დსთ-ის ქვეყნებზე მოდის, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 1995 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით: ექსპორტის 62,5 % და იმპორტის 40,1 %. როგორც ცხრილი 52-ის მონაცემებიდან ჩანს, დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის წილი ძირითადად ნახევარზე ნაკლებია, გამონაკლისი მხოლოდ ბელორუსის იმპორტია: ეს ქვეყანა თავისი იმპორტის 66,0 %-ს დსთ-ის ქვეყნებიდან ახორციელებს.

ცხრილი 50.

დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის მოცულობა, მლნ აშშ დოლარი, 2007-2008 წწ.

დსთ-ის ქვეყნები	2008 წელი				2007 წელი			
	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
აზერბაიჯანი	3 959,2	1 619.1	2 340,1	-721.0	3003,5	1102,4	1901.1	-798,7
სომხეთი	1 645,3	339,7	1 305.6	-965,9	1442,3	354,8	1087,5	-732,7
ბელორუსი	40 460,0	14 406,3	26 053.7	-11 647,4	30228,8	11231,3	18997,5	-7766,2
საქართველო	2 543,0	542,5	2 000.5	-1 458.0	2323,3	469,4	1853,9	-1384,5
ყაზახეთი	28 575,2	11 078,4	17 496.8	-6 418.4	22564,6	7965,3	14599,3	-6634,0
ყირგიზეთი	2 967,9	781	2 186,9	-1 405,9	2091,3	567,1	1524,2	-957,1
მოლდოვა	2 365,1	627,9	1 737.2	-1 109,3	1884,0	550,3	1333,7	-783,4
რუსეთი	106 459.4	69 861.5	36 597,9	33 263,6	82419,1	52578,3	29840,8	22737,5
ტაჯიკეთი	2 059,0	225.4	1 833.6	-1 608,2	1748,7	229.0	1519,7	-1290,7
თურქმენეთი						..		..
უზბეკეთი								
უკრაინა	57 388,6	23 819,2	33 569.4	-9 750,2	44244,7	18615,2	25629,5	-7014,3
დსთ-სულ	248 422,7	123 301.0	125 121,7	-1 820.7	191950,3	93663,1	98287,2	-4624,1

წყარო: http://www.cisstat.org/

ცხრილი 51.

დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის ზრდის ტემპები, %, 2006-2008 წწ.

დსთ-ის ქვეყნები	2008 წელი %-ით 2007 წელთან		2007 წელი %-ით 2006 წელთან		2006 წელი %-ით 2005 წელთან	
	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი
აზერბაიჯანი	147	123	119	91	103	145
სომხეთი	96	121	167	156	113	133
ბელორუსი	128	137	130	131	122	130
საქართველო	116	108	120	132	97	141
ყაზახეთი	139	120	143	132	137	136
ყირგიზეთი	104	144	150	154	125	146
მოლდოვა	114	130	130	131	77	113
რუსეთი	133	123	124	133	130	118
ტაჯიკეთი	98	114	123	138	104	127
თურქმენეთი						
უზბეკეთი					..	
უკრაინა	128	131	147	127	118	119
დსთ-სულ	131	127	131	130	126	124

წყარო: http://www.cisstat.org/

ცხრილი 52.

დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობისა და სხვა ქვეყნების წილები ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში, %, 2006-2008 წწ.

დსთ-ის ქვეყნები	ექსპორტი						იმპორტი					
	დსთ-ში			სხვა ქვეყნებში			დსთ-დან			სხვა ქვეყნებიდან		
	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008	2006	2007	2008
აზერბაიჯანი	14,6	18,2	3,4	85,4	81,8	96,6	39,8	33,3	32,7	60,2	66,7	67,3
სომხეთი	21,6	30,7	31,8	78,4	69,3	68,2	31,8	33,1	29,6	68,2	66,9	70,4
ბელორუსი	43,6	46,1	43,8	56,4	53,9	56,2	64,9	66,3	66,0	35,1	33,7	34,0
საქართველო	41,8	37,8	36,2	58,2	62,5	63,8	38,1	35,5	33,0	61,9	64,5	67,0
ყაზახეთი	14,6	16,7	15,6	85,4	83,3	84,4	46,7	44,6	46,2	53,3	55,4	53,8
ყირგიზეთი	47,7	50,0	47,6	52,3	50,0	52,4	57,7	63,1	53,7	42,3	36,9	46,3
მოლდოვა	40,3	41,0	39,3	59,7	59,0	60,7	37,9	36,1	35,5	62,1	63,9	64,5
რუსეთი	14,0	14,9	14,9	86,0	85,1	85,1	16,2	14,9	13,7	83,8	85,1	86,3
ტაჯიკეთი	13,3	15,6	16,0	86,7	84,4	84,0	63,8	61,9	56,1	36,2	38,1	43,9
თურქმენეთი												
უზბეკეთი												
უკრაინა	33,0	37,8	35,5	67,0	62,2	64,5	44,8	42,2	39,2	55,2	57,8	60,8
დსთ-სულ	18	19	17,8	82	81	82,2	31	29	27,2	69	71	72,8

წყარო: http://www.cisstat.org/

დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან რუსეთი და აზერბაიჯანი. პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთი უმეტესწილად საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის პირველ ადგილზე იყო (იხილეთ პარაგრაფი 14), მაგრამ 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის შედეგად, დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოს პირველ უმსხვილეს პარტნიორად აზერბაიჯანი გადაიქცა. 2008 წელს მისმა წილმა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 10.8 % შეადგინა, ექსპორტმა – 13.7 %, იმპორტმა – 10.1 %. საქართველო-აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვამ 2008 წელს 813,186.1 ათასი აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 1.5-ჯერ მეტია, ხოლო 2000 წელთან შედარებით – თითქმის 11-ჯერ (ცხრილი 53).

ცხრილი 53.

საქართველო-აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვა, ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	20,366.1	56,142.6	76,508.7
2001	9,975.8	73,208.5	83,184.3
2002	29,282.0	80,301.6	109,583.6
2003	16,439.7	93,729.9	110,169.6
2004	25,327.2	156,397.9	181,725.1
2005	83,447.8	233,419.9	316,867.7
2006	92,355.0	318,485.9	410,840.9
2007	137,731.4	390,400.8	528,132.2
2008	205,408.0	607,778.1	813,186.1
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

2008 წლის საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილზეა უკრაინა, რომლის წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 10.5 %, ექსპორტის – 9.0 %, იმპორტის – 10.9 % (ცხრილი 28). საქართველო-უკრაინის სავაჭრო ბრუნვამ 4295,0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან უმეტესი ნაწილი ექსპორტზე მოდის, რის შედეგად საქართველოს უკრაინასთან დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. უკრაინაში საქართველოს ექსპორტი განსაკუთრებით მკვეთრად 2004 წლიდან გაიზარდა (ცხრილი 54).

ცხრილი 54.

საქართველო-უკრაინის სავაჭრო ბრუნვა,
ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	112,8	18,3	131,1
2001	323,5	121,5	445,0
2002	521,8	2,1	523,0
2003	553,6	27	580,6
2004	1,057,8	72	1129,8
2005	2,670.5	42	2712,5
2006	2.585,8	91	2676,8
2007	4,264,0	31	4295,0
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

2007 წელს თურქმენეთი საქართველოს მყათე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო. მის წილად მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 2.7 %, ექსპორტის 2.1 % და იმპორტის 2.9 %. მაგრამ 2008 წელს იგი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების პირველ ათეულში აღარ შევიდა, ვინაიდან საქართველო-თურქმენეთის სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 34885 ათასი აშშ დოლარით შემცირდა. მიუხედავად ამისა, საქართველო-თურქმენეთის 2008 წლის სავაჭრო ბრუნვა 2000 წლის მოცულობას თითქმის 6-ჯერ აღემატება (ცხრილი 55).

ცხრილი 55.

საქართველო-თურქმენეთის სავაჭრო ბრუნვა,
ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	10 615.2	13 304.2	23919.4
2001	28 878.2	17 638.3	46516.5
2002	36 733.8	14 483.3	51217.1
2003	54 906.1	9 798.0	64704.1
2004	113 441.8	32 674.9	146116.7
2005	75 827.6	95 067.4	17089.5
2006	71 808.9	101 061.5	172870.4
2007	26.338	149.902	176.240
2008	6.338,1	135.016,9	141355,0
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

2008 წელს საქართველო-მოლდოვას სავაჭრო ბრუნვამ 4,909.7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 610,5 ათასი აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 4,299.2 ათასი აშშ დოლარი. საქართველო-მოლდოვას სავაჭრო ბრუნვას ზრდის ტენდენცია ახასიათებს (გამონაკლისია 2006 წელი). იგი 2008 წელს 2000 წელთან შედარებით 12-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 56). საქართველოს მოლდოვასთან ორმხრივი თანამშრომლობის გარდა, აკავშირების თანამშრომლობა სუამის ჩარჩოში.

ცხრილი 56.

საქართველო-მოლდოვას სავაჭრო ბრუნვა, ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	221.6	174.1	395.7
2001	149.3	231.1	380.4
2002	130.7	335.9	466.6
2003	165.7	1,001.8	1,167.5
2004	115.1	1,762.6	1,877.7
2005	236.9	4,019.7	4,256.6
2006	216.5	3,520.7	3,737.2
2007	841.4	3, 810.1	4,651.5
2008	610,5	4,299.2	4,909.7
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

2008 წელს საქართველო-სომხეთის სავაჭრო ბრუნვამ 196,4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 115.3 %-ით მეტია, ხოლო 2000 წლის მოცულობას 7-ჯერ აღემატება. საქართველოს სომხეთთან დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს (ცხრილი 57).

ცხრილი 57.

საქართველო-სომხეთის სავაჭრო ბრუნვა,
ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	13,6	13,5	27,1
2001	12,5	10,0	22,5
2002	20,1	9,3	29,4
2003	30,8	11,2	42
2004	54,4	26,2	80,6
2005	39,9	39,3	79,2
2006	73,6	40,3	113,9
2007	110,8	59,5	170,3
2008	124,9	71,5	196,4
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

სომხეთის მსგავსად, საქართველოს დადებითი სავაჭრო სალდო აქვს ტაჯიკეთთან. 2007 წელს საქართველოს მიერ ტაჯიკეთში ექსპორტირებულია 4,264 ათასი აშშ დოლარის პროდუქცია, ხოლო იქიდან იმპორტირებულია 31 ათასი აშშ დოლარის საქონელი. საქართველო-ტაჯიკეთის სავაჭრო ბრუნვამ 2676.8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 1.6-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 58).

ცხრილი 58.

საქართველო-ტაჯიკეთის სავაჭრო ბრუნვა,
ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	112.8	18.3	131.1
2001	323.5	121.5	445.0
2002	521.8	2.1	523.9
2003	553.6	27	580.6
2004	1,057.8	72	1129.8
2005	2,670.5	42	2712.5
2006	2,585.8	91	2676.8
2007	4,264	31	4295.0
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

გაიზარდა, აგრეთვე, საქართველო-უზბეკეთის სავაჭრო ბრუნვა, რომლის მოცულობამ 2007 წელს 13,792 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ძირითადი წილი იმპორტზე მოდის, რის შედეგად საქართველოს უზბეკეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს (ცხრილი 59). საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, აგრეთვე, ყაზახეთთან და ყირგიზეთთან.

ცხრილი 59.

საქართველო-უზბეკეთის სავაჭრო ბრუნვა, ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	660.3	6,934.0	7,594.3
2001	1,144.6	1,496.4	2,641.0
2002	2,567.7	376.2	2943.9
2003	1,136.9	1,019.3	2,156.2
2004	2,213.8	14,986.6	17,200.4
2005	2,142.2	3,326.5	5,468.7
2006	2,548.6	6,291.6	8,840.2
2007	2,736	11,056	13,792
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

2007 წელს საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო ბრუნვამ 98,111 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 34,292.0 ათასი აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 63,819 ათასი აშშ დოლარი. წინა წელთან შედარებით იმპორტი 2.5-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი – 2.2-ჯერ (ცხრილი 60).

ცხრილი 60.

საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო ბრუნვა, ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	4,030.9	9,735.0	13,765.9
2001	4,302.5	5,262.5	9,565.4
2002	2,970.2	5,282.9	8,253.1
2003	4,330.0	9,755.9	14,085.9
2004	7,568.2	21,422.9	28,991.1
2005	9,800.8	11,551.4	21,352.2
2006	15,426.2	25,384.1	40,810.3
2007	34,292.0	63,819.0	98,111.0
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

2007 წელს 2006 წელთან შედარებით საქართველო-ყირგიზეთის სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 298.7 ათასი აშშ დოლარით და 2,047 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. შემცირების მიუხედავად, საქართველო-ყირგიზეთის სავაჭრო ბრუნვის 2007 წლის მოცულობა 6.4-ჯერ აღემატება 2000 წლის მოცულობას. 2000-2007 წლებში საქართველოს ექსპორტი ყირგიზეთში 20.4-ჯერ გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 4.2-ჯერ (ცხრილი 61).

ცხრილი 61.

საქართველო-ყირგიზეთის სავაჭრო ბრუნვა,
ათასი აშშ დოლარი, 2000-2008 წწ.

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2000	43.1	274.9	318.0
2001	0.1	230.3	230.4
2002	77.8	187.4	265.2
2003	521.6	293.0	814.6
2004	639.1	677.0	1,316.1
2005	247.7	481.5	729.2
2006	487.1	1,858.6	2,345.7
2007	879	1,168	2,047.0
წყარო: http://www.mfa.gov.ge			

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილის შემცირების მიუხედავად (ეს ძირითადად რუსეთის ხარჯზე მოხდა), საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დსთ-ის ქვეყნების უმეტესობასთან განვითარების ტენდენციით ხასიათდება და, როგორც ჩანს, ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

მსოფლიო ფინანსური ბაზარი

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ფინანსური ბაზრის განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია. მოკლე- და გრძელვადიან კაპიტალზე ტნკ-ების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეროვნულ ფინანსურ ბაზრებთან ერთად, მსოფლიო ფინანსური ბაზრის შესაძლებლობების გამოყენებამ გააფართოვა ბანკების საერთაშორისო ოპერაციები და აამაღლა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების აქტიურობა საგარეო ბაზრებზე. აღნიშნულის შედეგად ფინანსური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციამ გაუსწრო წარმოების ინტერნაციონალიზაციას. თავის მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ბაზრების დაახლოებამ და ინტეგრაციამ ხელი შეუწყო მსოფლიო ფინანსური ბაზრის გლობალიზაციას, რომლისთვისაც ფინანსიარიზაციის პროცესებია დამახასიათებელი. თავის მხრივ, ფინანსიზაციას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- მშპ-ში ფინანსური სექტორის წილის მკვეთრი ზრდა; განვითარებულ ქვეყნებში იგი დომინირებს რეალურ სექტორზე, როგორც მშპ-ში წილით, ისე თავისი როლით ეკონომიკაში;
- ფინანსური ბაზრების მოცულობა ბევრად აღემატება რეალურს, ხოლო დერივატული ინსტრუმენტების ფასები (ხშირ შემთხვევაში სპეკულაციური) ძლიერ ზემოქმედებს საქონლის რეალურ ბაზრებზე;
- განვითარებული ქვეყნების საწარმოთა აქტივების სტრუქტურაში ფიქციურ კაპიტალს უჭირავს უპირატესი წილი, ხოლო ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული ოპერაციებისაგან მიღებულ შემოსავალს უპირატესი წილი უკავია მათი შემოსავლების სტრუქტურაში;
- განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა თავისი შემოსავლების სულ უფრო დიდ ნაწილის აბანდებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, ხოლო საბანკო დეპოზიტების წილი მცირდება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის კეთილდღეობას ფინანსური ბაზრების მდგომარეობას უკავშირებს: აშშ-ის მოსახლეობის თითქმის ნახევარი აქციების მფლობელია.

მსოფლიო ფინანსური ბაზარი უზრუნველყოფს:[83]

---

[83] *http://ru-biznes.ru/index.php/mirovoi-finansoviy-rinok.html*

• რესურსების ქვეყანათაშორის გადაადგილებას;

• ფინანსური რესურსების მყიდველებისა და გამყიდველების ურთიერთმოქმედებას, რის შედეგად შესაძლებელია ფინანსური აქტივების ფასებისა და, შესაბამისად, ოპერაციების შემოსავლების დადგენა სხვადასხვა ვალუტებში;

• არსებული ფინანსური აქტივების გადაყიდვით, დამატებითი ინვესტორების მოზიდვა, რაც ამაღლებს ბაზრის ლიკვიდურობას;

• საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებით, დაფინანსების პროცესისათვის დამახასიათებელი მიმოქცევის ხარჯების შემცირება;

• არა მარტო სამრეწველო, არამედ ფინანსური კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის პროცესის დაჩქარება;

• მონაწილეთათვის აქტივების საერთაშორისო დივერსიფიკაციის შესაძლებლობა.

მსოფლიო ფინანსური ბაზარი დამყარებულია სასესხო კაპიტალზე სხვადასხვა ქვეყნის მსესხებელთა მოთხოვნასა და კრედიტორთა მიერ მის მიწოდებაზე. მისი მეშვეობით წარმოებს ფინანსური რესურსების აკუმულირება და მათი გადანაწილება მსოფლიო მასშტაბით.

ოპერაციების ეკონომიკური არსის შესაბამისად, სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი ორ ძირითად ნაწილისაგან შედგება: ფულის მსოფლიო ბაზარი და კაპიტალის მსოფლიო ბაზარი.

ფულის მსოფლიო ბაზარი განსაზღვრავს სასესხო კაპიტალზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას, რომელიც საერთაშორისო სყიდვითი და საგადასახდელო საშუალების სახით ფუნქციონირებს. ამასთან, ეს სახსრები დეპოზიტების სახითაა წარმოდგენილი, თვით სესხი კი მოკლევადიანი ხასიათისაა და მომოქცევის სფეროს (ძირითადად საერთაშორისო ვაჭრობის) დასაფინანსებლად გამოიყენება.

ფულის მსოფლიო ბაზრისგან განსხვავებით, რომელიც ფულის სახით ფუნქციონირებს, კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე სასესხო კაპიტალი თვითზრდადი ღირებულებითაა წარმოდგენილი. აქ სესხი გაიცემა ხანგრძლივი ვადით და იგი ძირითადად კაპიტალდაბანდებათა დასაფინანსებლად გამოიყენება.

კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ცნება ფართო და ვიწრო გაგებით გამოიყენება. ფართო ცნებით იგი მოიცავს საერთაშორისო საკრედიტო ოპერაციების მთელ ერთობლიობას, ხოლო

ვიწრო ცნებაში იგულისხმება მხოლოდ ქვეყანათა შორის სასესხო კაპიტალის თავისუფალი მიგრაცია და მასში არაა გათვალისწინებული სახელმწიფოთაშორისი კრედიტები, საგარეო ვაჭრობის პირდაპირი დაფინანსებისა და სხვა შებოჭილი საკრედიტო ოპერაციები. ნასესხობის კონკრეტული ფორმების შესაბამისად, კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე გამოყოფენ კრედიტების ბაზარსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს.

ფულისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრები ორგანულადაა ურთიერთდაკავშირებული. ეს ურთიერთკავშირი მოკლევადიანი რესურსების საშუალო და გრძელვადიან კრედიტებად და საპორტფელო ინვესტიციებად გარდაქმნაში გამოიხატება. ამასთან აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში ნასესხები სახსრების დანიშნულებისა და გამოყენების ზუსტი განსაზღვრა, ჩვეულებრივ, ძალიან რთულია, ამიტომ სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ზემოაღნიშნულ სექტორებად დაყოფა ფაქტობრივად პირობით ხასიათს ატარებს.

სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე მსესხებელთა და კრედიტორთა შორის ოპერაციები ხორციელდება შუამავლების – საინვესტიციო ინსტიტუტების მეშვეობით. შუამავლის როლში გამოდიან უმსხვილესი ტრანსნაციონალური ბანკები, ფინანსური კომპანიები, საფონდო ბირჟები და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები, რომლებშიც წარმოებს კერძო ფირმების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდებისა და სხვა ორგანიზაციებიდან და წყაროებიდან მიღებული უზარმაზარი ფულადი სახსრების კონცენტრაცია.

კაპიტალის მსოფლიო ბაზარი მოიცავს მთელ რიგ საერთაშორისო ფინანსურ ცენტრებს, რომლებიც განლაგებულია ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის, განვითარებული საბანკო სისტემის, ლიბერალური სავალუტო და საგადასახადო კანონმდებლობის, მსოფლიო ვაჭრობაში აქტიურად მონაწილე პოლიტიკურად სტაბილურ, განვითარებული ინფრასტრუქტურის, გეოგრაფიულად მოხერხებული ადგილმდებარეობის ქალაქებსა და ქვეყნებში.

საერთაშორისო ფინანსური ცენტრები საკმაოდ ბევრია, მაგრამ ამჟამად მათ შორის წამყვან როლს თამაშობს ლონდონის, ნიუ-იორკის, სინგაპურის, ჰონკონგისა და შვეიცარიის ფინანსური ცენტრები.

თანამედროვე გლობალური კრიზისის მიუხედავად, 2008 წელს ფინანსური ბაზრის ლიდერთა სამეული არ შეცვლილა. ლონდონი, ნიუ-იორკი და სინგაპური უწინდებურად პირველ, მე-

ორე და მესამე ადგილებზე არიან და ინარჩუნებენ ყველაზე მსხვილი და გავლენიანი ფინანსური ცენტრების როლს (ცხრილი 62).

ცხრილი 62.

მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ცენტრები

რანგი	ფინანსური ცენტრის დასახელება	ქულა
1	ლონდონი	781
2	ნიუ-იორკი	768
3	სინგაპური	687
4	ჰონკონგი	684
5	ციურიხი	659
6	ჟენევა	638
7	ჩიკაგო	638
8	ფრანკფურტი	633
9	ბოსტონი	618
10	დუბლინი	618
11	ტორონტო	615
12	გერნსი	615
13	ჯერსი	613
14	ლუქსემბურგი	612
15	ტოკიო	611
წყარო: Z/Yen		

ამასთან, გაჩდა რამდენიმე ახალი მოთამაშე, რომელთა შორის არიან კუალა-ლუმპური და ბანკოკი. აღსანიშნავია, რომ ტოკიოს ფინანსური ცენტრის მნიშვნელობა შემცირდა, რადგან იგი ლიდერთა მე-7 ადგილიდან მე-15-ე ადგილზე გადავიდა.

უმსხვილეს ფინანსურ ცენტრებს შორის განსაკუთრებით დიდია ლონდონისა და ნიუ-იორკის როლი. ლონდონი ითვლება საკვანძო ფინანსურ ცენტრად, ვინაიდან აქ ხორციელდება უამრავი სახის მომსახურება. იგი მსოფლიოში პირველ ადგილზეა სავალუტო, სადეპოზიტო და საკრედიტო ოპერაციათა მოცულობით. იგი აგრეთვე ლიდერია ფასიანი ქაღალდების ახალი ოპერაციების განვითარებასა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა უმსხვილესია მსოფლიოში. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აქციებისა და ფასიანი ქაღალდების ემისიაში, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში.

ფინანსური ცენტრების დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მათში დაფინანსება საკუთარი ქვეყნიდან არ ხორციელდება და ფინანსური ოპერაციები ეროვნულ რეგულირებას არ ექვემდებარება. შეღავათიანი სავალუტო რეჟიმის გამო, აქ ფაქტობრივად მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში განხორციელებული გარიგებების რეგისტრაცია ხორციელდება.

უკანასკნელ პერიოდში ფინანსურმა ბაზრებმა განიცადეს სერიოზული ტექნოლოგიური ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების ელექტრონული ტრანსფერის გამოყენების, ფინანსური ინჟინირინგის ინსტრუმენტებისა და მეთოდების შექმნის შედეგად. ფინანსურმა ინჟინირინგმა და ეკონომიკურმა თეორიამ ხელი შეუწყო რისკების მართვის ახალი მეთოდების გაჩენას.

ფულადი სახსრების მოძრაობა სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ მოქმედებს სავალუტო ურთიერთობებზე. ამ ბაზრის განვითარების ორგანიზაციული საფუძველია საკრედიტო დაწესებულებათა მიერ სპეციალიზებული ოფშორული ანგარიშების გამოყენება, რომლებზეც ხდება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ანაბრების აკუმულაცია, მოცემული ბანკისთვის დაბანდებული სახსრების ეროვნულ ვალუტაზე გადაყვანის გარეშე. ოფშორულ დეპოზიტებზე არ ვრცელდება სახელმწიფო რეგულირება არც მეანაბრის ვალუტის ქვეყნის, არც მისი მიმღები ქვეყნის მხრიდან. აღნიშნულის გამო, თანამედროვე პირობებში გაიზარდა ოფშორული ზონებით დაინტერესების მიზეზები. მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან კაპიტალის გატანა ხშირად სავალუტო კონტროლის არსებობითაა განპირობებული. მაგრამ კაპიტალის გატანა ხდება არა მარტო ოფშორულ ზონებში. ზოგიერთ შემთხვევაში კაპიტალი მიემართება უფრო მაღალი გადასახადების მქონე ქვეყნებში (მაგალითად, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში). ამ შემთხვევაში კაპიტალის გატანის მთავარი მიზეზია სავალუტო კონტროლის და არა გადასახადების თავიდან აცილება.

გარდა ამისა, არსებობს კაპიტალის გატანის სხვა მიზეზებიც. მაგალითად, აშშ-ში ფული შეაქვთ იმიტომ, რომ იქ, შვეიცარიისგან განსხვავებით, საბანკო ანაბრებზე დარიცხულ პროცენტებზე უცხოელებისათვის საშემოსავლო გადასახადი არაა გათვალისწინებული. შვეიცარიაში ფულს ინახავენ იმიტომ, რომ იქ, აშშ-სგან განსხვავებით, არსებობს საბანკო საიდუმლოს შენახვის პრაქტიკა. აღნიშნულის გამო, ფული „დასეირნობს“ მთელ მსოფლიოში და ეს მომგებიანი ინვესტიციები კი არა, უცხოეთში დანაზოგის შენახვის მცდელობაა, რომლის გა-

კეთება სამშობლოში შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიო გარკვეული თვალსაზრისით ოფშორია.

კაპიტალის თავისუფალი მიგრაცია მომგებიანია როგორც მსოფლიოსათვის, ისე იმ ქვეყნებისათვის, რომელთათვისაც ეს თავისუფლება დამატებით შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ საზიანოა იმათთვის, ვისთვისაც თავისუფლება უფრო მკაცრ კონკურენციას ნიშნავს.

საერთაშორისო სამეურნეო საქმიანობის გაფართოება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სასესხო კაპიტალის მოძრაობაზე, ანუ საერთაშორისო კრედიტზე. ეს აიხსნება საერთაშორისო კრედიტის შემდეგი ფუნქციებით:

- ქვეყანათა შორის ფინანსური და მატერიალური რესურსების გადანაწილება და მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა;
- მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით დაგროვების პროცესის გაძლიერება და კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების გზით, ერთი ქვეყნის თავისუფალი სახსრების მეორე ქვეყანაში გამოყენება;
- რეალიზაციის პროცესის დაჩქარება მსოფლიო მასშტაბით და გაფართოებული კვლავწარმოების მასშტაბების ზრდა.

საერთაშორისო კრედიტის გამოყენებით სესხის მიმღები ქვეყანა ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს და ნერგავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო კრედიტი ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოთა დასაფინანსებლად და მათი საგადასახდელო ბალანსების დეფიციტის დასაფარავად. აგრეთვე, გაიზარდა ქვეყანათა დაკრედიტების მასშტაბები.

საერთაშორისო კრედიტების ზრდაში გამოიხატება დებიტორი ქვეყნების ეკონომიკაში დისპროპორციებისა და საეჭრო ბალანსის გაუწონასწორებლობის გაღრმავება. გარდა ამისა, სესხის ამღები ქვეყანას უხდება პროცენტებისა და დივიდენდების გადახდა, რაც უცხოური კრედიტების არაეფექტიანი გამოყენების პირობებში აქვეითებს გადახდისუნარიანობას და მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. გადახდისუუნარობის გამო ხშირად ქვეყანას სჭირდება დამატებითი კრედიტების აღება, რომლებიც პროცენტების გადახდას ხმარდება და, საბოლოოდ, ქვეყნის დავალიანება სულ უფრო და უფრო იზრდება. ამასთან ერთად, კვლავწარმოების პროცესის ხელშეწ-

ყობის ნაცვლად, ასეთი საერთაშორისო კრედიტი ქვეყანაში არსებულ კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს.

სასესხო კაპიტალის ბაზარზე განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ უმსხვილეს სპეციალიზებულ საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს, როგორიცაა რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

მსოფლიო ბანკის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია გრძელვადიანი სესხის გაცემასთან, რომლის აღება შეუძლიათ სახელმწიფო და კერძო საწარმოებს მთავრობის გარანტიით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა წევრ ქვეყნებზე ფინანსური რესურსების გაცემა გადასახდელების დარღვეული წონასწორობის გამოსწორების მიზნით, რომელიც უნდა განხორციელდეს სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

ყოველ წევრ ქვეყანას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ყოველგვარი პროცენტებისა და პირობების გარეშე შეუძლია გარკვეული — მისი კვოტის (შენატანის) 25%-ის შესაბამისი თანხის მიღება. სესხის მიღების ეს შესაძლებლობა სარეზერვო წილის სახელწოდებითაა ცნობილი. ვინაიდან სარეზერვი წილი შეესაბამება კვოტის ანგარიშში შენატანებს, ამიტომ იგი არაა საკრედიტო მომსახურება. ამ სარეზერვო წილის გარდა, ყოველ ქვეყანას აქვს სესხის მიღების უფლება stand by შეთანხმების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სესხის კალენდარული გეგმა. კრედიტის გაცემის ეს მეთოდი გამოიყენება 1952 წლიდან. დასაწყისში იგი განკუთვნილი იყო მიმდინარე დეფიციტის დასაფინანსებლად, ხოლო 1961 წლიდან მისი გამოყენება შეიძლება კაპიტალის მოძრაობის დესტაბილიზაციის აღმოსაფხვრელად.

კვოტაზე მაღალი დეფიციტის მქონე ქვეყნების დასახმარებლად, რომელთაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დადებული აქვთ შეთანხმება stand by კრედიტის შესახებ, 1977 წლიდან შემოღებულია დამატებითი დაფინანსების მექანიზმი, ე.წ. Witteven-ის შელავათი. ამ რესურსების გამოყენება შეიძლება მხოლოდ stand by შეთანხმებით განსაზღვრული ეკონომიური პროგრამების განსახორციელებლად, ე. ი. ეს დახმარება გაიცემა გარკვეული პირობებით, დაყოფილია ეტაპებად და დამოკიდებულია კრედიტის ამღები ქვეყნის მიერ ვალდებულებათა შესრულებაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის შემუშავებულია „საბაზრო რეფორმების სტანდარტული პროგრამები“, რომლებშიც შედის: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ფინანსების სტაბილიზაცია, იმპორტის სტიმულირების შეწყვეტა და ექსპორტის ლიბერალიზაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სპეციალურად რუსეთისათვის გამოიგონა კრედიტის ახალი სახე – სისტემური ტრანსფორმაციის კრედიტი (STF), რომელიც შემდგომ პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც გამოიყენეს.

Stand by კრედიტის გაცემის სტანდარტული სქემა მოიცავს 2 ეტაპს. პირველ ეტაპზე დახმარების რეციპიენტი იღებს სარეზერვო კრედიტს (stand by), მეორეზე – გაფართოებულს (EFF). საერთო ჯამში ორივე კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის მიღების 3-ჯერად კვოტას. კრედიტის მისაღებად ქვეყანამ ფონდში უნდა წარმოადგინოს მემორანდუმი ჩასატარებელი ეკონომიკური რეფორმის შესახებ.

სესხის რეციპიენტი ქვეყნის დამოკიდებულება საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე ნებაყოფლობითია, ვინაიდან ესაა თვით ქვეყნის ეროვნული მთავრობის და არა რაიმე ზენაციონალური ორგანოს სურვილი. ამასთან, ქვეყნის მთავრობას ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი ვალდებულებების შეცვლა და ფინანსური სტაბილიზაციის კრედიტზე უარის თქმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ისტორიაში მრავალი შემთხვევაა, როდესაც ამ ინსტიტუტებს „უპატიებიათ მრავალი მძიმე დანაშაული“ ეკონომიური ლიბერალიზაციის პოლიტიკაში, მაგრამ ძალდატანების მეთოდი არ გამოუყენებით. თუ ქვეყანას არ სურს ფონდის პირობების შესრულება, იგი უბრალოდ კრედიტს აღარ მიიღებს, მაგრამ თუ ქვეყნის მთავრობა თანხმდება ასეთ ფინალზე (ფაქტობრივად ასეთი რამ არ მომხდარა), ურთიერთობა უმტკივნეულოდ წყდება.

თანამედროვე მსოფლიოში, დიდი ანგარიშით, ადგილი აქვს ამერიკული ლიბერალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური, ევროპული სოციალური და ჩინური სოციალისტური მოდელების კონკურენციას. ამ სამეულში ლიდერობს ამერიკული მოდელი. აშშ-ს აქვს ისტორიული შესაძლებლობა დაამყაროს ახალი მსოფლიო წესრიგი შეუზღუდავი ბაზრის ფასეულობებისა და ამერიკული ცხოვრების წესის საფუძველზე. ამ მისიის განხორ-

ციელების მთავარი იარაღია დოლარის განსაკუთრებული როლი და ამერიკულ ბაზარზე დაშვების შერჩევითობა.

აშშ-ის ფინანსური ბაზარი და მისი ცალკეული ნაწილები (საფონდო ბაზარი, საბანკო და სადაზღვევო სექტორები) წამყვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. ფინანსური ბაზრის ტევადობა 5-ჯერ და მეტად აღემატება ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ). აქციების ბაზრის ტევადობა (კაპიტალიზაციისა და მშპ-ის თანაფარდობა) დაახლოებით 20%-ს შეადგენს. აშშ-ს გააჩნია მძლავრი საკრედიტო და სადაზღვევო ინსტიტუტები, თუმცა ბოლო პერიოდის ფინანსური კრიზისის შედეგად მათ სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

ჟურნალის DM Euro მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე ყოველდღიურად 1 ტრლნ-ზე მეტი მოცულობის დოლარის ნაკადები მოძრაობს, აქედან 95 %-ზე მეტი სპეკულაციურ მიზნებს ემსახურება, ხოლო დაახლოებით 5% ბანკთაშორისი, სამეწარმეო და სახელმწიფო ანგარიშსწორებისათვის (უპირველესად, საერთაშორისო ვაჭრობის მომსახურებისათვის) გამოიყენება. ამერიკული დოლარი მსოფლიოს პირველი სარეზერვო ვალუტაა, მაგრამ ევროს შემოღებამ მას სერიოზული კონკურენტი გაუჩინა. მიუხედავად ამისა, 2007 წელს საერთაშორისო რეზერვების სტრუქტურაში აშშ დოლარის წილი 64.1 %-ია, ხოლო ევროზე 26.3 % მოდის (ცხრილი 63).

ცხრილი 63

საერთაშორისო რეზერვების სავალუტო სტრუქტურა

	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
USD	59.0	70.5	70.7	66.5	65.8	65.9	66.4	65.7	64.1
EUR	-	18.8	19.8	24.2	25.3	24.9	24.3	25.2	26.3
GBP	2.1	2.8	2.7	2.9	2.6	3.3	3.6	4.2	4.7
YEN	6.8	6.3	5.2	4.5	4.1	3.9	3.7	3.2	2.9
CHF	0.3	0.3	0.3	0.4	0.2	0.2	0.1	0.2	0.2

წყარო: Currency Composition of Official Foreign Exchange Reserves

უკანასკნელ წლებში აშშ-ის ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. სწრაფად იზრდება აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტისა და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი, რაც არა მარტო აშშ-ის პრობლემაა, არამედ იგი სერიოზულ საშიშროებას უქმნის მსოფლიო ეკონომიკურ სიტუაციას. საერ-

თაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აღნიშნულია, რომ აშშ არ უნდა იყოს „ბაზრის უხილავი ხელის იმედად“, უნდა შეამციროს ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი და შეაჩეროს დოლარის ვარდნა. „მართალია, დოლარის კურსის კორექტირება შეიძლება თანდათანობით მოხდეს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ არ შეიძლება იგნორირებული იქნეს გაცვლის კურსის მოუწესრიგებელი კორექტირების გლობალური რისკის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ფინანსური ბაზრებისთვის“.

დოლარის კურსის ვარდნით, უპირველესად, ამერიკელ მწარმოებლებს ექმნებათ ფასისმიერი კონკურენტუნარიანობისა და, შესაბამისად, ექსპორტის ზრდის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო დეფიციტის შემცირებას. მაგრამ, სუსტი დოლარის პირობებში მეანაბრეები ცდილობენ მოსალოდნელ რისკზე პრემიის მიღებას დამატებითი პროცენტის სახით. ეს, თავის მხრივ, ზრდის ამერიკელი მომხმარებლების და ინვესტორების დაფინანსების ღირებულებას. საპროცენტო განაკვეთების ზრდით მცირდება სამომხმარებლო მოთხოვნა აშშ-ში და, შესაბამისად, საქონლის იმპორტი. ორივე ფაქტორი ნეგატიურად აისახება ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაზე, რადგან ისინი კარგავენ თავიანთი ბაზრის წილს. გარდა ამისა, განაკვეთების ზრდა აძვირებს ფედერალური და კორპორაციული ვალების მომსახურებას.

ამერიკელი ექსპერტების გაანგარიშებებით, აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის სავაჭრო და მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების დეფიციტების უახლოეს ორ წელიწადში 1/2-ით შემცირებისთვის ქვეყანაში ყოველდღიურად სამუშაო დღეებში უნდა შევიდეს 2 მლრდ დოლარის უცხოური ვალუტა. ამისათვის კი აშშ-ის ფინანსური ბაზარი სხვა ბაზრებზე მიმზიდველი უნდა იყოს.

2003 წლის ივლისში „დიდი შვიდეულის“ სამიტზე აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ევიენში (საფრანგეთი) განაცხადა, რომ დოლარის გაუფასურების მიუხედავად, ამერიკის გენერალური ხაზია ძვირი დოლარის პოლიტიკა. ასეთი განცხადების მიზეზი ისაა, რომ ძვირი დოლარის პირველი ეტაპის წლებში (1977-1989წწ.) დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი აშშ-ის ისტორიაში. 1983 წლისთვის აშშ-ის მშპ-ის ზრდის ტემპები 1,5–2-ჯერ აღემატებოდა ევროპის განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო შემდეგ საშუალო ტემპმა წელიწადში 3 და მეტი პრო-

ცენტი შეადგინა. ამასთან, ყოველწლიურად იქმნებოდა დაახლოებით 1 მლნ სამუშაო ადგილი.

ძვირი დოლარი მაგნიტივით იზიდავდა სხვა ქვეყნების კაპიტალს, რაც იყო ფინანსური ბაზრის სწრაფი განვითარების საფუძველი, აგრეთვე, საგაჭრო და საგადასახდელო ბალანსების დეფიციტების დაფინანსების საშუალება. აღნიშნული უზრუნველყოფდა დოლარზე არნახულ მოთხოვნასა და მსოფლიო ბაზარზე მის მაღალ კურსს.

ამჟამად აშშ-ის ეკონომიკა სტიმულირებას საჭიროებს. ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისას ძირითადი იმედი დამყარებულია რიგითი მომხმარებლების მოთხოვნის აქტივიზაციაზე გადასახადების შემცირების, სხვადასხვა შეღავათების, უპრეცედენტო კრედიტების და სხვა ბონუსების შეთავაზებით. ამერიკული ბანკების ყურადღება მიქცეულია მასობრივ მომხმარებლებზე გამიზნულ მომსახურებასა და ფინანსურ პროდუქტებზე: ანგარიშების მომსახურება, საკრედიტო ბარათების გამოშვება, სესხები უძრავი ქონებისა და ავტომობილების შესაძენად და სხვა. ფინანსური სექტორის განვითარებისათვის დღეს ეს უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ინვესტბანკინგი. აღსანიშნავია, რომ მასტიმულირებელი ზომები იწვევენ ფინანსური სისტემის დისბალანსს, რამაც, საბოლოო ჯამში, ფინანსური კრიზისი გამოიწვია. უკანასკნელ წლებში აღნიშნულია დოუ-ჯონსის ინდექსის საკმაოდ ძლიერი შემცირების პერიოდები. ასეთი სიტუაცია აიხსნება იმით, რომ აღნიშნული ზრდა განპირობებულია გადასახადების არსებითი შემცირებით, სახელმწიფო ხარჯების, უწინარესად, სამხედრო შეკვეთების ზრდით, უდაბლესი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკით, აგრეთვე, ამერიკელი მწარმოებლების დაცვის პროტექციონისტული ღონისძიებებით.

მართალია, აშშ-ისთვის სუსტი ვალუტა მიუღებელია, მაგრამ ამჟამად მოვლენების დაჩქარება შეუძლებელია. აშშ-ს გააჩნია საკმაო სიმტკიცე და რწმენა იმისა, რომ დოლარი უნდა დარჩეს თავისუფალ ცურვაში და ასახავდეს რეალურ საბაზრო მაჩვენებლებს, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სიტუაციის ადეკვატური უნდა იყოს. ალბათ, ასეთი პოლიტიკა უფრო გონივრულია, ვიდრე მართვის ხელოვნური მექნიზმების შექმნის მცდელობა. როგორც ცნობილია, ხშირად სასიკეთო მიზნები მომენტურ ინტერესებს ეწირება.

აშშ-ის ფინანსურ ბაზარზე არსებული კრიზისული სიტუაცია არსებითად ზემოქმედებს სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე.

უნდა ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოება, ფაქტობრივად, არ შეუძლიათ, რადგან მათ ეკონომიკაში ემიტირებული ეროვნული ვალუტის მიწოდების ყველაზე რეალური და ერთადერთი არხია ცენტრალური ბანკების მიერ ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის შესყიდვა, ხოლო ფულის მასის მოცულობა კი თითქმის მკაცრადაა მიბმული სავალუტო რეზერვების მოცულობასთან. დოლარის კურსის შემცირება ავტომატურად ამცირებს ფულის მიწოდებას. გარდა ამისა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ექსპორტი ძირითადად სანედლეულო ხასიათისაა, ამიტომ ნედლეულზე ფასების დაცემის პირობებში მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები. დოლარის კურსის დაცემას აქვს თავისი დადებითი მხარეებიც: ინფლაციის ტემპების შემცირება და ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება, მაგრამ უარყოფითი ფაქტორების ფონზე ეს არსებით შედეგს არ იძლევა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ფინანსური ბაზრები ხასიათდება სტაბილურობის დაბალი დონით, ინსტრუმენტების მცირე სპექტრით, კომპლექსური ფინანსური მომსახურების არარსებობით და, შესაბამისად, დაბალი ხარისხითა და ეფექტიანობით. საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში ფინანსური ბაზრის როლის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია ე. წ. მეგარეგულატორის – ერთიანი სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც დააწესებს თამაშის წესებსა და ზედამხედველობას ფინანსური ბაზრის ყველა სეგმენტზე. ესაა ფინანსური ბაზრის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომა, ამიტომ მან ქვეყანას სასიკეთო შედეგები უნდა მოუტანოს.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ბაზარია, რომლის სწრაფი განვითარება განპირობებულია ადამიანების საქმიანობასა და სიცოცხლეზე ბუნების სტიქიური ძალების ზემოქმედებითა და თვით მათი არასწორი მოქმედებებით გამოწვეული სარალის ლიკვიდაციის აუცილებლობით. ადამიანისა და საწარმოსათვის საშიშროებას წარმოადგენს როგორც გლობალური სტიქიური უბედურებები, ასევე ლოკალური ავარიები, ჩვეულებრივი ქურდობა, ავტომობილების გატაცება, დაავადებები და ა. შ. ამ შემთხვევების შედეგების თავიდან აცილება ან შერბილება მხოლოდ დაზღვევას შეუძლია. სადაზღვევო რისკების გამომწვევი ფაქტორები სხვადასხვა ხასიათისაა. ისინი შეიძლება დაიყოს 4 კატეგორიად: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და იურიდიული ფაქტორები. ყოველი მათგანი წარმოდგენილია შემდეგი სახით[84]:

პოლიტიკური ფაქტორებია:

- ქვეყანაში მოქმედი რეჟიმის ბუნება და კანონიერება;
- წინამორბედი მმართველი რეჟიმების ხანგრძლივობა და განსხვავება;
- სახელმწიფო მმართველების პოპულარობა და მათდამი ხალხის ნდობა;
- სამხედროების, პროფკავშირების, პოლიტიკური პარტიების, ოპოზიციის დამოკიდებულება ხელისუფლებასთან;
- სამოქალაქო ან საერთაშორისო ომების ალბათობა;
- ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა;
- პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ალიანსებთან ურთიერთობა;
- მხარდაჭერა სხვა სახელმწიფოების მხრიდან;
- სხვადასხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების მდგომარეობა.

სოციალური ფაქტორებია:

- ეთნიკური და რელიგიური ერთობა, რომელიც ამჟამად სტაბილურობის შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორია;

---

[84] *Карякин М. Ю. Страхование политических рисков внешнеторговых операций и международных инвестиций. М., Авуар консалтинг, 2002, с. 46-47*

- მოსახლეობის დემოგრაფიული განაწილება და სიმჭიდროვე;
- წინააღმდეგობები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის;
- უმუშევრობა, სოციალური დაცვის დონე, მოსახლეობის სიმდიდრე;
- განათლების დონე.

ეკონომიკური ფაქტორებია:

- ქვეყნის ეკონომიკური ზრდა;
- საერთაშორისო საგაჭრო და საგადასახდელო ბალანსები;
- მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და მისი ცვლილებები;
- ფულადი სისტემის სტაბილურობა და ინფლაცია;
- ინფრასტრუქტურის, კერძოდ, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის ხარისხი;
- ბუნებრივი რესურსების არსებობა და გამოყენება;
- ქვეყნის ვალი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე;
- ექსპორტზე, იმპორტზე ან მესამე ქვეყნის დახმარებებზე დამოკიდებულების დონე.

სამართლებრივი ფაქტორებია:

- სამართლებრივი უზრუნველყოფის და რეგულირების დონე საზღვარგარეთული ინვესტიციების მიმართ;
- ქვეყანაში არსებული ტენდენციები ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციისადმი;
- ქვეყნის სახელმწიფო სამართლებრივი აპარატის სტრუქტურა და კანონიერების დაცვა;
- ადმინისტრაციული და საბაჟო რეგულირება.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების დონე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. გარდა ამისა, მათი ამ ზემოქმედების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ სადაზღვევო კომპანიები, როგორც წესი, ცდილობენ გამოყონ სადაზღვევო პრემიის განაკვეთებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე, ისევე როგორც სხვა ბაზრებზე, ადგილი აქვს გლობალიზაციის პროცესებს, რომელთა ზეგავლენით იშლება სამართლებრივი და ეკონომიკური ბარიერები ეროვნულ სადაზღვევო მეურნეობებს შორის. გლობალიზაციის პროცესების მიზანია გლობალური სადაზღვევო სივრცის ფორმირება.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზრის გლობალიზაცია გამოიხატება შემდგომ პროცესებში, რომლებიც მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურად ვითარდება:

- *სადაზღვევო კაპიტალის კონცენტრაცია.* იგი გამოიხატება მსოფლიო ბაზარზე მასობრივი შთანთქმებისა და შერწყმების პროცესებში, რომელთა შედეგად ჩამოყალიბდა ტრანსნაციონალური სადაზღვევო ჯგუფები.
- *სადაზღვევო და საბანკო კაპიტალის შერწყმა,* რომელთაც ხელი შეუწყეს ტრანსნაციონალური ფინანსური ჯგუფების ჩამოყალიბებას.
- *სადაზღვევო შუამავლების – აგენტების და ბროკერების კონცენტრაცია.* ამ პროცესის შედეგად გაიზარდა წერილი და საშუალო გაერთიანებების რიცხვი.
- *სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელთა კონცენტრაცია,* რომლის შედეგად იზრდება ტრანსნაციონალური კომპანიების კაპიტალიზაცია და იცვლება მათი მოთხოვნები ტრადიციულ სადაზღვევო მომსახურებაზე.
- *ალტერნატიული დაზღვევისა და გადაზღვევის წარმოშობა* სადაზღვევო და ფინანსური მომსახურების შეერთების საფუძველზე, რაც ფინანსურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.
- *სახელმწიფოს როლის (მონაწილეობის დონის) შემცირება* სიბერის და ინვალიდობის პენსიების გაცემაში.
- *სადაზღვევო მომსახურების სფეროს გაფართოება:* მაგალითად, გაჩნდა დაზღვევის ისეთი სახეები, როგორებიცაა: დაზღვევა პოლიტიკური და საომარი რისკებისაგან, კრედიტებისა და გარანტიების დაზღვევა.
- *ინფორმაციის სწრაფად გაერცელების შესაძლებლობა,* ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძველზე.
- *სადაზღვევო შემთხვევების ზრდა,* რაც განპირობებულია მოსახლეობის ურბანიზაციით მაღალი დონით, გლობალური კლიმატური ცვლილებების ზემოქმედებით, მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისებით, ტერორისტული აქტებით და ა. შ.
- *მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ტენდენცია,* რის შედეგად გამარტივდა მრავალი ქვეყნის ბაზარზე შესვლა და სადაზღვევო კომპანიების მიეცათ ახალი ბაზრებისა და სეგმენტების ათვისების შესაძლებლობა.

სადაზღვევო მომსახურების სუბიექტთა კონკურენციით გამოყოფენ ორი ტიპის სადაზღვევო ბაზარს:

1. სადაზღვევო ბაზრები გამოკვეთილი ლიდერი კომპანიით, რომელსაც ბაზრის 20 %-ზე მეტი უკავია და სხვა კომპანიები მას საქმიანობის მასშტაბებს უთმობენ. მაგალითად, გერმანიისა და იტალიის სადაზღვევო ჯგუფები – „Allianz“ და „Assicurazioni Generali“.
2. სადაზღვევო ბაზრები, რომელზეც რამდენიმე მსხვილი სადაზღვევო კომპანია ან თანაბარი ფინანსური შესაძლებლობების ჯგუფები მოქმედებენ. ამ ტიპის სადაზღვევო ბაზრები დამახასიათებელია ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის, დიდი ბრიტანეთისათვის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ევროპული ქვეყნისათვის.

მეორე ტიპის ბაზრებზე, ჩვეულებრივ, კონკურენცია უფრო მაღალია, ვიდრე პირველი ტიპის ბაზრებზე. მაგალითად, კონკურენციის მაღალი დონეა დიდი ბრიტანეთის სადაზღვევო ბაზარზე, რომელიც შედგება ხუთი დამოუკიდებელი ბაზრისგან: საზღვაო, საავიაციო, ქონების, ავტო- და სიცოცხლის. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო მომსახურების განვითარების თანამედროვე ტენდენცია აყალიბებს პირველი ტიპის ბაზრებს მეორის შემცირების ხარჯზე.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო მომსახურება დიდი ხანია უნიფიცირებულია: სტანდარტიზებულია წესები, ფორმულირებულია მომხმარებელთა მოლოდინი, კონკურენცია მიმდინარეობს სადაზღვევო კომპანიების ბრენდებსა და დამატებით შეთავაზებულ მომსახურებას შორის. იმის გამო, რომ თანამედროვე ეტაპზე მთავარ ხელოვნებად იქცა კონკურენციის თავიდან აცილების უნარი, იზრდება ფირმათაშორისი თანამშრომლობა, გააქტიურდა შერწყმებისა და შთანთქმების პროცესები, რის შედეგად ტრანსნაციონალური კორპორაციების, მათ შორის სადაზღვევო კომპანიების საქმიანობამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია.

2007 წელს მსოფლიოს ყველა სადაზღვევო კომპანიის სადაზღვევო პრემიების მოცულობამ 4,1 ტრილიონ ამერიკულ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 2,5 %-ით გაიზარდა. როგორც ცხრილი 64-ის მონაცემები გვიჩვენებენ, 2007 წელს სადაზღვევო მომსახურების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დამახასიათებელია ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისა (12,9 %) და სამხრეთ ამერიკის (9,6 %) რეგიონებისათვის.

ცხრილი 64.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზრის მაჩვენებლები, 2007 წ.

რეგიონი	სადაზღვევო პრემიის მოცულობა, აშშ დოლარი	ზრდის ტემპი, %	მსოფლიო ბაზრის წილი, %	პრემია ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი	დაზღვევის წილი მშპ-ში, %
ჩრდილოეთი ამერიკა	1330066	2,1	32,75	3984	8,71
სამხრეთი ამერიკა	87397	9,6	2,15	154	2,54
დასავლეთი ევროპა	1606324	3,0	39,56	3138	8,85
ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა	74369	12,9	1,83	229	2,78
აზია, სულ	840601	4,5	20,70	210,7	6,20
მათ შორის: იაპონია და ახალი ინდუსტრიული ქვეყნები	640754	1,9	15,78	3018	10,38
ოკეანეთი	68818	3,9	1,69	2059	6,58
აფრიკა	53294	2,8	1,31	55,3	4,31
სულ მსოფლიო	4060870	3,3	100,00	607	7,49

წყარო: World Insurance in 2007 - Swissre.com

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი დასავლეთი ევროპა (39,56 %) და ჩრდილოეთი ამერიკა (32,75 %). ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, მშპ-ში დაზღვევის მაღალი წილი – შესაბამისად 8,85 და 8,71 %. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე იაპონიისა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების შედარებით დაბალი წილის (15,78 %) მიუხედავად, ამ რეგიონში დაზღვევის წილი მშპ-ში ყველაზე მაღალია – 10,38 %. ერთ სულ მოსახლეზე აკრეფილი პრემიის მოცულობით ლიდერია ჩრდილოეთი ამერიკის რეგიონი – 3984 აშშ დოლარი. მეორე ადგილზეა დასავლეთი ევროპა – 3138 აშშ დოლარი, ხოლო მესამეზე იაპონია და ახალი ინდუსტრიული ქვეყნები – 3018 აშშ დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე აკრეფილი პრემიის მოცულობით 2007 წელს ქვეყნებს შორის ლიდერობს ირლანდია – 7171 აშშ დოლარი, მეორე ადგილზეა დიდი ბრიტანეთი – 7114 აშშ დოლარი, მესამეზე კი ნიდერლანდები – 6263 აშშ დოლარი (ცხრილი 65).

Financial Times-ის 2008 წლის რეიტინგში კაპიტალიზაციის ზომით შესული 500 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის რიცხვში 26 სადაზღვევო კომპანიაა წარმოდგენილი, მათ შორის უმსხვილესია ამერიკული კომპანია Berkshire Hathaway, რომლის საბაზრო კაპიტალიზაცია 206924,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. 2008 წელს FT-500-ში მას მე-13 ადგილი უკავია, ხოლო 2007 წელს იგი მე-14 ადგილზე იყო.

საბაზრო კაპიტალიზაციით (109528,7 მლნ აშშ დოლარი) 2008 წელს მეორე ადგილზეა ჩინური კომპანია Chine Life Insurance – 49 ადგილი FT-500-ის რეიტინგში, მესამე ადგილზეა ამერიკული American International Group 109091,0 მლნ აშშ დოლარი საბაზრო კაპიტალიზაციით (ცხრილი 66).

Financial Times-ის რეიტინგში კაპიტალიზაციის დონით სადაზღვევო კომპანიებს შორის პირველ ადგილზეა Berkshire Hathaway, რომელიც 2008 წლის ტნკ-ების რეიტინგში მე-13 ადგილზეა, ხოლო 2007 წელს იგი მე-14 ადგილზე იყო. სადაზღვევო კომპანიების რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი Chine Life Insurance-ი კი 2007 წელს იყომე-16 ადგილზე, ხოლო 2008 წელს – 49-ეზე გადაინაცვლა.

ცხრილი 65.

სადაზღვევო პრემიების მოცულობა ქვეყნების მიხედვით, 2007 წ.

ქვეყანა	აკრეფილი პრემიის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი	მათ შორის სიცოცხლის დაზღვევა, აშშ დოლარი	აკრეფილი პრემიის მთლიანი მოცულობა, აშშ დოლარი
ირლანდია	7171	5734	60693
დიდი ბრიტანეთი	7114	5731	463686
ნიდერლანდები	6263	2192	102831
შვეიცარია	5741	3159	43580
დანია	5103	3381	27771
საფრანგეთი	4178	2928	268900
ბულგია	4132	2973	45841
აშშ	4086	1922	1229668
ფინეთი	3906	3093	20535
შვედეთი	3705	2640	33646
ნორვეგია	3370	2439	19412
იაპონია	3320	2584	424832
კანადა	3054	1387	100398
ავსტრალია	3002	1674	62233
გერმანია	2662	1234	222825
სამხრეთი კორეა	2384	1657	116990
.....	----	----	----
რუსეთი	209	6,1	29846
ბრაზილია	202	95	30786
ჩინეთი	69,6	44,2	92487
ინდოეთი	46,6	40,4	54375

ცხრილი 66.

მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიები საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით, 2008 წ. (FT-ს შეფასებით)

№	კომპანია	ქვეყანა	საბაზრო კაპიტალიზაცია (მლრდ აშშ დოლარი)	რეიტინგი	
				2008 წ.	2007 წ.
1	Berkshire Hathaway	აშშ	206924,3	13	14
2	Chine Life Insurance	ჩინეთი	109528,7	49	16
3	American International Group	აშშ	109091,0	50	42
4	Allianz	გერმანია	89502,0	71	74
5	ING	ნიდერლანდები	84358,2	77	85
6	Axa	საფრანგეთი	75069,9	86	89
7	Generali	იტალია	63630,5	106	125
8	Manulife Financial	კანადა	57387,1	126	128
9	Ping An Insurance	ჩინეთი	54247,2	140	75
10	Zurich Financial Services	შვეიცარია	46024,3	173	225

წყარო: Financial Times

ცხრილი 67.

მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიები გაყიდვების მოცულობით, 2008 წ. (Forbes-ის შეფასებით)

№	კომპანია	ქვეყანა	გაყიდვების მოცულობა, მლრდ აშშ დოლარი	მოგება, მლრდ აშშ დოლარი	აქტივები, მლრდ აშშ დოლარი	საბაზრო ღირებულება, მლრდ აშშ დოლარი
1	ING Group	ნიდერლანდები	197,93	12,65	1932,15	75,78
2	AXA Group	საფრანგეთი	151,70	7,75	1064,67	70,33
3	Allianz	გერმანია	139,12	10,90	1547,48	80.30
4	American Int G	აშშ	110,06	6,20	1060,51	118,20
5	Generali Group	იტალია	102,16	3,17	486,43	60,79
6	Aviva	ინგლისი	81,83	2,65	633,91	31,90
7	Prudential	ინგლისი	70,34	1,71	419,89	30,00
8	Munich Re	გერმანია	67,57	5,63	306,03	37,34
9	Aegon	ნიდერლანდები	57,73	3,49	462,42	24,74
10	Zurich FS	შვეიცარია	55,05	5,63	387,67	45,76

წყარო: Forbes

Forbes-ის მონაცემებით, 2008 წელს სადაზღვეო მომსახურების რეალიზაციის მოცულობით პირველ ათ ადგილზე გასული კომპანიები მოცემულია ცხრილში 67.

ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ სადაზღვევო მომსახურების გაყიდვებით ლიდერია ING Group, რომლის გაყიდვების მოცულობამ 2008 წელს 197,93 მლრდ დოლარი შეადგინა. მეორე და მესამე ადგილებზე არიან AXA Group და Allianz შესაბამისად 151,7 და 139,12 მილიარდი აშშ დოლარი გაყიდვების მოცულობით.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე ზემოქმედებს მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა სახის პროცესები და მოვლენები. ამ ბაზარზე განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა 2001 წლის 11 სექტემბერის ტერორისტულმა აქტმა, რომელმაც, ერთი მხრივ, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა მზღვეველები, მაგრამ, მეორე მხრივ, მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახა დაზღვევის მნიშვნელობა და გაზარდა ტარიფები. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი უმსხვილესი სადაზღვევო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში. მხოლოდ სიცოცხლის დაზღვევაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით უდიდესი თანხები დაკარგეს მზღვეველებმა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობაში იყო 26 ქვეყნის 250-ზე მეტი უმსხვილესი ფირმის შტაბ-ბინები. სადაზღვევო თანხებს რამდენადმე ამცირებს ის გარემოება, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი შენობიდან მხოლოდ ერთი იყო დაზღვეული (ორივეს დანგრევა წარმოუდგენელი იყო), ამიტომ მის მფლობელის Port Authority of New York-ის მისაღები სადაზღვევო თანხა მხოლოდ 1,5 მლრდ აშშ დოლარი იყო. ეს ოდნავ აღემატება შენობის აგებაზე გაწეულ თანხებს და მნიშვნელოვნად ნაკლებია უკანასკნელად შეფასებულ ღირებულებაზე – 5 მლრდ აშშ დოლარი.

ამერიკაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა განსაკუთრებით დააზარალა ავიაკომპანიები. შეიცარიული ავიაკომპანიის Swiss Re-ს დანაკარგები მისი დაზღვევის მაქსიმალური თანხის მიღების შემთხვევაშიც კი 2000 წლის მოგების დაახლოებით 50%-ს შეადგენს. ავიაკომპანიებმა გამოაცხადეს 10 მლრდ დოლარის ჯამური დანაკარგების შესახებ. სტატისტიკის თანახმად, საავიაციო შემთხვევები პერიოდულად ხდება, მაგრამ ისინი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ავიალაინერის „კონკორდი“ ერთობლიემა სადაზღვევო დაცვამ, რომელიც განახორციელეს კომპანიებმა AGF, Allianz, AXA, CGU, Generali,

Groupama La Reunion, Aerienne, Mutuelles du mans, 30 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის დროს დაიღუპა 4 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საჭირო გახდა მსოფლიოს ყველა აეროპორტში უსაფრთხოების სისტემის უპრეცედენტო გაუმჯობესება ანუ დამატებითი ხარჯების გაწევა.

ტერორისტულმა აქტმა გამოიწვია სადაზღვევო კომპანიების აქციების ინდექსის რეკორდული (16,6%) ვარდნა. მაგრამ რამდენიმე დღეში სიტუაცია არსებითად შეიცვალა და მთელ მსოფლიოში დაიწყო სადაზღვევო მომსახურების ღირებულების ზრდა. ტარიფების აწევამ სადაზღვევო კომპანიებს მისცა თავიანთი ფინანსური პრობლემების დაძლევისა და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მთელ ბაზარზე თავიანთი დანაკარგების გადატანის შესაძლებლობა. განსაკუთრებით გაიზარდა განაკვეთები ავიაკასკოს დაზღვევაში და გამკაცრდა დაზღვევის პირობები. აღნიშნულის შედეგად სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი შედარებით ადვილად გამოვიდა კრიზისიდან და ამჟამადაც, თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, წარმატებით ფუნქციონირებს.

საგარეო ვალები და საშვალო სტრატეგიები მსოფლიო ეკონომიკაში

საგარეო დავალიანება ერთ-ერთი უმწვავესი და გადაუჭრელი პრობლემაა მსოფლიო ეკონომიკაში, ამიტომ იგი აქტიური განხილვის საგანია ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. საგარეო დავალიანების პრობლემის აქტუალურობამ განაპირობა მისი თეორიების განვითარება, რომელშიც ოთხი ეტაპია გამოყოფილი.

პირველ ეტაპზე (XX საუკუნის 70-იან წლებში) ითვლებოდა, რომ განვითარებულ ქვეყნებში აკუმულირებული დიდი დანაზოგების ეფექტიანი რეციკულირება შესაძლებელია განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც, მიმდინარე ოპერაციების ბალანსის დეფიციტის მიუხედავად, შეძლებენ სესხის ეფექტიანად გამოყენებასა და საგარეო ვალის გადახდას.

მეორე ეტაპზე (XX საუკუნის 80-იან წლებში) აღმოჩნდა, რომ განვითარებად ქვეყნებს უჭირთ ვალების მომსახურება და მრავალი მათგანი გაკოტრების ზღვარზე მივიდა, მაღალია საპროცენტო განაკვეთები და მცირე – გადასახადების ვადები, ხშირ შემთხვევაში ვალზე გადასახდელი თანხები აღემატება ახალი კრედიტების მოცულობას. ამ ეტაპზე საგარეო დავალიანების თეორიაში მთავარი ყურადღება ეთმობოდა ვალებზე გადასახდელების უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომლებიც, თავის მხრივ, გულისხმობენ ქვეყნების იძულებას ან წახალისებას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

მესამე ეტაპზე ((XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში) აშკარა გახდა, რომ პრობლემად იქცა თვით ვალის გადახდის ვადების გადავადება დ მისი გრძელვადიანი რესტრუქტურიზაცია. ამ ეტაპზე შექმნილმა „საშვალო ჩარდახის“ თეორიებმა დაამტკიცეს, რომ საგარეო ვალები ნეგატიური გადასახადია სახელმწიფო რესურსებზე და ისინი დანაზოგების ზრდაზე უაღრესად უარყოფითად ზემოქმედებენ. ამ პერიოდში მოქმედებდა „ბეიკერის გეგმა“, რომელიც, ფაქტობრივად, საშვალო კრიზისის კოსმეტიკური მეთოდი იყო.

მეოთხე ეტაპზე (XX საუკუნის 90-იან წლების შუახანებში) საბოლოოდ გამოაშკარავდა, რომ მრავალი განვითარებადი ქვეყანა ვერავითარ პირობებში და ვერასოდეს ვერ გადაიხდის ვალს და რომ საგარეო დავალიანების პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერაა. ამ პერიოდში საგარეო დავალიანების თეორიების საკვანძო სა-

კითხად იქცა ვალების ჩამოწერის მასშტაბები და მექანიზმები, ამოქმედდა „ბრეიდის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს რესტრუქტურიზაციის სამ ვარიანტს:

1. მოვალე ქვეყნის მიერ მეორადი ბაზრის ფასებზე დაბალი მაჩვენებლით თავისი ვალდებულებების შესყიდვა. ამასთან, იგი კომერციულ კრედიტორებს უკეთებს 10-15 %-იან კომპენსაციას ნაღდი საშუალებებით;
2. ვალის გაცვლა შესაბამის ნომინალურ ან დისკონტირებულ ობლიგაციებზე. ბრეიდის ობლიგაციებს აქვს 10 წელზე მეტი შეღავათიანი პერიოდი და საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი;
3. სავალო ვალდებულებების ნაწილის გაცვლა მოვალე ქვეყნის ეროვნულ (არაკონვერტირებად) ვალუტაზე ან ეროვნული კომპანიების აქციებზე. ასეთი გაცვლა, როგორც წესი, საქველმოქმედო ფონდების შექმნას ითვალისწინებს.

ბრეიდის გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია სააქციო კაპიტალზე ვალის გაცვლის მექანიზმი (სვოპი), რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით: 1. საგარეო ვალის ნაწილის გაცვლა მოვალე ქვეყნის საწარმოთა აქციებზე და 2. უცხოურ ვალუტაში არსებული საგარეო ვალდებულებების გაცვლა შიდა სავალო ვალდებულებებზე. ასეთი სახით კრედიტორებს მოვალე ქვეყნის მეორად ბაზარზე საწარმოთა აქციების შეძენის ან პირდაპირი ინვესტირების საშუალება ეძლევათ.

სახელმწიფოთაშორისი ფინანსური ურთიერთობები არსებითად განსხვავდებიან კერძო კრედიტორებისა და მსესხებლების ურთიერთობებისაგან. ქვეყნები კრედიტების გაცემისას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მოტივებით: შიდა და საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ სათანადო მომსახურების გაწევა, საკუთარი პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა, აგრეთვე, სხვა ისეთი მოტივები, რომლებსაც სულ სხვა ასპექტი აქვთ, ვიდრე კრედიტების ისტორიასა და სახსრების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, არსებითია ის მომენტიც, რომ მოვალე სუვერენული სახელმწიფოა და ამიტომ ვალის დაბრუნების არავითარი იძულებითი მექანიზმი არ არსებობს. დასავლეთის სასამართლო პრაქტიკა, სხვა სახელმწიფოს მიმართ კრედიტის დაუბრუნებლობის თაობაზე სარჩელის წაყენებას სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევს, ამიტომ საგარეო ვალების პრაქტიკაში

არსებობს დეფოლტის გამოცხადების უამრავი შემთხვევა. ამ საშიშროების წინაშე, ფაქტობრივად, თითქმის ყველა სახელმწიფო აღმოჩენილა. თვით სახელმწიფოთა გაკოტრების ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის. ჯერ კიდევ 1665 წელს ავსტრიის იმპერატორმა ლეოპოლდ პირველმა უარი განაცხადა თავისი წინამორბედების მიერ დაგროვილი ვალების გადახდაზე. XX საუკუნეში მარტო ევროპაში დაფიქსირდა სახელმწიფოთა გაკოტრების 30-ზე მეტი შემთხვევა, ამერიკის კონტინენტზე კი უფრო მეტიც იყო. აშშ-მა თავისი თავი სრულ ბანკროტად გამოაცხადა 1842-1848 წწ., ესპანეთმა ნაწილობრივ გაკოტრებულად – 1820-1830 წწ., ავსტრიამ დროებით – 1868 წელს, რუსეთმა ფარულად – 1843 წელს. XX საუკუნის 30-იან წლებში უცხოურ კრედიტორებს უარი განუცხადეს გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ავსტრიის, კანადის, იაპონიის, ესპანეთის, ფინეთის, დანიის, ნორვეგიის, უნგრეთის, პოლონეთის, საბერძნეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელას, ჩილეს, სალვადორის, კოლუმბიის, კოსტა-რიკისა და ნიკარაგუას მთავრობებმა.

აღსანიშნავია, რომ ხშირად სახელმწიფო ვალს იხდის ახალი კრედიტის მისაღებად. თუ მას ამის იმედი არა აქვს, ადვილად შეუძლია უარი თქვას ვალის გასტუმრებაზე (თუნდაც ჰქონდეს ამის შესაძლებლობა) და ასეთი სახით დაზოგოს ვალუტა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ სახელმწიფოს ვერავინ ვერაფერს ვერ უშამს, გარდა იმისა, რომ იგი უბრალოდ ახალ კრედიტებს ვეღარ მიიღებს და შეიძლება, აგრეთვე, იზოლაციაში აღმოჩნდეს. მაგალითად, ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა რუსეთი, რომელმაც 1917 წელს გამოაცხადა დეფოლტი და დასაღური კრედიტების გარეშე (თუ არ ჩაითვლით ლენდლიზს მეორე მსოფლიო ომის დროს) 60 წელი არსებობდა. მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია. ისტორიას ახსოვს უამრავი შემთხვევა, როდესაც დეფოლტის გამოცხადების შემდეგ ქვეყნებმა უცხოური კრედიტები მაინც მიიღეს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ხდებოდა პოლიტიკური მოტივით. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა კრედიტები მისცა გერმანიასა და იაპონიას, რომელთაც თავიანთ ობლიგაციებზე დეფოლტი ჰქონდათ გამოცხადებული.

ხშირ შემთხვევაში დეფოლტის შემდეგ ხდება ვალების რესტრუქტურიზაცია და ახალი კრედიტების გაცემა. მაგალითად, XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში რუსეთმა უარი განაცხადა საგარეო ვალების მომსახურებაზე, მაგრამ, მიუხე-

ღავად ამისა, მან ძალიან სწრაფად მიიღო კრედიტები როგორც დასავლეთის ბანკებისაგან, ისე დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისაგან, აგრეთვე, ევროობლიგაციების ბაზარზე. ანალოგიურ სიტუაციაში იყვნენ ლათინური ამერიკის ქვეყნები XX საუკუნის 80-იან წლებში. შესაბამისად, დეფოლტი ხშირად ემსახურება სავალო ვალდებულებების შემცირებასა და ახალი კრედიტების მიღებას. თვით დეფოლტის გამომცხადებელ სახელმწიფოებზე ზემოქმედების ზომების შერჩევისას ითვალისწინებენ მის პოლიტიკურ მდგომარეობას, მისდამი კრედიტორი სახელმწიფოების ინტერესს და გადაუხდელობის შედეგად გამოწვეული ზარალის ზომას. როგორც ჩანს, დეფოლტის შემთხვევაში ახალი კრედიტების გაცემისას კრედიტორები ხელმძღვანელობენ პრინციპით: რადგან მოვალე სახელმწიფო უარს ამბობს ვალის გადახდაზე იმიტომ, რომ არ იცის, მიიღებს იგი კრედიტს თუ არა, ამიტომ მან უნდა მიიღოს ეს კრედიტი და განაგრძოს ვალის გადახდა.

ვალების არგადამხდელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის პრინციპები ყველაზე ზუსტად და სახოვნად ჩამოაყალიბა ინგლისელმა პრემიერმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა[85]. XX საუკუნის 20-იან წლებში იგი აშშ-ისა და საფრანგეთის მთავრობებს წერდა, რომ გერმანიის მიერ ამ სახელმწიფოთა მიმართ რეპარაციული გადასახადების ზომის საკითხის განხილვისას, ისინი მას ჩვეულებრივი სავალო ვალდებულების მსგავსად უნდა მიუდგნენ. „თქვენ წინასწარ უნდა გადაწყვიტოთ, გსურთ მოვალის გაკოტრება თუ ფულის მიღება. თუ სახეზე არაა ვალის დაფარვისათვის საკმარისი ფასეულობები, თქვენ მოვალეს უნდა მისცეთ შესაძლებლობა. თქვენ თუ გინდათ თქვენი ძროხის ხორცი, უარი უნდა თქვათ მის რძეზე! თუ თქვენი მიზანია მოვალის განადგურება, თქვენ მოითხოვეთ იმაზე მეტი გადასახდელი, ვიდრე მას შეუძლია გადაიხადოს და მაშინ მიიტაცეთ მისი სახლი, მისი მიწა და მისი ქონება, სადაც არ უნდა იყოს იგი. მეორე მხრივ, თუ თქვენ გსურთ ფულის დაბრუნება, თქვენ დაადგინეთ, თუ რამდენის გადახდა შეუძლია მას და მაშინ იმოქმედეთ სამართლიანად, ურყევად და მოთმინებით, ეცადეთ მიიღოთ დადგენილი თანხა. მაგრამ ამაში მე არ ეგულისხმობ იმ თანხას, რომლის გადახდა მას შეუძლია საკუთარი თავისათვის მონობისა და სიღარიბის მისჯით. არც ერთი მამაცი ერი ამის ატანას დიდხანს არ მოისურვებს. ასეთი სახის მოქმე-

[85] *http://en.wikipedia.org/wiki/David_Lloyd_George*

დებები გამოიწვევს არა ძველი ვალების დაფარვას, არამედ ახლის შექმნას. აქ მე ვგულისხმობ იმ თანხას, რომლის გადახდა ერს შეუძლია მთელი მომავალი თაობის მხრიდან პროტესტის გამოხატვის გარეშე".

საგარეო დავალიანების პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარიზისა და ლონდონის კლუბები. კრედიტორთა პარიზის კლუბი არაფორმალური ფინანსური გაერთიანებაა, რომელიც შეიქმნა 1956 წელს სუვერენულ სახელმწიფოთა დავალიანების პრობლემის განსახილველად და დასარეგულირებლად, ანუ იგი მოწოდებულია დაარეგულიროს კრედიტორ ქვეყნებთან მოვალე ქვეყნების სახელმწიფო ვალის საკითხები. პარიზის კლუბის შექმნის მთავარი იდეაა უიმედო ვალის მქონე ღარიბ ქვეყნებზე ზრუნვა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ აზრს უღარიბესი ქვეყნებისათვის ვალის ნაწილის ჩამოწერის შესახებ. 1994 წელს პარიზის კლუბმა გადაწყვიტა, რომ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის ვალის 67 %-მდე ჩამოწერა. უგანდა იყო პირველი სახელმწიფო, რომლის მიმართ 1995 წლის თებერვალში ეს ზომა იყო განხორციელებული. ამჟამად ვალის ჩამოწერის ზომა 80 %-მდეა გაზრდილი. და ქვეყანამ ვალის ჩამოწერას შესაძლებლობა შეიძლება გამოიყენოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამდვილად ღარიბია და, ამასთან, სურს საბაზრო რეფორმების გატარება. პარიზის კლუბში გაერთიანებულია 19 ქვეყნის კრედიტორი ბანკების წარმომადგენლები.

1956 წლიდან 2009 წლამდე პარიზის კლუბში მიღწეულია 408 შეთანხმება 86 მოვალე ქვეყანასთან. სახელმწიფო საგარეო ვალის დარეგულირების მთლიანმა თანხამ 513 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2007 წლის დეკემბრის მდგომარეობით, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ვალის მთლიანი მოცულობა 3,357 მლრდ აშშ დოლარია, აქედან 2,558 მლრდ აშშ დოლარი საშუალო და გრძელვადიანი ვალია, რომლის 1334 მლრდ აშშ დოლარი ანუ 52 % გარანტიებითაა გაცემული, ხოლო 48 % კერძო კრედიტებია, რომლებსაც გარანტიები არ გააჩნიათ[86].

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის კლუბი არაფორმალური ორგანიზაციაა, მისი საქმიანობა გარკვეულ წესებსა და პრინციპებს ეყრდნობა. მათ შორის ძირითადია სამი პრინციპი:

---

[86] *http://www.clubdeparis.org*

1. ვალის გადახდის შეწყვეტის რეალური საშიშროება (ამისათვის საჭიროა რეალური მტკიცებულებები);
2. ვალის რესტრუქტურიზაციის პირობა;
3. მოვალის ვალდებულება გაატაროს განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა და კრედიტორებზე თანაბრად გადაანაწილოს გადაუხდელი ვალების ტვირთი.

პირველი 2 პრინციპი მოვალე ქვეყანამ უნდა შეასრულოს პარიზის კლუბში კრედიტის ძველი პირობების გადასინჯვის საკითხის განხილვამდე. მესამე პრინციპი განეკუთვნება კრედიტორების პოზიციას და ამიტომ იგი არაა სავალდებულო.

პარიზის კლუბში საკითხის განხილვა დიდ თანხებსა და დროსთან არაა დაკავშირებული. როგორც წესი, მოლაპარაკებები ერთ დღეში სრულდება (ყველაზე მცირე დრო – 1 საათი დასჭირდა 1983 წლის ოქტომბერში მალავის დელეგაციასთან მოლაპარაკებას), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მოლაპარაკებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს და ჩიხშიც შედის.

პარიზის კლუბისაგან განსხვავებით, ლონდონის კლუბი კერძო ბანკების კრედიტების საკითხებს არეგულირებს. ლონდონის კლუბი კერძო კომერციული ბანკების საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელთა კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიები ან დაზღვევა არ ვრცელდება. ამ კლუბში გაერთიანებულია ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების 600-მდე კომერციული ბანკი.

ლონდონის კლუბის პირველი სხდომა გაიმართა 1976 წელს ზაირის საგადასახდელო პრობლემებთან დაკავშირებით. მას მჭიდრო კონტაქტი აქვს პარიზის კლუბთან, „დიდ რვიანთან" და მსოფლიოს წამყვან ფინანსურ ორგანიზაციებთან.

თანამედროვე მსოფლიოში იშვიათია ქვეყანა, რომელსაც საგარეო ვალი არ გააჩნია. კერძოდ, ასეთი ქვეყნები არიან: ბრუნეი, ლიხტენშტეინი, პალაუ და მაკაო.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2008 წელს 100 მლრდ აშშ დოლარზე მეტი საგარეო ვალი აქვს 32 ქვეყანას, მათ შორის პირველ ათეულში შედიან: აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები, ირლანდია, იაპონია, შვეიცარია და ბელგია. რუსეთი საგარეო ვალის მოცულობით მე-19 ადგილზეა, საქართველო – 103-ეზე, აზერბაიჯანი – 121-ზე და სომხეთი – 145-ეზე (ცხრილი 68).

ცხრილი 68.

ზოგიერთი ქვეყნის საგარეო ვალის მოცულობა, მლრდ აშშ დოლარი

რანგი	ქვეყანა	ვალის მოცულობა	მონაცემის თარიღი
1	აშშ	12,250	30.06.2007
2	გაერთ. სამეფო	10,450	30.06.2007
3	საფრანგეთი	5,370	30.09.2008
4	გერმანია	4,489	30.06.2007
5	ესპანეთი	2,478	30.09.2008
6	ნიდერლანდები	2,277	30.06.2007
7	ირლანდია	1,841	30.06.2007
8	იაპონია	1,492	30.06.2007
9	შვეიცარია	1,340	30.06.2007
10	ბელგია	1,313	30.06.2007
19	რუსეთი	402.5	31.12.2008
20	ჩინეთი	379.8	31.12.2008
21	სამხრეთი კორეა	371.8	31.12.2008
103	საქართველო	4.5	2007
121	აზერბაიჯანი	3.0	31.12.2008
145	სომხეთი	1.4	31.12.2007
წყარო: https://www.cia.gov			

აშშ მსოფლიოს პირველი მოვალე ქვეყანაა, რომლის საგარეო ვალის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. თუ 2007 წლის 30 ივნისისათვის მისი საგარეო ვალი 12,250 მლრდ აშშ დოლარი იყო (ცხრილი 68), 2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით იგი 13,399,859 მლნ აშშ დოლარი გახდა.[87] ამ ვალის უმეტესი ნაწილი აშშ-ის ობლიგაციებია. 2008 წლის ივნისისათვის უცხოელების ხელში მყოფი აშშ-ის ფასიანი ქაღალდების ღირებულებამ 10.3 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის 3.6 ტრლნ აშშ დოლარის ღირებულების აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებია, 3 ტრლნ აშშ დოლარის – კორპორაციების აქციები და 2.8 ტრლნ აშშ დოლარის – კორპორაციების ობლიგაციები.[88] აღსანიშნავია, რომ 2007 წლის ბოლოს ამერიკელების ხელში იყო 7.2 ტრლნ აშშ დოლარის უცხოური ფასიანი ქა-

[87] http://www.ustreas.gov/tic/debta309.html
[88] http://www.ustreas.gov/tic/shla2008r.pdf

ღალდები, ხოლო 2009 წლისათვის სურათი არსებითად შეიცვალა.

აშშ-ის საგარეო ვალის ძირითადი წყაროებია: კერძო სექტორის ვალი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო და ადრე გაცემულ სახსრებზე დარიცხული პროცენტები.

აშშ-ის მთავარი კრედიტორები არიან ჩინეთი და იაპონია. 2009 წლის იანვრის მდგომარეობით ჩინეთზე მოდის 740 მლრდ აშშ დოლარი, იაპონიაზე – 635 მლრდ აშშ დოლარი.

საგარეო ვალის პრობლემა აქვს საქართველოსაც, თუმცა უკანასკნელ წლებში ორი სარეიტინგო სააგენტოს Standard&Poor's-ისა და fitch-ის მიერ აღიარებულია მისი საგარეო ვალის მდგრადობა. აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით.[89]

საგარეო ვალის პრობლემის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობის სტრატეგიის შერჩევას. განასხვავებენ თანამშრომლობისა და კონფრონტაციულ სტრატეგიებს. მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კონფრონტაციული სტრატეგია უარყოფითად აისახება მოვალე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან ქვეყანა პრაქტიკულად კარგავს საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე სესხის აღების შესაძლებლობას, ხოლო თვითონ განვითარებისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნია.

მოქნილი სავალო სტრატეგიის შერჩევით მოვალეს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატების შესაძლებლობა ეძლევა. ეს დასკვნა გაკეთებულია სავალო სტრატეგიისა და შემდგომი ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის შეფასების საფუძველზე. ამ საკითხის ყველაზე სისტემატიზებული ანალიზი 1994 წელს ჩაატარა საერთაშორისო ეკონომიკის ცნობილმა სპეციალისტმა უ. კლაინმა. მან ანალიზი განახორციელა ლათინური ამერიკის 7 ქვეყნის (არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, მექსიკა, პერუ და ჩილე) მაგალითზე და სხვადასხვა ცვლილებების (ინფლაციის დონე, შე-

[89] http://www.mof.ge/default.aspx?sec_id=3127&lang=1

მოსაელების ზრდა 1 სულ მოსახლეზე) საფუძველზე ამ ქვეყნის სავალო სტრატეგიების რეიტინგები დაადგინა.

უ. კლაინის რეიტინგში სახელმწიფოები განსხვავდებიან სავალო სტრატეგიების რეიტინგებით. ყველაზე მაღალი რეიტინგით გამოირჩევა კოლუმბია, რომელმაც ყველაზე ნაკლებ-კონფრონტაციული სტრატეგია შეარჩია. კრედიტორებთან მოლაპარაკებისას იგი ყველაზე დამყოლი იყო და, საერთოდ, უარი თქვა საგარეო ვალების გადახდის გადავადებაზე. პერუმ, პირიქით, აირჩია ყველაზე შეურიგებელი პოზიცია, რის გამოც მისი სავალო რეიტინგი ყველაზე დაბალი აღმოჩნდა. მეორე ადგილზე გავიდა ჩილე. მან აირჩია ვალების კონსერვაციის დინამიკური პროგრამა ბაზრის მდგომარეობის შესაბამისად და ვალები გაცვალა აქციებზე (სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე). მესამე ადგილზე მყოფ მექსიკას ვალები საერთოდ არ გაუყინავს (არც ძირითადი თანხები და არც პროცენტები). ვენესუელა აღმოჩნდა მეოთხე ადგილზე, რადგან გამოიყენა ვალის გაყინვის ზომები, მაგრამ შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში. მისგან განსხვავებით არგენტინამ და ბრაზილიამ ეს ზომები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენეს, რის შედეგად ისინი მეხუთე და მეექვსე ადგილებზე აღმოჩნდნენ.

უ. კლაინის ანალიზის (კლაინის მოდელის) საფუძველზე დადგინდა პირდაპირი კავშირი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და კრედიტორთა მიმართ შერჩეულ სტრატეგიებს შორის. ამიტომ ითვლება, რომ დეფოლტი არაა ის გამოსავალი, რომელსაც უნდა მიმართოს ქვეყანამ საგარეო დავალიანების პრობლემის გადასაჭრელად. ნორმალური სახელმწიფო უნდა ცდილობდეს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში ინტეგრირებას, რადგან ამ შემთხვევაში იგი ჩართული იქნება საერთაშორისო კოოპერაციასა და შრომის დანაწილებაში, მიიღებს ტექნოლოგიებს და გაიუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისი

ფინანსური მომსახურების ბაზარი განსაკუთრებულ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, რადგან იგი იძლევა მსოფლიო მასშტაბით ფინანსური რესურსების რაციონალური განთავსების, საგარეო გადასახდელების წონასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის, რისკების დაზღვევის შესაძლებლობას, ხელს უწყობს კონკურენციასა და ამცირებს ფინანსური და საბანკო საშუამავლო საქმიანობის ღირებულებას. აღნიშნულის მიუხედავად, იგი ვერ უზრუნველყოფს სავალუტო კურსების მოკლევადიან რეგულირებას, რის შედეგად ისინი ადვილად იცვლებიან. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სპეკულაციას და აძვირებს ვაჭრობას, რადგან სისტემატურადაა აუცილებელი სავალუტო რისკების დაფარვა. შესაბამისად, საბაზრო სიტუაციაზე ზემოქმედების შესაძლებლობა სხვადასხვა არასახარბიელო მოვლენას განაპირობებს არა მარტო ცალკეული სახელმწიფოებისა და რეგიონებისათვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსათვისაც. ეს არასახარბიელო მოვლენები კი შეიძლება სხვადასხვა სახის კრიზისებში გადაიზარდოს.

ფინანსური კრიზისი კრიზისის საწყისი ფაზაა, რომლის დროს ძირითადად ფინანსური სისტემა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საკრედიტო დაწესებულებები და ა. შ.) ზარალდება, სხვა სფეროებზე კი იგი ფაქტობრივად არ მოქმედებს. ეკონომიკური კრიზისი იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში წარმოიშვება. ასეთ ქვეყნებში ბანკები, ჩვეულებრივ, ფინანსურ კრიზისს არ განიცდიან. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი კრიზისის ყველაზე მძიმე ფორმაა, რომელიც ეკონომიკის ყველა სფეროს მოიცავს, მისი შედეგები სავალალოა.

მსოფლიო ეკონომიკაში მრავალი კრიზისია ცნობილი, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს ეროვნულ ეკონომიკებსა და მსოფლიო მეურნეობას. მაგალითად, 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიის“ დროს, აშშ-ში სამრეწველო წარმოება შემცირდა 46 %-ით, დიდ ბრიტანეთში – 24 %-ით, გერმანიაში – 41 %-ით, საფრანგეთში – 32 %-ით. დაეცა სამრეწველო კომპანიების აქციების კურსი: აშშ-ში 87 %-ით, დიდ ბრიტანეთში – 48 %-ით, გერმანიაში – 64 %-ით, საფრანგეთში – 60 %-ით. ოფიციალური მონაცემებით, 1933 წელს საბაზრო ეკონომიკის 32 ქვეყანაში იყო 30 მლნ უმუშევარი, მათ შორის აშშ-ში 14 მლნ.

თავიანთი ისტორიული წინამორბედებისაგან განსხვავებით, კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებმა მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება: ცალკეული სახელმწიფოს შიდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში საკანონმდებლო ჩარევის ნაცვლად, აშშ-ის ქალაქ ბრეტონ ვუდსში გაფორმდა შეთანხმება ფულადი ურთიერთობებისა და სავაჭრო ანგარიშსწორების ორგანიზაციის საერთაშორისო სისტემის შექმნის შესახებ (ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემა). ამ შეთანხმების ერთ-ერთი ორგანიზატორი ჯ. კეინზი იყო. ახალი სისტემის შესაბამისად შეიქმნა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ხოლო აშშ-ის დოლარს ოქროსთან ერთად მსოფლიო ვალუტის როლი განესაზღვრა[90]. ახალი სავალუტო სისტემის შექმნის მიუხედავად, კრიზისები ისევ გამეორდა.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში დასახელებულია კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის კრიზისის რამდენიმე მიზეზი. მაგალითად, კ. მარქსის აზრით, კრიზისი არის წინააღმდეგობა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში კაპიტალიზმის შეზღუდულ შესაძლებლობებსა და ამ შეზღუდული შესაძლებლობების ველზე საწარმოო ძალების განვითარების მიზანსწრაფვას შორის. ჯ. კეინზი მიიჩნევს, რომ კაპიტალისტური წარმოება არასაკმარისად იმართება სახელმწიფოს მხრიდან, რომლის მიზნებს მეწარმეთა და კერძო ბანკების ინტერესები არ ემთხვევა.

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზი უამრავია, მათ შორის აღსანიშნავია:

- აშშ-ის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის არასწორი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და არასახარბიელო მენეჯმენტი;
- მსოფლიო ფინანსების არამდგრადობა, ფიქციური, სპეკულაციური კაპიტალის ზრდის არნახული ტემპები, მოცულობები და შედეგად, „საპნის ბუშტის" გაჩენა;
- მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკების სტრუქტურული დისპროპორციები, წარმოებისა და მოხმარების მო-

---

[90] Тарханов О.В. Глобальный кризис и переход к новой социально-экономической модели развития. Проблемы современной экономики, 2009, N 2 (30)

ცულობებისა და სტრუქტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეუსაბამობა;

- ლიბერალურ-მონეტარული მიდგომების აბსოლუტიზაცია და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის იგნორირება;
- პოლიტიკური არასტაბილურობის ზრდა და მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოების (უპირველესად, აშშ-ის) დაავალიანების სერიოზული პრობლემა;
- აშშ დოლარის „ჭარბწარმოება“, რომელსაც სათანადო უზრუნველყოფა არ გააჩნია;
- მსოფლიოსა და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების განვითარების ციკლური ხასიათი და ამ პროცესების სინქრონიზაცია მსოფლიო ეკონომიკის ძირითად ცენტრებში (აშშ, ევროკავშირი, იაპონია);
- ნავთობის მაღალი ფასები, რომლებიც მოწყვეტილია საქონელზე ფასების ფორმირების კლასიკური მეთოდისაგან. ამის შედეგად „თავისუფალი ფულის“ დიდი მოცულობის ზეწოლა მსოფლიოს ფინანსურ ცენტრებზე;
- მსოფლიო ბაზრებზე მონოპოლიზაციის პროცესების გაღრმავება და კონკურენციის შესუსტება;
- მსოფლიოს ძირითადი ფინანსური ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) საქმიანობის დაბალი ეფექტიანობა.

როგორც ცნობილია, ფინანსური ბაზარი ემსახურება ინვესტიციების მოზიდვას. მეწარმე ახალი საქმის წამოწყებისას უშვებს აქციებს და მათ ღია ბაზარზე განათავსებს. თუ საქმე კარგად მიდის, აქციების ფასი იზრდება და ახალი ემისიის შესაძლებლობა ჩნდება, არასახარბიელო სიტუაციაში კი აქციების ფასი ეცემა. აღნიშნული კანონზომიერება დამახასიათებელი იყო ადრინდელი პერიოდის ფინანსური ბაზრებისათვის, თანამედროვე ეტაპზე კი მათი როლი არსებითად შეიცვალა. ამჟამად ისინი, უპირველესად, მსოფლიო რესურსებისა და ბაზრების გადანაწილების, პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად გადაიქცნენ.

ეკონომიკაში ნორმალური სიტუაციის უზრუნველსაყოფად, აქციების ღირებულების ზრდის დინამიკა საშუალოდ წარმოებული ეროვნული პროდუქტის ზრდის დინამიკას უნდა შეესაბამებოდეს. თუ ეს კანონზომიერება ირღვევა – იბერება საბირჟო „ბუშტი“, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გასკდეს.

უკანასკნელ პერიოდში ფასიანი ქაღალდების ღირებულების ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო მათი ემიტენტი კომპანიების ზრდას. ე. ი. ინვესტიციებს არ ჰქონდათ სათანადო უკუგება. რეალური ეკონომიკის მაჩვენებლებიდან ბაზრის მოწყვეტის შესაძლებლობას იძლევა ფინანსური ბაზრების თანამედროვე სისტემა, ხოლო საბირჟო „ბუშტის“ არნახულად დიდი ზომები ინვესტორების ინდივიდუალური რისკების შესამცირებლად განკუთვნილი ინსტრუმენტების (დერივატების) გაბერვის შედეგია. მართალია, ასეთი ინსტრუმენტები ხელს უწყობს ინდივიდუალური რისკების შემცირებას, მაგრამ ისინი მთლიანად კი არ ქრებიან, არამედ მთელ სისტემაზე ნაწილდებიან და მის მდგრადობას არღვევენ. აღნიშნულ სიტუაციაში რაიმე საბაბია საკმარისი „დომინოს ეფექტის“ გამოსაწვევად, რომელსაც ფინანსური სისტემის კოლაფსი მოსდევს.

აშშ-ის სარეზერვო სისტემის ყოფილი ხელმძღვანელი ა. გრინსპენი არასაბირჟო დერივატების ბაზრებისა და ჰეჯირების ფონდების რეგულირების წინააღმდეგი იყო, რადგან, როგორც აღინიშნა, ისინი რისკებს ბაზარსა და მის უამრავ სუბიექტზე ანაწილებენ. ამასთან ერთად, მონეტარულ კონცეფციაზე დაფუძნებული მატემატიკური მოდელები ადასტურებდნენ, რომ ბაზარი საუკეთესო სახით უზრუნველყოფს თავის წონასწორობასა და მდგრადობას. 2008 წელს ა. გრინსპენმა აღიარა თავისი შეცდომა, მაგრამ ამით სიტუაციის შეცვლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. რთული სტრუქტურის მქონე გლობალური ბაზარი აძლიერებს ენთროპიას. საკრედიტო ბუმმა (იგი განპირობებული იყო კრედიტის მიღების გამარტივებით: ფედერალური სარეზერვო სისტემის განაკვეთი 1 %-ს შეადგენდა, იაპონიაში კი კიდევ უფრო ნაკლები იყო) გამოიწვია დაბანდებათა ბუმი არარეალური ღირებულების მქონე აქტივებში.

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისი დაიწყო ლოკალური სახით: აშშ-ის იპოთეკურ ბაზარზე გასკდა „საპნის ბუშტი“. როგორც ცნობილია, ახალი საუკუნის დასაწყისში უძრავ ქონებაზე ფასების ზრდისა და იპოთეკური კრედიტის დაბალი პროცენტის გამო, იპოთეკა უაღრესად მიმზიდველი გახდა. ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, იპოთეკურ კრედიტს ყველა მსურველი იღებდა, ხოლო მის დაფარვას უძრავ ქონებაზე ფასების მატების ხარჯზე ფიქრობდა. ბანკები იპოთეკურ სესხს სიამოვნებით გასცემდნენ, რადგან, ერთი მხრივ, იგი დიდ ბონუსებს იძლეოდა და, მეორე მხრივ, კრედიტით ნაყიდი ქონებით იყო გარანტირებული. ფასების ზრდის პირობებში

